ᲥᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ

ᲒᲖᲐ

N43 (43 23/ 80 თე

1168
2008

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲛᲝᲓᲔᲚᲔᲑᲡ ᲕᲐᲭᲙᲐᲪᲘ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲔᲑᲘ ᲛᲝᲡᲬᲝᲜᲗ

ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲨᲔᲣᲧᲕᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲕᲐᲮᲝ ᲑᲘᲭᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲨᲔᲣᲪᲜᲝᲑᲔᲚᲘ

ᲠᲐᲛ ᲘᲮᲡᲜᲐ ᲛᲔᲮᲓᲐᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲑᲝᲒᲝᲜᲐ

ᲡᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ

ᲥᲕᲔᲚᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲗᲣ ᲙᲝᲜᲪᲠᲐᲑᲐᲜᲓᲐ

ᲓᲐᲩᲘ ᲑᲠᲫᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ „ᲓᲘᲓ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲡ“ ᲘᲬᲧᲔᲑᲡ

ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲐᲚᲣᲠᲘ ᲢᲐᲥᲡᲘ



ᲕᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ

ISSN 1987 - 302

„ᲩᲔᲛᲘ ᲥᲛᲐᲠᲘ ᲯᲐᲨᲣᲨᲘᲐ“ ᲐᲜᲣ „ᲣᲬᲘᲚᲐᲕᲘ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡ ᲠᲐᲘᲜᲓᲔᲑᲘ“

იტალ - დეკორი

კანდელაკის ქ. 65 ტელ: 381240 : 384433

დეკორატიული საღებავები
და ბათქაშები იტალიიდან

Decor DIVISION OIKOS

Paint DIVISION OIKOS

Façade DIVISION OIKOS

OIKOS

№43 (437)
23 - 29 ოქტომბერი,
2008 წ. ფასი 60 თეთრი



უნებლიე შეცდომა

■ პროფოკაგორი
ეკონომიკური შემოდგომა და პოლიტიკური გაზაფხული ანუ თანამედროვე ქართული საოცრებები 5

■ ფაქტი და კომენტარი
„თუ ვილაცის ვილაცა არ ხარ, მაშინ ყველანაირი კრიზისი შეგანუხებს...“ 6

■ აღიარება
„ქალაქში ხალხი ცხენითა და ვირით უნდა მოძრაობდეს“ 7

■ ეკრანს მიღმა
„საქართველოს დიდი ათეული“ ანუ „ერისთვის გადალებული ფოტოსურათი“ 9

■ საფრთხე
„ხელისუფლება მოსკოვს აგრესიის ახალ-ახალ მიზეზებს აძლევს“ 10

■ ჟურნალისტის როლში
ქართველ მოდელებს ქართველი ვაჭაცი მამაკაცები მოსწონთ 12

■ ფესტივალი
ბათუმის მესამე საერთაშორისო კინოფესტივალს მარადონაც დაესწრება 16

■ შთაგონება
ქართველი ხატმწერი და ხატების დაწერის სპეციფიკა 18

■ ავ-კარგი
ხატებით ვაჭრობა — ქველმოქმედება თუ კონტრაბანდა 19

■ შეუცნობელი
პარასკევს დაკლული ცხვარი და ღვთის რისხვა ჯაჭვაძეების საგვარეულო ეკლესიის მახლობლად 21

■ ანგიდეპრესანტი 22

■ ფესვები
„მე 400 წლის ისტორიაში შემოვდიოდი და ამაყი ვიყავი“... 22

ხალხი ლოდია,
ხალმაგლოც იჭაა.



ჟურნალისტის სამყარო

35

ქართველი ხატმწერი

„პრეზიდენტი ჩასული იყო სტეფანე ხირსელის სახელობის მამათა მონასტერში და წინამძღვარმა გადაწყვიტა, რომ ჩემ მიერ დაწერილი ხატი ეჩუქებინა ქვეყნის პირველი პირისთვის“.

18

„ცხოვრებაში პერპეტი არ მიყვარს...“

„ბუნებით ოპტიმისტი ვარ. მართალია, დღეს ელექტრონული მედია დახშულია, მაგრამ საერთო ჯამში, შეიძლება იმის თქმა, რომ ჟურნალისტები იზრდებიან. მალე ჯებირები გაირღვევა და საზოგადოება თამამი ჟურნალისტების მასობრივ პროტესტს იხილავს“.

24



— ნატა? შენ... საიდან? საიდან გაიგე?

— ჩიტმა მომიტანა ამბავი, — თქვა თავისი ხავერდოვანი ხმით და თვალებით უფრო გამიღიმა, ვიდრე ტუჩებით.

— არა, მართლა...

— გოგა შემხვდა გუშინ... იმანაც ძლივს მიცნო. შენზე მითხრა, ინფექციურში წევსო...

— ჰო... წეღან იყო მოსული, მაგრამ შენზე არაფერი უთქვამს.

— დაავიწყდა ალბათ.

70

■ ეროვნული
„არც ცხოვრებაში და არც ლიტერატურაში ქერეები არ მიყვარს...“ 24
■ პოეზია
გამოცდილი ნიკა გრიგოლია. შეგირდი თემო მჭავია და 17 წლის გოგონას ბაიკერული „კარიერა“ 26
■ თემა
„ჩემი ქმარი ჯაშუშია“... 28
■ ემიგრანტი
მართლმადიდებლური სავანე ნოსტალგიით შეპყრობილი ქართველებისთვის 31
■ ნარმატება
ნორჩი ჩემპიონი დიდებთან თამაშს არ უშრთხის 32
■ ჯანმრთელობა
სისველე ჭიპში 33
■ ჟურნალი ჟურნალში
✓ ცხოვრება 35
✓ გზავნილები 51
■ პირადი ცხოვრება
✓ როცა კარგი ადამიანი მეუღლეს ღალატობს 67
✓ „ორგზის დაქორწინებული კინოვარსკვლავი და პოლივუდის ოჯახური ცხოვრების პერიპეტიები 69
■ რომანი
სვეტა კვარაცხელია. სხვისი ოცნების ქალი (დასაწყისი) 70
■ ბაიმ-აუტი 74
■ საკითხავი ქალებისთვის
✓ ბედნიერება რომ გავიხანგრძლივოთ... 76
✓ სიყვარული — სიბერის დაუძინებელი მტერია 77
■ ისტორიული რომანი
გოჩა მანველიძე. დიდგორის ცაზე ფრენდა ის ჯვარი (გაგრძელება) 78
■ მაღლი
„...იქნებ ახლაც გამოჩნდნენ კეთილი ადამიანები“ 83
■ თინეიჯერული პონტები
✓ ქორწინება სიყვარულის გარეშე 84
✓ „ღალატი ქალს კი არა, კაცსაც არ ეპატიება “ 86
■ სასიძო
„ნიკა, კოცნას გიგზავნი არა იმიტომ, რომ შენი ოჯახის პატარძლობა მინდა“... 88
■ კავკასია
ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნები რუსეთის წინააღმდეგ ირაზმებიან 90
■ დაიჯესტი 92
■ კრიმინალი
გამართლება თუ შეწყალება? 93
■ ავტო 95
■ სკანვორდი 96
■ ტესტი 97
■ პროგნოზი 98

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქუჯაია
მენეჯერი: მთე კბილაძე
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza fantazia@gmail.com
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

„ჩემი ქმარი ჯაშუშია“...

ჯაშუშის ცოლს დიდი მოთმინება და თავშეკავება მართებს. მისი ოჯახი, მით უმეტეს, თუ ქვეყნის ფარგლებს გარეთ მუშაობს, ერთგვარ შეკრულ წრეს, ციხესიმაგრეს უნდა წარმოადგენდეს.

28

გამოცდილი ნიკა გრიგოლია



„ერთს ვიცნობ, რომელიც მოტოციკლის დიდი მოყვარულია, მან კარგად დაიწყო და კარგადაც აგრძელებს. საქართველოში მის გარდა, გოგონებიდან ამით არავინ ერთობა“.

26

ბედნიერება რომ გავიხანგრძლივოთ....

ალბათ ცხოვრებაში შეხვედრიხართ ისეთ მამაკაცს, რომელსაც დანაპირების შესრულება არ სჩვევია. ნუ შეეგუებით ამგვარ გარემოებას და ეცადეთ, რაც შეიძლება მალე დაივიწყოთ ის პიროვნება. ამოიგდეთ თავიდან აზრი, რომ ყველა მამაკაცი ერთნაირია.

76

— ათი დღე— ათი დღე მომეცი. მეტს არაფერს გთხოვ, — თქვა ჰასანმა და ქამრიდან ოქროთი სავსე ქისა მოიხსნა.

სარდალმა აუჩქარებლად ჩამოართვა ქისა. ხელში შეათამაშა და მერე უპასუხა:

— სამ დღეს მოგცემ. სამი დღის მერე ლაშქარს ავშლი. დანარჩენი თქვენი გადასაწყვეტია. შეგიძლიათ გამომყვეთ, შეგიძლიათ აქ დარჩეთ!..

78

ეკონომიკური შემოდგომა და პოლიტიკური გაზაფხული

ანუ თანამედროვე ქართული სოცრეები

მოხუცებმა იციან ხოლმე თქმა, ამ არეულ ქვეყანაში ბუნებაც აირია და მართალიცაა — კალენდარს არც პოლიტიკა ექვემდებარება და არც — ბუნება. შუა თბილისში ისეთი საოცრება მოხდა, რომ „იუმორინასი" არ იყოს, ხალხი რაიონებიდან ჩამოჰყავდათ სანახავად: ცირკის მიმდებარე ტერიტორიაზე ამ ოქტომბრის ბოლოს ტყემალი აყვავილდა.

არა, ცირკის მიმდებარე ტერიტორიაზე „ყვავილების გამოფენა" არც შემოდგომაზე უკვირს ვინმეს და არც — ზამთარში. თან, ძვირიც არაა, „ორქიდეა" ტროტუარზე დგას, „ბამბუკი" მანქანას უჩერებს და 10-15 ლარად იმხელა სითბოს გამოყოფენ, რომ ტყემალი კი არა, რა არ აყვავილდება, მაგრამ აქამდე ასეთი რამ არავის უნახავს.

ასეა პოლიტიკაშიც: ალბათ, იმიტომ, რომ თანამედროვე ქართული პოლიტიკა და პარტიებს შორის ურთიერთობა რაღაცით მართლაც წააგავს ცირკისწინა სიტუაციებს. ჰოდა, ამ გაგანია ეკონომიკური შემოდგომის დროს, პოლიტიკაში შუა გაზაფხულია.

ეკონომიკური შემოდგომა იმიტომ ვახსენე, რომ ბანკები საქმეს ველარ აუდიან და ყოველდღე ცვლიან ფულის

სათვლელ გადამწვარ აპარატებს, იმდენი დახმარება შემოდის ქვეყანაში. ახლაც წასულები იყვნენ ჩვენი ფინანს-ეკონომ-მინისტრები პრემიერის ხელმძღვანელობით და იმხელა თანხის ჩეკი წამოიღეს, რომ დილამდე ნულებს ითვლიდნენ.

მართალია, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასა და რუსული პოლიტიკის „მიჩმორებაში" დიდად ვერ გვეხმარებიან, მაგრამ ჯიბეში ხელის ჩაყოფას არ გვზარდებიან. სარკოზიმაც კიდევ ერთხელ გაიქნ-გამოიქნია ხელები ევროკავშირის სხდომაზე და უგაზოდ დარჩენის შიშით, რუსეთის პრეზიდენტზე რომ ველარ გაბედა, რუსეთის ქმედებებზე თქვა, არაპროპორციულიაო... არაპროპორციულია, აბა, რა: ღვინისა და „ბორჯომის" შეტანაზე თქვეს უარი, პესტიციდებს შეიცავსო და საქართველოდან გატანილი ნახმარი უნიტაზებით აავსეს ქვეყანა. ამის შემდეგ, მოდი და გაიგე, რას ნიშნავს „პესტიციდი" ასეთ ცუდს?!

წაიღონ, რა პრობლემაა! სამაგიეროდ, ჩვენთან იმდენი ფული შემოდის, რომ უნიზატებს კია არა, სანტექნიკასაც გამოვცვლით; თან, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს (ახალგორის ჩათვლით) თუ არ დაგვიბრუნებენ, ის ფული უფრო დიდხანს გვეყოფა... ყოველ შემთხვევაში, ევროპის „არც მწვადი დავწვათ და არც შამფურის" დამოკიდებულებაში, სხვას ვერაფერს ვხედავთ.

არანაკლებ საინტერესო მდგომარეობაა ადგილობრივ პოლიტსარბიელზე, სადაც ტყემალიც ყვავის, მერცხალიც მოფრინდა და ნამდვილი გაზაფხულიც დადგა. ყველაზე საინტერესო ამ პოლიტიკურ გაზაფხულში ისაა, რომ ძველი პარტიები არ გაუქმებულა, ახალი სახელები არ გამოჩენილა და ახალი პარტიები კი იქმნება. ყველანაირი ლოგიკით, პარტიებში წევრთა რაოდენობა მცირდება. არადა, წესით პარტიაში იმდენი წევრი მაინც უნდა იყოს, „ჯოკერის" თამაში რომ მოუნდეთ, სხვა პარტიიდან კაცის „სესხება" არ დასჭირდებათ. რა სჯობია, დაჯდები ოფისში, მოარტყამ „ჯოკერს" და ყოველი „ჰულკის" მერე აწყობ ბრიფინგს, ვის წაერთვა და ვის შეეტენა.

ჰოდა, იქმნება და იქმნება ახალი პარტიები: გია თორთლაძემ ვერც „ნაციონალებში" იპოვა თავისი ადგილი, ვერც ოპოზიციაში, ვერ ევერესტზე და ახლა ახალ პარტიას აფუძნებს. ეს „ნამრეწველარი" ცაგარეიშვილი ამოუჩრია იღლიაში თერმომეტრივით და დაატარებს აქეთ-იქით. ჯერ არავინ იცის, მათ პარტიას რა ერქმევა, მაგრამ დიდი შანსია, იმ პარტიების სახელები გააერთიანონ, რომელშიც აქამდე იყვნენ და მივიღოთ პოლიტიკური გაერთიანება — „გაერთიანებული ოპოზიციის ნაციონალური მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს".

ლეიბორისტების ლიდერს ახალ პარტიაზე სიტყვა არ დასცდენია, მაგრამ რამდენიმე დღის წინ ისეთი კატეგორიული ტონით მოსთხოვა ამერიკის პრეზიდენტს სავიზო რეჟიმის გაუქმება, ჯორჯ ბუშს ტელევიზორი იმ დროს „კავკასიაზე" რომ ჰქონოდა გადართული, ბატონი შალვა უკვე ამერიკაში იქნებოდა. რატომაც არა? — თბილისში უფასოდ მუშაობს და ცელქი გუგავას მოვლას, ამერიკაში კაი ფულიანი მოხუცის მოვლა არ სჯობია?!

არც დიდი პოლიტიკიდან წასულმა პარლამენტის თავმჯდომარემ დააყოვნა და ახალი პოლიტიკური ძალის შექმნის შესახებ უკვე განაცხადა. ბუნებრივიცაა: ქალი ორჯერ პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი, და ორჯერ — პარლამენტის თავმჯდომარე და ახლა სახლში ხომ არ დაჯდება და ნამცხვრების ცხობას ხომ არ დაიწყებს?! მით უმეტეს, იცის, რომ არც პოლიტიკური პარტნიორების მოძებნა გაუჭირდება და არც — მხარდამჭერების. ასე რომ, კიდევ ერთმა პარტიამ გამოისხა ყვავილი და გაზაფხული გვახარა. წინასწარ უკვე ვიცი რამდენიმე ადამიანი, ვინც მისი თანაპარტიელი გახდება, მაგრამ არ ვიტყვი: ჯერ იქნებ, თვითონაც არ იციან და რაღა ჩემგან გაიგონ?!

რაც შეეხება გაერთიანებული ოპოზიციის დაშლის შედეგად გაერთიანებულ ოპოზიციას, უკვე დაიწყეს საშვიდნოემბრო მზადება და როგორც თვითონ აღნიშნეს, სოფელ-სოფელ, კარდაკარ ჩამოივლიან და პარლამენტის წინ დათქმულ დღეს მთელ ერს შეყრიან. ამასობაში ის აყვავებული ტყემალი ნაყოფსაც გამოისხამს და ტყემლის რევოლუციასაც ვიხილავთ. ბოლო-ბოლო, ვერ გავიგე, 1-ელი სექტემბერია ერთიანობის დღე, როგორც პრეზიდენტმა თქვა თუ 7 ნოემბერი, როგორც ოპოზიცია ამბობს?! პრინციპში, იყოს ორივე, რას გვიშლის?! ჩვენ ხომ ერთიანობაც ორნაირად ვიცით!..

განცხადება:

„საქართველოს ახალდაფუძნებული შინაურულ-ახლობლური პარტია გასაწევრებლად იწვევს პოლიტიკური ამბიციების და ავტობუსის ფულის მქონე მოქალაქეებს. მსურველებმა თან უნდა იქონიონ ავტობიოგრაფია, სურათი 3X4 და ორი „პერაშკი". გვშიან..."

პროვოკატორი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

„თუ ვიღაცის ვიღაცა არ ხარ, მაშინ ყველანაირი კრიზისი შეგაწუხებს...“

როგორც ცნობილია, მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები ეკონომიკურმა კრიზისმა მოიცვა. სიძნელეები, უამისოდაც, არც ომგამოვლილ საქართველოს აკლია. რას ფიქრობს მოსახლეობა გლობალურ მოვლენებზე, ამ პროცესების გავლენაზე ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაზე და ამ თვალსაზრისით, საკუთარ მატერიალურ მდგომარეობასა და მომავალზე?..

ნათია ქივიძე

ალექსანდრე ბუკია, *პენსიონერი, 73 წლის:*

— ეკონომიკური კრიზისი საქართველოში უკვე კარგა ხანია, დაწყებულია. ამდენი გაჭირვებული ადამიანი სხვა არც ერთ ქვეყანაში არ მეგულება. ამერიკასა და რუსეთს რა უშავს? პირადად მე, კვირაობით არ მაქვს სახლში დენი, რადგან,ვიდრე პენსიას არ ავიღებ, მანამდე მის საფასურს ვერ ვიხდი და ეს უსულგულო ადამიანები მოდიან და მიჭრიან. არც ჩემი მდგომარეობა აშფოთებთ და არც ის, რომ შესაძლოა, სიცივით ან შიმშილით ამომხდეს სული. ეკონომიკური კრიზისი არ არის, როცა ქვეყანაში ამდენი გაჭირვებული და დამშეული ადამიანი ცხოვრობს?!. რაც მთავარია, ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლებს ხომ არ უჭირთ არაფერი: სასმელიც აქვთ, საჭმელიც და საზღვარგარეთაც მალ-მალე მოგზაურობენ. ჩვენ ვიკითხოთ, უბრალო ადამიანებმა, თორემ მათ არც ეკონომიკური კრიზისი შეეხებათ და არც სხვა სახის გაჭირვება...

ნანა ჩერქეზიშვილი, *პედაგოგი, 42 წლის:*

— ჯერ ისედაც უჭირდა ჩვენს ქვეყანას და ომის შემდეგ ხომ — საერთოდ... ამერიკასა და რუსეთს როგორ უჭირს, ნამდვილად არ ვიცი და არც მაინტერესებს. საკუთარი თავი გაგვჭირვებია ყველას. ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ რამდენიმე ქვეყანამ მილიონობით ფინანსური დახმარება გამოგვიყო. საინტერესოა, თუ მათ ეკონომიკურად უჭირთ, ჩვენთვის მილიონების მოცემას როგორღა ახერხებენ?.. გარდა ამისა, ეჭვიც არ მეპარება, რომ იმ თანხის დიდ ნაწილს ჩვენი ჩინოვნიკები ჩაიდებენ ჯიბეებში, ხალხისთვის კი მინიმუმს გამოიყენებენ და მერე ყელში ამოგვიყვანენ, — ნახეთ, ამერიკა როგორ დაგვეხმარა, აუცილებლად უნდა შევიდეთ ნატოში და ჩვენც ხშირად უნდა დავეხმაროთ ამერიკელებსო. რა სჭირს ამერიკას ჩვენი დასახმარებელი? წლების განმავლობაში რომ ჰქონდეთ ეკონომიკური კრიზისი, ჩვენზე უარეს დღეში მაინც არ ჩაცვივდებიან. ახლობელი მყავს ამერიკაში და მისგან ვიცი, რომ თუ ადამიანს მუშაობა არ ეზარება, ფულსაც შოულობს, გადასახადებსაც იხდის და საქართველოში დარჩენილ ოჯახსაც ფინანსურად კარგად უზრუნველყოფს. ეკონომიკურიც, დემოგრაფიულიც და კიდევ ათასნაირი კრიზისიც მხოლოდ ჩვენ, ქართველებს გვაქვს სადარდებელი...

დავით ნადირაშვილი, *ეკონომისტი, 54 წლის:*

— მსოფლიოში განვითარებული ეკონომიკური კრიზისი, რასაკვირველია, საქართველოზეც იმოქმედებს. თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენს ქვეყანაში არსებული კომპანიები ქართველებს არ ეკუთვნის. ყველაფერი გაიყიდა და მასში უცხოური ინვესტიციებია ჩადებული. უცხოელებს კი ახლა ძალიან უჭირთ. ამიტომ, არ არის გამორიცხული, ისევ გაგვიძვირონ ყველაფერი, ხელფასებს კი ალბათ იმდენსაც ვერ გადაგვიხდიან, რამდენიც დანიშნული გვაქვს. ერთ-ერთ კომპანიაში ვმუშაობ იურისტად, მაგრამ ორი თვეა, ხელფასი არ ამიღია, რადგან ჩემი ხელმძღვანელის აზრით, მისმა ფირმამ აგვისტოს მოვლენების გამო სულ წაგებაზე იმუშავა და, — აბა, თანამშრომლებს რა გადაგიხადოთო?!. ყველაფერი გასაგებია, მაგრამ ჩვენ დავიწყეთ ომი, ჩვენ გამო აღარ უნდა ხალხს ჩვენი პროდუქცია და ჩვენ გამო მუშაობს წაგებაზე ჩვენი ხელმძღვანელი?.. მისი ნათქვამი ლოგიკას არ ექვემდებარება, მაგრამ რას ვიზამთ?! კერძო კომპანიაა და ასე გვითხრეს, — თუ ეს პირობები არ მოგწონთ, შეგიძლიათ წახვიდეთო. ამ შემთხვევაში ვის უნდა მივმართოთ?.. იძულებულები ვართ, დაველოდოთ, მდგომარეობა როდის გამოსწორდება და სულ უმუშევრად დარჩენის ნაცვლად, უხელფასოდ მაინც ვიმუშაოთ...

ნუნუ ტეფნაძე, *დიასახლისი, 62 წლის:*

— სახელმწიფოსთვის რა და როგორ იქნება, ამის პროგნოზს ნამდვილად ვერ გავაკეთებ, რადგან ასეთ საკითხებში კომპეტენტური არა ვარ, მაგრამ ქართველ ხალხს უკვე კარგა ხანია, ეკონომიკური კრიზისი გვაწუხებს. თუ ვიღაცის ვიღაცა არ ხარ და ის ახლობელი, ოჯახის რომელიმე წევრს კარგი სამსახურით არ უზრუნველყოფს, მაშინ ყველანაირი კრიზისი შეგაწუხებს ადამიანს. ჩემი ოჯახის სამი წევრი მუშაობს. მხოლოდ მე ვზივარ შინ და შვილიშვილებს ვუვლი. მეც სიამოვნებით ვიმუშავებდი, მაგრამ ჩემი ასაკის ადამიანი ვის რაღაში სჭირდება?! ჩემი ოჯახის წევრებს კი თითოს 300 ლარზე მეტი არ აქვთ ხელფასი. ეს ეყოფა ექვსსულიან ოჯახს?! მხოლოდ გადასახადებში გვჭირდება მათი ნამუშევარი. ჭამაც ხომ გვინდა, ჩაცმაც და გავლა-გამოვლაც?! მაგრამ დღეს საქართველოში ისეთი მდგომარეობაა, სიამოვნებაზე არავინ ფიქრობს. მთავარია, შიმშილით არ დავიხოცოთ. ცხოველური ინსტინქტები გვაქვს განვითარებული და მხოლოდ „სალაფავზე“ ვფიქრობთ...

მარინა დავრეშიძე, *ინჟინერი, 53 წლის:*

— ჯერ სად ვართ?!. ცოტა ხანში ვნახავთ, როგორი ეკონომიკური კრიზისი დაიწყება ჩვენს ქვეყანაში. ამერიკას და რუსეთს რომ გაუჭირდება, ამ ისედაც გაჭირვებულ საქართველოს რაღა დაემართება?! ქართველებს ხომ ისედაც გასაქცევად გვაქვს საქმე, ძალიან ბევრი ჩვენი თანამემამულე უცხოეთშია გაქცეული და მათ ემსახურება. მალე ალბათ ისე გაგვიხდება საქმე, რომ ყველანი გაქცევაზე ვიფიქრებთ და დარჩებათ ეს ჩვენი ქვეყანა ან რუსებს ან — ამერიკელებს; რა მნიშვნელობა აქვს — რომელს?! მათ ქართველები მაინც არაფერში ვჭირდებით, ჩვენს ტერიტორიებზე უჭირავთ თვალი... ძალიან მეშინია, ბუნებრივი აირი და ელექტროენერგია ისევ არ გაგვიძვირონ, თორემ ვინც ვმუშაობთ, იმათ კიდევ რა გვიჭირს, ვინც არ მუშაობს ან პენსიონერია, იმათ როგორღა უნდა გაიტანონ თავი ამ ზამთარში? ■

„ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲙᲐᲚᲚᲘ ᲡᲙᲕᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲕᲘᲠᲩᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲥᲠᲐᲝᲐᲓᲔᲡ“



საქართველოში ბევრი „ტაქსისტია“, მაგრამ ᲨᲘᲝ ᲮᲐᲠᲐᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘ განსაკუთრებული „ტაქსი“ ჰყავს. აი, რაში გამოიხატება მისი განსაკუთრებულობა: ლუდს სვამს, სიგარეტს ეწევა, მღერის (შიოზე არ ვამბობ, „ტაქსის“ ვგულისხმობ)... ყველაზე დიდი სიამოვნებით, ქერსა და ბალახს შეექცევა...

ᲔᲗᲝ ᲧᲝᲠᲦᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ

13 წლის წინ, ხაშურიდან რუსთავში ერთი შარვლის ამარა ჩამოსულმა 17 წლის ბიჭუნამ ცხოვრებას ალღო მალევე აუღო — საარსებო წყაროც გაიჩინა და ცოლიც შეირთო. მაგრამ მოულოდნელად, მისი ბედის ბორბალი უკუღმა დატრიალდა... შიომ თავს დამტყდარ უბედურებას ვერ გაუძლო — ყველაფერზე გული აიცრუა. ველარც ოჯახი შეინარჩუნა და ველარც — სამსახური. ამის შედეგად, მის ბიუჯეტში „გარღვევა“ მოხდა, რის გამოც „ეკონომიკურ კრიზისში“ აღმოჩნდა. როცა ადამიანი ჭკვიანია, რთული სიტუაციიდან გამოსავალს იოლად პოულობს...

— დედმამიშვილებს შორის ყველაზე უფროსი მე ვარ, ტანად კი — ყველაზე პატარა. ბავშვობაში დედა ხშირად მიმეორებდა — შენი თავი გამიზარდოს ღმერთმაო!.. რომ წამოვიზარდე, ვუსაყვედურე: შენი სიტყვების გამო, ტანდაბალი დავრჩი და მართლაც, მხოლოდ თავი გამეზარდა-მეთქი... ოჯახს მამა არჩენდა, დედა ბავშვებს გვივლიდა. ერთხელ სახლში მძარცველები შემოიპარნენ და თავს დაგვესხნენ. დედა დაჭრეს. ვიდრე გამოჯანმრთელდებოდა, მანამდე ოჯახს მე ვუვლიდი... ბავშვობიდან ტანჯვით ვცხოვრობ. წარმოშობით, ხაშურელი ვარ. 17 წლის ასაკში რუსთავში ჩამოვედი.

— რაიმე პროფესია გაქვთ?

— ყოველთვის მსახიობობაზე ვოცნებობდი. ბავშვობაში, ჩვენთან ცირკი იყო ჩამოსული და ძალიან დავინტერესდი... კარგი ფილმის ნახვის გამო, სკოლაში გაკვეთილებს ვაცდენდი ხოლმე. სამწუხაროდ, ხელი არავინ შემიწყო, რომ სასურველ პროფესიას დავუფლებოდი. რუსთავში რომ ჩამოვედი, ძალიან მრცხვენოდა. მამა თანამდებობის პირი იყო — ორი უმაღლესი სასწავლებელი აქვს დამთავრებული, — მაგრამ ფული არ მომცა: ქალაქელ ბიჭებს არ აჰყვეს და არ გაფუჭდესო... მზარეულის დამხმარედ დავიწყე მუშაობა. „მხედრიონელების“ დროს, არეულობა რომ იყო, იქიდან მოყოლებული, ნელ-ნელა ცხოვრება ავიწყვე: ჭიათურაში მაღაზია გავხსენი, ზესტაფონში ღორები მყავდა, რუსთავში, სტადიონთან „ბუტკა“ მქონდა... მერე, დედისერთა გოგონა მოვიყვანე ცოლად. მალე შვილი შეგვეძინა, მაგრამ საავდმყოფოდან ბავშვის გამოწერისას, მე-ნ დღეს დამირეკეს და შემატყობინეს, — თქვენი შვილი მოკვდაო! — რამ მოკლა? გუშინ ვნახე და ჯანმრთელი იყო-მეთქი! — დავინტერესდი, გაოგნებული. ექიმებმა მითხრეს: ცხედარი ჩვენ წავიღეთ და სამშობიაროს ტერიტორიაზე დავმარხეთო. ეჭვი გამიჩნდა. ტელევიზიაშიც დავრეკე. ჩემი ამბავი გეცოდინებათ: მაშინ რამდენიმე ტელეარხზე გაშუქდა... ჩვილის გვამი უჩემოდ გაუჭრიათ, აზრზე არ ვიყავი. გაჭრილი ბავშვი არც მინახავს... ან როგორ უნდა მეცნო? ყველა ახალშობილი ერთმანეთს ჰგავს!. ჩემი ცოცხალი ბიჭუნა მკვდარ ბავშვში შემიცვალეს — მე ამ დასკვნამდე მივედი.

— დნმ-ის ანალიზი აიღეთ?

— ჩემს საქმეს 3 გამომძიებელი იძიებდა, თუ მაგას გამოძიებას დავარქმევთ. ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ბავშვი უყურადღებობით დაიღუპა, მაგრამ ამის გამო, არც ერთი ექიმი არ დაუსჯიათ. დნმ-ის ანალიზს რაც შეეხება: მკვდარი ბიჭუნა, ვითომ ჩემი შვილი აღმოჩნდა, მაგრამ საბუთში ხელმოწერები და თარიღები გაურკვეველია, ბევრი რამ ბურუსითაა მოცული... ახლა ჩემი შვილი წლინახევრის უნდა იყოს. შესაძლოა, ცოცხალია... მერე

ᲡᲐᲖᲐᲜᲝ

ᲜᲐᲑᲣᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲝ ᲥᲡᲔᲚᲘ



ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ ᲨᲔᲒᲘᲫᲚᲘᲐᲗ ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲝᲗ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲐᲘᲠᲘ ᲯᲔᲠᲫᲘ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲘ:

ᲪᲝᲛᲔᲣᲚᲘ, ᲜᲐᲛᲪᲮᲕᲐᲠᲘ, ᲤᲮᲐᲚᲔᲣᲚᲘ, ᲮᲝᲠᲪᲔᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ, ᲠᲐᲪ ᲡᲣᲤᲠᲐᲡ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ. ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲯᲔᲠᲫᲔᲑᲘ ᲨᲔᲒᲘᲫᲚᲘᲐᲗ ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲝᲗ ᲓᲐ ᲛᲘᲘᲠᲗᲕᲐᲗ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ ᲐᲜ ᲩᲕᲔᲜ ᲛᲝᲒᲕᲐᲠᲗᲛᲔᲕᲗ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ!

ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘ 150 ᲯᲐᲪᲖᲔ.

ᲛᲘᲡ. ᲜᲣᲪᲣᲑᲘᲫᲘᲡ 62Ა, ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐᲡ 43 (ᲧᲝᲤᲗ. ᲒᲐᲒᲐᲠᲘᲜᲘᲡ ᲛᲝᲔᲓ.)

ᲢᲔᲚ. 31.12.76; 38.12.75

ᲛᲝᲑ. 8.99.78.02.45

სიტუაცია ოჯახშიც ამერია, ჩემი ცოლი თავის მშობლებთან დავაბრუნე.

— რატომ?

— როცა ბავშვის ამბავს ვიძიებდი, სიდედრს დავურეკე და დახმარება ვთხოვე. მაგრამ ყურადღება არ მომაქციეს. როცა მიჭირდა, შვილის დაბრუნების შანსი მქონდა, მაშინ დახმარების ხელი არ გამომიწოდეს და მე მათი შვილი რაღაში მჭირდებოდა?! ახლა სამგორში ცხოვრობენ — იმდენი ქონება აქვთ, რომ სად წაიღონ, აღარ იციან... ოჯახი რომ დამენგრა, ერთ-ერთ კერძო საკუთრების დაცვაში ვმუშაობდი, მაგრამ შვილის ამბის გამო, სამსახურს ხშირად ვაცდენდი და ბოლოს, დავკარგე კიდეც... მატერიალურად ძალიან გამიჭირდა. ავდექი და ვირი ვიყიდე.

— ვირი სად იყიდეთ?

— რუსთავში, ერთ-ერთ ფერმაში. ვირის პატრონი მოკვდა და სახედარი მისმა შვილმა მომყიდა. 200 ლარი დამიფასა. ნისიად წამოვიყვანე. იმ დღესვე 50 ლარი „გავაკეთე" და ვირის საფასურიც მალე გადავიხადე. თავიდან ვიფიქრე, ბავშვებს გავასეირნებ და ამაში ფულს ავიღებ-მეთქი, მაგრამ ვირით „კატაობა" უფროსებსაც ძალიან მოეწონათ... პარალელურად, ხალხს ტვირთის გადაზიდვაშიც ვეხმარებოდი, მაგრამ „ტაქსაობამ" უფრო გაამართლა. ჩემი „ტაქსით" მგზავრები სად აღარ წამიყვანია — ორთაჭალაში, გაჩიანში, ვაზიანში, გამარჯვებაში...

— მგზავრობა რა ღირს?

— კილომეტრს 6 ლარად გავდივარ. ზაფხულში 40-50 ლარს, ზოგჯერ კი — 80 ლარს „ვაკეთებ". ახლა აცივდა და შემოსავალმა 20-25 ლარამდე იკლო. ცოტა ხნის წინ კარგი მაცივარი მიყიდა.

— ვინ?

— ვირმა (*იცინის*). მისი წყალობით, 800 დოლარი ვალი გავისტუმრე, 400-დოლარიანი მაცივარი შევიძინე, კარგს ვჭამ და კარგს ვსვამ... მომავალ წელს „მერსედესის" ყიდვასაც ვაპირებ.

— მერე, ამ საქმეს თავს დაანებებთ?

— არა, რას ამბობს?! ისე, თუ ჯანმრთელი თაობა გვინდა, ქალაქში ხალხი მხოლოდ ცხენითა და ვირით უნდა მოძრაობდეს.

— პატრულს არასდროს გაუჩერებიხართ?

— ერთხელ მთვრალი ვიყავი, გამაჩერეს და საბუთები მომთხოვეს. ჯუთხარი, — „ბარდაჩოკშია" და ნახე-მეთქი. — „ბარდაჩოკი" სადღაა? — დაინტერესდა. — კუდი აუწიე და მანდ არის-მეთქი! მაგრად იცინეს... ადრე ჩემს „ტაქსის" ნომრებიც ეკეთა. განბაჟებული მანქანის ნომრები ვიპოვე და ვირის „ტაჩკას" დავამაგრე — 26-28, — მაგრამ პატრულმა გამაჩერა: ასე არ შეიძლებაო, — და იძულებული გავხდი, მომეხსნა.

— თქვენს ვირს სახელიც ექნება...

— იმედა ჰქვია. როცა მამრობითი სქესის კლიენტი ვირის სახელით ინტერესდება, ჯერ თავად მას ვეკითხები: თქვენ რა გქვიათ-მეთქი? იქნებ, ჩემი იმედას მოსახელეა და „გაუტყდება". იმედაზე გადაყოლილი ვარ, გეფიცები — მე ზოგჯერ კვირაში ერთხელ ძლივს ვბანაობდი, ამას კი ყოველდღე ვბანდი. მიმზიდველად უნდა გამოიყურებოდეს, რათა კლიენტები დაინტერესოს! ადრე ჰალსტუხიც ეკეთა, მაგრამ მოჰპარეს — მინდორში უყურადღებოდ დავაბი და...

— თვით ვირს მოპარვის საფრთხის წინაშე არასდროს დამდგარხართ?

— ვერ მოიპარავენ, „სიგნალაზიცია" აქვს.

— ?!

— რომ მიეკარები, ყროყინს იწყებს!.. იმედა, იცი, რა ნიჭიერია?! მოძრაობის წესებიც კი იცის: შუქნიშანზე წითელი რომ აინთება, ჩერდება. როცა ჯოხს დავარტყამ, პირდაპირ სახლში მივყავარ, საგზაო მოძრაობის წესების დაცვით. ერთხელ კლიენტი ორთაჭალამდე მივიყვანე. მგზავრობას 3 საათი მოვუნდი, უკან გამობრუნებას — 4 საათი. მთვრალი ვიყავი და ჩამეძინა. სახლამდე რომ მოვედი „ტაქსით", იმედამ დაიყროყინა და გამეღვიძა.

— თქვენს ვირს კიდევ რისი ნიჭი აქვს?

— სიმღერა იცის... რა იყო, არ გჯერა?

შიომ იმედას დაუძახა. ვირმა ერთი კი შემოგვხედა, მაგრამ ბალახის ძოვა განაგრძო. პატრონმა ურჩი „მომღერალი" სასწრაფოდ მოგვგვარა და დაგვპირდა — მუსიკალურ ტალღაზე ახლავე „გადაერთვებაო". შიო ვირს ნახევარი წუთის განმავლობაში რაღაცას „ჩურჩულებოდა" მარჯვენა ყურში. იმედამ ჯერ პირის ცმაცუნი დაიწყო, მერე კი მართლა „ამღერდა"!

— შვილმკვდარი დედაც რომ იყოს, ჩემი „ტაქსის" დანახვისას, არ არსებობს, რომ არ გაეცინოს... 5-10 წუთით რომ ავიწყდება დარდი, ეგეც კარგია... პოპულარული კაცი ვარ: ქალაქში ჩემი „ტაქსით" როცა გამოვდივარ, ერთი, 100 მანქანა მაინც მისიგნალებს. კლიენტები ისე თბილად მომიკითხავენ ხოლმე, ვინმე იფიქრებს — უერთმანეთოდ პურს არ ჭამენო. არადა, ქუჩაში ვირის გარეშე რომ გამოვდივარ, ველარავინ მცნობს.

— თითქოს გულდაწყვეტილი ლაპარაკობთ...

— არა, გული სულაც არ მწყდება. ყველას რომ მივესალმო, თავის ქნევით მოვკვდები (*იცინის*)!..

— შიო, დილით რომ დაგირეკეთ, მითხარით — „ტაქსი" „სტაიანკაზეა" დატოვებულია...

— ჰო, მანქანების „სტაიანკაზე" ვტოვებ ხოლმე — ლარს მახდევინებენ. ერთხელ ჩემი საცხოვრებელი კორპუსის წინ დავაყენე და მეზობლებმა ლამის მაგინეს — ყროყინებსო!.. ძალიან უსაფრთხო ტრანსპორტია: თუ რამეა, ისევ ვირი დაზარალდება. ამას წინათ უბანში რომ შევედი ჩემი „ტაქსით", „ტაჩკაზე" ბიჭები შემოსტნენ. სიმძიმემ გადასძალა და იმედა ჰაერში გამოეკიდა. ზოგი ყვიროდა, — ვაიმე, ვირი არ დამეცესო! — ზოგი, — არიქა, ფოტოკამერით გადაიღეთო!.. ერთმა ჩემმა კლიენტმა ფული მოიგო: მეგობარს დაურეკა და უთხრა: ვირით მოგაკითხავო! იმან არ დაუჯერა. დანაძლევდნენ და ჩემმა კლიენტმა 45 ლარი მოიგო. 5 ლარი მე მომცა... ვის არ უმგზავრია ჩემი „ტაქსით"?.. მთავრობის წარმომადგენლებსაც მოვმსახურებივარ. ერთხელ ერთი ბიჭი 40000-დოლარიანი ჯიპიდან გადმოვიდა, ჩემს ეტლში ჩაჯდა და სახლამდე ვირით მივიყვანე. 10 ლარი გადამიხადა.

— „ტაქსისტები" კონკურენტად არ აღგიქვამენ?

— თავიდან „მეკაიფებოდნენ", ახლა დასერიოზულდნენ. ერთმა „ტაქსისტმა" შემომჩივლა: ამის დედა ვატირე, ხალხი მე 2 ლარს არ მაძლევს, შენ კი 20 ლარს გიხდისო!.. სამუშაოდ საღამოს 5 საათიდან გამოვდივარ. ეს საქმე მსიამოვნებს — მეც „ვკაიფობ" და კლიენტიც (*იცინის*).

— თქვენი „ტაქსით" ნეფე-პატარძალს არ უმგზავრია?

— ჯერ — არა, მაგრამ იმედას, ნეფე-პატარძლის ტარება მალე მოუწევს: ძმაკაცი კახეთში გოგოს მოსატაცებლადაა წასული. გადაწყვეტილი გვაქვს, რომ ნეფე-პატარძალი სახლამდე ვირით მივიყვანოთ, „პრიკოლის" „პონტში", თან, მამა-პაპისგან ვიცი — ვინც ვირზე დაჯდება, ბედნიერი იქნებაო.

ქალაქში ჩემი „ტაქსით" როცა გამოვდივარ, ერთი, 100 მანქანა მაინც მისიგნალებს



„საქართველოს დიდი ათეული“ ანუ „ერისთვის გადაღებული ფოტოსურათი“

მალე საქართველოში „დიდი არჩევნები“ იწყება, მაგრამ არა — პოლიტიკური. ქართველმა ერმა „საქართველოს დიდი ათეული“ უნდა აირჩიოს. ასე ერქმევა ახალ ტოქშოუს, რომელიც „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ეთერში დეკემბერში გავა. საზღვარგარეთ ამ ფორმატის გადაცემმა პირველად 2002 წელს „ბიბისიზე“ გავიდა, მალე აღიარება მოიპოვა და საერთაშორისო პროექტად იქცა. ამ გადაცემის ანალოგი 25 ქვეყანაში შექმნეს. რა პრინციპით მოხდება საქართველოს „დიდი ათეულის“ არჩევა? ამის შესახებ გადაცემის მთავარი პროდიუსერი დაჩი გრძელიშვილი მოგვითხრობს.

თამუნა კვინიკაძე

— ამ გადაცემის ტელეფორმატი „ბიბისის“ აქვს. როცა პროექტის შესახებ შევიტყვე, მისი ქართული ვერსია გავაკეთე. ქართული ელემენტებით დავტვირთე და გადაცემას მეტი გამჭირვალობა შევძინე. „ბიბისისთვის“ ეს ვარიაცია მისაღები აღმოჩნდა. მითხრეს, რომ სხვა ქვეყნებში გაკეთებულ გადაცემებთან შედარებით, უფრო მასშტაბურია. მათ ლიცენზია „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ მისცეს, თან მოითხოვეს, რომ სტუდია გვქონოდა; სტუდიების ჩამონათვალი გავუგზავნე და არჩევანი „თიბისი ტივიზე“ შეაჩერეს.

— გადაცემის არსი რაში მდგომარეობს?

— ქართველმა ერმა „დიდი ათეული“ უნდა

ეროვნული
დიდი ათეული
13 სექტემბერი 2008
ეროვნული
ეროვნული
ეროვნული

ტიკურად არაანგაჟირებული ადამიანებისგან იქნება დაკომპლექტებული. ასევე თითოეულ ნომინანტს ეყოლება თავისი ლობისტი ანუ ადვოკატი.

— ადვოკატების შერჩევა რა კრიტერიუმით მოხდება?

— შეიძლება, ის საზოგადოებისთვის ცნობილი ან უცნობი ადამიანი იყოს, ან სულაც, ისტორიული პიროვნების მემკვიდრე; მთავარია, იყოს კარგი ორატორი, თვითონ სჯეროდეს საკუთარი ფავორიტის ღირსებების და რჩეულის შესახებ რაც შეიძლება მეტ ინფორმაციას ფლობდეს. ცხადია, ინფორმაციის მოპოვებაში ყველანაირად დავეხმარებით. გადავიღებთ ფილმს, დავაბეჭდვინებთ სტატიებს, თუ საჭიროდ მიიჩნევს, ქუჩაში აქციებსაც დავუფინანსებთ, ოღონდ მან რჩეულის პოპულარიზაცია შეძლოს და თანამემამულეებს მისი ღირსებები დაანახვოს. ერთ გადაცემაში საზოგადოების წინაშე 5 ადვოკატს წარვადგენთ. ბუნებრივია, ისინი ერთმანეთს აზრებს გაუზიარებენ. ამ მსჯელობისას, არ იქნება მხოლოდ საკუთარი ფავორიტის სიკეთეზე ლაპარაკი, შესაძლოა, სხვა ნომინანტის ნაკლოვანებებზეც გამახვილონ ყურადღება.

— მათ შორის ვითარება რომ დაიძაბოს, როგორ განმუხტავთ?

— ასეც იქნება, მაგრამ ტოქშოუს დაყსწრება მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენელი, რომელსაც გადაცემის წამყვანი, სადავო სიტუაციის წარმოქმნის შემთხვევაში, ჰკითხავს — მოყვანილი ფაქტი სიმართლეს რამდენად შეესაბამება?

— 10 გადაცემის დასრულების შემდეგ რა მოხდება?

— ჩატარებული კენჭისყრის შედეგად, პირველ 10 ადგილზე გასული ნომინანტები გამოვლინდებიან. შემდეგ ისინი ორ-ორად დაიყოფიან და 5 გადაცემის მანძილზე ერთმანეთს 10 ადვოკატი დაუპირისპირდება. ცხადია, მათ შორის დებატები უფრო ცხარე იქნება. პირველ ათეულში გასულ ადამიანებზე გადავიღებთ ფილმებს, რომლებსაც ტოქშოუს დაწყების წინ გავუშვებთ ეთერში. დარბაზში ამა თუ იმ პიროვნების მხარდამჭერი საინიციატივო ჯგუფებიც იქნებიან. 5 გადაცემის შემდეგ, ბოლო — ფინალურ ტოქშოუზე, პირველ 10 ადგილზე გასულ „დიდ ქართველებს", რიგითობის მიხედვით, გამოვაცხადებთ.

— კრიტიკა არ აგცდებათ. ამისთვის მზად ხართ?

— კრიტიკა, ბუნებრივია, იქნება. უკვე გაჩნდა კითხვა — უხერხული ხომ არ გეჩვენებათ, ერთმანეთს წმინდანი და სპორტსმენი რომ დაუპირისპირდესო? ამ პროექტით ის ხომ არ განისაზღვრება, ილია უფრო დიდი ქართველი იყო თუ დავით ყიფიანი. ამ პროექტის მთავარი მიზანი — ერის მეხსიერების „გავარჯიშებაა". ვფიქრობ, მაყურებელი კარგად მიიღებს ახალ ტელეგადაცემას. ქართველებს დებატები გვიყვარს და ასეთი თემებიც გვაინტერესებს. ალბათ თქვენც არაერთხელ შესწრებიხართ დავას გიორგი სააკაძის ან სტალინის პიროვნებასთან დაკავშირებით. ამჟერად ადამიანებს ჩვენ ვაძლევთ იმის საშუალებას, რომ ეს ყველაფერი ტელეეთერში, უფრო მაღალმხატვრულ და ინტელექტუალურ დონეზე განხორციელდეს.

— წარმატებებს გისურვებთ!

— გმადლობ. ■

„ხელისუფლება მოსკოვს აგრესიის ახალ-ახალ მიზეზებს აძლევს"

რუსეთი საქართველოში ახალი ომის წამოწყებას გეგმავს. ქართველი ექსპერტებისა და პოლიტოლოგების აზრით, სწორედ ამაზე მეტყველებს რუსი მაღალჩინოსნების მიერ ბოლო დროს გაკეთებული აგრესიული განცხადებები. სოხუმსა და ცხინვალის რეგიონში სეპარატისტების გააქტიურების პარალელურად, კრემლი ქართველებს მოსკოვში ტერორისტული აქტების მოწყობის დაგეგმვაში ადანაშაულებს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პუტინმა ჩეჩნეთში სწორედ ანალოგიური მიზეზით განახორციელა ფართომასშტაბიანი შეტევა, ოკუპანტების ზრახვები ძნელი გამოსაცნობი აღარავისათვის დარჩება.

ამ საკითხებთან დაკავშირებით უფრო ვრცლად, პოლიტოლოგი სოსო ცისკარიშვილი და სამხედრო ექსპერტი კობა ლიკლიკაძე გვესაუბრებიან.

„ფართომასშტაბიანი ომის დაწყებას გამოვრიცხავ"

ხათუნა ბახტურიძე

— ბატონო სოსო, რამდენად რეალური შანსები აქვს მოსკოვს საიმისოდ, რომ ქართული მხარის პროვოცირება მოახდინოს და ფართომასშტაბიან ომში ჩაითრიოს?

სოსო ცისკარიშვილი:

— სამწუხაროდ, საქართველოში ამჯერადაც ზუსტად ისეთივე ვითარებაა, როგორიც აგვისტოს მოვლენების წინ იყო. რუსეთი ისევ პროვოკაციაზე მიდის. ჩვენი მაღალჩინოსნების მიერ გაკეთებულ განცხადებებში კი კვლავ აშკარად იკითხება ამ პროვოკაციაში ჩაბმის მზადყოფნა. ჩემთვის ავის მომასწავლებელია გივი თარგამაძის ხშირი სატელევიზიო ინტერვიუ. „ომის პარტიის" წევრებმა, გივი თარგამაძის მეთაურობით, თავი უნდა დაანებონ აგრესიული განცხადებების კეთებას და აამუშაონ დიპლომატია. მათმა კომენტარებმა ერთხელ უკვე მიგვიყვანა ტრაგედიამდე. საქართველო იმსახურებს იმას, რომ დიპლომატიური კორპუსი და, რაც მთავარია, ზრდილობიანი საგარეო საქმეთა მინისტრი ჰყავდეს. ძალიან მიჭირს ამის თქმა, მაგრამ მრჩება შთაბეჭდილება, რომ რუსეთისა და საქართველოს ხელისუფლება სიამოვნებით განაახლებდნენ საომარ მოქმედებებს.

— ჩვენს ხელისუფლებას საომარი მოქმედებების განახლება რისთვის უნდა აძლევდეს ხელს?

— საკუთარი ძალაუფლების შესანარჩუნებლად. მათ სურთ, საზოგადოების ყურადღება საომარ მოქმედებებზე გადაიტანონ და თავიანთი არაპროფესიონალიზმი ამით დაფარონ. ხელისუფლება, რომლის „საბრძოლო არსენალში" დიპლომატია არ შედის, განწირულია მარცხისათვის. ახლა მთავარია, მთელი ერი არ გადაიყოლონ.

— რუსეთი საკუთარ ავტონომიასთან — ინგუშეთთან უკვე ფაქტობრივად, ომობს. პარალელური ომის წამოწყება რამდენად შედის კრემლის ინტერესებში?

— რუსეთს აქვს იმის პოტენციალი, რომ ათ საქართველოსთან და ათ ინგუშეთთან ერთდროულად აწარმოოს ომი. კავკასიაში იმდენი ცხელი წერტილი გაჩნდება, რამდენის მორევასაც მოსკოვი შეძლებს. ყველა საომარი მოქმედება დაგეგმილი და ინიცირებულია ამ აგრესორი ქვეყნის მიერ. ინგუშეთში განვითარებული მოვლენები მიმართულია იმისაკენ, რომ ჩეჩნეთი და ინგუშეთი კვლავ გაერთიანდეს და ინგუშების ისტორიული აგრესია ოსების მიმართ ამ გზით შეჩერდეს. ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და ჩრდილოეთ ოსეთის გაერთიანება რუსეთის ტერიტორიებზე ავტონომიების გამსხვილების ლოგიკური გაგრძელება იქნება.

— რუსეთმა, ე.წ. სამხრეთ ოსეთთან ერთად, ყველა სხვა სადავო ტერიტორია წაგვართვა. ამჯერად მათი ინტერესი რაში მდგომარეობს?

— ახლა რუსეთს სურს, საკუთარი სამხედრო მიღწევა შეუქცევადი გახადოს. საქართველოს ხელისუფლება კი, თავისი რიტორიკით, მოსკოვს აგრესიის განხორციელებისთვის ახალ-ახალ მიზეზებს აძლევს. დიდი ჭკუა-გონება არ არის საჭირო იმის მისახვედრად, რომ დიპლომატიის გარეშე, დაკარგულ ტერიტორიებს არათუ დავიბრუნებთ, არამედ რაც გვაქვს, იმასაც დავკარგავთ. გამორიცხულია, რომ ამ პრობლემის ომით მოგვარება შევძლოთ.

მით უმეტეს, ვერაფერს გავხდებით პარტიზანული და დივერსიული მოქმედებებით, იმიტომ, რომ რუსეთს ჩვენზე მეტი პარტიზანიც ჰყავს, დივერსანტიც და მზაკვრობის ხარისხიც ჩვენს ხელისუფლებაზე ბევრად მაღალი აქვს.

— ფიქრობთ, რომ საქართველოს ხელისუფლება კრემლის წისქვილზე ასხამს წყალს?

— ასე გამოვიდა აგვისტოშიც და ვშიშობ, რომ ასე გამოვა ნოემბერშიც.

— თუ ეს ასეა, რატომ ითხოვდა მოსკოვი სააკაშვილის ხელისუფლების შეცვლას?

— სწორედ იმიტომ, რომ მისი ასეთი მოთხოვნები სააკაშვილის ხელისუფლებას კიდევ უფრო ამყარებს. ეს მეთოდი კრემლმა ჯერ კიდევ შევარდნაძეზე გამოცადა.

კობა ლიკლიკაძე:

— რუსეთის მხრიდან პროვოკაციების ნიშნები მართლაც გაჩნდა და აშკარაა, რომ რუსეთისა და სეპარატისტი ხელისუფლების მხრიდან პროვოკაციები მომავალშიც არ მოგვაკლდება. მიუხედავად ამისა, ფართომასშტაბიანი ომის დაწყებას გამოვრიცხავ. ყველაზე ცუდად ის მენიშნა, რომ ახალგორში რუსეთმა სამხედრო ტექნიკა და ჯარი შეამცირა. ადვილი შესაძლებელია, რომ ამ ფაქტის შედეგად, გარკვეულმა ძალებმა საქართველოს პრეზიდენტი ახალგორის ძალისმიერი მეთოდით დაბრუნების სისწორეში დაარწმუნონ და ეს ტერიტორია მორიგი ბლიცკრიკის არენად იქცეს. კრემლი საქართველოს ხაფანგში შეტყუებას ყველანაირი მეთოდით შეეცდება. მით უმეტეს, ახლა, როდესაც ჩვენი ქვეყნის „მუნდირის ღირსება" საკმაოდ შელახულია. მარტო ის რად ღირს, რომ დედაქალაქიდან სულ რანდენიმე ათეულ კილომეტრში — ახლგორში უკანონო საზღვარი დაფიქსირდა?!.

— რა გაძლევთ იმის თქმის საფუძველს, რომ თუნდაც ახალგორი არ გადაიქცევა რუსეთ-საქართველოს შორის ახალი ომის საბაბად?

— ის, რომ საქართველოს უსაფრთხოებით ევროკავშირია დაინტერესებული. გარდა ამისა, დღეს საქართველოს ხელისუფლება გაცილებით პროგნოზირებადია და იმედი მაქვს, ესმის, რომ ფართომასშტაბიანი ომის წამოწყება ჩვენი ქვეყნისათვის კატასტროფა იქნება.

— სეპარატისტები ცდილობენ, რომ ევროკავშირის მონიტორინგის ჯგუფი უუნაროდ წარმოაჩინონ. რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამ ფაქტს?

სოსო ცისკარიშვილი:

— კი არ ცდილობენ, არამედ მოახერხეს კიდეც. როდესაც კონფლიქტურ რეგიონში რამდენიმე დღის განმავლობაში სროლა მიმდინარეობს, ევროპელებმა და მათმა დამკვირვებლებმა ხმა უნდა ამოიღონ. ანგარიშების ჩუმად გზავნა არაფერს გვიშველის, საჯაროდ უნდა აცნობონ მსოფლიო საზოგადოებას, თუ რა ხდება საქართველოს ტერიტორიაზე. ვიდრე ეგენი რაიმე ქმედითი გადაწყვეტილების მისაღებად მიმოწერას მოამთავრებენ და ბიუროკრატიულ მექანიზმებს დასძლევენ, აქ შეიძლება, ცეცხლი ისევ აგიზგიდეს.

კობა ლიკლიკაძე:

— მოდი, მოვლენები რეალურად შევაფასოთ. ევროკავშირის მისიამ საქართველოში მუშაობა ოქტომბრიდან დაიწყო. ამ ადამიანებს ვითარებაში გასარკვევად, დრო სჭირდებათ. როდესაც აქ ბატონი კუშნერი ჩამოვიდა, დავრწმუნდით, რომ მან თურმე არ იცოდა, რა პრობლემა იყო ახალგორში. რა იღონა საქართველოს დიპლომატიამ იმისათვის, რომ ახალგორის პრობლემა საერთაშორისო საზოგადოებამდე მიეტანა?.. ან რას აკეთებენ იმისათვის, რომ კოდორში არსებული ვითარება წარმოაჩინონ?.. მოდი, ჯერ საკუთარ ნაკლს მივხედოთ და ევროკავშირის ქმედუნარიანობაზე მერე ვილაპარაკოთ. ჩვენ ძალიან ვჩქარობთ, ამიტომ მეშინია, რომ შეცდომა კიდევ არ დავუშვათ. ოპოზიციური ძალების მხრიდან ხელისუფლების იმაში დადანაშაულება, რომ ის დაუძლურებულია და საკუთარ მოქალაქეებს აგრესორებისაგან ვერ იცავს, არასწორად მიმაჩნია. ევროსაბჭოს რეზოლუციაში წერია, რომ რუსეთმა უარი უნდა თქვას აფხაზეთისა და ცხვინვალის დამოუკიდებლობის ცნობაზე. ამ დოკუმენტში აღნიშნულია ისიც, რომ საქართველო არ უნდა წამოეგოს რუსეთის პროვოკაციას და არ უნდა ჩაებას შეიარაღებულ დაპირისპირებაში. მართლაც, ძნელია იმის ატანა, რომ ცენტრიდან 35 კილომეტრში ბოევიკები დათარეშობენ, მაგრამ ახლა ჩვენ ევროკავშირს უნდა ვაცალოთ მისი მისიის ბოლომდე მიყვანა. სამწუხაროდ, დღეს სხვა ქვეყნების დახმარებაზე ვართ დამოკიდებული, როგორც ეკონომიკურად და პოლიტიკურად, ისე სამხედრო თვალსაზრისითაც. აქედან გამომდინარე, ახლა იმპროვიზაცია და საკუთარი ძალების იმედად პრობლემის გადაწყვეტა მხოლოდ სავალალო შედეგს მოგვიტანს. ჩემი აზრით, ხელისუფლებამ ქვეყანაში არსებული რეალური ვითარება ყველა პოლიტიკურ ძალას უნდა გააცნოს და დაიწყოს დიალოგი. საქართველო რეალური საფრთხის წინაშე დგას, ამიტომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება და შესაძლო რისკების გათვლა ერთი და ორი კაცის მიერ არ უნდა ხდებოდეს. ასეთმა მიდგომამ კოდორი და ახალგორი უკვე დაგვაკარგვინა. საქმეში გამოცდილი ექსპერტები უნდა ჩართონ, რომლებიც ცივი გონებით მიიღებენ ამა თუ იმ გადაწყვეტილებას. ■

საქართველოს უსაფრთხოებით ევროკავშირია დაინტერესებული

• რუსეთს ჩვენზე მეტი პარტიზანიც ჰყავს, დივერსანტიც

ლალი ფაცია

ჟურნალისტი – თიკა სიხარულიძე
და ნინო მახარაძე
რესპონდენტი – ვახო ბიჭიკაშვილი

ქართველ მოდელებს ქართველი

ის იყო, „ვანოს შოუს“ ჩაწერა ახალი დასრულებული გახლდათ, რომ მე და სააგენტო „ნატალის“ მშვენიერმა მოდელებმა იუმორისტების „სამფლობელოს“ კარი ფრთხილად შევაღეთ. ლამის ორმეტრიან, იდეალური პარამეტრების მქონე მოდელების დანახვაზე, შოუმენები სამუშაო დღის ბოლოს, საოცრად გამოცოცხლდნენ: ვანო ჯავახიშვილი უმალ ხუმრობის ხასიათზე დადგა და გოგონებთან სიმაღლეში დატოლებაც კი სცადა, თვალებგაბრწყინებულ ალეკო მალხაზიშვილს იქაურობის დატოვება ეძნელებოდა, თუმცა ეტყობოდა, რომ წასასვლელი იყო. მოკლედ, რალა გავაგრძელო და, გეტყვით, რომ ჩვენ იმ დღეს, ვახო ბიჭიკაშვილის სტუმრები გახლდით, რომელიც ჩვენი რუბრიკის ერთ-ერთ პერსონაჟად ავირჩიეთ. ვახო მოდელი გოგონების დანახვაზე თავიდან ცოტა კი შეცბა, მაგრამ სულ მალე სიტუაციას ალლო აუღო და ჟურნალისტის როლის მორგებაც ნამდვილად არ გასჭირვებია. ასე რომ, გთავაზობთ ერთი იუმორისტისა და ორი მოდელის გულახდილ დიალოგს.

ქრონიკა – თიკა

თიკა:

— როგორ მოხვდი „კომედი შოუში“?

— „კომედი შოუს“ ბიჭებს, რომლებიც ახლა უკვე ჩემი მეგობრები არიან, „კავეენიდან“ ვიცნობ (მეც ვთამაშობდი „კავეენში“). როდესაც ისინი ახალ სახეებს ეძებდნენ, სხვებთან ერთად, შოუში მეც მიმიწვიეს, რითაც ძალიან კმაყოფილი ვარ.

ნინო:

— ვახო, „კომედი შოუში“ „დუბლიონკიანი“ კასპელი კაცის სახე შექმენი. ეს პერსონაჟი მაყურებელმა უკვე შეიყვარა. როგორ დაიბადა ასეთი ტიპაჟის შექმნის იდეა?

— წარმოშობით კასპის რაიონიდან ვარ. ბავშვობაში დასასვენებლად ხშირად ჩავდიოდი სოფელში. ჩემს თანატოლებთან ერთად, სოფლის ბირჟაზე თვალყურს ვადევნებდი მამაკაცებს, მსიამოვნებდა მათი საუბრის მოსმენა და გულიანად ვიცინოდი ხოლმე. ხომ ამბობენ, გურულებს, იმერლებს განსაკუთრებული იუმორი აქვთო. მე ასე ვიტყოდი: კასპელებს რომ იუმორი აქვთ, მსგავსი არსად შემხვედრია. ყველაზე მაგარი „იუმორისტული შოუები“ იქაურ ბირჟაზე იმართება. თავი ბრძენები ჰგონიათ, ისეთი სიტყვების კორიანტელს დააყენებენ, დარწმუნებული ვარ, არც ერთის მნიშვნელობა არ იციან. იმდენ სისულელეს ამბობენ, გაგიჟდები. არ გეგონოთ, რომ მათ ვაძაგებ, პირიქით, ისინი ძალიან მიყვარან. რაღაცნაირი, გულღია ხალხია. ამიტომ ჩემი პერსონაჟიც შემიყვარდა... ერთხელაც, ქუთაისში ვქეიფობდით, იქ რაღაც არ მომეწონა და ჩემი კუთხური დიალექტითა და ინტონაციით დავილაპარაკე (კასპური წარმომავლობის დემონსტრირება მოვახდინე), რაც მიშა ანდღულაძეს შეუმჩნეველი არ დარჩენია. კარგია ეს ინტონაცია შოუში „იმუშავებსო“. ვანო ჯავახიშვილსაც მოეწონა და ასე შეიქმნა ზაურას ტიპაჟიც.

თიკა:

— „დუბლიონკა“ სად იშოვე?

— „დუბლიონკას“ ალეკო ახლაძეს — „კომედი შოუს“ დიზაინერს უნდა ვუმადლოდე, მან მომიტანა. თამუნა ლეკვეიშვილსაც მან უშოვა.

— ვახო, დაოჯახებული არ ხარ?

— არა, იმიტომ, რომ დაოჯახებისთვის არ მცალია...

ნინო:

— არც შეყვარებულისთვის გცალია?

— არა. მთელ დღეებს აქ და თეატრალურ უნივერსიტეტში ვატარებ. სასწავლებელს წელს ვამთავრებ. სახლში რომ მივდივარ, ოჯახის წევრები ტაშს მიკრავენ, შვილი დაგვიბრუნდაო.

თიკა:

— კარგია, უსაქმოდ ყოფნას, ასეთი დატვირთული გრაფიკით ცხოვრება სჯობია.

— კი, მაგრამ ცოლიც ხომ კარგია? თუმცა ჯერ 20 წლის ვარ და მგონი, დაოჯახება ადრეა. რა მეჩქარება?! თან, არც მყავს კანდიდატურა, რომლის გამოც ვენებს გადავიჭრიდი.

ნინო:

— გყოლია?

— ვენები არ გადამიჭრია, მაგრამ ძალიან მყვარებია...

თიკა:

— როგორი შეყვარებული ხარ?

— ფანტასტიკური. ნეტავ, ისევე ვუყვარდე ვინმეს, როგორც მე მიყვარს ხოლმე.

— როცა შეყვარებული ხარ, ალბათ, უფრო ეშხიანად ხუმრობ ხოლმე, არა?

— კი... გოგონასთან ურთიერთობის დაწყების პირველ ეტაპზე ხუმრობა კოზირივით მაქვს: ჩემი იუმორით ვაწონებ თავს (თუმცა ამას უფრო ტინგიცობა ჰქვია). მერე გოგონები ამბობენ, რომ მაგარი მხიარული ბიჭი ვარ. მეჩვევიან. რაღაცებში სერიოზულიც ვხდები, დეპრესიულიც, რადგანაც ხანდახან იმედგაცრუებას ვაწყდები.

ნინო:

— რა გიცრუებს გულს?

— რაღაც უაზრობები. როცა, ვთქვათ, ადამიანთან ერთად ვარ და მისგან ისეთი მუხტი არ მოდის, როგორიც მე მსურს. ამის გამო, შეიძლება, საშინლად „დავიგრუზო“.

თიკა:

— მთელი დღეების განმავლობაში ასეთი დაკავებული რომ ხარ, შრომის ანაზღაურება თუ გაკმაყოფილებს?

— ნორმალური ანაზღაურება მაქვს, კმაყოფილი ვარ. 17 წლის ასაკიდან ვმუშაობ: „რადიო 105“-ში წამყვანი ვიყავი და ჩემი ჯიბის ფული სულ მქონდა. ოჯახის წევრებისთვის ფულის თხოვნა საშინლად არ მიყვარს, მაგრად „მიტყდება“. როცა ადამიანს საქმის კეთება შეუძლია, უნდა აკეთოს.

ნინო:

— აღნიშნე, — თეატრალურ უნივერსიტეტს ვამთავრებო. მსახიობობას სცენაზე არ აპირებ? სპექტაკლებში არ მონაწილეობ?

— კი, როგორ არა?! საკურსო სპექტაკლებში ვთამაშობდი... იმის გამო, რომ თეატრალური სამყარო და სფერო, რომელშიც მე ვმუშაობ, ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება (არადა, ზოგი მათ ერთმანეთს ადარებს, რაც შეცდომაა), პრობლემები მექმნება ხოლმე, რადგანაც

ვაფკაცი მამაკაცები მოსწონთ

თეატრში ცოტა სხვა რაღაცები ხდება, სხვა სულიერი პროცესები მიმდინარეობს. არც შოუა სულიერ სამყაროს მოკლებული, მაგრამ მასში უფრო გამარტივებულია ყველაფერი. თეატრალურ უნივერსიტეტში რომ ჩავაბარე, მივხვდი, რომ სიძნელეებთან მექნებოდა საქმე. პირველი ორი კურსი ისე ვიყავი, სულ ვამბობდი: ახლა ავდგები და გავიქცევი-მეთქი. მერე რაღაცამ გამაჩერა. ეს — მეგობრები, იქაური წრეა, რომელიც მიყვარს. მინდა, რომ თეატრშიც ვიყო, მაგრამ ამჟამად არა მაქვს ამის პრეტენზია.

თიკა:

— რას იტყვი შენს თანატოლებზე, საერთოდ, შენს თაობაზე?

— მგონი, მხიარული თაობაა. ბარებში, კლუბებში დადიან, ერთობიან, ცხოვრება უხარიათ. ეს კარგია, მაგრამ უკეთესი იქნება, თუ მხოლოდ გართობაზე არ იფიქრებენ, განათლებასაც მიხედავენ და ცოტა წიგნებსაც ჩაუსხდებიან.

— შენი პროფესიული ოცნება რა არის?

— ფილმში ვითამაშო. კარგია კინო. არადა, საქართველოში დღეს ეს სფერო მკვდარია. თუმცა, რაღაც გაელვებებს ხანდახან ვამჩნევ და ერთ როლს სიამოვნებით ვითამაშებდი.

ნინო:

— სპორტული თუ ხარ?

— ვიყავი. ისე, სურვილი მაქვს, რომ სპორტულ ფორმაში კვლავ ჩავდგე. სპორტული ფორმის დაკარგვაში ჩემმა მოუცლელობამაც ითამაშა გარკვეული როლი; ამასთან, კომპიუტერმაც ამრია.

— ღამე „ჩატაობ"?

— არა, ინტერნეტით უცხოეთში მცხოვრებ მეგობრებს ველაპარაკები. საზღვარგარეთ რამდენიმე მეგობარი მყავს, რომლებიც მთხოვენ, რომ მათთან ჩავიდე.

თიკა:

— წასვლას აპირებ?

— დასასვენებლად შეიძლება წასვლა, ისე — არა, რადგან მე საქართველოში მომწონს ცხოვრება. ნეტავ, აქ ცოტათი მაინც გამოსწორდებოდეს სიტუაცია და იქ წასვლას საერთოდ ვინ იფიქრებს?! საქართველოში აგვისტოში ომი რომ იყო, კიევში ვიყავი. გამიჭირდა იქ ყოფნა. საშინელება ყოფილა, უცხო ქვეყანაში რომ ხარ იმ დროს, როცა შენს სამშობლოში მძიმე ვითარებაა. ამის გამო კინაღამ გავგიჟდი!

— რამეს ხომ არ საყვედურობ საკუთარ თავს?

— იმას ვსაყვედურობ, რომ წიგნებს ველარ ვკითხულობ. ეს არის დღეს ჩემთვის ყველაზე დიდი პრობლემა. ბავშვობაში შემაჩვიეს და მიყვარს წიგნის კითხვა, საამისოდ კი დრო აღარ მრჩება. წიგნის მეშვეობით უზარმაზარ სულიერ საზრდოს ვიღებ და ეს საქმეშიც მეხმარება. ვწუხვარ, რომ ახლა მხოლოდ ინტერნეტს ვარ მიჯაჭვული.

ნინო:

— ვინაიდან მაყურებლის თვალში კომიკური ჟანრის ტიპაჟი ხარ, არ გეშინია, რომ სცენაზე გასულს, მაყურებელი სერიოზულად აღარ შეგიგზავნიან?

— დღეს მხატვრულ მეტყველებაში ბატონი გურამ საღარაძის ლექცია მქონდა. გალაკტიონის საღამოს ვამზადებთ, ლექსები უნდა წავიკითხოთ. ისე, კი გავიფიქრე, — საღამოზე მოსულ ადამიანს ჩემს დანახვაზე სიცილი რომ აუტყდეს, რაღა ვქნა-მეთქი?.. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, სცენაზე რას გავაკეთებ და როგორ გამოვალ... ხალხს თუ ვუყვარვარ, ასეთსაც მიმიღებს. რა ვქნა, ცხოვრებაში ჯერჯერობით შოუმენობა ვარჩიე და მგონი, რაღაც საშინელება არ ჩამიდენია.

— ქალში რას აფასებ?

— მთავარია, იდაყვები... ვხუმრობ... გარეგნობას დიდი მნიშვნელობა აქვს. რომ დავინახავ, უნდა მომეწონოს, მერე უნდა გავიგო, როგორი ადამიანია. ბევრი გოგო მომწონებია, მაგრამ ახლოს გაცნობის შემდეგ, სამწუხაროდ, მასზე შეხედულება შემცვლია... მოდი, ახლა როლები გავცვალოთ.

ჟურნალისტი – ვახო ბიჭიკაშვილი
რესპონდენტი – თიკა სიხარულიძე და ნინო მახარაძე

— გოგონებო, მითხარით, რატომ გადაწყვიტეთ მოდელობა?

თიკა:

— 11 წლის ვიყავი, როცა უკვე მოდელობა მინდოდა. მუდმივად ბებიის, დედის ტანსაცმელს ვიცვამდი და ჩვენთან

მოსულ სტუმრებს, ვინც უნდა ყოფილიყო, „ჩვენებას“ ვუწყობდი. მოგვიანებით გადავწყვიტე, მივსულიყავი სააგენტოში და გავხდი კიდეც მოდელი, მაგრამ ეს ჩემი პროფესია არ არის. მიმაჩნია, რომ მოდელობით დღეს ვერთობი. იურიდიული ფაკულტეტი მაქვს დამთავრებული.

— არ გეწყინოთ, მაგრამ ამბობენ, საქართველოში ლამაზი ქალი ანუ უფრო — მოდელი — შეზღუდული აზროვნების არისო.

ნინო:

— საქართველოში — არა! ამ მოსაზრებას არ ვეთანხმები. წელს მუსიკალურ ტექნიკუმს ვამთავრებ და საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტზე მინდა ჩავაბარო. აბიტურიენტი ვარ და ვმეცადინეობ. ისეთი დატვირთული გრაფიკი მაქვს, დრო არაფრისთვის მრჩება.

— კარგია, რომ პოდიუმზე ასეთი განათლებული მოდელები გამოდიხართ. განათლება ყველას სჭირდება. კიდევ რას მეტყვით თქვენზე?

თიკა:

— მაქვს ოჯახი. მყავს მეუღლე და 2 წლის შვილი.

— მეუღლეები ცოლებს პოდიუმზე არ უშვებენ ხოლმე...

— ჩემი მეუღლე 15 წელი მოსკოვში ცხოვრობდა და მისმა თანამედროვე დამოკიდებულებამ ძალიან შემიწყო ხელი ჩემს საქმეში. ალბათ, ნდობის ფაქტორსაც აქვს მნიშვნელობა: მეუღლე მენდობა, იცის, ისეთ ჩვენებაში არ მივიღებ მონაწილეობას, რომელიც მას არ ესიამოვნება.

— მერე ეს კარგია მოდელისთვის? შესაძლოა, შენს საქმეში რაღაცებში დაიშტამპო და ვერ განვითარდე...

— საქართველოში ასეთი რამ შეიძლება, მაგრამ როდესაც უცხოეთში ცხოვრობ და მოდელი გქვია, იქ ასე ადვილად ფონს ვერ გახვალ. გეტყვიან: არ გინდა და წადიო.

— იცხოვრებდით საზღვარგარეთ?

— ორი თვე ვცხოვრობდი საფრანგეთში. ვმუშაობდი „ფორდის“ სააგენტოში. მოდელობა იქ უმძიმეს საქმესთან ასოცირდება: დილიდან საღამომდე დადიხარ კასტინგებზე, გადაღებებზე, ჩვენებებზე. ძალიან დატვირთული გრაფიკია. ისე ვიღლებოდი, რომ ხანდახან ტანსაცმლიანსაც კი ჩამძინებია. 16 წლის ვიყავი, როცა იქ მოვხვდი. სოფო ჭყონიას სააგენტომ („ამსა“) გამგზავნა. როცა დავბრუნდი, თან ჩამოვიტანე კონტრაქტები სინგაპურში, ტოკიოში სამუშაოდ, მაგრამ უარი ვთქვი: მივხვდი, რომ იქაური 'ამუშაო ჩემთვის მიუღებელი იყო, ვერ გავძლებდი. ამიტომ გადავწყვიტე, ოჯახი შემექმნა. საფრანგეთში ყოფნით კი უბრალოდ, ოცნება ავისრულე და მორჩა!

ნინო:

— 14 წლის რომ გავხდი, ჩემმა დამ სამოდელო სააგენტო „ნატალიში“ ძალით მიმიყვანა. მოდელობა სულაც არ მნდომებია.

— ახლა აპირებ, სერიოზულად მოჰკიდო ხელი ამ საქმეს?

— არა, ახლა სწავლას ვაპირებ. ხომ გითხარი, ინტენსიურად ვმეცადინეობ-მეთქი.

— შენი კოლეგა თიკა დაოჯახებულია. შენ როდისთვის გაქვს ეს საქმე დაგეგმილი?

— ჯერ არა. თან, შესაფერისი კანდიდატურაც არ არსებობს და ჯერ სხვა გეგმები მაქვს.

— ლამაზი გოგონები ბრძანდებით, მოდელებიც ხართ, ცხოვრობთ საქართველოში. თუ გყოლიათ ისეთი გადარეული ფანი, თაყვანისმცემელი, რომელსაც თავისი საქციელით თქვენთვის თავი დაუმახსოვრებია? და მოუხდენია თუ არა ამას თქვენზე გავლენა?

— თაყვანისმცემლისგან, მორთმეული ყვავილები მახსოვს. სხვა ისეთი, განსაკუთრებული, არაფერი...



ვახო, ნინო და თიკა

თიკა:

— მეც ვერ ვიხსენებ რაღაც ორიგინალურს.

— ჩვენში სილამაზის კონკურსები ტარდება, რომელიც თითქმის ყოველთვის მითქმა-მოთქმის საბაბი ხდება ხოლმე. თქვენ, ერთ-ერთი ცნობილი სააგენტოს მოდელები, რას ფიქრობთ ასეთ კონკურსებზე? როგორი გოგონები მონაწილეობენ მასში?

— ერთხელ, 1999 წელს ვმონაწილეობდი სილამაზის კონკურსში — „მის XX საუკუნე“. მაშინ 14 წლის ვიყავი. იმის მერე დავიფიცე, რომ კონკურსში აღარასოდეს მივიღებდი მონაწილეობას, რადგანაც ცუდად დამამახსოვრდა. მიმაჩნია, რომ ყოველი მეორე გოგონა საქართველოში მოდელი არ უნდა იყოს. ასე, არ შეიძლება.

— რისი ბრალია, რომ კონკურსში ყველა არ მონაწილეობს?

ნინო:

— კონკურსზე ბევრი კარგი გოგო არ გადის, რადგანაც საქართველოში ასეთ ღონისძიებაში მონაწილეობა ძალიან „დაბალ დონედ“ მიიჩნევა. თუმცა ბოლო დროს ცოტა უმჯობესდება ასეთი კონკურსების ჩატარების ხარისხი.

თიკა:

— ნაომი კემპბელი, ლინდა ევანჯელისტა, სინდი კროუფორდი, კლაუდია შიფერი — არც ერთ მათგანს არ მიუღია მონაწილეობა სილამაზის კონკურსში, მაგრამ ყველა — მაგარი მოდელია. მოდელისთვის „მისობის“ კონკურსი არ არის საჭირო. თუმცა ყველას თავისი აზრი აქვს... იმ კონკურსზე, რომელშიც ერთადერთხელ მაქვს მონაწილეობა მიღებული, მე და ირინა ონაშვილი უკან გადაგვწიეს და გაიყვანეს ის, ვინც ჟიურის წევრებს უნდოდათ.

— რეკლამებში არ გიღებენ?

— კი, მიმიღია მონაწილეობა და ამასთან, ცნობილ მუსიკალურ კლიპებშიც...

— საქართველოში ყველაზე კარგ დიზაინერად ვის მიიჩნევთ?

(ერთხმად, ავთო ცქვიტინიძეს ასახელებენ).

— ქართველ მამაკაცებზე რას ფიქრობთ?

— დავიწყოთ იმით, რომ ქართველი მამაკაცია ჩემი მეუღლე!.. პირველ რიგში, მამაკაცს შენი უნდა ესმოდეს. ქალსაც უნდა ესმოდეს მამაკაცის. ურთიერთგაგება მნიშვნელოვანი ფაქტორია. ცალმხრივი არაფერი ვარგა... საერთოდ, მიმაჩნია, რომ ქართველი მამაკაცი, თავისი ყველა თვისებით, ყველა ქვეყნის ნებისმიერ მამკაცს სჯობია.

ნინო:

— მეც ასე ვფიქრობ... ქართველი ქალები უცხოელებისთვის მეც მეცოდებიან. რატომღაც მგონია, რომ ისინი რაღაც, სხვანაირად ცხოვრობენ.

— როგორ ფიქრობთ — მოდელ გოგონებს მე მოვეწონები?

— რა მნიშვნელობა აქვს, მოდელსა თუ — არამოდელს?! მე ტრადიციულ ოჯახში აღზრდილი ბიჭები მომწონს.

თიკა:

— მთავარია, მამაკაცი იყოს მამაკაცური — თავისი საქციელით, სიტყვა-პასუხით. ისე, გრძელთმიანი ბიჭები მაღიზიანებენ. კაცი უნდა იყოს კაცი!

— ნამდვილი ქართველი გოგონები ხართ! გაქვთ თუ არა სურვილი, მრავალშვილიანი დედები გახდეთ?

— ერთი მყავს და სიამოვნებით ვიყოლიებდი სამსა და მეტ შვილს, თან ისე, რომ ისინი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს მოენათლა.

ნინო:

— მეც არა ვარ წინააღმდეგი, ბევრი შვილი მყავდეს...

— კარგია. ერს გამრავლება სჭირდება, ქართველები უნდა გავმრავლდეთ. მრავალშვილიანი მამობა მაგრად ასწორებს!..

■

დაგროვებითი ფასდაკლების - "მტრედი ბარათი" ავერსისგან

ავერსი
AVERSI

ავერსის აფთიაქებს ერთგული მომხმარებელი მრავლად ჰყავს. მათ იციან, რომ აქ ხარისხიან მედიკამენტებს, კოსმეტიკურ საშუალებებს, ჰიგიენურ ნაწარმს თუ ბავშვის კვების პროდუქტებს შეიძენენ. დაგროვებითი ფასდაკლების ბარათი უმთავრესად სწორედ ერთგული მომხმარებლების დასაჩუქრებას ისახავს მიზნად. ავერსის ნებისმიერ აფთიაქში მედიკამენტებისა თუ სხვა სახის ნაწარმის (კოსმეტიკის, ბავშვის საკვების, სხეულის მოსავლელი საშუალებების) შეძენისას თითოეული მომხმარებელი მიიღებს დაგროვებითი ფასდაკლების მტრედ ბარათს, რომლის მეშვეობითაც ის მრავალი პრიზის მფლობელი გახდება.

არჩევანი მრავალფეროვანია: დაგროვებითი ფასდაკლების შედეგად შეგიძლიათ დამატებითი ფასდაკლების სახით მიიღოთ როგორც მედიკამენტები, ისე მაღალი ხარისხის კოსმეტიკური საშუალებები, კერძოდ:

* ავერსი-რაციონალის მიერ წარმოებული სამკურნალო პრეპარატები
* გერმანული კომპანია "დოლივას" სამკურნალო კოსმეტიკა;
* "აჰავა" - მკვდარი ზღვის სამკურნალო კოსმეტიკა ისრაელიდან;
* საუგელა - სხვადასხვა ჰიგიენური საშუალებები იტალიიდან;
* ლაკალუტი - კბილის პასტები და ჯაგრისები გერმანიიდან;
* პრეგეინი - თმის ცვენის საწინააღმდეგო საშუალება ამერიკული კომპანია "აპჯონისგან".

დაგროვებითი ფასდაკლების მტრედი ბარათის ყველაზე ერთგულ მფლობელებს, რომელთაც კომპანია 1 წლის განმავლობაში გამოავლენს საშუალება ექნებათ, დაისვენონ საქართველოს ან ევროპის რომელიმე კურორტზე, ან შესაბამისად მიიღონ 1 000$ ან 1 500$. ამ სიას კომპიუტერიც ემატება, თუმცა მის ნაცვლად მომხმარებელს შეუძლია თანხა (1 000$) მოითხოვოს. მთავარი პრიზი ავტომობილი ან 15 000$-ია.

დაგროვებითი ფასდაკლების მტრედი ბარათი რომ მიიღოთ, ამისათვის ავერსის აფთიაქში ნებისმიერი თანხის პროდუქცია უნდა შეიძინოთ. სპეციალური ანკეტის შევსების შემდეგ თქვენ გადმოგეცემათ ფასდაკლების მტრედი ბარათი, რომელიც ავერსის აფთიაქში პროდუქციის შეძენისას აუცილებლად თან უნდა იქონიოთ: თქვენი ნებისმიერი შენაძენი, რა ღირებულებისაც უნდა იყოს ის, აღირიცხება და ანგარიშზე არსებულ თანხას ემატება. როდესაც თანხა 100 ლარს მიაღწევს, შეგეძლებათ, საჩუქრად მიიღოთ თქვენს ანგარიშზე არსებული თანხის 10%-ის ღირებულების პროდუქცია, რომელსაც ავერსის ნებისმიერ აფთიაქში ან კომპანიის ვებ-გვერდზე არსებული კატალოგიდან (www.aversi.ge) აირჩევთ.

გაითვალისწინეთ ისიც, რომ ბარათი შეგიძლიათ ათხოვოთ ოჯახის წევრს ან მეგობარს, რათა ანგარიშზე თანხა უფრო სწრაფად დააგროვოთ, თუმცა სასურველი ნაწარმის შერჩევა და საჩუქრად მიღება მხოლოდ ბარათის მფლობელს შეუძლია. პრიზის მიღებისას მან თან უნდა იქონიოს ბარათი და პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

ავერსის აფთიაქებში პროდუქციის შეძენა ნაღდი ანგარიშსწორებით ან საბანკო ბარათით (Visa card, Master card და ა.შ.) ხდება.

თქვენს ანგარიშზე არსებული თანხის შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ ავერსის ნებისმიერ აფთიაქში ან ავერსის ვებ-გვერდზე არსებული კატალოგიდან.

დღეისათვის ფასდაკლების მტრედი ბარათის მფლობელი გახლავთ 133312-ზე მეტი ადამიანი. 22324-ზე მეტმა უფასოდ მიიღო 668877 ლარის ღირებულების პროდუქცია.

ავერსი მომხმარებლებს მუდმივად ანებივრებს შელავათებით. ფასდაკლების მტრედი ბარათი სწორედ იმ ტრადიციის გაგრძელებაა, რომელსაც კომპანია დაარსების დღიდან ანხორციელებს.

ბათუმის მესამე საქართველოს კინოფესტივალს მაჩალონაც დაესწრება

მესამე წელია, რაც საქართველოში საერთაშორისო კინოფესტივალი „ბიაფი“ (BIAFF) იმართება. ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ განხორციელებული რუსული აგრესიის გამო, ამჯერად ეს კინოდათვალიერება, სექტემბრის ნაცვლად, 23-დან 29 ოქტომბრამდე, ტრადიციისამებრ, ქალაქ ბათუმში ჩატარდება. პროექტის ორგანიზატორი გახლავთ ბათუმის ხელოვანთა სახლი „არგონი“, ოფიციალური პარტნიორი და თანაორგანიზატორი — ქალაქ ბათუმის მერია. კინოფესტივალის მხარდამჭერები არიან: აჭარის განათლებისა და კულტურის სამინისტრო, ტურიზმის დეპარტამენტი, საქართველოში საფრანგეთის საელჩო, Holland Film, Goethe Institute, საქართველოში ჰოლანდიის საელჩო, ადამ მიცკევიჩის ინსტიტუტი, ჩიკაგოს საერთაშორისო დოკუმენტური კინოს ფესტივალი. პროექტს პარტნიორობას უწევს ავიაკომპანია „აირზენა“, რომლის პრესსამსახურის უფროსი, ამავდროულად, ფესტივალის სახე და წამყვანი — ნინო გიორგობიანი კონკურსის შესახებ დაწვრილებით მესაუბრა.

ეთო ყორღანაშვილი

— პირველად, კინოფესტივალი „ბიაფი“ 3 წლის წინ ჩატარდა. წელს, საქართველოში განვითარებული მოვლენების გამო, სექტემბრის ნაცვლად, ოქტომბერში გაიმართება. 23 ოქტომბერს ბათუმში, კინოთეატრ „თბილისში“ გაიხსნება და 7 დღეს გაგრძელდება. მისი ჩატარების ადგილი იქნება კინოთეატრები — „თბილისი“ და „ინტერნაციონალი“.

სტუმრები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოვლენ: ევროპიდან, აშშ-დან, პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან, აზიიდან... სულ, 35-40 კაცამდე სტუმარს ველოდებით.

— რამდენი ფილმი იქნება წარმოდგენილი?

— დაახლოებით, 60. მათ ჟიურის წევრები, კინემატოგრაფში არსებული, სპეციალური კრიტერიუმებით შეაფასებენ. წლევანდელი ჟიურის თავმჯდომარე პაველ პავლიკოვსკი (დიდი ბრიტანეთი) გახლავთ. ქართველი კინომოღვაწეებიდან, ჟიურის წევრი — ბატონი რეზო ესაძეა.

— რომელი ფილმით გაიხსნება ეს კინოდათვალიერება?

— გახსნაზე ანჟეი ვაიდას ფილმის — „კატინის“ ჩვენება გაიმართება, ხოლო ფესტივალის დახურვისას, ემირ კუსტურიცას ახალი ფილმი — „აღთქმა“ იქნება ნაჩვენები. ორივე ფილმი არასაკონკურსო ჩვენების სექციას განეკუთვნება. არასაკონკურსო ჩვენების სექციაში შედის მოკლემეტრაჟიანი და ანიმაციური ფილმები, ასევე, რეტროსპექტივები — ცნობილი რეჟისორების უკვე ცნობილი ფილმები. საკონკურსო სექციაში მხატვრული და დოკუმენტური ფილმები იქნება წარმოდგენილი.

— ქართველი რეჟისორების ნამუშევრებს თუ იხილავს მაყურებელი?

— საკონკურსო პროგრამაშია ნინო კირთაძის ფილმი „დურაკოვო“. ეს სურათი რუსეთშია გადაღებული. ფილმში ასახულია, თუ რა მონურად ამუშავებენ ადამიანებს მათივე ქვეყნის წარმომადგენლები. ისინი ვითომ მონასტერში მოღვაწეობენ, სინამდვილეში კი ტრეფიკინგის მსგავს რაღაცებს აკეთებენ... მოკლედ, მაგარი ფილმია!.. ასევე საინტერესოა ერთ-ერთი რუსი რეჟისორის მიერ გადაღებული ფილმი „რუსალკა“, რომელიც „ოსკარზეცაა“ წარდგენილი.

— ფესტივალზე რა ნომინაციები გაქვთ?

— გრან-პრი, „საუკეთესო რეჟისურა“, „საუკეთესო მხატვრული ფილმი“, „საუკეთესო დოკუმენტური ფილმი“, „მამაკაცის როლის საუკეთესო შემსრულებელი“, „ქალის როლის საუკეთესო შემსრულებელი“. გრან-პრის მფლობელს „ცხენთევზას“ ოქროს ქანდაკება გადაეცემა, სხვა ნომინაციების მფლობელებს კი — ვერცხლის. გარდა ამისა, კინემატოგრაფის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის, ოქროს „ცხენთევზით“ ორი გამოჩენილი მოღვაწე დაჯილდოვდება: უცხოელებიდან — ანჯეი ვაიდა, ქართველებიდან კი — მერაბ კოკოჩაშვილი. ეს გახლავთ ექსკლუზიური ინფორმაცია — თქვენთვის!..

— პროექტის სპონსორი ვინ არის?

— კინოფესტივალს პარლამენტის თავმჯდომარე — ბატონი დავით ბაქრაძე უწევს პატრონაჟს. პროექტს ყველა ისე ვეხმარებით, როგორც შეგვიძლია. მაგალითად, ჩვენ — ავიაკომპანია „აირზენას“ წარმომადგენლები — უცხოელი კინემატოგრაფისტების ტრანსპორტირებას უზრუნველვყოფთ... ამას წინათ,

კომპანია „აირზენას“ არგენტინაში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენი — ნიკო პატარქალიშვილი დაუკავშირდა. მას დიეგო მარადონას საქართველოში ჩამოყვანა ჰქონდა გადაწყვეტილი. ბატონ ნიკოს ამ საქმეში პარტნიორობაზე სიამოვნებით დავთანხმდით. სიმბოლური დამთხვევა მოხდა: მსოფლიოს სხვა ლეგენდარულ ფეხბურთელებთან ერთად, მარადონა 25 ოქტომბერს ჩვენს ქვეყანას ესტუმრება და ქართველ ვეტერან ფეხბურთელებთან ამხანაგურ მატჩში მიიღებს მონაწილეობას; ამავე დღეს, კინოფესტივალზე დაგეგმილია ემირ კუსტურიცას დოკუმენტური ფილმის ჩვენება, სახელწოდებით — „მარადონა“. ასე რომ, ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალს დიეგო მარადონაც დაესწრება!..

— რას გვეტყვით ფესტივალის საორგანიზაციო და სანახაობით მხარეზე?

— ფესტივალის ღონისძიებები ქართულ ენაზე წარიმართება და ინგლისურად ითარგნება. წამყვანი მე გახლავართ. ეს ამბავი ჩემთვის სიურპრიზი იყო, არ ველოდი... თავდაპირველად, პროექტის ერთ-ერთ ორგანიზატორთან — გიორგი გოგიბერიძესთან საქმიანი ურთიერთობა მქონდა, როგორც კომპანია „აირზენას“ წარმომადგენელს, და ინტერნეტით ვეკონტაქტებოდი. შემდეგ, როცა ბათუმში ჩავედი და პირადად შევხვდი, გარეგნულად ძალიან მოვეწონე. შემომთავაზა, რომ კინოფესტივალის სახე გავმხდარიყავი. ამ მხრივ, „აირზენას“ ჩემთვის პრობლემა არ შეუქმნია. ამიტომ, გიორგი გოგიბერიძის წინადადებას სიამოვნებით დავთანხმდი. ფოტოებიც გადამიღეს... ფოტოგადაღება ზღვაში მიმდინარეობდა. რომ გამიმხილეს, სურათების გადასაღებად, ოქტომბრის დასაწყისში ზღვაში უნდა შეხვიდეო, ძალიან ცუდად გავხდი — ისედაც მცივანა ვარ და კიდევ ეს მინდოდა?! სერიოზული ფსიქოლოგიური მომზადება გავიარე: ოქტომბერი ისეთი დროა, როცა მედუზები ნაპირთან ახლოს მოცურავენ... გიორგი გოგიბერიძეს სულ ხელით ამოვაკრეფინე წყლიდან მედუზები და ისე შევუდექი ფოტოგადაღებას (*იცინის*)... კინოფესტივალის სარეკლამო კლიპის გადაღებისას გამხმარ მდგომარეობაში მყოფი ზღვის ცხენი მოიტანეს. ჩემს ცხოვრებაში პირველად ვიხილე ეს არსება... იცი, რა პატარაა?!.

ფესტივალის სახე და წამყვანი — ნინო გიორგობიანი

პირველად ვიხილე ეს არსება... იცი, რა პატარაა?!.

— წამყვანობის გამოცდილება თუ გაქვთ?

— არანაირი (*იცინის*)... ადრე „რუსთავი 2“-ზე ჟურნალისტად ვმუშაობდი, სიუჟეტებს პოლიტიკურ და კრიმინალურ თემებზე ვაკეთებდი. სცენიდან წამყვანობა ჩემთვის უცხოა. დიზაინერი ეკა თადუმაძე ატელიე „დადუ და ლინკში“ ძალიან მაგარ კაბას მიკერავს — წითელია, ზურგზე ზღვის ცხენის სილუეტია გამოსახული და სვაროვსკის თვლებითაა გაწყობილი. ალბათ ორგანიზატორებმა იფიქრეს, რომ ასეთი კაბით დარბაზში კი არ უნდა ვმჯდარიყავი, არამედ სცენაზე ვმდგარიყავი და წამყვანობაც ამიტომ შემომთავაზეს (*იცინის*)... ბუნებრივია, ძალიან ვღელავ, რადგან „ბიაფი“ საერთაშორისო კონოფესტივალია და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან უამრავი ცნობილი და ნიჭიერი ადამიანი ჩამოვა. იმედია, ჩვენი ქვეყნის სასიკეთო ბევრი საინტერესო პროექტი დაიგეგმება. ამის პერსპექტივა ნამდვილად არსებობს.

ქალთა სილამაზისა და ჯანმრთელობის ცენტრი
“ზეევთან” (ისრაელი)

*გინეკოლოგია
*ენდოკრინული გინეკოლოგია
*კოსმეტოლოგია
*ფოტოეპილაცია
*ფოტოგაახალგაზრდავება
*ისრაელის ელიტარული კოსმეტიკა
*ფიტნესი
*იოგა
*სამედიცინო ტურიზმი ისრაელში

მისამართი: თბილისი, მცხეთის ქ. №9 (ვაჯე, მრგვალ ბაღთან ახლოს)
ტელ: 23 28 93; 893 27 57 97
ელ-ფოსტა: info@microgen.ge
www.zeevs.ge

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი ხატმწერი და ხატების დაწერის სპეციფიკა



როცა მუშაობას იწყებს, სპეციალურ ლოცვას კითხულობს; სხვაგვარად არ შეიძლება. ხატწერისას ყველაფერს დიდი გულისყურით უნდა მოეკიდო, ამისთვის კი დიდი ნებისყოფაა საჭირო. ირაკლი ჭუმბურიძე უკვე რამდენიმე წელია, ხატმწერია. მისი ნამუშევარი საქართველოს პრეზიდენტსაც აქვს და ერაყში მებრძოლი ბიჭებიც ლოცულობენ მის დაწერილ, წმინდა გიორგის ხატზე. ირაკლი დღეს ჩვენი ჟურნალის სტუმარია და ამ იშვიათ პროფესიაზე თავად გვიამბობს.

„წინამძღვარმა საჭიროდ მიიჩნია, რომ ჩემი დაწერილი ხატი პრეზიდენტისთვის ეჩუქებინა"

მერი კობიაშვილი

— ირაკლი, პროფესიით ალბათ მხატვარი ხარ...

— კბილის ტექნიკოსი გახლავართ.

— საქმიანობისგან აბსოლუტურად განსხვავებული პროფესია გქონია. ხატმწერობა რატომ დაიწყე?

— მანამდე საერო მხატვარი ვიყავი.

ირაკლი ჭუმბურიძე ცოლ-შვილთან ერთად

რამდენიმე გამოფენა მქონდა, მათ შორის ერთ-ერთი — პერსონალური. მერე შემომთავაზეს ხატების დახატვა და მეც დავთანხმდი. ძალიან მინდოდა, სასულიერო სემინარიაში ჩაბარება, მაგრამ ვერ მოვახერხე. სემინარიის მხატვრების სახელოსნოში დავრჩი. მანამდე ყოველთვის მქონდა სურვილი, ხატი დამეწერა, მაგრამ ეს გაუცნობიერებლად ხდებოდა. ჩემებურად ვხატავდი, მაგრამ როგორც მერე გავარკვიე, ხატების წერას თავისი წესები ჰქონია: ხატწერისას გარკვეული კანონიკის დაცვაა აუცილებელი.

— პირველად რომელი ხატი დაწერე?

— მაცხოვრის ხატი.

— ფრესკა არასდროს დაგიხატავს?

— რამდენიმე წლის წინ, ხაშურის ერთ-ერთი მონასტრის მოხატვა შემომთავაზეს. მაშინ დაუფიქრებლად დავთანხმდი, მაგრამ მერე დაფინანსების არქონის გამო მოხატვა გადაიდო. ახლა რომ შემომთავაზონ ეკლესიის მოხატვა, უარს ვიტყვი. მონუმენტურ მხატვრობაზე არასდროს მიმუშავია.

— არსებობს ხატი, რომელიც ყველა ხატმწერს არ შეუძლია, რომ დახატოს. ნებართვას სპეციალური კურთხევა სჭირდება?

— კურთხევა სჭირდება ისეთი წმინდანის დახატვას, რომელიც ახლად არის შერაცხილი წმინდანად და მისი ხატი არ არსებობს. საერთოდ, ამ საქმიანობას რომ იწყებ, მოძღვრის კურთხევა გჭირდება.

— ხატებს როგორ ირჩევ დასახატად?

— ბოლო ხანებში, ძირითადად, შეკვეთებზე ვმუშაობ. ჩემი სურვილითაც დამიწერია ხატი.

— ინტერვიუს დასაწყისში მითხარი, მიხეილ სააკაშვილს აჩუქეს ჩემი დაწერილი ხატი. მოგვიყევი, შენ დაწერილი რომელი ხატი აქვს პრეზიდენტს?

— სტეფანე ხირსელის ხატი. პრეზიდენტი ჩასული იყო სტეფანე ხირსელის სახელობის მამათა მონასტერში და წინამძღვარმა გადაწყვიტა, რომ ის ხატი ეჩუქებინა ქვეყნის პირველი პირისთვის.

— ეს ამბავი ალბათ ძალიან გეამაყება, არა?

— მეამაყება ის, რომ წინამძღვარმა საჭიროდ მიიჩნია, რომ ჩემი დაწერილი ხატი ეჩუქებინა პრეზიდენტისთვის.

— როცა ხატებს წერ, ალბათ ამისთვის ეკლესიურად ცხოვრება აუცილებელია...

— სახელოსნოში რომ დავიწყე მუშაობა, მაშინ ჩავუღრმავდი სარწმუნოებას. მოძღვარი მყავდა. აღსარებების ჩაბარება რომ დავიწყე, ხატებზე მუშაობას მერე მივყავი ხელი.

— ვინ არის შენი მოძღვარი?

— დაახლოებით ათი წელია ქაშუეთის ტაძარში მამა ხვთისოს მრევლი ვარ. იქ სტიქაროსანიც ვარ.

— რთულია ეკლესიური ცხოვრებით ცხოვრება?

— ადვილი არ არის, მაგრამ უნდა მოინდომო. თუ მოინდომებ და რწმენით მიხვალ ტაძარში, ტვირთი გიმსუბუქდება.

— დაგითვლია ოდესმე სულ რამდენი ხატი გაქვს დახატული?

— არასდროს დამითვლია... ხატი ბევრისთვის მიჩუქებია და ეკლესიისთვის ბევრჯერ შემიწირავს.

— პრეზიდენტის გარდა, შენი დაწერილი ხატი რომელიმე ცნობილ ადამიანს თუ შეუძლია?

— ერთი ხატი ერაყში წააბრძანეს. ჯარისკაცებმა ფული შეაგროვეს, წმინდა გიორგის ხატი იყიდეს და ჩვენს მეომრებს გაუგზავნეს. ეს ამბავი ძალიან მეამაყება.

— ინტერვიუს დასაწყისში მითხარი, რომ ხატწერა აბსოლუტურად განსხვავდება საერო მხატვრობისგან. მაინც რაში მდგომარეობს ეს განსხვავება?

— ხატი იწერება ფიცარზე, რომელიც სპეციალური გრუნტით იფარება. საღებავებიც ბუნებრივი, ფხვნილის სახით არის, რომელიც კვერცხის გულშია არეული.

— როგორც ვიცი, ხატის დაწერისას შავი ფერის გამოყენება არ შეიძლება...

— მიუხედავად იმისა, რომ მღვდლებს შავი ფერის სამოსი აცვიათ, ხატწერაში მიღებული არ არის ამ ფერის გამოყენება. მარტო რამდენიმე ხაზით შეიძლება შემოიფარგლო. ხატზე ასევე არ უნდა იყოს „შხამიანი ფერები".

— „შხამიან ფერებად" რომელს მიიჩნევენ?

— შაბიამნისფერს და საერთოდ, მყვირალა ფერებს.

— მართლმადიდებლური ქვეყნებ-

ის ხატები ერთმანეთისგან განსხვავდება? ნებისმიერ შემთხვევაში მიხვდები, ხატი რომელ ქვეყანაშია შექმნილი?

— ისევე როგორც გალობაში, ხატწერაშიც არის განსხვავებები. როცა სწავლობ, ჯობია, კლასიკური, ბიზანტიური ხატწერა ისწავლო. განსხვავება კი ხატების ტიპაჟებშია. რუსულ ხატებში უფრო რუსული სახეებია, ქართულში — ქართული. ჩემს შემოქმედებას ვერ დავარქმევ მხოლოდ ბიზანტიურს, ის უფრო ბიზანტიურ-ქართულია. ასე რომ, გარკვევა შეიძლება, ხატი რომელ ქვეყანაშია დაწერილი.

— როგორც გავიგე, ხატში ერთნაირი სახეები არ მეორდება. ხატწერაში ასეთი წესი რატომ არის?

— შეიძლება, ზუსტი ასლი გააკეთო; ასე განსაკუთრებულ შემთხვევაში ხდება. მაგალითად, ივერიის ღვთისმშობლის ხატისა და მსწრაფლშემსმენლის ზუსტი ასლი უნდა გაკეთდეს, მაგრამ როცა მე ხატს ვწერ, აუცილებელი არ არის, რომ ფოტოგრაფიული სიზუსტით გავაკეთო. მაგალითისთვის ვიტყვი, რომ ღვთისმშობლის უამრავი ხატია დაწერილი.

— სახლში ალბათ ძალიან ბევრი ხატი გაქვს...

— ჩემი დაწერილი მხოლოდ ერთი ხატი მაქვს; ისიც ჩემს მეუღლეს ვაჩუქე, როცა შეყვარებულები ვიყავით და ახლა თავისთავად ორივესია...

— მეუღლე რას საქმიანობს?

— პროფესიით ქიმიკოსია.

— მოსწონს შენი ნამუშევრები?

— მგონი, კი, მაგრამ შენიშვნებსაც მაძლევს ხოლმე. ისიც დადის ეკლესიაში და როგორც მორწმუნე ადამიანი ჩემს შემოქმედებას ისე უყურებს.

— არის ხატი, რომლის დაწერის სურვილიც გაქვს, მაგრამ ჯერ არ დაგიწერია?

— მინდა, დავწერო ჩემი უსაყვარლესი წმინდანის — სერაფიმე საროველის ხატი, მაგრამ ჯერ რატომღაც ვერ მოვახერხე. ■



წმინდა სტეფანე ხირსელის ხატი

ხატებით ვაჭრობა — ქველმოქმედება თუ კონტრაბანდა

თბილისის ქუჩებში, თითქმის ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეხვდებით ადამიანებს (ხშირ შემთხვევაში — მოზარდებს), რომლებიც გამვლელ-გამომვლელებს ხატების ყიდვას სთხოვენ და ამბობენ, რომ ხატების გაყიდვით შემოსული თანხით ამა თუ იმ უპატრონო ბავშვთა სახლს ეხმარებიან... საინტერესოა, შეიძლება, რომ მათი საქციელი ქველმოქმედებად მივიჩნიოთ?

რაც შემეძლო, ყველაფერს ვაკეთებდი — ჩემთვის მთავარი იყო, ფული მეშოვა!..

20 წლის გიორგი ჯაფარიძე წლებია, რაც თელავის უპატრონო ბავშვთა სახლში ცხოვრობს. ის კვირაში რამდენჯერმე თელავიდან თბილისში მოემგზავრება, დედაქალაქის ქუჩებში ხატებს ყიდის, ვაჭრობაში აღებული თანხით კი ბავშვთა სახლს და შესაბამისად — საკუთარ თავსაც ეხმარება.

ეთო ყორღანაშვილი

— ნაბოლარა შვილი ვარ. 4 და დაღუპული მყავს: ერთი სისხლის გათეთრებით გარდაიცვალა, მეორე — ფილტვების ანთებით, მესამე — ბრონქიტით, მეოთხეს ფილტვების უსიცხო ანთება დაემართა, მაგრამ დროულად ვერ მიხვდნენ, თუ რა სჭირდა. მანამდე დაიღუპა, ვიდრე საავადმყოფოში მიიყვანდნენ... მამა „სვარშჩიკი" იყო. თავის მწირი შემოსავლით ოჯახს ვერ არჩენდა. მალე ისიც დაიღუპა — ბევრს სვამდა და ღვიძლი დაეშალა. ოჯახს მარჩენლად მეღა შევრჩი. მეც ჩემებურად ვშრომობდი.

— „ჩემებურად ვშრომობდი" რას ნიშნავს?

— დედა „ნახალოვკაში" ცხოვრობდა, მე — ფაქტობრივად, ქუჩაში. საბურთალოზე, რუსთაველზე, ვაკეში დავეხეტებოდი... ვქურდობდი, ვხულიგნობდი, ქუჩაში მანქანებს სარკეებს ვხსნიდი და რავი, რაც შემეძლო, ყველაფერს ვაკეთებდი — ჩემთვის მთავარი იყო, ფული მეშოვა!.. 7-8 წლის ვიყავი და სხვა რა უნდა მეღონა? დედა ავად მყავდა — მუცელში წყლული ჰქონდა, სასწრაფო ოპერაცია ესაჭიროებოდა... როცა დედა მეკითხებოდა — ფული საიდან გაქვსო, ვპასუხობდი: ვიმათხოვრე-მეთქი... „კაპიკ-კაპიკ" 500 ლარი შევაგროვე და ბალიშის ქვეშ დავმალე. მალე იმ თანხას 1.000 ლარიც დავამატე — ყველაფერს ვიკლებდი, რომ ოპერაციისთვის საჭირო თანხა შემეგროვებინა...

— დედას როგორი რეაქცია ჰქონდა, როცა ერთბაშად ამდენი ფული აჩვენე?

— ვიდრე ფულს ვაჩვენებდი, მანამდე წინასწარ შევამზადე — თუ არ მცემ, რაღაც სასიხარულოს გეტყვი-მეთქი. შემპირდა — შენს თავს გეფიცები, არ გცემ, ოღონდ მითხარი, რის თქმასაც აპირებო. ბალიშის ქვეშიდან იმდენი ფული რომ გამოვიღე და ვაჩვენე, თავდაპირველად, გამიბრაზდა — ფიქრობდა, რომ მოვიპარე, მაგრამ დავამშვიდე — არ მომიპარავს, ვმათხოვრობდი, დღეში 30-50 ლარს ვშოულობდი და ასე შევაგროვე-მეთქი. თითქოს მენდო, მაგრამ ჩემი ნათქვამი ბოლომდე მაინც არ

დაიჯერა... მოკლედ, დედიკოს გამოჯანმრთელებაში დავეხმარე — იმ 1.500 ლარით ოპერაცია გაიკეთა.

— სამართალდამცავებთან პრობლემები არასდროს შეგქმნია?

— მართალია, პოლიციელებს ბევრჯერ დავუჭერივარ, მაგრამ რადგან მცირეწლოვანი ვიყავი, ისევ გავუთავისუფლებივარ... ოპერაციის შემდეგ, დედას სამკურნალოდ 100 ლარის წამლები დასჭირდა. რა თქმა უნდა, საჭირო თანხის შეგროვება გადავწყვიტე. ერთხელაც, მანქანის სარკეს ვხსნიდი. ნახევარი საქმე გაკეთებული მქონდა, როცა თავს მანქანის მეპატრონე გოგონები დამადგნენ. კრიმინალური პოლიციის წარმომადგენლები გახლდნენ — იმ დროს პატრული არ იყო. ალყაში მომაქციეს და მიბრძანეს — ხელები თავს ზემოთ ასწიეო! ერთ-ერთს შევეხვეწე: დეიდა, ოღონდ ციხეში არ ჩამსვათ და თუ გინდათ, მომკალითმეთქი. მიპასუხა: „მალალეტკა“ ხარ, ციხეში ვინ გაგიშვებსო? ძეგვის მონასტერში წამიყვანეს, თუმცა მანამდე დედაჩემთან მივედით... გოგონებმა დედას უთხრეს, რომ თქვენი შვილი ქურდობს, თავგზა აქვს არეული და მონასტერში უნდა წავიყვანოთო. დედა ჩემკენ საცემრად იწევდა, მაგრამ პოლიციელებმა არ გამოუშვეს... რა მექნა? პატარა ბიჭი ვიყავი, მსურდა, რომ დედას დავხმარებოდი და ვერ ვაცნობიერებდი, რას ვაკეთებდი... პოლიციელ გოგონებს მონასტერში გავყევი. ისინი ყურადღებას არ მაკლებდნენ, დედაჩემის სანახავადაც მიდიოდნენ ხოლმე. ახლაც გვაქვს ურთიერთობა მე, თეას, თამუნას და ხათუნას. მეოთხე პოლიციელი სადაა, არ ვიცი. თეას ახლა ჯიპი ჰყავს. მისი მანქანის სარკეს რომ ვიპარავდი, მაშინ „ბეემვე“ ჰყავდა (*იღიმება*), გოგონებმა დაბადების დღეზე მობილური ტელეფონიც მაჩუქეს... ქურდობა 7 წლის ასაკში დავიწყე. რამდენიმე თვეში პატარა ბიჭმა 1.500 ლარი ვიშოვე და წარმოიდგინე, მერე რას ვიზამდი (*იცინის*)... საბედნიეროდ, დღეს უკვე ვიცი კარგისა და ცუდის გარჩევა. დიდი ხანია, რაც ცხოვრების სტილი შევიცვალე. მცხეთაში, ძეგვის მონასტერში 12 წლამდე ვცხოვრობდი. იქ მოძღვარს აღსარება ჩავაბარე, მოვინათლე... მოკლედ, ჩემი ცხოვრება უკეთესობისკენ შეიცვალა, ცუდ რაღაცებს აღარ ვაკეთებდი. მონასტერში 400-მდე ბავშვი ვიყავით. შემდეგ თელავის ბავშვთა სახლში გადამიყვანეს.

— რატომ?

— გავიზარდე — 12 წლის გავხდი და იმიტომ.

— თელავის ბავშვთა სახლში ცხოვრების უფლება რა ასაკამდე გაქვს?

— თუ გინდა, ოჯახს რომ შექმნი, მაშინაც იქ იცხოვრებ, პრობლემა არაა. უკვე ოთხი ცოლ-ქმარი გვყავს... ეკლესიურად ვცხოვრობთ. ზოგი მუშაობს. მაგალითად, ერთ-ერთი ბიჭი მშენებლობაზე მუშაობს და გასამრჯელოდ, თვეში 600 ლარს იღებს. ხელფასი ყოველთვის ბავშვთა სახლში მოაქვს და ყველას გვეხმარება, რისთვისაც ზურას დიდ მადლობას ვუხდი!.. სამსახურის დაწყება მეც მინდა, მაგრამ სადაც მივედი, ყველგან ჭუჭყიანი საქმე შემომთავაზეს.

— ხატების გაყიდვის იდეა შენ თვითონ მოგივიდა?

— ეგ როგორ იყო, იცი? ერთხელ ბავშვთა სახლის დირექტორმა ბიჭებს ფული მოგვცა — წადით, რაღაცები იყიდეთო. 20-მდე ბავშვი თბილისში ჩამოვედით. რუსთაველზე ხატების გამყიდველებს გადავწყდით, რომლებიც ამბობდნენ, რომ ვაჭრობაში აღებული თანხით ერთ-ერთ ბავშვთა სახლს ეხმარებოდნენ. ნახსენებ ბავშვთა სახლში მივედით, აღმოჩნდა, რომ იქ მცხოვრებლებს არავინ ეხმარებოდა. მერე ამ საქმეში საპატრულო პოლიცია ჩაერია და ის ოფისი, საიდანაც თვითმარქვიებს ხატები გამოჰქონდათ და ყიდდნენ, დახურეს... ახლაც ბევრი მატყუარა არსებობს, რომელიც ვითომ ხატების გაყიდვით გაჭირვებულ პატარებს ეხმარება, სინამდვილეში კი საკუთარი ჯიბის გასქელებაზე ზრუნავს. ბევრ ასეთ ადამიანს ვიცნობ. ისინიც ძეგვის მონასტერში ცხოვრობდნენ. გაიზარდნენ, მონასტრიდან წავიდნენ და ისევ ქუჩა-ქუჩა დანანწალებენ. ნეტავ, მართლა ვინმეს ეხმარებოდნენ, მაგრამ ეჭვი მეპარება...

— გიორგი, ხატებს ბავშვთა სახლში ამზადებენ?

— არა, ჩვენთან დამზადებული მოაქვთ ხოლმე, ოღონდ, ვის — არ ვიცი, მაგრამ მოძღვრისგან ლოცვა-კურთხევა მაქვს აღებული და ამ საქმეს ისე ვაკეთებ.

— მერე, კარგი შემოსავალი გაქვს?

— წელიწადში, საერთო ჯამში 4.000-5.000 ლარამდე გროვდება. ხატებს შედარებით წყნარ ადგილას ვყიდი ხოლმე, რადგან ზოგი ბიჭი მოდის და მეუბნება — წამო, რამე მოვიპაროთო, მაგრამ მე მათი ტოლი არ ვარ, არც — ასაკით და არც — შეგნებით... დღეს ხატები სულ გავყიდე, 20 ლარი „გავაკეთე“. ახლა აქვე, საეკლესიო მაღაზიაში შევალ, ვიყიდი ხატებს და ცოტა ძვირად გავყიდი. 100 გაყიდული ხატიდან 5 ლარი მრჩება, მაგრამ „ვაფშე“, არაფერი მინდა. ვალდებული ვარ, ვიშრომო და ბავშვთა სახლს დავეხმარო. ჩემ მიერ ნაშოვნი ფული, ბუნებრივია, მეც მხმარდება. არსებობს ბავშვთა სახლები, რომლებშიც ჩვენზე გაჭირვებული ადამიანები ცხოვრობენ. შეძლებისდაგვარად, მათაც ვეხმარებით. ჩვენი დირექტორი გია რაზმაძეა, მაგრამ ექიმი დათა კიზირიაც დირექტორის „პონტშია“. სწორედ ეს უკანასკნელია ჩვენი სპონსორი — ყოველთვიურად, ბავშვთა სახლს 2.000-3.000 ლარს ურიცხავს. ავლაბარში, პაატა ბურჭულაძის ფონდ „იავნანას“ ბევრად მეტი თანხა ერიცხება და იქაური ბავშვებიც ჩვენზე უკეთ ცხოვრობენ. ყველანი ერთმანეთს ვეხმარებით, როგორც შეგვიძლია... წყნეთის გვერდზე არსებობს სოფელი ნაფეტვრები, სადაც პაატა ბურჭულაძეს აგარაკი აქვს. იქ დედიკო მუშაობს — ბატონი პაატას სახლს უვლის და თვეში 70 ლარი აქვს ხელფასი. დედაჩემს გორის ერთ-ერთ სოფელში სახლი ჰქონდა, მაგრამ ახლა რუსმა აგრესორებმა გაანადგურეს.

— გიორგი, როგორია შენი ერთი ჩვეულებრივი დღე?

— დილა რომ გათენდება, სამლოცველოს დალაგებას ვინყებ, მერე შეშა მიმაქვს. ხან რა საქმეს ვაკეთებ, ხან — რას, ამასობაში კი დრო გადის. მაქვს განრიგი, რომლის მიხედვითაც ლოცვებს ვკითხულობ. სკოლაში არასდროს მივლია, წერა-კითხვა ქუჩაში ვისწავლე. ერთ „ბუტკაში“, რომელთანაც ხშირად „ვიჩითებოდი“ ხოლმე, შუახნის ქალი მუშაობდა. შემომთავაზა — პასტა და ფურცელი მოიტანე და წერა-კითხვას გასწავლიო... სიმართლე გითხრათ, ლათინური ასოებით დაწერილ ტექსტს უკეთესად ვკითხულობ, ვიდრე — ქართულით. მესიჯების წერა არ მიჭირს (*იცინის*).. როცა თავისუფალი დრო მაქვს, დირექტორის ნებართვით, თელავიდან თბილისში ხატების გასაყიდად მივემგზავრები, საღამოს კი უკან — ბავშვთა სახლში ვბრუნდები.

— მგზავრობა ძვირი არ გიჯდება?

— თბილისი-თელავის „მარშრუტკით“ მგზავრობა 7 ლარი ღირს, მაგრამ მძღოლები მიცნობენ — კარგად იციან, რომ ბავშვთა სახლში ვცხოვრობ და მხოლოდ 3 ლარს მართმევენ.

— ხატებით ვაჭრობისას ხალხი აგრესიულად ხომ არ გეპყრობა?

— სხვათა შორის, ბევრი ძალიან აგრესიულია: მანქანიდან გადმოსულან და დედა შეუგინებიათ! რატომ, რისი გულისთვის?! მე ხომ მხოლოდ ხატების შეძენას ვთავაზობ ხალხს? ადამიანებო, გამოიჩინეთ ზრდილობა! თუ ფული არ გაქვთ, გაიარეთ. რატომ გვერჩით? მერე რა, რომ ქუჩაში ხატებს ვყიდი? არავისზე ნაკლები არ ვარ!..

გლდანის ლომისის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი **დეკანოზი მიძაელი** *(ასათიანი):*

— ხატები, ჯვრები და საერთოდ, საეკლესიო ნივთები მხოლოდ ეკლესიებში და საეკლესიო მაღაზიებში უნდა იყიდებოდეს. ამ ნივთებით ქუჩაში ვაჭრობა არ შეიძლება — ეს უკვე კონტრაბანდაა, რადგან აქედან ეკლესიას არანაირი შემოსავალი არა აქვს. ის ადამიანები, რომლებიც ქუჩაში ხატებს ყიდიან, ეკლესიას უპირისპირდებიან და ძალიან დიდ ცოდვას სჩადიან (მნიშვნელობა არა აქვს, გასაყიდი ხატი ნაკურთხი იქნება თუ — არა). როცა მრევლი ეკლესიაში შემოდის, ხატებს, ჯვრებს, სანთლებს ყიდულობს, ამით ეკლესიას შესაწირს უკეთებს. ეკლესიას სხვა შემოსავალი არა აქვს. მოგეხსენებათ, რომ ეკლესია სახელმწიფოსგან გამოყოფილია და მრევლის შემოწირულობით არსებობს. საეჭვოა, მაგრამ შესაძლოა, ქუჩაში ხატებით მოვაჭრეები უპატრონო ბავშვთა სახლებს მართლა ეხმარებიან, თუმცა მინდა აღვნიშნო, რომ ეკლესია თვითონ ეხმარება გაჭირვებულებს. თუკი ვინმეს უპოვართა დახმარება მართლა სურს, რაღა ხატებს ყიდის? სადმე იმუშაოს — თუნდაც მანქანა დატვირთოს, კახეთში ყურძენი დაკრიფოს. დღიურ მუშად იმუშაოს და აღებული თანხით ბავშვთა სახლს დაეხმაროს. ეს ღვთისგან დალოცვილი საქმეა, ხატების გაყიდვით კი ეკლესიას კონკურენციას უწევენ, რაც არ შეიძლება.

პარასკევს დაჯლული ცხვარი და ღვთის რისხვა ჯაჭვაძეების საგვარეულო ეკლესიის მახლობლად

ამბავს, რომელიც 19 წლის ყვარლელ გოგონას, დიანა ლეშკაშვილს შეემთხვა, არ ვიცი, რა ვუწოდო — ღვთის მინიშნება, თუ სასწაული. ამიტომ, წაიკითხეთ დიანას მონათხრობი და თავად განსაზღვრეთ, თუ რა შემთხვევასთან გვაქვს საქმე.

თამუნა კვინიკაძე

— ეს ამბავი დაახლოებით ერთი წლის წინ მოხდა: გურჯაანის რაიონის სოფელ ჭერემში, მამიდასთან სტუმრად ვიყავი. მის სახლთან ახლოს, ჯაჭვაძეების საგვარეულო ეკლესიაა, სადაც შეთქმული ცხვარი დასაკლავად წაიყვანეს. სხვა სტუმრებთან ერთად, მეც თან გავყევი. ზაფხულის მზიანი ამინდი იყო. ქალებმა ეკლესიის ეზოში სუფრა გაშალეს, მამაკაცებმა კი სანამ ცხვარს დაკლავდნენ, ცეცხლი დაანთეს და ზედადგარზე წყლით სავსე ქვაბი შემოდგეს, მაგრამ წყალი არ იქნა და აღარ ადუღდა. ცეცხლს თანდათან აღვივებდნენ, წყალი კი მაინც არა და არ დუღდებოდა, ამ ფაქტით ყველანი გაკვირვებულები ვიყავით. უეცრად, ჩამობნელდა, ცაზე შავი ღრუბლები ჩამოწვა, ჭექა-ქუხილი დაიწყო, მეხი ჩამოვარდა და ჩვენს მაგიდას დაეცა. მე, მამიდა და კიდევ რამდენიმე სტუმარი სკამზე ვისხედით და გადავყირავდით. ოქროს ძეწკვი, რომელზეც ნათლობის ჯვარი მეკიდა, სხეულზე დამადნა.

— **როგორ?**

— ცეცხლი წაეკიდა. საოცარი დამწვრობა მივიღე. ნაიარევი ახლაც მეტყობა. დამდნარი ოქრო თანდათან გაშავდა.

— **ჯვარიც დადნა?**

— არა, ჯვარი საერთოდ არ დაზიანებულა. როცა ცოტა გონს მოვეგე, ეკლესიაში შევედი, მუხლებზე დავემხე და ლოცვა დავიწყე. ამ დროს დავინახე, რომ ჩემი ჯვარი იატაკზე ეგდო.

— **იმ დროს ტაძარში მოძღვარი არ იყო?**

— არა, ეს ძველი ტაძარია. ახლახან აღადგინეს, იმ დროს მოძღვარი იქ არ იმყოფებოდა, მაგრამ ეს ამბავი ყვარლის ღვთისმშობლის ტაძრის წინამძღოლს — მამა გაბრიელს ვუამბე. ღმერთმა მინიშნება მოგცა, შეიძლება, შენს წინაპრებს რაიმე მძიმე ცოდვა აქვთ ჩადენილი, რომელიც შენზე გადმოვიდა, მაგრამ უფალს ჰყვარებიხარ, გადაგარჩინაო, — მითხრა მამა გაბრიელმა. ეს ამბავი პარასკევს, მარხვის დღეს მოხდა, როდესაც შესაწირი ცხვრის დაკვლა არ შეიძლებოდა...

— **ბევრნი იყავით?**

— 40-მდე ადამიანი.

— **სხვები არ დაზიანებულან?**

— მამიდამ და კიდევ ერთმა სტუმარმა ბიჭმა ტვინის შერყევა მიიღეს. მამიდა მძიმედ იყო, მან თავი ხის ფესვს დაარტყა, გონება დაკარგა, თბილისში წამოიყვანეს და უმკურნალეს.

— **იმ ტაძარში პირველად იყავი? ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მოხდართან დაკავშირებით რა თქვეს?**

— დიახ, პირველად ვიყავი. უკვე გითხარით, რომ ის ჯაჭვაძეების საგვარეულო ეკლესიაა. მისვლისთანავე, ტაძარში პირველად მე და მამიდა შევედით. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა გვითხრეს, — პირველები თქვენ ანუ სხვა გვარის წარმომადგენლები არ უნდა შესულიყავითო.

— **მორწმუნე ხარ და ეკლესიურად ცხოვრობ?**

— დიახ. იმ დღესაც მარხვაზე ვიყავი... ამ ამბის შემდეგ, ღმერთის კიდევ უფრო ვიწამე. მეგობრებმა კი იმ დღის შემდეგ მეტსახელად მეხდაცემული შემარქვეს. ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი

ეოჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

1. უკრაინულ 2-გრივნიან მონეტაზე დავით გურამიშვილია გამოსახული.

2. დიდი ფორმატის მდიდრულ, უხვად დასურათებულ გამოცემას უვრაჟი ეწოდება.

3. მსოფლიოში პირველი საბავშვო რკინიგზა 1935 წელს თბილისში, მუშთაიდის ბაღში გაიხსნა.

4. არგენტინელი მწერალი ხორხე ლუის ბორხესი, ჟენევაში, სამეფო სასაფლაოზეა დაკრძალული.

5. ამერიკის შეერთებულ შტატებში დღეში, საშუალოდ, სქესის შეცვლის სამი ოპერაცია კეთდება.

6. ვენეციის კინოფესტივალი უძველესია მსოფლიოში. იგი ბენიტო მუსოლინის ინიციატივით დაარსდა.

7. მსოფლიოს ქალაქებს შორის, ცათამბჯენების რაოდენობით, ჰონკონგი ლიდერობს. ამ ქალაქში 7620 ცათამბჯენია.

8. „არ არსებობენ ცუდი და კარგი ადამიანები, არსებობს მხოლოდ ცუდი და კარგი ურთიერთობა", — ამბობდა ადოლფ ჰიტლერი.

9. მიუხედავად იმისა, რომ „ბითლზი" მეოთხედი საუკუნის წინ დაიშალა, იგი ყოველწლიურად უფრო მეტ ჩანაწერს ყიდის, ვიდრე „როლინგ სტოუნზი".

10. პირველი ქართული მხატვრული ფილმი 1916-1918 წლებში ეფანტე ნინოშვილის ნაწარმოების, „ქრისტინეს" მიხედვით არის გადაღებული.

11. ბოდბის ივერიის ღვთისმშობლის ხატს, საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში, ბოდბის მონასტერში განთავსებული საავადმყოფოს პერსონალი მაგიდად იყენებდა.

12. 1904 წლის ზაფხულის ოლიმპიურ მარათონში ფრედერიკ ლორცი ფინიშამდე პირველი მივიდა, თუმცა მოგვიანებით აღიარა, რომ მარშრუტის 10 მილი მანქანით იმგზავრა.

13. ფელიქს მენდელსონს თავისი ნაწარმოების — „ზაფხულის ღამის სიზმრის" უვერტიურა ტაქსიში დარჩა, მაგრამ მოგვიანებით, მეხსიერებაში შეძლო მისი მთლიანად აღდგენა.

14. პოპულარული შოკოლადის — „ბაუნტის" რეკლამის წყალობით, ადამიანთა უმრავლესობას კუნძული ბაუნტი ტროპიკულ სამოთხედ წარმოუდგენია, სინამდვილეში კი ეს არქიპელაგი, წყნარ ოკეანეში სუბანტარქტიკულ კლდოვან კუნძულთა ჯგუფს წარმოადგენს.

15. ინგლისურ სიტყვებს — Month (თვე), Silver (ვერცხლი), Orange (ფორთოხალი), Purple (მეწამული) ამავე ენაზე არც ერთი სიტყვა არ ერითმება.

ჩემი თურქული სახელი და გვარი — **მემედ ალთუნია**, ქართულად კი — **მამუკა ლომიძე** მქვიან, — მითხრა დამტვრეული ქართულით 35 წლის ტაო-კლარჯეთელმა, რომელსაც თბილისის ერთ-ერთ ბარში შემთხვევით შევხვდი. როდესაც შეიტყო, რომ ჟურნალისტი გახლდით, ინტერვიუზე სიამოვნებით დამთანხმდა.

„მე 400 წლის ისტორიაში შემოვდიოდი და ამაყი ვიყავი"...

თორნიკე ყაჯრიშვილი

— საქართველოში რამდენი ხნით ხარ ჩამოსული?

— სამწუხაროდ, მხოლოდ 4 დღე მომიწია აქ ყოფნამ და ხვალ მივდივარ ანკარაში. ბოლოს შარშან ვიყავი ჩამოსული. პირველად კი 3 წლის წინ მოვხვდი საქართველოში. რომ არა ჩემი ქართველი ნათლიები, რომლებმაც მართლმადიდებლად მომნათლეს, აქ ჯერაც არ ვიქნებოდი ნამყოფი. ყველაფერი კი ასე დაიწყო. 5 წლის წინ, ტაო-კლარჯეთში ტარდებოდა ქართული ფესტივალი, რომლის შესახებაც მეგობარმა მაცნობა. როდესაც იქ მივედი, ფესტივალის მონაწილეებს უამრავი კითხვა დავუსვი. ყველაფერზე ამომწურავად მპასუხობდნენ და ასეთი ინტერესი რომ შემატყვეს, საქართველოში დამპატიჟეს. შემდეგ, ჩემივე სურვილით, მომნათლეს და ძალიან ბედნიერი გახლავარ, რომ დღეს მართლმადიდებელი ვარ.

— ეს ადამიანები ვინ იყვნენ?

— ესენი იყვნენ: ბუბა კუდავა, გოჩა სანიკიძე... ყველას სახელები აღარ მახსოვს და იმედია, არ მიწყენენ. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ დღეს ქრისტიანი ვარ და თბილისში ვიმყოფები. ნათლიები დამპირდნენ, უწმინდესსა და უნეტარესს შეგახვედრებთო, მაგრამ პატრიარქთან შეხვედრა ვერ მოხერხდა. ერთ თვეში რომ ჩამოვალ, აუცილებლად ვეახლები და ვთხოვ, დამლოცოს...

— რა რეაქცია ჰქონდათ მშობლებს, როდესაც გაიგეს, რომ მართლმადიდებლად მოინათლე — რა გითხრეს?

— მოდი, იქიდან დავიწყოთ, რომ ბავშვობიდან არ მიყვარდა მეჩეთში სიარული. არ ვიცი, რატომ, მაგრამ როდესაც ჩემი ოჯახის წევრები სალოცავად მეჩეთში მიდიოდნენ, მე სახლში საქმეს გამოვძებნიდი და არ მივდიოდი... როდესაც გაიგეს, რომ მართლმადიდებლად მოვინათლე, მითხრეს, — ბავშვობიდან თავისებური იყავი და როგორც შენ ჩათვლი საჭიროდ, ისე მოიქეციო. დედმამიშვილებმაც მშვიდად მიიღეს, სხვანაირად არ აღუქვამთ. მე მართლმადიდებელი ვარ, ისინი — მაჰმადიანები, მაგრამ ამის გამო ჩვენ შორის არანაირი გაუცხოების მომენტი არ არსებობს. ჩემთვის კი მშობლების აზრი ძალიან მნიშვნელოვანია. სხვათა შორის, დედა ხშირად ლოცულობს, მართალია თურქულად, მაგრამ ქართული შინაარსის ლოცვებს კითხულობს: „ღმერთო, შენ შეგვწიე, შენ დაგვიფარე!" და ა.შ.

— შენს ჩამოსვლას დავუბრუნდეთ: რა გრძნობა გქონდა, როდესაც ამ მიწის შვილი, 400 წლის შემდეგ სამშობლოში პირველად ჩამოდიოდი?

— ეს დღე არასდროს დამავიწყდება. ყოველთვის, როდესაც იმ წუთებს ვიხსენებ, ისევ ისეთი ჟრუანტელი მივლის მთელ ტანში, როგორიც მაშინ. ძალიან ბედნიერი, მაგრამ ამავე დროს, ძალიან დაძაბული ვიყავი. უზომოდ ვღელავდი. ალბათ, იკითხავ — რას ნერვიულობდიო? — მაგრამ იცი, სიზმარში რამდენჯერ მინახავს საქართველო?! ძალიან ბევრჯერ. ხშირად მესიზმრებოდა სოფელი, სადაც თითქოს ვცხოვრობდი. ვერ გეტყვი, მართლა ის სოფელი მესიზმრებოდა, სადაც ჩემი წინაპრები ცხოვრობდნენ, თუ — არა, მაგრამ სულ ერთსა და იმავე სახლსა და სოფელს ვხედავდი. როდესაც საზღვარზე ფეხი გადმოვდგი და ფირნიშზე წავიკითხე — „საქართველო", — რომელიც ჩვენთვის, გურჯებისთვის „ქართველების ქვეყანას" ნიშნავს, ძალიან ავღელდი. მაშინ ქართული კარგად არ ვიცოდი. გვერდში მჯდომ ქართველებს ვეკითხებოდი, — უკვე საქართველოს ტერიტორიაზე ვართ-მეთქი? მერე მშობლებს დავურეკე და ვუთხარი, საქართველოს საზღვართან ვარ-მეთქი!.. წარმოიდგინე, რა დღეში უნდა ვყოფილიყავი, როდესაც სიზმრებში ნანახ სამშობლოში რეალურად შემოვდიოდი და იმ მიწა-წყალზე ვაბიჯებდი ფეხს, საიდანაც ჩემი გვარის ისტორია იწყებოდა! ეს ენით აუწერელი განცდაა. ახლაც მახსოვს მაშინდელი გულისცემა. ეს იყო გრძნობა, რომელიც 35 წლის განმავლობაში არასდროს განმიცდია. მე 400 წლის ისტორიაში შემოვდიოდი და ბედნიერებასთან ერთად, ამაყიც ვიყავი იმით, რომ ჩემი ოჯახიდან პირველი ადამიანი ვიყავი, რომელიც ამდენი საუკუნის შემდეგ ჩამოვიდა საქართველოში.

— როგორიც წარმოგედგინა, ისეთი დაგხვდა საქართველო?

— როგორიც წარმომედგინა, რა თქმა უნდა, ისეთი არ დამხვდა, მაგრამ არც იმედი გამცრუებია.

— მაინც როგორი გეგონა და როგორი დაგხვდა აქაურობა?

— ბევრი რამ არ მესიამოვნა: თუნდაც ის, რომ ძალიან ბევრი ტერიტორია გაყიდული და გასხვისებულია. მაგრამ იმედია, ყველაფერი გამოსწორდება... თბილისზე უფრო მეტი ინფორმაცია მქონდა, ვიდრე საქართველოს რეგიონებზე. გავეცანი ქართულ ლიტერატურას. წავიკითხე აკაკი წერეთლისა და ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებები. პირველად, შოთა რუსთაველი წავიკითხე, რომელმაც ძალიან გამიღვიძა ქართული მწერლობის მიმართ ინტერესი.

— თბილისის გარდა, კიდევ სად ხარ ნამყოფი?

— გარე კახეთში ვარ ნამყოფი, სოფელ მანავში, სადაც კარგად მოვილხინე, კახური ღვინოც დავლიე და მწვადებიც შევწვი. ამას არაფერი სჯობია (*იცინის*).

— ოჯახის წევრები რამდენი ხართ?

— ჩვენ საკმაოდ ბევრნი ვართ, 6 დედმამიშვილი: სამი ძმა და სამი და.

— ქართულად ლაპარაკობენ?

— რაღაც სიტყვები იციან, მაგრამ ლაპარაკი სამწუხაროდ, არ ესმით. ვცდილობ, ახალი ნასწავლი სიტყვები მათაც ვასწავლო. ბავშვობაში თითქმის არაფერს გვუბნებოდნენ ქართულ ტრადიციებსა და საერთოდ, ამ ქვეყანაზე; ალბათ, იმიტომ, რომ არც მათ ჰქონდათ ბევრი ინფორმაცია. მარტო ის ვიცოდით, რომ ჩვენი წინაპრები საქართველოდან იძულებით იყვნენ გადასახლებულები. ახლა ვსწავლობ ჩემი წინაპრების ტრადიციებს და ძალიან მომწონს ქართული ტრადიციული სუფრა, ქართული სასმისით — ყანწით სადღეგრძელოების თქმა. ხშირად ვამბობ სადღეგრძელოს — „გაუმარჯოს საქართველოს და ქართველ ხალხს!“ კახური ღვინო ძალიან მომწონს. სუფრას კარგი სიმღერაც უნდა ამშვენებდეს. მაგალითად — „ბინდისფერია სოფელი“. ძალიან მიყვარს ქართველი მომღერალი ლეილა წურწუმია... უკაცრავად — ლელა წურწუმია, კარგ სიმღერებს მღერის.

— ოჯახში რაიმე ქართული ტრადიცია თუ გაქვთ?

— ჩვენთან ქართული და მაჰმადიანური ტრადიციები უკვე შერეულია. დრომ თავისი ქნა და ამაში ვერ ვამტყუნებ იქ მცხოვრებ გურჯებს. აღვნიშნავთ მარიობას ანუ — მარიამობას. ახალ წელს ასე ვხდებით: ოჯახში ახალდაბადებულ პირუტყვს ან ფრინველს სახლს გარშემო შემოვატარებთ, რადგან ჩვენ ვფიქრობთ, რომ ახალი სული ახალ წელს ჩვენს ოჯახში ბედნიერებასა და სიხარულს მოიტანს. ჩვენთან ამ დღესასწაულს მარტში აღვნიშნავთ, რადგან ახალი წელი ბუნების გამოღვიძებასთან ერთად დგება: მაშინ იღვიძებს ბუნება, მაშინ იბადებიან წიწილები და ა.შ. ნათლიები ძალიან მეხმარებიან ქართული ტრადიციების სწავლაში. მათ მითხრეს, თუ რას ნიშნავს „ეკლესია“, რაც მანამდე არ ვიცოდი: თურმე „საყდარს“ ნიშნავს, ძველქართულად.

— პროფესიით ვინ ხარ?

— პროფესიით ენტომოლოგი ვარ, უფრო ზუსტად კი — მეფუტკრეთმცოდნე, მაგრამ ამჟამად, თურქეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მომსახურე პერსონალში ვარ.

— დაოჯახებული ხარ?

— არა.

— აგვისტოში, როდესაც რუსეთსა და საქართველოს შორის ომი მიმდინარეობდა, რას ამბობდნენ თურქეთში მცხოვრები გურჯები?

— მაშინ სულ ტელევიზორის ეკრანთან ვიჯექი და თვალყურს ვადევნებდი მოვლენებს, არც ერთი საინფორმაციო გამოშვება არ გამომიტოვებია. გულისფანცქალით ვუსმენდი ახალ ინფორმაციას და მერე სხვებს ვუთარგმნიდი; ყველანი ძალიან შეწუხებულები იყვნენ. როდესაც ხალხი, მთელი მსოფლიოს დასანახავად, მშვიდობის აქციას ატარებდა — „ცოცხალ ჯაჭვში“ ჩაება, — თურქეთში მცხოვრებ გურჯებს დიდი სურვილი გვქონდა, იქაც ჩაგვეტარებინა ასეთი აქცია, მაგრამ ვერ მოვახერხეთ. პირადად მე ძალიან განვიცდიდი იმას, რაც საქართველოში ხდებოდა. როგორც კი სიტუაცია ცოტა გამოსწორდა, მაშინვე ჩამოვედი. დავრწმუნდი — ქართველებს ვერანაირი დამპყრობელი ვერ შეგვაშინებს. ჩვენს ხალხს კი მინდა ვუთხრა — ყველაფერი კარგად იქნება, რადგან საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა.

— შენს სამომავლო გეგმებზეც მოგვიყევი — რას აპირებ, ქართულ ტრადიციულ ოჯახს შექმნი?

— ყველაზე დიდი სურვილი, რაც მაქვს, ეს — ქართული ტრადიციული ოჯახის შექმნაა. ძალიან მომწონს ქართველი გოგონები, ძალიან ეშხიანები და ლამაზები არიან. ჩვენში მანდილოსნების დიდი ნაწილი ჩადრით დადის, მე კი ვფიქრობ, რომ ქალმა თავისი სილამაზე არ უნდა დამალოს, პირიქით — უნდა გამოამჟღავნოს: სილამაზე საამაყოა და არა — დასამალი... მე აუცილებლად, საქართველოში დაბადებულ ქართველ გოგოს მოვიყვან ცოლად, რადგან მინდა, რომ შვილი, რომელიც მეყოლება, ქართულ ადათ-წესებზე გაიზარდოს. არ მინდა, ჩემმა შვილებმაც იგივე განიცადონ, რასაც ჩვენ, თურქეთში მცხოვრები გურჯები განვიცდით. იმედია, საქართველოს მოქალაქეობას მალე მომცემენ და საცხოვრებლად აქ გადმოვალ. შეიძლება, ცოტა ხნით ისევ იქ მომიწიოს ცხოვრებამ, მაგრამ საბოლოოდ, საცხოვრებლად აქ ჩამოვალ. შესაძლოა, საქართველოში ისე კარგად ვერ ვიცხოვრო, როგორც დღეს ანკარაში ვარ, მაგრამ ოღონდ აქ ვიცხოვრო და ყველაფრისთვის მზად ვარ. იცი, სად მინდა ვიცხოვრო?.. სადმე სოფელში, სადაც აუცილებლად მექნება მიწის ნაკვეთი და ფუტკრებს ვიყოლიებ. მართალია, აქ მეფუტკრეობა ჯერჯერობით ისე განვითარებული არ არის, როგორც ევროპის სხვა ქვეყნებში, მაგრამ მე ყველანაირად ვეცდები, ამ საქმეში წვლილი შევიტანო. ასე რომ, ერთ თვეში დავბრუნდები, რომ მოქალაქეობის მიღებასთან დაკავშირებული საბუთები წესრიგში მოვიყვანო...

P.S. *სამწუხაროდ, მამუკას ფოტოზე აღბეჭდვა ვერ მოვახერხეთ, მაგრამ იმედი გვაქვს, როცა ჩამოვა, კვლავ შევხვდებით, სურათსაც გადაუღებთ და მკითხველსაც მისი შემდგომი ნაბიჯების შესახებ მოვუთხრობთ.* ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი

ეოჩა ღვალი

უბის წიგნაკიდან:

16. ხრუშჩოვის საფლავის ქვა ერნსტ ნეიზვესტნიმ შექმნა — მოქანდაკემ, რომლის ნამუშევრებსაც ნიკიტა სერგეევიჩმა თავის დროზე „დეგენერატული ხელოვნება“ უწოდა.

17. იაპონიაში ახალი წლის ღამეს 108-ჯერ რეკავენ ზარს, თითოეული ზარი თითო ცოდვას შეესაბამება. სულ ექვსი ცოდვაა: სიხარბე, სისულელე, სიავე, თავქარიანობა, მერყეობა და შურიანობა. ყოველ მათგანს 18 ნაირსახეობა აქვს, რაც საერთო ჯამში, 108-ს უდრის.

18. ლონდონის პოლიციის შენობა სკოტლანდ იარდი გაუხსნელი მკვლელობის ადგილზე არის აგებული.

19. ალასკა შეერთებულ შტატებს რუსეთის მეფე ალექსანდრე II-მ მიჰყიდა. ამერიკელებმა ამ მიწაში 7 მილიონ 200 ათასი დოლარი ანუ კვადრატულ მეტრში 0,0004 ცენტი გადაიხადეს. ეს იყო ყველაზე იაფფასიანი და წამგებიანი (რუსეთისათვის) გარიგება მინით ვაჭრობის ისტორიაში.

20. ალექსანდრე მაკედონელის სიყმაწვილეში სამეფო სასახლეში ხშირად მოდიოდა ამბავი: ფილიპე მაკედონელმა ესა და ეს ცნობილი ქალაქი აიღო და ამა და ამ ღირსშესანიშნავ ბრძოლაში მოიპოვა გამარჯვებაო. ალექსანდრე ამ ამბებს მოწყენილი სახით ისმენდა და ტოლ-ამხანაგებს ეუბნებოდა: „ყმაწვილებო, მამაჩემი ყველაფერს დაიპყრობს და მე აღარაფერს დამიტოვებს, თქვენთან ერთად, საგმირო და ბრწყინვალე საქმენი რომ ჩავიდინო!“

21. რუსეთის მეფემ, ივანე მრისხანემ ყაზანის აღების აღსანიშნავად, მოსკოვში ვასილი ნეტარის ტაძარი ააგებინა. მშენებლობის დასრულების შემდეგ, მეფის ბრძანებით, მშენებლებს თვალები დასთხარეს, რათა მათ სხვაგან აღარ შესძლებოდათ მსგავსი სილამაზისა და სიდიადის მქონე ტაძრის აგება.

22. 1616 წელს შაჰ-აბასმა სისხლში ჩაახშო კახეთის აჯანყება. ერთ დღეს ირანის ლომი საკუთარი კარვის წინ იდგა ბრწყინვალედ მორთულ-მოკაზმული და ამალით გარშემორტყმული, როცა მის წინ ტყვე ქართველი ქალებისა და ბავშვების მორიგი „ჯოგი“ ჩაატარეს. ტყვეებს უკან ს.პარსელი მეომრები მოსდევდნენ მათრახების ცემით. უეცრად, ერთი ყიზილბაში მხედარი გამოიჭრა წინ, ხელში ორი აბაზიანი აათამაშა და შესძახა: „ეჰეი, დიდო შაჰ-აბას, მომყიდე ერთი წყვილი გურჯი ხათუნი!“ რისხვით წამოენთო სახე შაჰ-აბასს, თუმცა უმალვე მოლბა, რადგან გაახსენდა საკუთარი ფიცი — ქართველებს ისეთ დღეს დავაყრი, რომ ტყვეთა ბაზარზე მათი ფასი თითო აბაზი იყოსო. შაჰმა მხედარს ფული გამოართვა და უფლება მისცა, ტყვეთაგან ორი ქალი ამოერჩია.

„არც ცხოვრებაში და არც დიფერაფურაში კერპები არ მიყვარს...“

ბოლო დროს „ერუდიტში“ სტუმრობას, გასაგები და ზოგჯერ გაუგებარი მიზეზების გამო, არაერთი ცნობილი ადამიანი გაურბის. უარს ვინ რა მიზეზით მეუბნება, ამას დაწვრილებით დეკემბრის ბოლოს, წლის „ერუდიტის“ და „ანტიერუდიტის“ გამოვლენისას მოგახსენებთ. დღეს კი რუბრიკის სტუმარი ცნობილი ჟურნალისტი და სამხედრო ექსპერტი კობა ლიკლიკაძე გახლავთ. წიგნი, რომელმაც მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა, დოსტოევსკის „ძმები კარამაზოვებია“; ყველაზე მეტად ინკვიზიტორის ფენომენმა გააოცა; თანამედროვე ქართული მწერლობიდან ბესო ხვედელიძის ახალ მოთხრობებს ყოველთვის დიდი ინტერესით ელოდება. ამბობს, რომ არც ცხოვრებაში და არც ლიტერატურაში კერპები არ უყვარს. ცოტა ხნის წინ, ცხინვალში დაღუპული ჟურნალისტის, გიგა ჩიხლაძის „სიზმარი“ წაიკითხა და დარწმუნდა, რომ გიგა ბრწყინვალე ნოველისტი ყოფილა...

დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის მიზნები და ამოცანები

თამუნა კვინიკაძე

პრეამბულის მაგიერ

— ბატონო კობა, რას გვეტყვით ახლახან დაფუძნებული დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის შესახებ?

— ეს კლუბი აერთიანებს პოლიტიკის, ეკონომიკის, უსაფრთხოების, სამხედრო საქმის, კონფლიქტოლოგიის და ქვეყნისთვის სხვა აქტუალური სფეროების ანალიზით აქტიურად დაკავებულ დამოუკიდებელ ექსპერტებს. ამ კლუბის წევრები ვერ იქნებიან სახელმწიფო მოხელეები და პოლიტიკურ პარტიათა წევრები. დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის ამოცანაა უფრო აქტიურად ჩაერთოს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შეფასებათა პროცესში, გახადოს ეს პროცესი საჯარო და დაინტერესებულ საზოგადოებას მასში თანამონაწილეობის შესაძლებლობა მისცეს.

— თქვენ უკვე დაესწარით მოსმენას თემაზე — „საქართველოს ეკონომიკა ომამდე და ომის შემდეგ“.

— დიახ. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ექიმთან მისვლას დიდი ხნის მანძილზე ვარიდებდი თავს, მერე მივედი და აღმოჩნდა, რომ ერთდროულად რამდენიმე მძიმე დაავადება მჭირს...

— მედიასივრცეში არსებულ მდგომარეობაზე რას გვეტყვით?

— „ყველაფერი არის ძლიერ კარგად, ყველაფერი ძლიერ ცუდად არის“. ბუნებით ოპტიმისტი ვარ. მართალია, დღეს ელექტრონული მედია დახშულია, მაგრამ საერთო ჯამში, შეიძლება იმის თქმა, რომ ჟურნალისტები იზრდებიან. მალე ჯებირები გაირღვევა და საზოგადოება თამამი ჟურნალისტების მასობრივ პროტესტს იხილავს. თუ ქვეყანაში დემოკრატია არ განვითარდება, ტანკების და ზარბაზნების რაოდენობის გაზრდით, სახეიროს ვერაფერს მივაღწევთ. ჩვენ კავკასიაში დემოკრატიის ოაზისად უნდა ვიქცეთ. ხელისუფლებაში ეშინიათ, რომ ტელევიზიის გათავისუფლებით არ მიიღონ ახალი „რუსთავი 2“, რომელიც ოპოზიციის ტრიბუნად გადაიქცევა და ქუჩაში მასების გამოყვანას შეუწყობს ხელს.

— ამ ქვეყანას განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობა აქვს. მას 2 ოკეანე ესაზღვრება, ხოლო სახმელეთო საზღვარი 2 კონტინენტზე გადის. ჩამოთვლილთაგან, რომელია ეს ქვეყანა — ინდონეზია, რუსეთი, პანამა თუ საერთოდ არ არსებობს?

— პანამა. ეს ქვეყანა სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტებზე მდებარეობს, რომლებსაც პანამის არხი აკავშირებს.

— რას ნიშნავს სიტყვა — „კავკასიონი“?

— ვერ გიპასუხებ. ვიცი, რომ ირანული წარმოშობისაა, არა?

— დიახ. ყინულოვანს ნიშნავს. რომელი ყვავილია გამოსახული ბურბონთა სამეფო საგვარეულო გერბზე?

— შროშანი.

— „ზოჯერ თქმა სჯობს არა-თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“, — ვის ეკუთვნის ეს აფორიზმი?

— (*ფიქრობს*) შოთა რუსთაველს.

— იგი რუსეთის იმპერატორის ბრძანებით, სტავროპოლში გადაასახლეს, სადაც 1887 წელს ვერაგულად მოკლეს. აკაკი წერეთელმა მას ლექსი „განთიადი“ მიუძღვნა. ვინ იყო ეს ქართველი?

— დიმიტრი ყიფიანი.

— რომელი ქართველი მეფე იყო სტუმრად რომის იმპერატორ ანტონიუს პიუსთან?

— ფარსმან II.

— რამდენი დღე გაგრძელდა ლენინგრადის ბლოკადა?

— ზუსტად არ მახსოვს, მგონი, 1 წელზე მეტხანს გრძელდებოდა.

— 900 დღე. რა გვარი იყო ვაჟა-ფშაველას ერთ-ერთი ნაწარმოების გმირი ჯოყოლა?

— (*ფიქრობს*) არ მახსოვს.

— ალხასტაისძე. დიდი ბრიტანეთის გარდა, რომელ ქვეყანაში იყო პერი უმაღლესი არისტოკრატიის წარმომადგენელთა წოდება?

— საფრანგეთში.

— 7 წლის ასაკამდე მას მარია ერქვა და გვარად კორბელი იყო. შემდეგ გაზეთის მაგნატს გაჰყვა ცოლად და ქმრის გვარი მიიღო. მალე საკმაოდ ცნობილი პოლიტიკოსი გახდა. ვინ არის იგი — მარგარეტ ტეთჩერი, გოლდა მეირი თუ მადლენ ოლბრაიტი?

— მარგარეტ ტეთჩერი.

— ცდებით. სწორი პასუხია — მადლენ ოლბრაიტი. რომელ წელს მიენიჭა სტალინს გენერალისიმუსის წოდება?

— 1945 წლის ივნისში.

— რომელი ქვეყნის ისტორიული ოლქია კასტილია?

— ესპანეთის.

— სად შეიძლება შეეხვდეთ ბედუინებს — ტაიგაში, მთაში, თუ დაბნოში?

— უდაბნოში.

— კამერუნი, სინგაპური, ლიბერია, გვინეა — ჩამოთვლილთაგან რომელი სახელმწიფო არ არის აფრიკის კონტინენტზე?

— გვინეა?.. (*ფიქრობს*) შეცდომით ვთქვი. სწორი პასუხია — სინგაპური.

— რამდენი გქონიათ ხელფასი, თუ 20%-ით გაზრდის შემთხვევაში და ამის შემდეგ 20 ლარით შემცირებისას იგივე დაგრჩათ?

— მათემატიკა ჩემი სუსტი წერტილია. გამიმეორე (*გამეორების*

შემდეგ) დავიბენი.

— **სავარაუდო პასუხებს გეტყვით: 80 ლარი, 200 ლარი, 160 ლარი თუ 100 ლარი?**

— (*ფიქრობს*) 100 ლარი.

— **რა ერქვა ცნობილ მოგზაურს — მაგელანს?**

— მაგელანი პორტუგალიელი იყო.

— **მის სახელს ვერ იხსენებთ?**

— (*ფიქრობს*) ვერა.

— **ფერნანდო. რა ნათესაური კავშირი ჰქონდათ ნიკიტა ხრუშჩოვსა და ვასილ მეავანაძეს?**

— ისინი ქვისლები იყვნენ.

— **რა გვარია ბორის აკუნინი?**

— ჩხარტიშვილი.

— **ლვინოს მოქეიფე კაცი მეორე დღეს რით უნდა ამოწმებდეს?**

— თავის ტკივილით — ე.წ. — „პახმელიით".

— **რომელი ნახევარკუნძულია ყვითელ და იაპონიის ზღვებს შორის მოქცეული?**

— ვერ გიპასუხებთ.

— **კორეის. II მსოფლიო ომის დროს, რომელმა ქართველმა მებრძოლმა დაიმსახურა იტალიის ეროვნული გმირის წოდება?**

— ფორე მოსულიშვილმა.

— **რამდენი სახმელეთო მეზობელი ჰყავს კანადას?**

— (*ფიქრობს*) 1 და ეს არის აშშ.

— **ეს ქვეყანა ყველაზე დიდ ნახვარკუნძულზე მდებარეობს. მის ტერიტორიაზე არც ერთი მნიშვნელოვანი მდინარე არ მიედინება...**

— ვერ გიპასუხებთ.

— **საუდის არაბეთი. რა წერია საქართველოს გერბზე?**

— „ძალა ერთობაშია".

— **ჭოროხი, მტკვარი, ენგური, თერგი — ჩამოთვლილთაგან რომელი მდინარე მიედინება მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე — ჭოროხი, მტკვარი, ენგური თუ თერგი?**

— (*ფიქრობს*) ენგური.

— **რომელ ზღვაზე აქვს გასასვლელი აზერბაიჯანს?**

— კასპიის ზღვაზე.

— **რისი ერთობლიობაა არქიპელაგი?**

— კუნძულების.

— **რა ერქვა ძაღლს ფილმში — „ოთხი ტანკისტი და ერთი ძაღლი"?**

— თუ კარგად მახსოვს, შარიკა ერქვა, არა?

— **დიახ. რუსეთის ფედერაციის რომელი პოლიტიკური ერთეული არ ესაზღვრება საქართველოს — დაღესტანი, კრასნოდარის მხარე, ინგუშეთი თუ სტავროპოლის მხარე?**

— სტავროპოლის მხარე.

— **ჩერნენკო, ანდროპოვი, ხრუშჩოვი, ბრეჟნევი: ჩამოთვალეთ ქრონოლოგიურად ყოფილი საბჭოთა კავშირის ცეკას გენერალური მდივნები.**

— ხრუშჩოვი, ბრეჟნევი, ანდროპოვი, ჩერნენკო.

— **ვინ ნიშნავს უშიშროების საბჭოს წევრებს?**

— პრეზიდენტი.

— **როგორი სახელმწიფო წყობილებაა ესპანეთში?**

— კონსტიტუციური მონარქია.

— **II მსოფლიო ომის დროს, რომელი ფირმა ამზადებდა კამიკაძეებისთვის განკუთვნილ თვითმფრინავებს?**

— „მიცუბიში".

— **ნოდარ დუმბაძის ერთ-ერთი ნაწარმოების მიხედვით, რომელი სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლაში იგდო ხელთ კუკარაჩამ მტრის ტანკი?**

— ფინეთის.

— **რა აკავშირებთ ნაპოლეონთან ნიკოლოზ ბარათაშვილს, ალექსადრე პუშკინს, ჯორჯ ბაირონსა და ჰაინრიხ ჰაინეს?**

— (*ფიქრობს*) ალბათ ლექსები აქვთ მიძღვნილი, სხვა რა უნდა აკავშირებდეთ?

— **გამოიცანით. ინდოეთი, კამბოჯა, კორეა, ავღანეთი — ჩამოთვლილი ქვეყნებიდან სად არ არის განვითარებული სარკინიგზო ტრანსპორტი?**

— ავღანეთში.

— **რომელი იმპერატორის დროს გამოცხადდა რომში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად?**

— კონსტანტინე დიდის დროს.

— **1626 წელს ერთმანეთს 2 ლაშქარი დაუპირისპირდა: ერთს გიორგი სააკაძე მეთაურობდა, მეორეს — თეიმურაზ I. სად გაიმართა ეს ბრძოლა?**

— (*ფიქრობს*) ბაზალეთის ტბასთან.

— **ეს ქანდაკება 1886 წელს პარიზში მოქანდაკე ფედერიკ ბართოლდმა დაამზადა. დღეს ის სხვა ქვეყანაში დგას. რომელია ეს ქანდაკება?**

— „თავისუფლების ქანდაკება" ნიუ-იორკში.

— **მთაწმინდაზე ალექსანდრე გრიბოედოვის საფლავზე გამოსახულია წიგნი, რომელზეც აწერია:**

— „ვაი ჭკუისაგან".

— **ამ ტბის ერთი ნაწილი საქართველოს ტერიტორიაზეა, ნაწილი კი — მისი საზღვრის მიღმა...**

— (*ფიქრობს*) ფარავნის ტბა.

— **ცდებით. ჯანდარის ტბა. ცნობილი ქართველი მწერლის ერთ-ერთი ნაწარმოების მიხედვით, რომელი დიდებული ადამიანი დაიკარგა უძეგლოდ?**

— ვერ გიპასუხებთ.

— **ნიკო ლორთქიფანიძის ერთ-ერთი ნოველა გაიხსენეთ.**

— (*ფიქრობს*) მაინც ვერ გიპასუხებთ.

— **თავსაფრიანი დედაკაცი. „დიდებული ადამიანები უძეგლოდ იკარგებიან", — ამ სიტყვებით მთავრდება ეს ნოველა.**

— ჩემი აზრით, თავსაფრიანი დედაკაცი დიდებული ადამიანი არ ყოფილა.

— **რატომ?**

— ის იყო სასოწარკვეთილი ადამიანი, რომლის ფსიქოლოგიური პორტრეტი ჩემში ყოველთვის პროტესტს იწვევდა.

— **რომელი ზღვის სანაპიროზე მდებარეობს ფინეთის დედაქალაქი ჰელსინკი?**

— ბალტიის ზღვის სანაპიროზე.

— **სულხან-საბა ორბელიანი 1725 წელს გარდაიცვალა. სად არის ის დაკრძალული — ტანძიაში, მთაწმინდაზე, მირგორდში თუ ვსესვიატსკოეში?**

— ტანძიაში.

— **ცდებით. სულხან-საბა ვსესვიატსკოეს ეკლესიაშია დაკრძალული. რა ჰქვია კოშკს, საიდანაც მუსლიმანებს სალოცავად მოუხმობენ?**

— მინარეთი.

— **რამდენქიმიანია თურქეთის დროშაზე გამოსახული ვარსკვლავი?**

— 5-ქიმიანი.

— **დასახელეთ ოქროს 20-ფრანკიანი ფული, რომელსაც ნაპოლეონ I-ის დროს საფრანგეთში ჭრიდნენ?**

— ნაპოლეონდორი.

— **რა ჰქვია ამერიკაში, შტატის აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურს?**

— გუბერნატორი.

— **სად მდებარეობს ულამაზესი მავზოლეუმი — ტაჯმაჰალი?**

— ინდოეთში.

— **მამის, მირდატის გარდაცვალებისას იგი 7 წლის იყო; 10 წლისას ალანებმა და მოსტაცეს; 16 წლისამ ჩრდილოეთ კავკასიაში დიდი ლაშქრობა მოაწყო და ტყვეები გაათავისუფლა. რომელ მეფეზეა ლაპარაკი?**

— ვახტანგ გორგასალზე.

— **დასრულეთ შტუცნერის ცნობილი გამონათქვამი: „სახელმწიფო კანონების ისტორია, კაცობრიობის ჭკუა-გონების ისტორიაა, ბრძოლისა და ომების აღწერა კი..."**

— „...მისი ჭკუასუსტობის ნიშანი".

— **„...ისტორია კაცობრიობის უგუნურობისა".**

ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲜᲘᲙᲐ ᲑᲠᲘᲒᲝᲚᲘᲐ, ᲣᲔᲑᲘᲠᲓᲘ ᲗᲔᲛᲝ ᲛᲭᲐᲕᲘᲐ ᲓᲐ 17 ᲬᲚᲘᲡ ᲑᲝᲒᲝᲜᲐᲡ ᲖᲐᲘᲙᲕᲔᲠᲣᲚᲘ „ᲞᲐᲠᲘᲔᲠᲐ“

„ქლაბ შოუსა“ და „კომედი შოუს“ მსახიობი ნიკა გრიგოლია რომ ბაიკერია, ეს ყველამ იცის. ახლა, ის თავის ცოდნას თავის პარტნიორსა და მეგობარს — თემო მჭავიას უზიარებს.

მარეხ ჭონიშვილი

თემო:

— სკუტერზე 6 თვის წინ, ჩემი მასწავლებლის, ნიკა გრიგოლიას წყალობით დავჯექი. მპირდება: თუ კარგად მოიქცევი და ყველაფერს დამიჯერებ, მოტოციკლეტის მართვასაც გასწავლიო.

ნიკა:

— ეგ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ კარგ ხელფასს აიღებ და მოტოციკლს იყიდი. ჩვენი პირველი სასწავლო დღე ცოტა ცუდად დამთავრდა.

თემო:

— სადაც ვვარჯიშობდი, იქ ბევრი მანქანა იდგა. მე კი მაინცდამაინც კობა ბარათელის „ოპელს“ დავეჯახე.

— ნიკა, შენ თვითონ თუ გადაჰყრიხარ ხიფათს?

— ძირითადად, ხიფათს მანქანები მიქმნიან. ჩვენთან ხომ მოძრაობის წესებს იშვიათად იცავენ. ამ ცოტა ხნის წინ კი რუსეთის საელჩოს წინ წავიქეცი. აქციაზე საქართველოს დროშით ვიყავი მისული. ჩემი მოტოციკლით ერთ ბორბალზე გავლა და ხალხისთვის თავის მოწონება გადავწყვიტე. საელჩოსთან ცოტა დაკლაკნილი გზაა, მოტოციკლი მოსრიალდა და ამოვტრიალდი. საბედნიეროდ, არ დავშავებულვარ, ფეხზე წამოვხტი, ხელში საქართველოს დროშა ავიტაცე და ხალხისგან აპლოდისმენტები დავიმსახურე.

— მოძრაობის წესებს ყოველთვის იცავ?

— ნაადრევად სიკვდილი არ მინდა, არც ის მინდა, რომ ჩემი დაუდევრობით ვინმეს ზიანი მივაყენო. ამიტომ მოძრაობის წესებს ყოველთვის ვიცავ. თემოც მოწესრიგებული ბაიკერია. დაჯდება თავის ყვითელ სკუტერზე, დაიხურავს ყვითელ ჩაფხუტს და დაქრის.

— რბოლაში თუ მიგიღია მონაწილეობა?

— სერიოზული რბოლა საქართველოში არ ჩატარებულა და ალბათ, დიდი ხნის მანძილზე არც ჩატარდება. ადრე ვიკრიბებოდით და მეგობრულ რბოლებს ვაწყობდით. გვქონდა ბაიკერკლუბი „კამელოტი“, რომელშიც 100-მდე კაცი ვიყავით გაწევრებული. ერთ-ერთი შეკრების დროს, კლუბის პრეზიდენტს და სულისჩამდგმელს, ლევანს მოტოციკლი გადაუბრუნდა და ფეხი დაიზიანა. შემდეგ შეეშვა ამ საქმეს. კლუბიც, სამწუხაროდ, ნელ-ნელა დაიშალა. ინტერნეტსაიტიც გვქონდა, მაგრამ ჰაკერებმა გაანადგურეს.

— როგორი შეგრძნებაა, როცა მოტოციკლზე ზიხარ და დიდი სიჩქარით მიქრიხარ?

— ადრე ყველაზე მეტად, მუსიკის მოსმენა მიყვარდა, არ მეგონა, თუ ამაზე მეტ სიამოვნებას რაიმე მომანიჭებდა, მაგრამ როცა მოტოციკლზე დავჯექი, მივხვდი, რომ ამ შეგრძნებამ მუსიკას აჯობა. ზოგი წამალს იკეთებს და კაიფობს, მე კი კაიფს მოტოციკლით ვიღებ. როცა მოტოციკლზე ვზივარ და მივქრივარ, ეს ყველაზე დიდი სიამოვნებაა, რაც კი შეიძლება ცხოვრებაში განვიცადო. თავიდან თბილისში პირველ სართულზე ვცხოვრობდი და მოტოციკლი საწოლის გვერდით მედგა. ერთად გვეძინა. შემდეგ, ერთმანეთს ჩემმა ცოლმა დაგვაშორა (*იცინიან*).

თემო:

— ბევრ ექსტრემალურ შეჯიბრებაში მიმიღია მონაწილეობა, მაგრამ როცა ჩემს სკუტერზე ვზივარ და მივქრივარ, ეს ყველაზე მაგარი შეგრძნებაა. ვფიქრობ, უფრო მაგარი იქნება, როცა მოტოციკლზე დავჯდები.

ნიკა:

— ღამით მეღვიძებოდა და მოტოციკლით გასეირნება მინდებოდა. ბევრჯერ, ღამის 4 საათზე ლისის ტბაზე ავსულვარ, მეგობრებს ვურეკავდი და იქ ასვლას ვთხოვდი; ისინი კი მეჩხუბებოდნენ, — მანდ რა გინდა? ჩამოდი, ამ შუაღამისას არაფერმა შეგჭამოსო!.. მანქანაც მყავს, მაგრამ ის ისე არ მიყვარს, როგორც ჩემი მოტოციკლი.

— გოგონებს თუ უთხოვიათ გასეირნება?

— ძალიან ხშირად. ერთხელ რუსთაველზე მოტოციკლით ვსეირნობდი. ვიღაც ტიპმა მთხოვა, — ჩემი ცოლი გასეირნეო. უკან ვინც ჯდება, იმისთვის მოტოციკლს აქვს სპეციალური ფეხის სადგამი, რომელიც ხშირად აკეცილი მაქვს. ეს გოგო რომ დაჯდა, ფეხის სადგამის ჩამონევა არც კი გამხსენებია. რუსთაველის გამზირს რამდენიმე წრე დავარტყი და გოგო ქმართან მივიყვანე. მოტოციკლიდან რომ გადმოვიდა, კვნესა დაიწყო, ფეხის სადგამი, რომ ვერ ნახა, საწყალს, ფეხები „გლუშიტელზე“ დაუწყვია და ტუფლის ძირები თითქმის ზედ დაადნა. რომ გადმოვიდა, ძლივს დადიოდა, ფეხსაცმლის ძირები ასფალტზე ეწებებოდა. ისე, რაც მოტოციკლი მყავს, მისი უკანა ადგილი სულ ერთ ადამიანს ეკუთვნის — ჩემს ცოლს. მისი ნებართვით კი შეიძლება, ვინმე გავასეირნო (*იცინის*).

თემო:

— მეც ბევრი მთხოვს გასეირნებას, მაგრამ ვითვალისწინებ ჩემი მასწავლებლის რჩევას და ჩემს სკუტერზე, უკან მხოლოდ ღირსეულს — ჩემს შეყვარებულს ვსვამ.

ნიკა:

— რაინდებს ყოველთვის ჰყავთ პრინცესები. როცა უკან ვინმეს ისვამ, ამ დროს საკუთარ თავზე დიდ პასუხისმგებლობას იღებ და ფრთხილად უნდა იყო. კანონით, მოტოციკლზე რომ ზიხარ, ჩაფხუტი შენც უნდა გეხუროს და მგზავრსაც. ზოგს „ეპაზორება“ „შლემის“ დახურვა, მაგრამ მე კანონი რომ მიკრძალავდეს, მაინც დავიხურავდი. „შლემი“ მტვრისაგან და ხიფათის დროს, შესაძლო დაზიანებისგან გიცავს. ასევე მაღიზიანებს, როცა მოტოციკლს მთხოვენ: იმდენად

მიყვარს, რომ მასზე დაჯდომის უფლებას არავის ვაძლევ. არც მე ვთხოვ სხვას, რომ თავისი მოტოციკლი მათხოვოს.

ᲗᲔᲛᲝ:

— ჩემს სკუტერს მეც ძალიან ვუფრთხილდები. ცოტა ხნის წინ, გირშელმა მთხოვმა. უარი ვუთხარი, მაგრამ ჩემი წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც წაიყვანა და სკუტერი დამიზიანა. მე და ნიკა მთელი ღამე ვაკეთებდით.



— ბაიკერ გოგონებს თუ იცნობთ?

ᲜᲘᲙᲐ:

— ერთს ვიცნობ, რომელიც მოტოციკლის დიდი მოყვარულია, მან კარგად დაიწყო და კარგადაც აგრძელებს. საქართველოში მის გარდა, გოგონებიდან ამით არავინ ერთობა.

ნიკას დახმარებით, ***ᲪᲘᲠᲘᲙᲝ ᲙᲝᲒᲔᲨᲐᲕᲘᲫᲔᲡ*** *დავუკავშირდით. ის 17 წლისაა და მოტოციკლის ტარება თავისით ისწავლა.*

— ბაიკერობა, ჩემი აზრით, ნიჭია, რომელიც ადამიანს დაბადებიდან უნდა ჰქონდეს. ბაიკერი მოტოციკლის ისეთი მოყვარულია, როგორიც მხატვარი — საღებავების, ფეხბურთელი — ბურთის. მათი ცხოვრება მთლიანად მოტოციკლეტზეა დამოკიდებული. არიან ისეთი ტიპები, რომლებიც მოტოციკლს „სამარიაჟოდ“ ყიდულობენ, რომ გოგოს თავი მოაწონონ და ხშირ შემთხვევაში, სერიოზულ ხიფათში ცვივდებიან.

— შენი ცხოვრება თუა მოტოციკლზე დამოკიდებული?

— სტუდენტი ვარ, თან ორ ადგილას ვმუშაობ. ყველგან ჩემი მოტოციკლით დავდივარ. მის გარეშე ვერც კი წარმომიდგენია. ძალიან მიყვარს და ვუფრთხილდები. მოტოციკლეტების მიმართ სიყვარულს ბავშვობიდანვე ვიჩენდი. 9 წლის ასაკში ორსიჩქარიანი მოპედი მყავდა, შემდეგ — სკუტერი. 12 წლიდან კი მოტოციკლს ვატარებ.

— ვინ გასწავლა მოტოციკლის მართვა?

— ჩემით ვისწავლე. პირველად, ჩემი უფროსი მეგობრის მოტოციკლზე დავჯექი, რომელიც ძალიან დიდი და მძიმე იყო; რომ დავჯექი, თითქმის არ ვჩანდი. ცოტა შემეშინდა კიდეც, ჩემი მეგობარიც მეუბნებოდა: ტარება არ იცი, თავს ხიფათში ნუ ჩაიგდებ, დაილეწებიო. მაგრამ მოტოციკლი იმდენად მიყვარს, დარწმუნებული ვიყავი, რომ მისი ტარება არ გამიჭირდებოდა. ასეც მოხდა, მშვენივრად გავისეირნე და უვნებელი დავბრუნდი.

— მშობლები არ გიშლიან მოტოციკლით მგზავრობას?

— მამა რომ ხედავდა, მოტოციკლი როგორ მინდოდა, თვითონ მიყიდა; მის გარეშე ერთ დღესაც კი ვერ ვძლებ. წინა მოტოციკლი გავყიდე და ორი კვირა არ მყავდა, საშინელ დეპრესიაში ჩავვარდი, არც ვჭამდი, არც ვსვამდი; ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ხელ-ფეხი მომაჭრეს. მშობლებმა ასეთ დღეში რომ მნახეს, სასწრაფოდ მოტოციკლი მიყიდეს.

— რბოლაში თუ მიგიღია მონაწილეობა?

— საქართველოში რბოლები არ იმართება. მეგობრები ვიკრიბებით და ქალაქგარეთ გავდივართ ხოლმე, მაგრამ ესეც იშვიათად ხდება. ადრე იყო კლუბი „კამელოტი“, მაგრამ სამწუხაროდ, დაიშალა. მაშინ პატარა — 9 წლის ვიყავი, მაგრამ მეგობრებთან ერთად, იქ ხშირად დავდიოდი. ბიჭები მოტოციკლზე შემომისვამდნენ და მასეირნებდნენ.

— ცირიკო, როგორი შეგრძნებაა, როცა მოტოციკლით მიქრიხარ?

— გენიალური შეგრძნებაა, რომელსაც ვერაფერს შევადარებ. როდესაც ტრასაზე ხარ და მიქრიხარ უფ, უფ (*იცინის*), მაგარია!.. თუ ცუდ ხასიათზე ვარ, ამ დროს ყველაფერი მავიწყდება.

— რაიმე ხიფათი თუ შეგმთხვევია?

— საბედნიეროდ, სერიოზულად არასოდეს დავშავებულვარ. ერთხელ „შლემის“ გარეშე ვიყავი, ვილაცამ მანქანიდან მინის ქილა მესროლა. ნამსხვრევი თვალთან მომხვდა და პატარა ჭრილობა მქონდა. ერთხელ კი ბიჭებმა რომ მნახეს, გოგო მოტოციკლზე, წინ გადამიდგნენ, ეტყობა, ჩემი შეშინება უნდოდათ. მათ ავარიდე მოტოციკლი, მაგრამ უცებ დავინახე, ქვემოდან სატვირთო მანქანა მოდიოდა, რომ არ დავჯახებოდი, დიდი სიჩქარით გვერდზე გადავედი, მოტოციკლი მოსრიალდა და გადმოვვარდი. საბედნიეროდ, არ დავშავებულვარ, მხოლოდ მოტოციკლი დაზიანდა ცოტათი.

— მოძრაობის წესებს იცავ?

— ყოველთვის. არ მინდა, პოლიციასთან უსიამოვნება მქონდეს. მათ ვერიდები. მაგრამ ერთხელ მაინც გამაჩერეს და მოტოციკლის ჩამორთმევა დამიპირეს. რომ ვუთხარი, — არაფერი დამიშავებია და ამის უფლება არა გაქვთ-მეთქი, — მითხრეს, — ჩვენ შენზე ვზრუნავთ, მოტოციკლი რა გოგოს საქმეა?! დაილეწებიო!.. ხანდახან, როცა საცობია და მეჩქარება, ბორდიურზე ავდივარ და ისე ვაგრძელებ გზას. მაგრამ როგორც ვიცი, ეს დასაშვებია და ამით კანონს არ ვარღვევ.

— ალბათ, მეგობრები ხშირად გთხოვენ, რომ გაასეირნო, ხომ?

— არა მარტო მეგობრები. უცხოებიც მოდიან და მეუბნებიან, — მათხოვე, ერთ წრეს დავარტყამ და დაგიბრუნებო. ამ დროს ძალიან ვბრაზობ. ჩემს მოტოციკლზე არავის ვსვამ, საკუთარ ძმასაც კი. სკუტერი რომ მყავდა, მის საჭეს ნიკა გრიგოლია მიუჯდა, სულ ცოტა ხნით, აინტერესებდა, როგორ დადიოდა.

— შეყვარებული გყავს?

— კი.

— არც შენს შეყვარებულს აძლევ უფლებას, რომ შენს მოტოციკლზე დაჯდეს?

— უკან ვსვამ და ასე ვსეირნობთ ხოლმე. მას ჯერ არ უთხოვია, მაგრამ რომც მითხრას, უარს ვეტყვი. ბევრს მოტოციკლის მართვა იოლი საქმე ჰგონია, მაგრამ ძალიან რთულია. არ მინდა, ჩემი მოტოციკლით ვინმე ხიფათში აღმოჩნდეს და დაზიანდეს.

— მოტოციკლს ქალსაც ადარებენ ხოლმე.

— ალბათ, მამაკაცები, მე კი ბიჭს

შევადარებდი (*იცინის*).. ჩემს მოტოციკლს — ჩემი ბიჭი-მეთქი, — ასე ვეძახი.

— საოცნებო მოტოციკლი თუ გყავს?

— ბევრი ფული თუ მექნება, შეიძლება, უკეთესი ვიყიდო, მაგრამ ახლა რაც მყავს, იმითიც კმაყოფილი ვარ და ძალიან მიყვარს.

„ჩემი ქმარი ჯაშუშია“...

„საიდუმლო პოლიცია“ და „უხილავი ფრონტის რაინდები“

ჯაშუშის ცოლს დიდი მოთმინება და თავშეკავება მართებს. მისი ოჯახი, მით უმეტეს, თუ ქვეყნის ფარგლებს გარეთ მუშაობს, ერთგვარ შეკრულ წრეს, ციხესიმაგრეს უნდა წარმოადგენდეს, რომელშიც არავის არაფერი ესაქმება: მაგალითად, დიპლომატიურ სტატუსს ამოფარებულ ჯაშუშის ცოლს ეკრძალება მეუღლის „კოლეგების“ ცოლებთან ურთიერთობა, რადგან რომელიმე მათგანი შესაძლოა, დაზვერვას უკვე ჰყავდეს გაშიფრული და ასეთ შემთხვევაში, ეჭვს მასზეც მიიტანენ. ჯაშუშის ცოლმა უნდა იცოდეს დიპლომატიური ეტიკეტი, დაფაროს საკუთარი განცდები; ადამიანებთან ურთიერთობისას ყოველთვის უნდა იყოს აქტიური და სასიამოვნო... მერწმუნეთ, ყოველივე ამ „ოქროს წესებს“ ვერც ერთ სახელმძღვანელოში ვერ წაიკითხავთ, მაგრამ მომავალი ჯაშუშების ცოლებს ამას შესაბამის უწყებებში ასწავლიან...

ემა ტუხიაშვილი

„შვილების მომავალი მაშფოთებს...“

ლია, *28 წლის:*

— ჩემი მეუღლე ჯაშუში რომ ყოფილა, ამის შესახებ მხოლოდ რამდენიმე თვის წინ შევიტყვე. გახსოვთ, ალბათ, ის დღე, როდესაც ყველა პანიკამ მოიცვა: რუსი ოკუპანტები თბილისში შემოსვლას აპირებენო. ჩემი მეუღლის ტელეფონზე ზარი გაისმა და ვიღაცამ ეს ინფორმაცია დაუდასტურა. ის გველნაკბენივით ფეხზე წამოხტა და კომპიუტერს წამოავლო ხელი. პორტატული კომპიუტერი და რაღაც საქაღალდე, რომელიც მანამდე თვალითაც არ მქონდა ნანახი, სამგზავრო ჩანთაში ჩაყარა და ქუჩაში გავარდა. მეც გავყევი. ორი მცირეწლოვანი შვილი გვყავს, მაგრამ იმწუთას ბავშვები აღარც კი მახსოვდა, იმდენად გაოცებული ვიყავი ქმრის საქციელით... ბაჩომ უახლოესი სანაგვე ყუთი მოძებნა და ძვირად ღირებული კომპიუტერი შიგ ჩაუძახა... მივხვდი, რომ ჩემს მეუღლეს რაღაც ჰქონდა ჩემგან დაფარული და როდესაც ქვეყანაში ვითარება ცოტა დასტაბილურდა, კი არ ვთხოვე, არამედ კატეგორიულად მოვთხოვე, რომ ჩემთვის ყველაფერი აეხსნა. სწორედ მაშინ გამომიტყდა, რომ უშიშროების თანამშრომელი იყო. იურიდიული განათლება აქვს და წლების განმავლობაში ძალოვან სტრუქტურებში უმნიშვნელო, დაბალანაზღაურებად თანამდებობაზე მუშაობდა. რამდენიმე უცხო ენას ფლობს. სხვათა შორის, ისეთი ნიჭიერია, უცხო ენები პედაგოგის დახმარების გარეშე, თავად შეისწავლა. მიუხედავად ამისა, ვერც დაწინაურებას ეღირსა და ვერც ხელფასის მომატებას. ძალიან წუხდა და განიცდიდა იმის გამო, რომ ჩვენს ქვეყანაში ცოდნა და გამოცდილება სათანადოდ არ ფასდება და სამსახურიდან წამოსვლას აპირებდა. მახსოვს, იმხანად საოცრად გულჩათხრობილი გახლდათ. მეგონა, ამის მიზეზი — მისი გადაწყვეტილება იყო, მაგრამ თურმე ვცდებოდი. ცოტა ხნის შემდეგ, მოულოდნელად, ბაჩომ მახარა, რომ ერთ-ერთ კერძო კომპანიაში უფროსი იურისტის თანამდებობა შესთავაზეს. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, მით უმეტეს, რომ ახალ სამსახურში ჩემს მეუღლეს სოლიდურ გასამრჯელოს დაპირდნენ. მართლაც, დიდი შვება აღმოჩნდა ჩვენთვის მეუღლის ახალი სამსახური: ოჯახისთვის უმრავი რამ შევიძინეთ, კურორტებზე დასვენების შესაძლებლობაც მოგვეცა და მშენებარე სახლში ბინაც შევიძინეთ. მხოლოდ ერთი რამ არ მომწონდა ბაჩოს ახალ სამსახურში — ხშირი, ხანგრძლივი მივლინებები საზღვარგარეთ. როგორც ის ამბობდა, უცხოეთში სტაჟირებაზე გზავნიდნენ ხოლმე. ახლა მესმის, თუ რატომ მიემგზავრებოდა ჩემი ქმარი ასე ხშირად ამერიკაში და რა მისია ეკისრა მეზობელ ქვეყნებში მივლინებისას... თავიდან, როდესაც მისი ჯაშუშობის ამბავი შევიტყვე, დაბნეული ვიყავი, ახლა კი შიშმა შემიპყრო. ჩემი შვილების მომავალი მაშფოთებს: ხომ იცით, ნათქვამია, — არა არს რა დაფარულიო... არავინ იცის, როდის და როგორ გამომზეურდება მისი ჯაშუშური საქმიანობა. ყველაზე მეტად კი ის მაშინებს, რომ ჩემი მეუღლე ამ პროფესიას სამარცხვინოდ სულაც არ მიიჩნევს და ამბობს, — ქვეყანა მით უფრო ძლიერია, რაც უფრო მომზადებული და დახვეწილი სპეცსამსახური ჰყავსო. ბაჩო ამბობს, რომ აგენტები მუშაობენ პოლიტიკურ პარტიებშიც, რათა საფრთხე, რომელიც პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა შესაძლოა, სახელმწიფოს შეუქმნან, დროულად იქნას აღკვეთილი. ჩემს მეუღლეს თუ დავუჯერებ, დიპლომატიური მისიით საქართველოში ჩამოსული ადამიანებისა და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის ექსპერტთა ნაწილი სინამდვილეში, უცხო ქვეყნის ჯაშუშები და სპეცსამსახურების თანამშრომლები არიან. თურმე უცხოეთის აგენტურა ქუჩაში გაგონილ ამბებს როდი სჯერდება, ისინი ინფორმაციის პირველწყაროს ზედა ეშელონებში ეძებენ და პოულობენ კიდეც. ამიტომაც, უშიშროებას აგენტები ჰყავს ყველა სფეროში — მეცნიერული წრეებით დაწყებული, კრიმინალებით დამთავრებული...

34 წელი ჯაშუშის გვერდით

2001 წლის თებერვალში აშშ-ის გამოძიებათა ფედერალური ბიუროს ყოფილი მაღალჩინოსანი რობერტ ჰანსენი დააპატიმრეს. ბრალად წაუყენეს ის, რომ მრავალი წლის განმავლობაში მოსკოვს აწვდიდა საიდუმლო ინფორმაციას და რამდენიმე ორმაგი აგენტიც ამხილა. გაწეული სამუშაოსთვის ჯაშუშს ჯილდოდ, 1,4 მილიონი დოლარი მიუღია — როგორც ფულის, ასევე ბრილიანტების სახით. საქმის სრულყოფილად გახსნის მიზნით, იუსტიციის სამინისტროს მთავარმა ინსპექციამ მოითხოვა, რომ ჯაშუშის მეუღლეს პოლიგრაფზე (სიცრუის დეტექტორზე) გაევლო შემოწმება. აი, რა უამბო გამოძიებას ქალმა ჯაშუში მეუღლის შესახებ:

„ქმარი არასდროს მიყვებოდა თავისი საქმიანობის თაობაზე. 1980 წელს თავადვე მივხვდი, რომ მას ფარული კავშირი ჰქონდა რუსებთან. ერთხელ ისიც კი შევნიშნე, რომ ჩემი ქმარი სახლის საძირკველში რაღაც ქაღალდებს ნაჩქარევად მალავდა... რობერტმა აღიარა, რომ ნამდვილად თანამშრომლობდა რუსებთან, მაგრამ სინამდვილეში მათ მოტყუებას ცდილობდა და მტრებს დეზინფორმაციას აწვდიდა“.

ქალმა ჯაშუში ქმრის გვერდით 34 წელი იცხოვრა და მისგან 5 შვილი შეეძინა. ამერიკის მართლმსაჯულებამ რობერტ ჰანსენს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა.

შვეიცარიაში, ომის შემდგომ...

ქალბატონი ანასტასია, *80 წლის:*

— 1946 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ, შვეიცარიაში, მეორე მსოფლიო ომის შემდგომი, პირველი დიპლომატიური წარ-

მომადგენლობა გახსნა, სადაც ერთ-ერთ კონსულად ჩემი მეუღლე მიავლინეს. მანამდე კი ის უშიშროების სამინისტროს თანამშრომელი იყო. ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვება, საბჭოთა კავშირისთვის დამშვიდებისა და ყურადღების მოდუნების საფუძველს არ წარმოადგენდა. ბუნებრივია, მისი აგენტურა ევროპის ყველა ქვეყანაში ფხიზლობდა და აქტიურადაც მოქმედებდა. საერთაშორისო პასპორტი და დიპლომატის სტატუსი საუკეთესო საშუალება იყო უპრობლემოდ გადასაადგილებლად. სხვადასხვა საიდუმლო დავალების შესასრულებლად, ჩემმა ქმარმა ბევრი ქვეყანა შემოიარა. „კაგებეს“ აგენტობა მისგან თითქმის უნივერსალურ ცოდნას მოითხოვდა. გაგიკვირდებათ, მაგრამ მას შეიძლებოდა, ევროპის ნებისმიერი ქალაქის სრულიად უმნიშვნელო შენობების დანიშნულების შესახებაც კი სცოდნოდა. არადა, ქართლის შუაგულში, ერთ პატარა სოფელში იყო დაბადებული. იმ დროისათვის, მისი ოჯახი საკმაოდ შეძლებული იყო. 1932 წელს კი ჩამოართვეს ყველაფერი, რაც საბჭოთა კრიტერიუმებით, სიმდიდრედ იყო მიჩნეული... ჩემი ქმარი და-ძმებს შორის გარეგნობითა და გამჭრიახობით გამოირჩეოდა, ამიტომ მისმა ბაბუამ, როცა მოახლოებული უბედურება იგრძნო, ღამით სახლიდან გააპარა. მეორე დღეს ხელისუფლებამ მათი ოჯახი განაკუნაკა (*ახალგაზრდა მკითხველთათვის დავაზუსტებთ: ბოლშევიკური რეჟიმი „კულაკს“ შეძლებულ გლეხს უწოდებდა და „ზედმეტ“ ქონებას ართმევდა, რასაც „განკულაკება“ ერქვა. — ავტ.*)... მხოლოდ 14 წლის ასაკში შეძლო ჩემმა ქმარმა სკოლაში სასწავლებლად მისვლა და სასკოლო პროგრამა მოკლე ხანში აითვისა. მოგვიანებით თბილისში, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, მექანიკის ფაკულტეტზე ჩაბარა, სადაც მისი ინტელექტუალური პოტენციალი მავანთა ყურადღების არეში მოექცა... 1943 წელი იდგა, როდესაც ის გავიცანი. მოსკოვში მუშაობდა და თბილისში დროებით იყო ჩამოსული. მოსკოვში ლავრენტი ბერიას გადასვლიდან ძალიან მოკლე ხანში, ჯარში გაიწვიეს და სწორედ მაშინ გაიარა სპეციალური მომზადება 101-ე სკოლაში (ასე ერქვა საგარეო დაზვერვის უმაღლეს სასწავლებელს). მხოლოდ ახლა გავიგე ამ სკოლის დანიშნულების შესახებ — მაშინ, როდესაც რუსეთის ყოფილი პრეზიდენტის, პუტინის ბიოგრაფიას ვკითხულობდი: მასაც ამ სკოლაში მიუღია სპეციალური განათლება... 1944 წელს ჩემს მეუღლეს მოსკოვში ჩავაკითხე. უშიშროების სამინისტროში მუშაობდა, უკვე მაიორის წოდება ჰქონდა მიღებული. 1946 წელს კი სტალინმა აღადგინა დიპლომატიური ურთიერთობები შვეიცარიასთან და ჩემს მეუღლესთან ერთად, ბერნში მივლინებულ, პირველ საბჭოთა წარმომადგენლობას ვახლდი თან. იქ დიდი პატივისცემით დახვდნენ უძლეველი ქვეყნის წარმომადგენლებს, მაგრამ ჩვენი თვითმფრინავიც კი ისე ღარიბულად გამოიყურებოდა მათ ფუფუნებასთან შედარებით, რომ ვერც აღგიწერთ... რამდენიმე თვე ცნობილ სასტუმრო „ბელვუს“ აპარტამენტებში გავატარეთ, შემდეგ, უმაღლესი კლასის საცხოვრებელი სახლი გამოგვიყვეს. ჩემი მეუღლე ევროპის ქვეყნებში საბჭოთა დაზვერვის ერთ-ერთი წამყვანი რეზიდენტი იყო. სრულყოფილად ფლობდა ფრანგულ და ინგლისურ ენებს. დაცვა, მძღოლი, მოსამსახურეებიც კი მოსკოვიდან გაგვაყოლეს. დიპლომატთა შვილებისთვის რუსული სკოლა გახსნეს. ექიმიც მოგვიჩინეს ყველას. მახსოვს, ერთ-ერთ თანამშრომელს ბრმა ნაწლავის ოპერაცია დასჭირდა და ამის შესახებაც კი მაშინვე მოსკოვს აცნობეს... ბევრი თანამშრომლის მეუღლე საელჩოს კანცელარიის თანამშრომელი იყო. მათთან შედარებით, მე უფრო შეზღუდული ვიყავი: უფლება არ მქონდა, ქალაქში თავისუფლად გავსულიყავი, სურათსაც კი ტელეფონით ვუკვეთდი და ა.შ. საერთოდ, ყველაფერი მოსკოვის კარნახით ხდებოდა... მე და ჩემი მეუღლე ხშირად მივემგზავრებოდით ჟენევაში. ის რაღაც კონფერენციებს ესწრებოდა, მე კი ჩვენთვის განკუთვნილ სახლში ვუცდიდი ხოლმე. მერე ვცხოვრობდით საფრანგეთში, სადაც ჩემი ქმარი საბჭოთა ტყვეების რეპატრიაციაზე მუშაობდა: სხვადასხვა ქვეყანაში მყოფი ყოფილი ტყვეების აღწერასა და სამშობლოში მათი დაბრუნების სამზადისს უძღვებოდა. ხვდებოდა ქართველ ემიგრანტებს და მოლაპარაკებებს აწარმოებდა მათთან. ვიცი, რომ რამდენჯერმე შეხვედრია: ექვთიმე თაყაიშვილს — პარიზში, სპირიდონ კედიას — ბერნში, კერენსკის (*1917 წლის რუსეთის დროებითი მთავრობის თავმჯდომარე. — ავტ.*) — გერმანიაში, მაგრამ მათი საუბრების შინაარსი ჩემთვის უცნობია. გარდა ამისა, ჩემი ქმარი პირადად იყო ჩაბმული მწერალ ილია ერენბურგის რუსეთში დაბრუნების პროცესში და მასთან თბილი, მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა... ყველა ცდილობდა, ცოტა რამ მაინც შეეტყო მისი საიდუმლო მისიების შესახებ, მაგრამ წლების შემდეგაც, როგორი ნასვამიც უნდა ყოფილიყო, არაფრის მთქმელი ფრაზებით აბეზარი ადამიანების თავიდან მოცილებას ახერხებდა... ბევრს გამოუთქვამს სურვილი — მის სიცოცხლეშივე დაეწერა წიგნი მისი საქმიანობისა და ცხოვრების შესახებ, მაგრამ ყველას სასტიკი უარით ისტუმრებდა... მისი კოლეგებისაგან მსმენია, რომ ფილმის — „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება“ — მთავარი გმირის, შტირლიცის მსგავსად (ხომ გახსოვთ, პასტორი შლაკი შვეიცარიის მთებით რომ გადაჰყავს საზღვარზე), ჩემს ქმარსაც არაერთხელ გადაუყვანია აგენტები ქვეყნიდან ქვეყანაში... უდიდესი ნებისყოფით გამოირჩეოდა. უკვე მოხუცებულს, ინფარქტი დაემართა და საავადმყოფოს მეშვიდე სართულზე თავისი ფეხით ავიდა!..

„შორს ჩემგან ჯაშუში!“

მაიამელი ქალბატონი სასამართლოში კუბის რესპუბლიკას უჩივის. როგორც თავად ამბობს, 1995 წელს ცოლად გაჰყვა კუბელ მამაკაცს, რომელიც ჯაშუში აღმოჩნდა. ანა მარტინეზის თქმით, რომ სცოდნოდა საკუთარი რჩეულის საქმიანობის

შესახებ, მის ცოლობას არ დასთანხმდებოდა. „ჩვენს ოჯახს ამოფარებული ჩემი ქმარი თავის ტერორისტ ქვეყანას ამერიკიდან საიდუმლო ინფორმაციას აწვდის", — ირწმუნება ანა. ცნობისათვის: კუბელი ჯაშუშისა და ამერიკელი ქალის ქორწინებამ მხოლოდ 11 თვეს გასტანა.

ჯაშუშის ცოლობა არც ჩვენი მომდევნო რესპონდენტისთვის აღმოჩნდა დიდად სასიხარულო...

ძალგატოვი ნინა, *70 წლის:*

— ამ სირცხვილს ალბათ სიკვდილის შემდეგაც ვერ ჩამოვირეცხავ. ჩემი ქმარი —



აცხონოს ღმერთმა მისი სული! — სიცოცხლეზე მეტად მიყვარდა, მაგრამ ჯაშუშობა მომაკვდავსაც ვერ ვაპატიე. ეს ამბავი კი ჩემთვის, ჩვენი თანაცხოვრების 50 წლისთავზე გახდა ცნობილი... 16 წლის გოგო ვიყავი, როდესაც ჩემი მომავალი მეუღლე ნათესავის ქორწილში გავიცანი. ერთმანეთი მაშინვე მოგვწონა. ეს კი იქ მყოფებს არ გამოჰპარვიათ და მაჭანკლობა „გააჩაღეს". სავლე ისეთი ახოვანი ვაჟკაცი იყო, ვერავინ დაიწუნებდა და ჩემმა მშობლებმაც ჩემს სათხოვნელად მოსულ სავლეს ნათესავებს თანხმობა უთხრეს. როგორც უკვე გითხარით, ის მაღალი, მხარბეჭიანი ვაჟკაცი იყო, მე კი — ერთი პატარა, გალეული გოგო. მეზობლები დამცინოდნენ ხოლმე, — ამ მთასავით კაცს საწოლში როგორ უძლებო?.. მე კი ყველასათვის ერთი პასუხი მქონდა: როდის იყო, თაგვი თივის ბულულის ქვეშ იჭყლიტებოდა-მეთქი?!. მეორე მსოფლიო ომი რომ დაიწყო, სავლე თავის თანატოლ ბიძაშვილთან ერთად, ფრონტზე წაიყვანეს. ქმრის ბიძაშვილი ომიდან ორ წელიწადში დაბრუნდა. ახალგაზრდა ბიჭს ჭურვის ნამსხვრევი მოხვედროდა და მძიმე კონტუზია მიეღო. სავლეზე არაფერს ამბობდა და მეც იმედი მქონდა, რომ ჩემი მეუღლე ომის დამთავრების შემდეგ დამიბრუნდებოდა. მაგრამ ჩემი იმედი არ გამართლდა: ომიც დამთავრდა, თითქმის ორი წელიც გავიდა, მაგრამ არც სავლე ჩანდა და არც რაიმე ცნობა მის შესახებ. დავდარდიანდი, ძაძები ჩავიცვი და ქმარი გამოვიტირე. მაშინღა მოვიდა ჩემთან სავლეს ბიძაშვილი და მკვახედ მითხრა: ტყუილად გლოვობ, შენი ქმარი ცოცხალი და უვნებელიაო. როგორ არ ვეცადე, მისგან უფრო მეტი გამეგო?!. მუხლებში ჩავუვარდი, მაგრამ კაცმა კრიჭა შეკრა და ბიძაშვილის შესახებ სიტყვაც აღარ დასცდენია. მართლაც, რამდენიმე თვის შემდეგ, სავლე ცოცხალი და საღ-სალამათი დამიბრუნდა. მითხრა:

გერმანელებს ტყვედ ჩავუვარდი და ამიტომ ვერ გატყობინებდი ჩემ შესახებ ვერაფერსო... მხოლოდ ერთი რამ მიკვირდა: სავლეს სანახავად, მისი ბიძაშვილი ერთხელაც რომ არ მოსულა და არც ჩემი ქმარი კითხულობდა, ფრონტიდან დაბრუნებული, დაჭრილი ბიძაშვილის ამბავს... მალე ვაჟი შეგვეძინა, მამასავით ახოვანი და მხარბეჭიანი. მახსოვს, ბებიაქალმა ახალშობილი, აბრეშუმისგან მოქსოვილ ჩანთაში ჩასვა და პროდუქტის ასაწონი სასწორით აწონა. ჩვილი ზუსტად 5 კილოგრამს იწონიდა. მერე კი საბჭოთა ხელისუფლებამ, შვილთან ერთად, ტაშკენტში გადაგვასახლა. ორ წელიწადში, კიდევ ერთი ვაჟი შეგვეძინა, სამშობლოში დავბრუნდით და ცხოვრებასთან ჭიდილი განვაგრძეთ. შვილებმა შვილიშვილები გვაჩუქეს, მათ კი — შვილთაშვილებით გაგვახარეს. შემდეგ, სავლეს სიბერემ დარია ხელი და ლოგინად ჩავარდა. ყოველ წუთს შეიძლებოდა ხელიდან გამოგვცლოდა, ამიტომ ღამეებს მის სასთუმალთან ვათევდით. ერთხელაც კარზე ბრახუნი გაისმა. შეშინებული წამოვხტი და კარი სასწრაფოდ გავაღე. ზღურბლთან სავლეს ბიძაშვილი იდგა. კაცი ნასვამი ჩანდა და სავლეს ნახვა სურდა. რა თქმა უნდა, ავადმყოფის ოთახში შევუძახე და სკამი შევთავაზე. შემდეგ კი ბიძაშვილების საუბარი მოვისმინე, რასაც დღემდე ვნანობ: მათი ლაპარაკისთვის ყური რომ არ დამეგდო, ბოლომდე არაფერი მეცოდინებოდა და მშვიდად მოკვდებოდი... თურმე ომის დროს ჩემი ქმარი გერმანელების მხარეს გადასულა და მათი ჯაშუში გამხდარა. ბიძაშვილი ეუბნებოდა: ჩემი თვალით ვნახე, საბჭოთა ჯარისკაცებისთვის განკუთვნილი ერთი ეშელონი საჭმელი ფაშისტებს როგორ ჩაუგდე ხელშიო!.. თურმე არც ომის შემდეგ ყოფილა ტყვედ ჩემი ქმარი და სინამდვილეში, ისევ მტერთან მუშაობდა...

ძალგატოვი ლამარა, *56 წლის:*

— ჩემი დედამთილი ოსი გახლდათ, მამამთილი კი — ქართველი. დედამთილმა შვილებს, მშობლიურ ქართულთან ერთად, ოსური ენაც შეასწავლა. როდესაც წლების წინ ქართულ-ოსური კონფლიქტი დაიწყო, ბევრი მალავდა კიდეც, ნათესავებს შორის, ოსი ერონენების თუ ჰყავდა ვინმე. ჩემი მეუღლე კი პირიქით — სუფრასთან, უცხო საზოგადოებაში თუ ტრანსპორტში, ქართულ-ოსური მეგობრობის პროპაგანდას ეწეოდა და ოსური ენის ცოდნის დემონსტრირებასაც არ ერიდებოდა. როგორც ჩანს, მისი ეს ქცევა მავანთა ყურადღების არეში მოექცა და ჩემს ქმარს უშიშროებასთან თანამშრომლობა ანუ ჯაშუშობა შესთავაზეს. მას დაევალა, ურთიერთობა ჰქონოდა ცხინვალში მცხოვრებ ნათესავებთან და დროდადრო, მათთან სტუმრადაც ჩასულიყო. გაგეცინებათ, მაგრამ მაშინ — დაახლოებით 15 წლის წინ — გაწეული სამუშაოს სანაცვლოდ, ჩემს ქმარს ყოველთვიურად, 50 ლარს უხდიდნენ. რა თქმა უნდა, ამას მხოლოდ ფულის გამო არ აკეთებდა: ის თავისი ქვეყნის პატრიოტია... ვერაფერს ვხედავ ცუდს იმაში, თუ ადამიანი სამშობლოს სასიკეთოდ ჯაშუშობს. საქართველოში ქვა რომ ააგდო, რუსეთის ჯაშუშს მოხვდება და ჩვენც ხომ უნდა გვყავდეს სათანადო კადრები, რათა რუსულ „კაგებეს" დავუპირისპიროთ?!.

სამუზეუმო ჯაშუშობა

გაგიკვირდებათ, მაგრამ ვაშინგტონში თურმე საერთაშორისო ჯაშუშობის მუზეუმი არსებობს. ექსპონატების დათვალიერების გარდა, გიდები სტუმრებს ქალაქის „ყველაზე ჯაშუშურ" ადგილებსა და შენობებსაც უჩვენებენ. საბჭოთა და რუსეთის მდიდარ ჯაშუშურ წარსულზე მეტყველებს „ფეესბეს" (უშიშროების ფედერალური სამსახურის) მუზეუმში დაცული ექსპონატები (მათ შორის აღსანიშნავია, მაგალითად, რეპრესიებისადმი მიძღვნილ კუთხეში გამოფენილი წერილი, რომელიც ადამიანის სისხლითაა ნაწერი). მატა ჰარისადმი მიძღვნილი მუზეუმი არსებობს მის მშობლიურ ჰოლანდიაში (შეგახსენებთ, რომ მატა ჰარი მარგარიტა გერტრუდა ზელის, პარიზის ვარიეტეს მოცეკვავის სცენური ფსევდონიმი იყო და ის ჯაშუშობისთვის დახვრიტეს). ყველა ეს მაგალითი კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, თუ რაოდენ დიდი ადგილი უკავია სახელმწიფოს ცხოვრებაში იმას, რასაც ზოგადად, „საიდუმლო პოლიციას" ან დაზვერვას უწოდებენ. ■

მატა ჰარი

ანტვერპენის ქართული ტაძრის მრევლი (მარჯვნივ — სოფო)

მართლმადიდებლური საეკლესიო ნოსტალგიით შეპყრობილი ქართველებისთვის

ევროპა მართლმადიდებლური ეკლესიების სიმრავლით ვერ დაიკვეხნის, მაგრამ ჩვენდა სასიხარულოდ, ბელგიაში, ქალაქ ანტვერპენში წმ. ნინოს სახელობის ქართული ტაძარია, რომელიც უამრავ ემიგრანტ ქართველს უყრის თავს და სამშობლოს ნოსტალგიას უმსუბუქებს. ყველაზე გასაოცარი კი ისაა, რომ ამ ტაძარში მორწმუნენი ცხოვრობენ კიდეცეს ყოველივე რომ შევიტყვეთ, იქაურ მრევლთან დაკავშირება ვცადეთ და მოვახერხეთ კიდეც.

თიკო სამხარაძე

— სოფო, დიდი ხანია, საზღვარგარეთ ცხოვრობ?

— რამდენიმე წელია. აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე ქართველები მოსალოცად, წმ. ნინოს სახელობის ტაძარში ჩამოვედით. მისი წინამძღვარი — ახალგაზრდა ქართველი ბერი აბიბოსია. საოცარი ადამიანია. მისმა უდიდესმა ღვთიურმა ნიჭმა და უნარმა მრავალი, ნაკლებად მორწმუნე ქართველი ჭეშმარიტ მორწმუნედ აქცია. საოცრად მოვიხიბლე ტაძარში გამეფებული სიმშვიდით. მაშინ გადავწყვიტე, მოძღვრისთვის მეთხოვა ტაძარში დარჩენის უფლება და ისე მოხდა, რომ კარგა ხანია, აქ ვარ.

— ტაძარში თავს კარგად გრძნობ?

— მადლი უფრო და უფრო მოდის და საერთოდ, აღარ მინდა იმ ცხოვრებისკენ გახედვა, საიდანაც მოვედი...

— შენ გარდა, სხვებიც თუ ცხოვრობენ ეკლესიაში?

— რა თქმა უნდა! აქ დიდი მრევლი იყრის თავს და ბევრს უჩნდება სურვილი, თუნდაც ერთი კვირა იცხოვროს ეკლესიური ცხოვრების წესით. მართლა გამაოცა იმ უძლიერესმა რწმენამ, რომელიც სამშობლოდან გადმოხვწილ ქართველებში აღმოვაჩინე.

— ტაძარში ცხოვრების პერიოდში რას საქმიანობთ?

— ადრე ვდგებით, ტაძარს ვალაგებთ, ვაცხობთ ქართულ პურს და ვამზადებთ ქართულ კერძებს სატრაპეზოდ. ვკითხულობთ ლოცვანს, ფსალმუნებს. მამაკაცები ჩვენს სახელოსნოში მუშაობენ და ასევე, ტაძრის ეზოს უვლიან, ალამაზებენ...

— ქართველების გარდა, ძლიერი რწმენით სხვებიც ხომ არ გამოირჩევიან?

— დიახ. ჩვენ გვერდითაა ძალიან საინტერესო ადამიანი — საბიანა. ეს ქალბატონი გერმანელია, მაგრამ იმდენად უყვარს საქართველო, რომ მართლმადიდებელ ქრისტიანად მოინათლა. რამდენჯერმე მოინახულა ჩვენი ქვეყანა, ბოლოს სწორედ ომის დროს იყო ჩასული. საბიანას აქვს საკუთარი ხელით გაკეთებული, ქართული ნაციონალური ტანსაცმელი. ასევე, საკმაოდ კარგად მღერის ქართულად.

— ტაძარში ცხოვრების უფლება ყველას აქვს?

— მორწმუნე, როცა სურვილი ებადება, მამაოს ესაუბრება და მერე ის წყვეტს, დარჩეს თუ არა. ტაძარში ცხოვრობენ ზნეობრივად ამაღლებული, ქართველი ყმაწვილი კაცებიც. თუ არა დიდი რწმენა და სიახლოვე ღმერთთან, ჩვენ, ემიგრანტი ქართველები ვერ გავუძლებდით სამშობლოს ნოსტალგიას. ■

გერმანელი საბიანა ხელოვნელ სამოსში, ქართველ მრევლთან ერთად



ნორჩი ჩემპიონი
ღიღაბთან თამაშს არ უფრთხის

მარიამ დანელიას წარმატებებზე შემთხვევით შევიტყვე, თუმცა ვფიქრობ, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციას ყველასთვის უნდა „დაესწრო" და არა მხოლოდ ჩემთვის, მთელი ქვეყნისთვის ემცნო ამ, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი 14 წლის გოგონას შესახებ — ის თურმე საქართველოში მეორეა, მაია ჩიბურდანიძის შემდეგ, რომელმაც საერთაშორისო ოსტატობა ასეთ ადრეულ ასაკში მოიპოვა!

მაგნიტური ქადრაკით მამასთან წაგებული პარტია და ესპანეთში გაგრძელებული კარიერა

ირმა ხარშილაძე

— ჭადრაკი პირველად 3 წლისამ ვნახე, ნათესავთან. შინ არ გვქონდა, რადგან არავინ თამაშობდა სერიოზულად. ბაბუამ კი იცოდა თამაში. მოკლედ, დავინახე ჭადრაკი და ავიტეხე, თამაში მასწავლეთ-მეთქი. მიყიდეს პატარა მაგნიტური ჭადრაკი, დედა მასწავლიდა სვლებს და მეც იოლად ვითვისებდი. დედას მოვუგე კიდეც პარტია, მამას კი ვერ ვაჯობე... ბოლოს, მიმიყვანეს ჭადრაკის სასახლეში, ლელა თანდაშვილთან. ჭადრაკს დიდი შრომა სჭირდება, მე პატარა ვიყავი და ქალბატონი ლელა ეჭვობდა, ვერ გავუძლებდი, თუმცა ჩემთან მუშაობა მაინც დაიწყო. ორი თვის შემდეგ მშობლებს უთხრა: რაც შემეძლო, ვასწავლეო — ერთსვლიან შამათებს გულისხმობდა, — ამის მერე გადავედი მაკა ხანთაძესთან. მასთან ერთი წელი ვიარე. პირველი ტურნირი 6 წლისამ ვითამაშე და მესამე თანრიგი ავიღე. ამის შემდეგ, გოგი მაჭარაშვილთან, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში გადავედი და მასთან 3 წელი ვემზადებოდი. მალე პირველი თანრიგიც ავიღე.

— ასე პატარას არასდროს დაგზარებია მეცადინეობა ან არ მოგბეზრებია ამდენი თამაში და სვლებზე ფიქრი?

— როდესაც პირველად ვითამაშე ტურნირზე და გამარჯვებასაც, ასე ვთქვათ, გემო გავუსინჯე, არავის დაძალება აღარ დამჭირვებია — მივდიოდი და ვმეცადინეობდი. 9 წლიდან საერთაშორისო დიდოსტატ ლაშა ჯანჯღავასთან გადავედი და დღემდე ის მამეცადინებს. 9 წლის ასაკში, ერთი წლით, დიდებს შორის საქართველოს ჩემპიონი გავხდი და მსოფლიო ჩემპიონატზე გასამგზავრებელი საგზურიც ავიღე. იქ კი მახსოვს, ბოლო ტურის წინ მე შვიდნახევარი ქულა მქონდა, ჩემს მეტოქეს კი — რვა. მოგების შემთხვევაში, ჩემპიონი ვხდებოდი, მაგრამ, სამწუხაროდ, წავაგე და მეოთხე ადგილს დავჯერდი. მერე, 2006 წელს 12 წლამდე გოგონებში მსოფლიო ჩემპიონატი ბათუმში ჩატარდა. მაშინ კი გავიმარჯვე და მსოფლიო ჩემპიონიც გავხდი. ამის შემდეგ გამოჩნდა ადამიანი — დიდოსტატი ანა მათნაძე, — რომელიც ბარსელონაში ცხოვრობს და მან სრულიად შეცვალა ჩემი ცხოვრება. ანამ მე და სოფიკო გურამიშვილი — მსოფლიო ჩემპიონები — ესპანეთში წაგვიყვანა. იქ საერთაშორისო ტურნირებში ვმონაწილეობდით და ესპანურ კლუბში აგვიყვანეს. წელს, იანვარში იმ კლუბის სახელით ესპანეთის საკლუბო ჩემპიონატშიც წარმატებით ვითამაშეთ და კლუბი მომდევნო ეტაპზე გავიდა. პარალელურად, კანარის კუნძულებზე სხვადასხვა ქვეყნის მსოფლიო ჩემპიონებისთვის საგანგებოდ მოწყობილ ტურნირშიც ვმონაწილეობდით. დიდი გამოცდილება შევიძინე და რეიტინგიც ავიმაღლე. შემდეგ, საქართველოში დავბრუნდი და მოვემზადე ქალთა ევროპის პირველობისთვის, რომელიც აპრილში, ბულგარეთში გაიმართა. ქალთა საერთაშორისო ოსტატის წოდების მისაღებად აუცილებელი სამი ნორმიდან ორი იქ შევასრულე, დარჩენილი ერთი კი — ზაფხულში, ესპანეთში გამართულ საერთაშორისო ტურნირებში. ასე გავხდი მაია ჩიბურდანიძის შემდეგ მეორე ყველაზე ახალგაზრდა ქართველი საერთაშორისო ოსტატი.

— ქალბატონმა მაიამ თუ შეიტყო შენი წარმატების შესახებ?

— ქალბატონი მაია ამჟამად აღარ არის საჭადრაკო ცხოვრებაში ისე ჩახედული, ამიტომ...

— დანარჩენი ჩვენი სახელოვანი მოჭადრაკე ქალები — ნონა გაფრინდაშვილი, ნანა იოსელიანი, ნანა ალექსანდრია არ დაინტერესდნენ შენი წარმატებებით?

— ქალბატონ ნონას ბულგარეთში შევხვდი, იქ ბრძანდებოდა.

— არ შეგაქო?

— საერთოდ, ამბობენ, რომ ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული ახალგაზრდა მოჭადრაკე ვარ დღესდღეობით...

— რაღაც, ძალიან ძუნწად მპასუხობ, როდესაც ცნობილი მოჭადრაკეების შესახებ გეკითხები.

— რა ვიცი, იმედი მაქვს, უხარიათ, მათ ვერ ვხვდები ხოლმე და... ერთადერთი ადამიანი, ვინც მართლა დიდი ყურადღება მომაქცია, ანა მათნაძე იყო.

— ანუ ამით ყველაფერი გასაგებად თქვი... სამწუხაროა, რომ მოჭადრაკე

გაგრძელება იხ. გვ. 82

რუბრიკას უძღვება ექიმი
ნინო ჩარგეიშვილი

მკითხველის შეკითხვები

სისველე ჭიპში

— 2-3 თვეა, რაც ჭიპის ირგვლივ სისველეს ვგრძნობ. გამონადენი ხან სუნიანია, ხან — არა. სხვა მხრივ, არაფერს ვუჩივი. ერთხანს, ვიფიქრე, ბანაობის დროს კარგად არ ვიმშრალებ ჭიპს-მეთქი და გულდასმით დავიწყე გამშრალება, მაგრამ ამაოდ... მირჩიეს, საფენები, მაგრამ არც ამან მიშველა. ძალიან გთხოვთ, გამარკვიეთ, რა მჭირს და რით ვუშველო ამ პრობლემას?

ნანა მგალობლიშვილი, *რუსთავი.*

— თქვენი პრობლემა ომფალიტია. მარტივად განგიმარტავთ, თუ რაში მდგომარეობს ეს დაავადება და როგორ შეიძლება მასთან ბრძოლა.

ომფალიტი არის ჭიპის ირგვლივ კანის, კანქვეშა ქსოვილისა და სისხლძარღვების ანთება. იგი ხშირია ახალშობილებში, თუმცა ზრდასრულ ადამიანებსაც ემართებათ და დაკავშირებულია ჭიპის სტაფილოკოკებით ან სხვა ბაქტერიებით ინფიცირებასთან. ომფალიტი შეიძლება იყოს ჩირქოვანი, ფლეგმონური და ნეკროზული. ყველაზე ხშირად გვხვდება მარტივი ომფალიტი (ე.წ. სველი ჭიპი). ომფალიტის ამ ფორმის დროს, ჭიპის ჭრილიდან ჩირქოვან-სეროზული გამონადენი აღინიშნება. სხვა მხრივ, ავადმყოფის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. გარდა ამისა, ჭიპის ჭრილში შეიძლება გაჩნდეს ქერქი ან იგი ამოივსოს გრანულებით. თუ გრანულების ზრდა მოხდება, მაშინ ჭიპზე გაჩნდება სოკოს მსგავსი გამობერილობა.

სავარაუდოდ, თქვენ, მარტივი ომფალიტი განუხებთ, რასაც გვაფიქრებინებს შემდეგი სიმპტომები: ხანგრძლივი მიმდინარეობა, გამონადენის ხასიათი (სუნის არსებობა მიუთითებს გამონადენის ჩირქოვან-სეროზულ ბუნებაზე) და დამაკმაყოფილებელი ზოგადი მდგომარეობა. ორიოდ სიტყვით ომფალიტის სხვა ფორმებსაც შევეხებით.

ფლეგმონურ ომფალიტს ახასიათებს ჭიპის ირგვლივ ინფილტრილებული კანის შეშუპება და შეწითლება (ჰიპერემია). ჭიპის ჭრილის კიდეები დაზიანებულია. ავადმყოფის ზოგადი მდგომარეობა დამოკიდებულია პათოლოგიური პროცესის გავრცელებაზე. ტემპერატურის 37,5-38 გრადუსამდე ზრდა და ზომიერად გამოხატული მოუსვენრობა დამახასიათებელია შემოფარგლული ფორმისთვის, ხოლო ტემპერატურის 39-40 გრადუსამდე ზრდა და ტოქსიკოზის ნიშნები კი გავრცელებულ ფლეგმონაზე მიგვითითებს.

ნეკროზული ომფალიტი იშვიათად გვხვდება. ამ დროს ჭიპის ირგვლივ კანი მოწითალო-მოლურჯო შეფერილობისაა და მასზე შეინიშნება მუქი რუხი ფერის უბნები. მუცლის კედლის ყველა შრის დაზიანებით მიმდინარე ღრმა ნეკროზული ცვლილებების დროს, შეიძლება განვითარდეს ნაწლავის ევენტრაცია (ნაწლავის გამობურცვა მუცლის კედლის დაზიანებული არიდან).

ომფალიტის ყველაზე საშიში გართულებაა სეპტიცემია და სეფსისი. ადგილობრივი გართულებებიდან აღსანიშნავია მუცლის კედლის ფლეგმონა (ჩირქოვანი ანთება), კონტაქტური პერიტონიტი, პილეფლებიტი (კარის ვენისა და მისი ტოტების ანთება), ღვიძლის აბსცესი (ღვიძლში ჩირქგროვის გაჩენა), არ არის გამორიცხული პორტარული ჰიპერტენზიაც (კარის ვენაში წნევის მატება).

დიაგნოზი ისმება კლინიკური სურათის მიხედვით. მარტივი ომფალიტის დიფერენცირება უნდა მოხდეს ჭიპის თანდაყოლილ ფისტულასთან, ჭიპის კალცინოზთან; ხოლო ფლეგმონურის და ნეკროზულის კი — ახალშობილების შემთხვევაში ე.წ. ახალშობილთა ფლეგმონასთან, ხოლო მოზრდილებში — წითელ ქართან.

მკურნალობა. მარტივი ომფალიტის დროს, თავდაპირველად, საჭიროა, ჭიპის ჭრილის დამუშავება 3%-იანი წყალბადის ზეჟანგით; შემდეგ, იოდის 5%-ანი სპირტხსნარით ან 1-2%-იანი ბრილიანტის მწვანით. კარგ შედეგს იძლევა ჭიპზე ულტრაიისფერი დასხივებები. თუ აღინიშნება ჭიპზე სოკოს მსგავსი გამობერილობები, მაშინ მას წვავენ ლიაპისის ფანქრით; იშვიათად საჭირო ხდება ამ გამობერილობის ქირურგიული მოშორება. მარტივი ომფალიტის დროს ეფექტურია ვიტამინოთერაპია და ბიოსტიმულაცია. ჭიპზე საფენების დადება (რასაც ქალბატონი ნანა მიმართავდა) და გადახვევა არ შეიძლება, რადგან ეს შეაფერხებს ჭიპიდან გამონადენის გარეთ გამოყოფას.

მარტივი ომფალიტის მკურნალობა ამბულატორიულად და სახლის პირობებშიც არის შესაძლებელი, ფლეგმონური და ნეკროზული ომფალიტის კი — საავადმყოფოში. აქვე კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ომფალიტის ეს ფორმები მეტად იშვიათია, მაგრამ მისი მკურნალობის პრინციპს მაინც შევეხები. ადგილობრივად ჭიპი მუშავდება ისევე, როგორც მარტივი ომფალიტის დროს. აუცილებელია ანტიბიოტიკის დანიშვნა. ამისთვის საჭიროა გაკეთდეს ანტიბიოტიკოგრამა ანუ განისაზღვროს გამომწვევის მგრძნობელობა ანტიბიოტიკებისადმი. ანტიბიოტიკოგრამის პასუხის მიღებამდე პაციენტს ენიშნება ფართო სპექტრის ანტიბიოტიკები, მაგალითად, ამპიოქსი (ამპიცილინი + ოქსიცილინი) ან ცეპორინი, ან კეფზოლი. ახდენენ ორგანიზმის სტიმულაციას იმუნოგლობულინით, ავადმყოფს უსხამენ სისხლის პლაზმას, ინიშნება ვიტამინები და ა.შ. ინტოქსიკაციის შემთხვევაში, ვენაში უსხამენ (იდგმება წვეთოვანი) გლუკოზას, მარილოვან ხსნარებს, სისხლის შემცველებს (რეოპოლიგლუკინს), ალბუმინს, ანტისეპტიკურ ხსნარებს; სიმპტომატური მკურნალობის ჩატარება ხდება ინდივიდუალურად (საგულე საშუალებები, შარდმდენები, დამამშვიდებლები და სხვა).

პროგნოზი მარტივი ომფალიტის დროს კეთილსაიმედოა და სწორი მკურნალობის შემთხვევაში, ადვილად და სწრაფად იკურნება. ფლეგმონურ და ნეკროზულ ომფალიტს ახასიათებს გართულებები (რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ), თუმცა დროულ და ადეკვატურ მკურნალობას დადებითი შედეგი აქვს.

ომფალიტის პროფილაქტიკა გულისხმობს ჰიგიენის ზედმიწევნით დაცვას, რათა არ მოხდეს ინფექციის გარედან შეჭრა. ახალშობილებში ომფალიტის პროფილაქტიკა გულისხმობს ჩვილის ჭიპის დამუშავებას უბნის ექიმის მითითებების მიხედვით.

 აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად
ინტერნეტ მაღაზია
www.elva.ge
წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	I ეგზ. ფასი	6 თვე
1. ოჯახის მკურნალი	0.80	11.2
2. ЗДОРОВЬЕ	6.00	36.0
3. КАРДИОЛОГИЯ	14.00	84.0
4. КЛИНИЧЕСКАЯ МЕДИЦИНА	11.00	66.0
5. ЛЕКАРСТВЕННЫЕ ТРАВЫ	9.55	57.3
6. МЕДИЦИНА ТРУДА	14.00	84.0
7. МЕДИЦИНСКИЙ БИЗНЕС	50.95	305.6
8. НОВЫЕ ЛЕКАРСТВЕННЫЕ ПРЕПАРАТЫ	9.55	57.3

აგრეთვე ნებისმიერი სხვა
დასახელების ჟურნალ-გაზეთები

პრესის
გავრცელების
სააგენტო
„ელვასერვისი"
ქ. თბილისი
იოსებიძის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvirispalitra.com

რჩევები ხალხური მედიცინიდან

რევმატიული ტკივილების მოსახსნელად დაუზილეთ ავადმყოფს მტკივნეული ადგილი სპეციალურად დამზადებული სამკურნალო ნაყენით:

1/2 ჩ/ჭ სექტემბერში შეგროვილი გვირილის ყვავილი და ქერქი
1/2 ჩ/ჭ გეორგინის ფოთლები
1 ს/კ კესანეს ფოთლები
1 ს/კ წითელი მიხაკი
1 ს/კ მურყნის ქერქი
1 ჩ/კ ტირიფის ქერქი

ეს საშუალებები კარგად დააქუცმაცეთ, დაასხით 1 ჭიქა წყალი და გააჩერეთ მინიმუმ 2 კვირა.

თირკმლებიდან კენჭების უმტკივნეულოდ გამოსადევნად 200 გ მურყნის ქერქისა და 250 გ თაფლის ნარევი ადულეთ 10-15 წუთი, დაუმატეთ მცირეოდენი სოდა. მიიღეთ ყოველი კვების შემდეგ ნახევარ-ნახევარი ჭიქა ნაყენი. სასარგებლოა მარწყვიც თუ მას დღეში 6-ჯერ 200-200 გრამს მირთმევთ.

მეხსიერების დაქვეითების შემთხვევაში, 40 გ ნიორს დაასხით 100 გ არაყი ან სპირტი და მოათავსეთ თავდახურულ ჭურჭელში. გემოს მისაცემად შეგიძლიათ დაუმატოთ პიტნის წვეთები. ნაყენი მიიღეთ 10 წვეთის ოდენობით 2-3-ჯერ დღეში, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე.

ძახველის ნაყოფი მოთუთქეთ მდუღარე წყლით, შემდეგ გახეხეთ. მიღებულ მასას შეურიეთ იმავე რაოდენობის თაფლი. ერთი კვირის შემდეგ, გამრიელი წამალი მზად იქნება. მიირთვით უზმოზე ერთი ს/კ თაფლიანი ძახველი და ვიტამინების დღიური ნორმა მიღებული გექნებათ. ჰიპერტონიისკენ მიდრეკილი ადამიანები ძახველისადმი მომატებულ ინტერესს იჩენენ, ვისაც დაბალი წნევა აწუხებს, სიფრთხილეა საჭირო. მათ დღეში ერთ კოვზზე მეტი არ უნდა მიიღონ.

ყელის ტკივილის დროს და ხმის ჩახლეჩისას 1 ს/კ ძახველს დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი, შეფუთეთ და გააჩერეთ 2 საათი. ეს ნაყენი გამოსავლებად გამოიყენეთ ანგინის დროს, ხოლო თუ ხმა გაქვთ ჩახლეჩილი, დალიეთ 1 ს/კ 3-ჯერ დღეში.

ნერვული სისტემის დაავადებისას 250 გ ძახველი გახეხეთ, ნელ-ნელა დაასხით 3 ჭიქა მდუღარე წყალი და თან ურიეთ. გააჩერეთ 3 საათი, გადაწურეთ და მიიღეთ 1/2 ჭიქა 4-ჯერ დღეში, ჭამის წინ. განსაკუთრებით, ნევროლოგიური ხასიათის დაავადებებისა და დეპრესიის დროს. ეს საშუალება ეფექტურია მენსტრუაციის დროს ძლიერი სისხლდენის შესაჩერებლად.

უეცრად განვითარებული თავის ტკივილის დროს თუ ახალგამოწურულ ძახველის წვენს მიიღებთ, ეს ტკივილგამაყუჩებელზე არანაკლებ დაგიამებთ ტკივილს.

ჩანართი მათთვის, ვისაც სახლში პაპარა ჰყავს

პედიატრიული ჩანართი თქვენს ჟურნალში

შეკითხვები
პედიატრს

0-დან 1-მდე

ბავშვის
ფსიქოლოგია

როგორ
შევურჩიოთ
ბავშვს ფაფა

**შეაგროვე
და აკინძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



„უფლებამოსილი“ ქალიშვილი

მარინა ბაბუნაშვილი

თაობებს შორის ყოველთვის არსებობს დავის საგანი. უფროსს მიაჩნია, რომ უმცროსს რაღაც ეშლება და „ისეთი“ არ არის, როგორიც მას უნდა, რომ იყოს. უმცროსს კი უფროსის აზროვნება და შეხედულებები ძველმოდურად ეჩვენება...

„შვილი მშობლის საქმეში არ უნდა ჩაერიოს და საერთოდაც, იგი მშობლის საქციელზე პასუხს არ აგებს“, — ეს რომ ასეა, ახლალა დარწმუნდა თამარი, თორემ ადრე ასე სულაც არ ფიქრობდა — პირიქით, დედის სიკვდილის მერე საკუთარ თავზე აიღო მამაზე ზრუნვის პასუხისმგებლობა... რატომღაც ბევრს უფლება მისცა საკუთარ თავს. დარწმუნებული იყო, რომ მამის (უმცროს ძმაზე აღარ იყო ლაპარაკი) ყოველი ნაბიჯი უნდა სცოდნოდა.

თამარი გვიან მიხვდა, რომ მამასთან ტყუოდა. მასთან ინტერვიუ ორი წლის წინ ჩავწერე („იმედია, თქვენც მაპატიებთ“), თუმცა ჩემთვის ცნობილია მისი შემდგომი ცხოვრების შესახებაც. დროდადრო თავად მიზიარებდა ემოციებს და სიახლეზეც მიყვებოდა.

ამბავი პირველი

„ვოლაც ულბო“ მამის წართმევას მიბრალებდა“

მამა-შვილს შორის ბზარი იმ დღიდან გაჩნდა, როცა თამარმა აღმოაჩინა, რომ მამამ დედას „სხვა ქალი“ ჩაანაცვლა.

...12 წლამდე თამარი ერთადერთი შვილი იყო. მერე გაჩნდა ნიკა, რომლის მიმართაც პირველ ხანებში ძალიან ეჭვიანობდა, მაგრამ თანდათანობით ეს გრძნობა სიყვრულმა შეცვალა. დედის უეცარი სიკვდილის შემდეგ კი ნიკას მეორე დედა გახდა. მაშინ იგი 14 წლის გახლდათ, ნიკუშა კი — წლინახევრის. მამამ მომვლელი ქალი დაიქირავა, რათა გოგოს სწავლაში ხელი არ შეშლოდა. თამარი საოცრად მარჯვე და მზრუნველი გოგო აღმოჩნდა. ოჯახში ძირითადი საქმიანობა მაინც მას უწევდა. დედის სიკვდილის მერე უცებ დაქალდა, თითქოს წლები მოემატა. ისე მისცემდა ხოლმე მამას შენიშვნას, თითქოს ის იყო უფროსი, მამა კი — პატარა ბიჭი. მამა არ ბრაზდებოდა, პირიქით — ეღიმებოდა და ცდილობდა, მისი შენიშვნები გაეთვალისწინებინა.

ერთ საღამოს თამარმა შემთხვევით მოისმინა, როგორ უთანხმდებოდა მამა ერთ ქალს შეხვედრაზე. ეჭვებმა არ მოასვენა. ერთი სული ჰქონდა, სანამ გათენდებოდა, რათა მამას ჩუმად გაჰყოლოდა და ენახა ის ვიღაც „მტაცებელი“, რომელიც მამის წართმევას უპირებდა.

ამონარიდი წერილიდან: „...*მამა მანქანიდან გადმოვიდა. ქაშუეთის ეკლესიასთან გაჩერდა. საათს რამდენჯერმე დახედა. შორიახლოს დავდექი და ხეს ამოფარებული ვუთვალთვალებდი. ცოტა ხანში „ისიც“ მოვიდა. მამა მას ღიმილით შეეგება, აკოცა. მერე ქვემოთ, ბაღისკენ დაეშვნენ. სკამზე ჩამოსხდნენ. იმ ქალმა მხარზე თავი მიადო. ამის ატანა აღარ შემეძლო და ალქაჯივით მივუხტი: არ გრცხვენიათ, ყველას თვალწინ, საჯაროდ რომ ესიყვარულებით ერთმანეთს-მეთქი? ეს იმდენად მოულოდნელი იყო, რომ მამა ადგილზე შეხტა, ქალი კი გადაფითრდა და წამოდგა, აღარ იცოდა, წასულიყო თუ დარჩენილიყო. მოსეირე ხალხი ჩვენ ირგვლივ შეიყარა. მამამ ბოდიში მოუხადა ქალს, მე ხელი მომკიდა და ძალით ჩამტენა მანქანაში... შინ უარესად ავწიოკდი და რაც ხელთ მომხვდა, ყველაფერი დავამტვრიე. რომ ვერ გამაჩერა, ისე გამწარდა, რომ სილა დამაწნა. ამან მთლად გადამიყვანა ჭკუიდან... აივნიდან ვხტებოდი... მამამ დათმობა ამჯობინა“.*



ამ დღის მერე კიდევ უფრო გააძლიერა კონტროლი თამარმა. მამას ყოველ ნაბიჯს ისე უმოწმებდა, როგორც კაპასი ცოლი... გავიდა წლები. კაცმა მეორედ დაოჯახება სამუდამოდ გადაიფიქრა. არადა, თამარი რომ „ხანში შესულს“ ეძახდა, ის მხოლოდ 46 წლის იყო.

თამარი გვიან გათხოვდა. ნიკამ გაცილებით ადრე შეირთო ცოლი. ერთსაც და მეორესაც თავ-თავისი საზრუნავი გაუჩნდა. თამარი გვიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხვდა, რომ მამასთან ტყუოდა. მისი ბრალი იყო, მამა სიბერის წლებს მარტო რომ ატარებდა და გვერდით არ ჰყავდა სასურველი ადამიანი — ის, ვინც თურმე მთელი ცხოვრება უყვარდა.

ამბავი მეორე

უნიბლიე დამნაშავე

მამის გარდაცვალების შემდეგ თამარი სინანულმა შეიპყრო. სწორედ მაშინ მოვიდა ჩემთან და ყველაფერი გულახდილად მიამბო. ვერ მოისვენა, სანამ ის ქალი (მასაც თამარი რქმევია და თურმე, სწორედ მის პატივსაცემად დაურქმევია შვილისთვის ეს სახელი) არ ნახა და პატიება არ სთხოვა. რა თქმა უნდა, ქალმა შეუნდო. მერე კი წარსულის შესახებაც უამბო...

თამარს და დავითს ბავშვობიდან ჰყვარებიათ ერთმანეთი. ნინოშვილის ქუჩაზე, ერთ ეზოში იზრდებოდნენ. მერე, თამარის ოჯახი სხვა უბანში გადავიდა საცხოვრებლად. გოგონამ სკოლა გამოიცვალა. დავითი თითქმის ყოველდღე აკითხავდა. ერთ ზაფხულს, ბებიასთან ყოფნის დროს, თამარი 15 წლით უფროსმა კაცმა მოიტაცა. ძალიან ინერვიულეს მშობლებმა, მაგრამ ბებიამ დაამშვიდა: კარგი ოჯახი აქვთ, სიძეს თბილისშიც დიდი ბინა აქვს, ჩვენს გოგოს არაფერს მოაკლებენო და... ბებია შვილიშვილს არწმუნებდა: ასეთია ქალის ბედი — სამწუხაროდ, ჩვენ არ ვირჩევთ, ჩვენ გვირჩევენ, ქალები კი ბედს ვეგუებით; გავა დრო და შენც შეეჩვევი ქმარსო.

თამარი შეჩვევით შეეჩვია ქმარს, მაგრამ სიყვარულისა რა მოგახსენოთ?! მისი გული დავითს ეკუთვნოდა. თამარს ვაჟი შეეძინა. მეტი შვილის გაჩენაზე აღარ უფიქრია, რადგან მძიმე მშობიარობა ჰქონდა. გავიდა წლები და ის დაქვრივდა. რამდენიმე ხნის შემდეგ გაიგო, რომ დავითსაც აღარ ჰყავდა მეუღლე. ბედისწერამ კვლავ გადაკვეთა მათი გზები. ალბათ, შეუღლდებოდნენ კიდეც, რომ არა დავითის ქალიშვილი, მისი პატარა სეხნია, რომელიც გააფთრებული ცდილობდა, მამა „დაეცვა" და დედის ადგილი სხვა ქალს არ დაეკავებინა. დავითმა იმ ქუჩის ინციდენტის მერე გულდამდუღრულმა უთხრა თამარს: მთლად გაგიჟდა ეს გოგო, თავის მოკვლით მემუქრება, თუკი შენ გვერდით დამინახავსო. მიხვდა ქალი, რომ დავითს კარგა ხანია, სასწორის პინა ქალიშვილის სასარგებლოდ გადაეხარა და გაცლა ამჯობინა. თამართან დაშორება მძიმედ გადაიტანა დავითმა... დარჩენილი წლები მარტომ გაატარა და 66 წლის გარდაიცვალა.

თამარის ვაჟს დედით ბერძენი გოგო შეუყვარდა და ცოლადაც მოიყვანა. გოგოს დედამ, — აქაოდა, შვილი პატრონს ჩავაბარეო, ათენში, თავის ნათესავებთან წასვლა გადაწყვიტა (ქმარი ადრევე გარდაეცვალა). იქ მალევე მოიკიდა ფეხი და შვილს და სიძეს შემოუთვალა, თქვენც ჩამოდით, სულს მოგათქმევინებთო. თამარს მხოლოდ შვილიშვილები ახალისებდნენ. ნერვიულობდა, — ვაითუ, რძალმა შვილი გადაიბიროს და საბერძნეთში ბავშვებიანად გადასახლდნენო?! — მაგრამ არაფერს ამბობდა. საქართველოში ცხოვრება ჭირდა, თამარის ვაჟი ხან ერთ სამშენებლო ობიექტზე მუშაობდა, ხან მეორეზე, უმეტესად კი სამუშაოს გარეშე იყო. ამიტომაც თავს უფლებას ვერ აძლევდა, დარჩენა დაევალდებულებინა. ბოლოს, წასვლა მაინც გადაწყვიტეს. უმცროსი შვილიშვილი თამართან დატოვეს. დავითის ქალიშვილმა რახან დანაშაული მოინანია, მასთან სტუმრობას მოუხშირა. ადრე თუ ერთი ამბავი დააწია, ახლა ყურადღებას არ აკლებდა თამარს და მის 9 წლის შვილიშვილს. ერთხელ ცრემლი ვერ შეიკავა ქალმა და უმცროს თამარს უთხრა: მაშინაც ასე თბილად რომ მომქცეოდი, ახლა ხომ ერთად ვიქნებოდით მე და მამაშენიო?! მერე ადგა, გაცრეცილი წერილი გადასცა და სთხოვა, შინ რომ მიხვალ, წაიკითხე, ოღონდ, დამიბრუნე, რადგან დავითისგან ესღა დამრჩა ძვირფასა სახსოვრადო.

„თამარ, ისე უცებ წახვედი სოფელში, ხეირიანად დამშვიდობებაც ვერ მოვასწარი. დამიბარე, — წერილი მომწერეო. ჰოდა, გწერ, მაგრამ რა ვუყო იმ გაუნელებელ მონატრებას, რომელიც იმწუთშივე მეუფლება, დაგშორდები თუ არა? ასე როგორ შემაყვარე თავი, რომ ზოგჯერ სუნთქვაც კი მეძნელება უშენოდ?! ასე შეიძლება?! აგვისტომდე რა გამაძლებინებს? უნდა ჩამოვიდე და გნახო, თორემ ნამდვილად გავგიჟდები. მერე, როგორც შევთანხმდით, ერთად წავიდეთ ქობულეთში. ნუ დამიშლი, რა, მანდ ჩამოსვლას. მიყვარხარ და იცოდე, ამიერიდან ვეღარავინ დაგვაშორებს; ხელს ჩაგიდებ და სიცოცხლის ბოლომდე ერთად ვივლით. გკოცნი ბევრს. მელოდე, მალე ჩამოვალ. შენი დათო".

უმცროსი თამარი: *„ამ წერილმა ბევრი ცრემლი მაღვრევინა. ისედაც ვნანობდი ჩემს უწინდელ საქციელს, ამ წერილმა კი მთლად დამთრგუნა. რა უფლება მქონდა, მამისთვის დამეშალა, დედის სიკვდილის მერე თავისი პირადი ცხოვრება მოენყო?!. თამარი მაინც დაიყოლია შვილმა და 6 თვის წინ შვილიშვილთან ერთად საბერძნეთში გაემგზავრა. ახლა, ხანდახან მეხმიანება.*

მე კი, როცა მამის საფლავზე მივდივარ, ცხარე ცრემლებით ვთხოვ პატიებას." ●

ლიკვიდაციაში ძმა

ჩვენს რუბრიკაში გამოქვეყნებულ წერილს — „საქმრო, რომელიც ძმა აღმოჩნდა" ბევრი გამოხმაურება მოჰყვა. მონათხრობი ამბავი ბევრისთვის ნაცნობი აღმოჩნდა. სიმართლის დამალვას რომ სავალალო შედეგი შეიძლება მოჰყვეს, — ამაში ჩვენ მკითხველი ცალსახად გვეთანხმება. გამოგზავნილ წერილებს ქვემოთ შემოგთავაზებთ. ახლა კი იმ ქალბატონს მოვუსმინოთ, რომელიც ზემოთ ხსენებულმა წერილმა შეძრა და რედაქციაში, ჩემთან სასაუბროდ მოიყვანა.

— საშინელებაა, როცა ვილაც მთელი არსებით გიყვარს, ოცნებობ მასთან ყოფნაზე, შვილების გაჩენაზე და უცებ, დიდი ხნის დამალული სიმართლე მეხივით დაგატყდება თავს, — *მეუბნება* ***მერი ზარიძე*** *და წლების წინ მის ოჯახში დატრიალებული ტრაგედიის ამბავს მიყვება.*

— ზარიძე ჩემი ქმრის გვარია... ჩემთვის და ჩემი ოჯახისათვის ადრინდელი ამბავი დიდი ტრაგედიაა. თქვენმა მონათხრობმა გადამაწყვეტინა, ჩვენიც გამომემზეურებინა. ჩემმა უმცროსმა დამ სიკვდილს თვალებში ჩახედა. ძლივს გადავარჩინეთ. ეს არ მოხდებოდა, მამას სიმართლე თავის დროზე რომ ეთქვა.

— მამამ რამე დაგიმალათ?

— თუკი, თქვენი წერილის „გმირმა" არ იცოდა შვილის არსებობის შესახებ, მამაჩემმა იცოდა და საგულდაგულოდ მალავდა თავის წარსულს. როცა ყველაფერი გამოაშკარავდა, მწარედ ინანა, თუმცა თავისი საქციელი რომ გაემართლებინა, მაინც ერთსა და იმავეს იმეორებდა: „იმ" ქალთან ურთიერთობა დიდი შეცდომა იყოო.

— და მაინც, რა მოხდა?

— ჩემს უმცროს დას, ეკას და ლევანს ერთმანეთი შეუყვარდათ. ლევანი ჩვენი ნახევარძმა აღმოჩნდა.

— როდის გაიგეთ, რომ ლევანი თქვენი ძმა იყო?

— თავიდან გაიმბობთ... ეკამ პირველ კურსზე გაიცნო ლევანი. ის გეოლოგიურზე სწავლობდა, პირველს მე გამაცნო. რომ შეეხედე, უნებურად გავიფიქრე, — რა ძალიან ჰგვანან ერთმანეთს-მეთქი. ლევანმა თავისი ნამდვილი მამის გვარიც კი არ იცოდა, დედამისმა დაუმალა: მამაშენმა მიგვატოვა და რუსეთში წავიდაო, — უთქვამს ქალს შვილისთვის. ასე რომ, ლევანს მამის მოძებნის და გაცნობის სურ-

ვილიც კი არ გასჩენია. იგი დედის გვარზე იყო. დედამისს თავადის გვარი ჰქონდა და ლევანიც ამაყობდა ამით... ეკა და ლევანი სადაც წავიდოდნენ, მეც თან დავყავდი. ორი წლით უფროსი ვარ ეკაზე, მაგრამ მის სამეგობროში „უფროსად" და ზედმეტად არავინ მიმიჩნევდა. ისინი ძალიან ლამაზები, კარგები, ბედნიერები იყვნენ... მერე, დედამ სთხოვა ეკას, მოიყვანე და გამაცანი ეგ შენი ლევანიო. ისიც გვეწვია. დედასაც მოეწონა სასიძო.

— მამას არ ჰქონია ლევანის დედასთან ურთიერთობა ან შვილს არ ჰპატრონობდა?

— სამწუხაროდ — არა! მას შვილთან ურთიერთობა რომ ჰქონოდა, ის უბედურებაც ხომ არ მოხდებოდა?! მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ლევანის საწინააღმდეგო არაფერი გვქონდა, ერთ მშვენიერ დღეს, შეყვარებულებმა გაპარვა ამჯობინეს. რაღა თქმა უნდა, ვინერვიულეთ, მაგრამ ისე არა, როგორც უცნობი ან არასასურველი სასიძოს შემთხვევაში ხდება ხოლმე. მამაჩემმა იბობოქრა მხოლოდ და ისიც დავამშვიდეთ მე და დედამ, — ისეთი ბიჭია, ნამდვილად მოგეწონებათქო. ახალშეუღლებულები ხუთი დღის მერე ჩამოვიდნენ ბათუმიდან. ლევანისთვის ბებიას საკუთარი სახლი დაეტოვებინა სამტრედიის ქუჩაზე და იქ დაგვპატიჟეს. ყველანი წავედით: დედა, მამა, მე, ბიძა-ბიცოლა და მამიდა. ლევანის დედამ მამაჩვენი რომ დაინახა, იქვე ჩაიკეცა. ატყდა ერთი ამბავი. ყველაფერი გამოაშკარავდა. ლევანი სახლიდან გავარდა. ეკა ცუდად გახდა. ისეთი სიტუაცია იყო, ვერ აღგიწერთ. ახლა, იმ დღიდან დიდი დროა გასული და ამიტომაც ვახერხებ ამაზე ლაპარაკს, თორემ მაშინ ყველანი ცოცხალმკვდრები ვიყავით.

— ლევანის დედამ მაშინაც ვერაფერი იეჭვა, როცა სარძლოს გვარი გაიგო?

— საქმეც ის არის, რომ ვერაფერი იეჭვა, თორემ აქამდე ხომ არ მიიყვანდა მათ ურთიერთობას?! მას მართლა ეგონა, რომ მისი „ძველი სიყვარული" საქართველოში არ იმყოფებოდა. ორსულად იყო, როცა მიატოვა და მერე ერთხელაც აღარ მიუკითხავს. ბიჭის დაბადების შესახებ მეგობარმა გააგებინა და მასვე გაატანა წერილი ქალთან: „გილოცავ დედობას. ვწუხვარ, რომ ჩვენი ურთიერთობა არ გამოვიდა. მე ვტოვებ საქართველოს და აქედან შორს მივემგზავრები. ბედნიერებას გისურვებ. ედიშერი". აი, ეს წერილი დაუტოვა ქალს, რომელიც ერთ დროს უყვარდა და რომელიც მარტოობისთვის გაწირა. ისე გავმწარდი, მამაჩემის დანახვა აღარ მინდოდა. მისმა გაუთვალისწინებელმა საქციელმა და უგულობამ კინაღამ შვილები შეიწირა... ლევანი თავს იკლავდა თურმე — და შემირთავს ცოლად, რაღად მინდა სიცოცხლეო! ეკამ კი თავი მოიწამლა და ძლივს გადავრჩინეთ. მამაც არ იყო კარგ დღეში, მაგრამ მისთვის ვიღას ეცალა?! როცა ეკა ამ ქვეყნისკენ მოვაბრუნეთ, დედამ განქორწინება გადაწყვიტა. მამამ უთხრა, — რაც გინდა, ის ქენიო და ოჯახიდან წავიდა. წელიწადნახევარი სხვაგან ცხოვრობდა. მერე ნათესავმა გვითხრა, ძალიან ცუდად არის, კვდება და მიხედეთო. შემეცოდა, დედას ვთხოვე, მოვიყვანოთ-მეთქი. დამთანხმდა.

— ახლა რა მდგომარეობაა თქვენს ოჯახში?

— მამა ოთხი წლის წინ გარდაიცვალა. ეკა 1994 წელს გერმანიაში წავიდა და დღემდე იქ ცხოვრობს, გერმანელს გაჰყვა ცოლად, გოგონა ჰყავს. ლევანიც დაოჯახდა.

— გაქვთ ძმასთან ურთიერთობა?

— მე და ლევანს გვაქვს ურთიერთობა. ეკასთან კი ხმას ვერც ადრე ვიღებდი ძმაზე და ვერც ახლა ვეუბნები რაიმეს. ლევანსაც ასე ურჩევნია.

„ცოდვის შვილი მაინც ვიყავით"

ახლა კი იმ წერილებს შემოგთავაზებთ, რომლითაც მკითხველი გამოგვეხმაურა:

„...ვერ ვიტყვი, რომ ამ ამბავში მხოლოდ ერთია დამნაშავე. კაცის შეცდომა ისაა, რომ საყვარელ ადამიანს გული ატკინა და რთულ სიტუაციაში ზურგი შეაქცია; ქალს კი არ ეპატიება, წლების მანძილზე რომ მალავდა სიმართლეს. კიდევ კარგი, დროზე გამოაშკარავდა ყველაფერი, თორემ რამხელა ცოდვა დატრიალდებოდა, ძმას და რომ შეერთო ცოლად, ხომ წარმოგიდგენიათ?! **თბილისი"**.



„იცით, ჩვენს უბანშიც მოხდა მსგავსი ამბავი და ვაჟმა თავი მოიკლა. მისი სიკვდილი მამამ ვერ გადაიტანა და გული გაუსკდა. არც გოგონას უნდოდა სიცოცხლე, მაგრამ ახლობლები სდარაჯობდნენ დღე და ღამე და როგორღაც გადაატანინეს ეს საშინელი ელდა... ეს ტრაგედია არ მოხდებოდა, ქალ-ვაჟის მშობლებს რომ არ დაემალათ სიმართლე. **ნინო, ქიათურა"**.

„ერთი საოცარი ამბავი უნდა გიამბოთ, რომელიც თქვენმა წერილმა („საქმრო, რომელიც ძმა აღმოჩნდა") გამახსენა. მსგავსი ამბავი ჩემს სანაცნობოშიც დატრიალდა: გოგოს და ბიჭს ერთმანეთი შეუყვარდათ და მამა გვიან მიხვდა, რომ შვილის საცოლე მისი უკანონო შვილი იყო. ქალ-ვაჟი თავიდანვე ჩუმად ხვდებოდა ერთმანეთს და გოგო უკვე ორსულადაც გახლდათ, როცა ყველაფერი გამჟღავნდა. აქეთ მამა გახდა დასაბმელი, იქით იმ გოგოს დედა. უფროსებმა შვილებსაც გააგებინეს სიმართლე და გადაწყვიტეს, რომ ცოდვის შვილი არ უნდა დაბადებულიყო. ძალიან რთული სიტუაცია შეიქმნა. ერთ ცოდვას მეორე ემატებოდა და ამას ყველა უსაზღვროდ განიცდიდა. უცებ, ბიჭის დედამ ამოიდგა ენა — ქმარს განუცხადა, აქამდე გიმალავდი, ახლა კი უნდა გაგიმხილო, რომ ზურა (პირობითად ასე დავარქმევ) შენი შვილი არ არის; შენ რომ ხანგრძლივ მივლინებაში იყავი, შეცდი და ჩემს ძველ თაყვანისმცემელთან ურთიერთობა გავაბი; ზურა მისი შვილიაო. მოკლედ, სასწაული ამბავი დატრიალდა. ქმარი ცოლს გაშორდა, თუმცა 6 თვეში გული მოულბა და აპატია ცოლს ღალატი. რაც მთავარია, „ცოდვის" შვილი გადარჩა და ცოტა ხანში ამ ქვეყანას მოევლინა. გოგო და ბიჭი, რომლებსაც და-ძმა ეგონათ ერთმანეთი, ახლაც ერთად არიან და ძალიან ბედნიერად გრძნობენ თავს.

თქვენი **მუდმივი მკითხველი, თელავიდან"**.

ჟურნალისტს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელ: 899.27.25.61. ან ელფოსტით mbabunashvili@posta.ge

ჯონ ლენონის რთული ბავშვობა და ᲐᲨᲜᲐᲕᲘ ᲚᲘᲠᲘᲙᲐᲚᲘ

დასაწყისი იხ. „გზა“ №42

ჟურნალისტები, რომლებიც გასული საუკუნის 50-იან წლებში ჯონ ლენონზე სტატიებს წერდნენ, მხრებს იჩეჩდნენ, რადგან ვერ გაეგოთ, რა ხდებოდა მის თავს. მას რამდენიმე მდიდრული სახლი ჰქონდა (ერთ-ერთ მათგანში 100 ოთახზე მეტი იყო), მოსიყვარულე ცოლი და შვილი — ჯულიანიც ჰყავდა, მაგრამ გამუდმებით დეპრესიაში იყო. ლენონი ახალ ნაცნობობას გაურბოდა, ოჯახის წევრებს დიდი ხნის განმავლობაში ხმას არ სცემდა. 23 წლის ასაკში მან ცხოვრებისგან ყველაფერი მიიღო, რისი მიღებაც შესაძლებელია და საშინლად მოიწყინა. სულის სიღრმეში ჯონ ლენონი ისევ ის ბიჭი იყო — ლივერპულის ფსკერიდან, ოროსანი და ხულიგანი.

ჰამბურგში, ინგლისის საელჩოში მიღებაზე ლენონი საპატიო სტუმრებს უხეშად და უზრდელად მოექცა. თვით ელჩიც კი არ დაინდო.

ლენონს არაფერი ადარდებდა. ის დარწმუნებული იყო თავის ორიგინალურობაში და იცოდა, რომ სხვებს არ ჰგავდა.

ერთმა ჭკვიანმა ადამიანმა თქვა: „ბითლზი“ წარმატებას ხსნადი ყავასავით უყურებს. მათ ყველაფერი ერთბაშად უნდათ. ძალზე ახალგაზრდები გახდნენ ცნობილები, მდიდრები და სწორედ ამის გამო შეიშალნენ ჭკუიდან“. ეს სიტყვები, პირველ რიგში, ლენონს ეხებოდა. მან „ბითლზი“ იესოს მთელი სერიოზულობით შეადარა (სწორედ ამის გამო წაუხდა შთაბეჭდილება პირველად დევიდ ჩეპმენს და ლენონის სურათები კედლიდან ჩამოხსნა).

მან კეთილშობილი ოჯახის შვილი, სინტია ცოლად მას შემდეგ მოიყვანა, რაც გოგონა დაორსულდა. თუმცა, მასთან ერთად ცხოვრება მალე მოსწყინდა.

მას აღიზიანებდა ასოთახიანი სახლი, ჭკუიდან გადაჰყავდა მუსიკას... ის გრძნობდა, რომ „ბითლზის“ მეგობრობა ირღვეოდა: ოდესღაც ისინი ჩხუბობდნენ და კამათობდნენ, ოდესღაც ის ცდილობდა, პოლ მაკარტნისთვის დანგრეული ფურგონის საჭესთან დაჯდომა დაესწრო. ახლა კი ყველანი ძალიან ზრდილობიანები იყვნენ და ერთმანეთის აღარაფერი აინტერესებდათ. „ბითლზი“ თანდათან მდიდარი, ზრდილობიანი, კეთილშობილი ადამიანების ერთობლიობას ემსგავსებოდა, ჯონ ლენონს კი საკუთარი თავის დაკარგვა არ სურდა.

მის ცხოვრებაში სწორედ ამ დროს გამოჩნდა იოკო ონო. ის არისტოკრატიული ოჯახიდან იყო. იოკოს მამა იაპონიაში ერთ-ერთი უმსხვილესი ბანკის მფლობელი გახლდათ, დედა კი — კეთილშობილი გვარის წარმომადგენელი. ლენონს კითხვა ჭირივით სძულდა, იოკოს განუყრელი თანამგზავრი კი წიგნი იყო. მას დამთავრებული ჰქონდა ამერიკის ერთ-ერთი საუკეთესო კოლეჯი და თანამედროვე ხელოვნების შესწავლით იყო დაკავებული. იოკო ჯონზე 7 წლით უფროსი იყო და 2-ჯერ გათხოვებაც მოესწრო. შინ მას პატარა გოგონა ჰყავდა. ლენონი ისეთ ქალებთან ურთიერთობას იყო მიჩვეული, რომლებიც მის ბრძანებებს უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ. იოკო კი ხისტი აღმოჩნდა. მას ფიქრიც კი არ უნდოდა იმაზე, რომ იაპონელ ქალს მამაკაცისთვის თვალებში შეხედვისა და შინიდან გამცილებლის გარეშე გასვლის უფლება არ ჰქონდა. მათგან შესანიშნავი წყვილი დადგებოდა. ჯონმა როგორც იქნა, ისეთი ქალი იპოვა, რომელთანაც თავს კარგად გრძნობდა.

ჯონს თავი ყოველთვის მაგარ ბიჭად მიაჩნდა, მაგრამ ამჯერად როლები შეიცვალა.

მათ ერთმანეთი იოკოს აბსტრაქტული სკულპტურების გამოფენაზე გაიცნეს. უბრალო ლივერპულელი ბიჭისთვის უსაგნო კომპოზიციების აღქმა რთული აღმოჩნდა.

როდესაც გამოფენის შესახებ ცოლს უყვებოდა, მან ვერნისაჟს „უაზრო ნალექი“ უწოდა. იოკომ კი თავის დღიურში ჩაწერა: „გამოჩნდა ადამიანი, რომელსაც სიამოვნებით შევიყვარებდი“.

ამის შემდეგ ლენონი გამუდმებით იღებდა ღია ბარათებს, მოკლე წარწერით: „იცეკვე“, „ისუნთქე“, „უყურე ცეცხლს ალიონამდე“...

იოკო ხშირად ურეკავდა მას და სოციალურ უსამართლობაზე, ავანგარდულ ხელოვნებაში წარმოქმნილ სირთულეებსა და დროის ამაოებაზე გრძელ მონილოგს წარმოთქვამდა ხოლმე.

ლენონი დიდი გულისყურით უსმენდა. მას სჭირდებოდა ისეთი ადამიანი, ვისაც უშიშრად გაჰყვებოდა.

რამდენიმე წლით ადრე, მას მისტიკის შესწავლა მოუნდა და ინდოეთში, თაღლით მისტიკოსთან, ინდუს მახარიშისთან გაემგზავრა, მაგრამ მედიტაციის შესწავლა მალე მოსწყინდა, მასწავლებელს უხამსი სიტყვების კორიანტელი დააყარა და ინგლისში დაბრუნდა. იოკოსთან ყველაფერი სხვაგვარად იყო: ის კარგი მო-

საუბრე და სექსის საუკეთესო მცოდნე გახლდათ. ლენონს თავგზა აებნა და გადაწყვიტა, რომ ახალგაზრდა მხატვარს მისი რჩევები და საყრდენად, მამაკაცის ძლიერი ზურგი სჭირდებოდა. ის გაშორდა დამწუხრებულ სინტიას, შვილს „სიმთვრალეში ჩასახული“ უწოდა და იოკოსთან წავიდა. ამის შემდეგ გადაწყვიტა, ანსამბლის ყველა წევრი იაპონური კულტურისთვის ეზიარებინა და განაწყენდა, როდესაც მათგან უარი მიიღო.

„ბითლზს“ ქალების მიმართ სხვა მოთხოვნები ჰქონდა. მიიჩნევდნენ, რომ ქალის ადგილი ლოგინში, სამზარეულოსა და შვილების ოთახშია და არა — სტუდიაში. „ამ სულელმა ლენონმა კი თავისი სულელი იაპონელი მოათრია და უფლება მისცა, მათთვის სიმღერა ესწავლებინა“.

იოკოს მუსიკის არაფერი გაეგებოდა, რაც ანსამბლის წევრებს აცოფებდა. თითქმის ყველა მათგანს ცოლთან უთანხმოება ჰქონდა და დღე-დღეზე გაყრას აპირებდა, მათ თვალწინ კი ასეთი სასიყვარულო, იდილიური ურთიერთობა ვითარდებოდა. ამას ანსამბლის წევრებს შორის ფინანსური უთანხმოება დაემატა, რის გამოც „ბითლზის“ დღეები უკვე დათვლილი იყო.

პროდიუსერი, ბრაიან ეპსტაინი, რომელმაც „ბითლზი“ მსოფლიოში პირველ როკანსამბლად აქცია, გარდაიცვალა. საჭირო გახდა ანსამბლის ჩახლართულ საქმეებში გარკვევა. იოკომ და ლენონმა ამ საქმისთვის თავიანთი ბუღალტრის კანდიდატურა დააყენეს, დარჩენილმა სამეულმა თავისი კანდიდატურა წამოაყენა. ამას ხმაურიანი სკანდალი მოჰყვა. ზრდასრული „ბითლზი“ ისეთივე მონდომებით იბრძოდა სასამართლოში, როგორც ოდესღაც — ბავშვობისას ჩხუბობდნენ. მათი მილიონები, რომელიც საერთო ანგარიშზე იდო, გაიყინა. ჯონსა და იოკოს თავად მოუწიათ ფულის შოვნამ. ამას ისინი არ შეუშინებია, რადგან ლენონის სახელი თავისთავად ოქროს ბადებდა. რასაც ხელს მოჰკიდებდა, ყველაფერს კარგი შემოსავალი მოჰქონდა. ასე დაიწყო იოკო ონოსა და ჯონ ლენონის ავანგარდული, ხანგრძლივი, სკანდალური, პოლიტიზებული, ავანტიურული რომანივით საინტერესო ეპოპეა.

ისინი „სექსუალურ აჯანყებებს“ აწყობდნენ. თვეობით იწვნენ ლოგინში და მსოფლიო პრობლემებზე საუბრობდნენ.

ახალი ფირფიტისთვის — „ორი უდანაშაულო“, ჯონიმ და იოკომ სურათები შიშვლებმა გადაიღეს.

სიცოცხლე მიმზიდველი გახდა: პროგრესული საზოგადოება ლენონს ხელისგულზე ატარებდა. მის მიერ დაწერილი სიმღერები გაცილებით უარესი იყო, ვიდრე „ბითლზის“ ადრინდელი რეპერტუარი, მაგრამ ფანატებს ეს არ ადარდებდათ. მარკ დევიდ ჩეპმენმა, ერთ-ერთმა მისმა თაყვანისმცემელმა, შიზოფრენიისგან განკურნების კურსი ჩაიტარა, თავისი კერპი კვლავ იწამა და მის მაგალითს მიჰბაძა — იაპონელზე დაქორწინდა. მეგობარმა ბითლომანებმა სწორედ მაშინ აჩუქეს 45-კალიბრიანი სამხედრო „კოლტი“.

ლენონის თაყვანისმცემლები კერპის ერთგულნი დარჩნენ, რის გამოც ლენონი „ბითლზის“ გამო არ ღელავდა. იოკოსთან თავს კარგად გრძნობდა — ერთსულ და ერთხორც და მისი ნოტაციები სულაც არ აღიზიანებდა. რაც უნდა მომხ-

როგორი მინდა, რომ იყოს გზავნილები

• „გზავნილები“ სწორედ ისეთია, როგორიც უნდა იყოს. მოგიწოდებთ სიმშვიდისაკენ. იქ, სადაც ინტრიგა არაა, საინტერესოც არაფერია. ამიტომაც ვკითხულობ „გზავნილებს“. ჩხუბი, კამათი, ლანძღვა, ლაქუცი, სიკეთე, ბოროტება ერთადაა თავმოყრილი. მე თუ მკითხავთ, სეირს არაფერი სჯობს. ძალიან მაგარი ამბებია. სუპერ! უსკო.

• „გზავნილები“ რომ ორიგინალურია, ეგ უკვე ახალი ამბავი აღარ არის, მაგრამ ახლა ორიგინალური ნიკებით გვაოცებენ მგზავნელები. თუ ასე გავაგრძელებთ და ერთმანეთს გავეჯიბრებით, მალე გვეყოლებიან მგზავნელები ახალი ნიკებით — რას გვიშვრება ეს პუტინი; ბუში ჩემი ძმაა; რომ გადახვალ, გამიჩერე; ნატომდე კიდევ შორია. მე კიდევ, შევიცვალი ნიკს და თაისის ნაცვლად ვიქნები გმადლობთ, მარ, არასდროს რომ არ მბლოკავ. ჯერჯერობით! თაისი.

• მინდა, ყოველთვის სიყვარული და სიმშვიდე იყოს „გზავნილებში“ და კიდევ — არც ერთი „გზა“ ლუნას გზავნილის გარეშე! მე მიყვარს „გზავნილები“ და ეს სურამელებმა კარგად იციან. მე ხომ ყოველ ხუთშაბათს „გზით“ ხელში მხედავენ. მე ისეთი მომწონს „გზავნილები“, როგორიც არის.

• „გზავნილები“ მინდა იყოს ტვინით დაავადებულებისგან თავისუფალი.

• უბრალოდ, მინდა, რომ „გზავნილები“ მუდამ იყოს.

• ძალიან მინდა, რომ „გზავნილებში“ ყველას მესიჯი დაიბეჭდოს, მაგრამ სადაა? თუ დაბეჭდეთ, იმაშიც სიტყვებს ასწორებთ. **EKO BOY.**

• ძველი „გზავნილები“ მინდა, თბილი და მეგობრული, ბოლმისა და შურის გარეშე. მინდა კანიბალკა, ლეო, პავლიკა, ნელკა, სესი, ნინო-მილანი, მაესტრო, ლიმონა, მე და ძველები. ეშმაკუნა.

• ეჰ, როგორი მინდა და, რა თქმა უნდა, ისეთი, როგორიც ადრე იყო. მინდა იყოს „ფერადი“, მზესავით თბილი და ბევრი, ბევრი სიყვარული სუფევდეს. განა ბევრს ვითხოვ? GREEN GIRL.

• როგორი მინდა იყოს „გზავნილები“ და ისეთი, როგორიც არის! არაფერს შევცვლიდი გარდა იმისა, რომ 32 გვერდის ნაცვლად 32 000-გვერდიანად ვაქცევდი. ყველანი მაგრები ვართ, მგზავნელებიც და რა თქმა უნდა, მარიც. ლედი.

• ისეთი, როგორიც იყო ძველებული „გზავნილები“ ანუ სიყვარულითა და მეგობრობით სავსე. **P.S.** მარი, გვეშველება რამე? ნიკოლი.



დარიყო, ლენონს მასზე გაბრაზება არ შეეძლო. მის გარეშე სამყარო შავ-თეთრად ეჩვენებოდა.

როდესაც იოკოს მუცელი მოეშალა, ლენონმა ღამე საავადმყოფოში, იატაკზე მწოლიარემ გაუთენა.

XX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში ვიეტნამის ომის მონაწილეებმა თავისი ორდენები კონგრესის შენობის კიბეებთან დატოვეს. კონფორმისტი ლენონის კონცერტმა უამრავ ადამიანს მოუყარა თავი. მას რევოლუციონერობა სურდა. მის მიერ იოკოზე შექმნილმა სიმღერამ ქალების მოწონება დაიმსახურა. პრეზიდენტ ნიქსონის ადმინისტრაცია მას მტრად მიიჩნევდა, რაც ძალზე არასასიამოვნო იყო. მორიგი საარჩევნო ციებ-ცხელება იწყებოდა და ყველამ იცოდა, რომ ლენონი მორიგი, ომის საწინააღმდეგო ტურნეს ჩატარებას აპირებდა. ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ ეს ანტისაპრეზიდენტო ტურნე იქნებოდა. ლენონის სიმღერები ნიქსონს რამდენიმე ათას დაკარგულ ხმად დაუჯდებოდა. მომღერლისა და მისი მეუღლის წინააღმდეგ საქმე წამოიწყეს, რომელიც მათ დეპორტაციას ითვალისწინებდა. ისინი ისე ცხოვრობდნენ, როგორც სამოთხეში. დღეში რამდენჯერმე სექსი ჰქონდათ, შემდეგ კი თავის „ბუნაგში" შიშვლები დადიოდნენ, ცნობილ ტერორისტებთან მეგობრობდნენ და ცდილობდნენ, იოკოს გოგონა მისი ყოფილი ქმრისთვის წაერთმიათ. ახლა ეს ყველაფერი უნდა მიეტოვებინათ და ცოლ-ქმარს დაემტკიცებინა, რომ კანონმორჩილი ამერიკელები იყვნენ.

იოკო მოხერხებული ქალი იყო და ამ სიტუაციიდან თავის დაძვრენა მოახერხა. დაიქირავა საუკეთესო ადვოკატები. დაიწყო უსასრულო სასამართლო პროცესები. ლენონი მონაწილეობდა საქველმოქმედო კონცერტებში. მან სმოკინგი შეიძინა და ჰალსტუხის განასკვაც ისწავლა. თმა დაივარცხნა და ახლა კეთილად უღიმოდა მათ, ვისაც ადრე დასანახავად ვერ იტანდა.

„კარნეგი-ჰოლში" გამართული ერთ-ერთი საქველმოქმედო კონცერტის შემდეგ მას რამდენიმე ათასი ადამიანი ტაშით აჯილდოებდა და ყვიროდა: „გაუმარჯოს „ბითლზს". შინ მან ნამდვილი სკანდალი მოაწყო — „ბითლზი" წარსულს ჩაბარდა! — ყვიროდა ის, — ისინი აღარ არიან, მე კი კვლავ ვარსებობ!"

დიდი ხნის წინ დაშლილი ანსამბლი ხალხს კვლავ ახსოვდა, ხოლო ჯონ ლენონის სიმღერები ჰიტპარადის ბოლო ადგილებს იკავებდა.

მალე ამას თავად ლენონიც მიხვდა. ვიღაცას პასუხი უნდა ეგო იმის გამო, რაც მას თავს დაატყდა — მან იოკო შეიძულა. იცოდა, იოკო მასზე ძლიერი იყო და ფიქრობდა, რომ მან ყველაფერი საგანგებოდ მოაწყო. მას შემდეგ, რაც სასამართლომ განაჩენი გამოიტანა და იოკოს ამერიკაში დარჩენის უფლება მისცა, ხოლო ლენონს 60 დღის განმავლობაში ქვეყნის დატოვება უბრძანა, ეს ეჭვი გაუღრმავდა. ლენონის ადვოკატმა განაჩენი გაასაჩივრა და პროცესი კიდევ 1 წელი გაიწელა. სასამართლო შეუვალი იყო — ლენონს ქვეყნის დატოვება უბრძანა. იმ საღამოს ჯონ ლენონის სახლში მეგობრები შეიკრიბნენ და გამოსამშვიდობებელი საღამო მოაწყვეს. ლენონი დათვრა და ერთ-ერთ სტუმარს, ქერა გოგონას თვალი დაადგა, ხელკავი გამოსდო და გვერდითა ოთახში გაიყვანა. იოკო ონო თავის მამაკაცებს არაფერს აპატიებდა — მისთვის ჯონი აღარ არსებობდა. მეორე დილით ქმარს მშვიდად უთხრა, რომ მათ ერთმანეთისგან დასვენება სჭირდებოდათ. ატირებული ლენონი იოკოს მდივან გოგონასთან, მეი პენგთან (რომელსაც ჯონ ლენონი სიგიჟემდე უყვარდა) ერთად ჰოლივუდში გაფრინდა. მალე გარშემო მყოფებმა ძველებურად აგრესიული და უზრდელი ჯონ ლენონი იხილეს. მეი პენგი ღმერთს მადლობას სწირავდა, ჯონ ლენონის საწოლში რომ მოხვდა. ასე გავიდა ნახევარი წელი — სმა, ღრეობა, თავაშვებული სექსი, მაღალი წრის შეხვედრები... ის ჰოლივუდის ვარსკვლავების სასურველი სტუმარი იყო, შინ კი მორიდებული მერი პენგი ელოდა. მან კვლავ დაიწყო კარგი სიმღერების წერა და ფულს ძველებურად, იოლად შოულობდა. თუმცა, ეს არ ახარებდა და იოკოს გახსენებისას „შავი მელანქოლია" იპყრობდა ხოლმე. ერთხელ, ნიუ-იორკში, კონცერტზე მან იოკო შენიშნა. ერთმანეთისკენ უხილავი ძალა ეწეოდათ. ამის შემდეგ აღარ დაშორებულან. ჯონი მთლიანად შეიცვალა, საუკეთესო ქმრად იქცა, სიმღერების წერა შეწყვიტა და მთელი თავისუფალი დრო შვილსა და ცოლს დაუთმო. ამ დროისთვის „ბითლზის" წევრებმა სასამართლო პროცესები შეწყვიტეს და მათ ანგარიშებზე შეზღუდვა მოხსნეს. ჯონ ლენონს 150 მილიონი დოლარი შეხვდა.

1980 წლის დეკემბერში მარკ დევიდ ჩეპმენმა წაიკითხა გაზეთში გამოქვეყნებული სტატია, სადაც ჟურნალისტი წერდა, რომ მომღერალ ჯონ ლენონს ეძებდა და მილიონერ ბიზნესმენს მიაგნო. მან გადაწყვიტა, რომ მისი ღმერთი ყალბი აღმოჩნდა.

8 დეკემბერს ლენონი შინიდან გავიდა. მას არ მიუქცევია ყურადღება იმ ადამიანისთვის, რომელიც მის შესახვედრად გამოემართა. მან დაუძახა, ერთი ხელი აღმართა, მეორე ხელით ქამრიდან „კოლტი" ამოიღო და ესროლა. ეს ყველაფერი რამდენიმე წამში მოხდა. ●

ფოტოკურიოზები ქართული სინამდვილიდან

რეკლამა საკუთარი პროდუქციის გასაღების საუკეთესო საშუალებაა. კარგად გაკეთებული რეკლამა — კარგად გაკეთებული ბიზნესია. ავეჯის საამქროს მშვენიერი რეკლამა მოუფიქრებია და როგორც კი ამ ტრაფარეტს დაინახავ, მაშინვე გიჩნდება სურვილი, შენი სახლი „კუხნაკამოდითა“ და „კარადამაგიდით“ შეავსო. ეს რა სახის ავეჯია, ვერ გეტყვით, ისევე, როგორც არ ვიცი, რა ცხოველია „ზვიანგი“ ან „აქლემოპარდი“, მაგრამ გპირდებით, აუცილებლად დავამზადებინებ და თქვენც შეგატყობინებთ.

შემდეგ ფოტოზე ფიროსმანის ქუჩაა გადაღებული. ერთ-ერთ კორპუსზე ძველი, „კომუნისტების“ დროინდელი ფრაზაა შემორჩენილი — Берегите от пожара жилища. კარგი იქნებოდა, აგვისტოს ომამდე რუსების სარდალს ჯერ აქ გამოევლო, თავისი „წინაპრების“ მოწოდებისთვის თვალი შეევლო და იქნებ ამდენ ხანძარსაც გადავრჩებოდით და ეს „რეკლამაც“ თავის საქმეს გააკეთებდა.



თაგვები გყავთ? ვირთხები? კოღოები და ტარაკნები? წარმომიდგენია, რა დღეში იქნებით. საწამლავით უნდა შეიარაღდეთ და პარაზიტებს დაერიოთ, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ თურმე პარლამენტი ახალი კანონის მიღებას აპირებს, რომლის მიხედვითაც თაგვის მოკვლა აგეკრძალებათ. და საერთოდ, თუ თქვენს სახლში მცხოვრებ თაგვს თავი წამოსტკივდება, შემთხვევით ფეხს იღრძობს ან მეზობლის კატა კლანჭს გაჰკრავს, საქმე ცუდად გექნებათ. ამიტომ, ჯობს თქვენს თაგვებს ნომრიანი სათვალე უყიდოთ და მოუფრთხილდეთ.

ეს ვირი შუა ქალაქში დასეირნობს და თავისი საკვების დამზადებაში დიდი წვლილი შეაქვს. ხედავთ, როგორ მორჩილად დგას და ელის, პატრონი მოთიბული ბალახით როდის დატვირთავს? ჰოდა, მაგას თავი ქუდში აქვს. თქვენ თუ მოიმარაგეთ ზამთრისთვის ლობიო და სიმინდის ფქვილი?

ეშმაკის მოქიქები

დასაწყისი — „გზა", №38-42

მარი ХАФАРИДЗЕ

ნიცა სახლთან ჩამოვსვი და შინისაკენ გავემართე. ბიჭებს უკვე ეძინათ.

სასმელი გამონელებას იწყებდა და სხეულში მტეხდა.

მოვითენთე.

ახლა ამ ყველაფერზე ნაბახუსევი გონებით ვფიქრობ და მეჩვენება, რომ სიზმარში ვნახე.

2 საათში იმ კაცს უნდა შევხვედროდი, ვისაც ყაჩაღების ვინაობა უნდა ეთქვა.

ამ კაცის სახელს ვერ ვიხსენებ.

ალბათ მითხრა და დამავიწყდა. შესაძლოა, არც უთქვამს...

ახალი თავსატეხი გამიჩნდა და რაც შეიძლება, მალე უნდა მოვაბა ამ ყველაფერს თავი.

ბიჭებისთვის არაფერი მითქვამს. ჯერ კიდევ ეძინათ, როდესაც სახლის კარი გამოვიხურე და წამოვედი.

შეხვედრის ადგილი ქალაქგარეთ იყო. კარგა ხანი მჭირდებოდა იქ მისასვლელად.

დრო საკმარისად მქონდა და არ ვჩქარობდი.

ერთმანეთს ჩემს სახლში უნდა შევხვედროდით. ორსართულიანი, ლამაზი სახლი 3 წლის წინ ვიყიდე, მაგრამ სულ რამდენჯერმე ვარ ნამყოფი. ეზოში შესულმა თავი ქოლგასავით გაშლილ ვაშლის ხეს შევაფარე და ლოდინი დავიწყე.

რამდენიმე წუთის შემდეგ სახლს მანქანამ ჩაუარა. მერე უკან მობრუნდა და ჭიშკართან შეჩერდა.

ის იყო.

ახლა სახელს აუცილებლად ვკითხავ.

მანქანა ჭიშკართან დატოვა, თვითონ ფეხაკრეფით შემოიპარა ეზოში.

— რა გქვია? — უკნიდან მივუახლოვდი და ლამის ყურში ჩავძახე.

— რე-რეზო, — შიშისგან შეხტა და ადგილზე გაქვავდა.

— რერეზო, ახლა აქ ჩვენ გარდა არავინაა და შეგიძლია, თავისუფლად მელაპარაკო. თქვი, ვინ არიან ის უბედურები?

— ფულზე არ მოგვილაპარაკებია, ხომ ვთქვით, რომ ჯერ ფული უნდა მომცე?! — აშკარად ტყუოდა ეს ძაღლიშვილი.

ხელი პერანგის საყელოში ჩავავლე და ხეზე ზურგით მივაყუდე.

— შენ რა, გგონია, რომ ჩვენი გუშინდელი ლაპარაკი არ მახსოვს?

თვალები საცოდავად დაჭყიტა და კიბორჩხალასავით გაწითლდა. შემეცოდა და ხელი გავუშვი.

როგორც იქნა, ადამიანური ფერი დაუბრუნდა და ხმა ამოიღო:

— მე ადრეც ვიცოდი, ვინ იყვნენ ის ყაჩაღები, შენი მშობლები რომ მოკლეს. მაშინვე ვიცოდი, 2 წლის წინ, მაგრამ არ გავამხილე, რადგან ისიც ვიცოდი, რა დღეც ელოდათ. ახლა კი ფული მჭირდება, ძალიან მჭირდება და ამიტომ გადავწყვიტე შენი მოძებნა.

— ისე რაში დაგჭირდა ფული, რომ შენახული საიდუმლოს გათქმა გადაწყვიტე?

— ავად ვარ...

— მერე?

— უკურნებელი სენით ვარ დაავადებული და მინდა, ფული ჩემს შვილებს დავუტოვო. აქამდე მე ვიყავი მათი მარჩენალი. დიდი-დიდი, 1 წელი ვიცოცხლო და მერე რა ეშველებათ?

შემეცოდა ეს კაცი.

— ექიმებმა გითხრეს, რომ საშველი არ არის?

— კი, — თავი ჩაღუნა.

— კარგი, — უცებ მოვლბი, — ფულს რამდენიმე დღეში მიიღებ. ახლა თქვი, ვინ არიან და საიდან იცი, რომ ნამდვილად მათი გაკეთებულია ეგ საქმე.

— დათო ხომ იცი, ხარბედაშვილებს ნაშვილები რომ ჰყავდათ...

— ჰო, მერე?

— ერთი ეგ იყო, მეორე — მაგასთან რომ მაღალი ბიჭი ძმაკაცობდა, იმასაც დათო ერქვა, ქერათმიანი, ლამაზი ბიჭი იყო, გახსოვს?

— ჰო, მახსოვს...

— მაგის გვარი არ ვიცი. მესამეც იყო მაგათთან ერთად, მაგრამ იმ მესამეს ვინაობა ვერ გავიგე.

— ეს ყველაფერი საიდან იცი?

— შენი სახლიდან წამოღებული ნივთები მათ მიიტანეს ჩემს ნათესავთან გასაყიდად. ეგ ორნი მივიდნენ, მესამე თვალით არ მინახავს. შენთან სახლში ბევრჯერ ვარ ნამყოფი, შენ მაშინ ბავშვი იყავი და შეიძლება, არ გახსოვარ, მაგრამ სამაგიეროდ, მე მახსოვს, რომ შენს მშობლებს უამრავი ძვირფასი ნივთი ჰქონდათ და ის ნივთებიც კარგად მახსოვს. ჰოდა, ამ ბიჭებმა მოპარული ნივთები გასასაღებლად რომ მიიტანეს, მე შემთხვევით აღმოვჩნდი იქ. ის ჩემი ნათესავი მაგ საქმეზე მუშაობდა. ნივთებში ფულს

მაშინვე იხდიდა ხოლმე, მერე კი ძვირად ყიდდა. ყველა მომპარავმა იცოდა და ნაქურდალი სულ იმასთან მიჰქონდათ, უცებ იცლიდნენ ხელს.

— გასაგებია, — ჩავილაპარაკე.

— შენ და დათო მეგობრები იყავით, არა?

— ჰო, ვიყავით... ახლა სად არის, ხომ არ იცი?

— თბილისში აღარ ჩანს, ამბობენ, რუსეთში გადაიხვეწაო. რას გაიგებ?!

— გავიგებ, მიწიდან ამოვთხრი... წავედით, — მოკლედ მოვჭერი.

რეზო ისე წავიდა, ფული აღარ უხსენებია. მისი მანქანა თვალს რომ მიეფარა, მას მერე დავტოვე იქაურობა და წამოვედი.

ნიცა გამახსენდა, მაგრამ აქ ტელეფონი არსად იყო, რომ მომეკითხა. ქალაქში ჩასვლამდე ვერაფერს გავხდებოდი. იქამდე კი მთელი 2 საათის სავალი იყო. სოფელს რომ გასცდები, მერე გზა ტყეში გადის. ძალიან ლამაზი ადგილია. გრძნობ, რომ სუფთა ჰაერს სუნთქავ, რომელსაც არყის ხის სურნელი უხვად აქვს შერეული. აქ რომ ხარ, ამ უკაცრიელ გზაზე, სადაც ადამიანის ჭაჭანება არსადაა, თითქოს ყველაფერი გავიწყდება.

უეცრად, გზის პირზე რაღაც შევნიშნე. ძირს მწოლიარე ადამიანს ჰგავდა. მანქანა შორიახლოს გავაჩერე და ფეხით განვაგრძე გზა. მართალი აღმოვჩნდი. დასისხლიანებული, ტანსაცმელშემოხეული მამაკაცი პირქვე დამხობილიყო. გადმოვაბრუნე. ძლივს სუნთქავდა. ეტყობა, მანქანა დაეჯახა და მიატოვა. სასწრაფოდ დავბრუნდი მანქანასთან და ახლოს მივიყვანე. მერე მამაკაცს ხელები იღლიებში ამოვდე და მანქანამდე მივათრიე. კვნესოდა, მაგრამ თვალებს არ ახელდა. ვჩქარობდი, ეგებ საავადმყოფომდე ცოცხალი მიმეყვანა. ძლივს დავაწვინე უკანა სავარძელზე და ადგილიდან გიჟივით მოვწყდი.

თან დიდი სიჩქარით მივქროდი, თან უკან ვიყურებოდი. ჯერ კიდევ სუნთქავდა, სიკვდილს ებრძოდა. გახეთქილი თავიდან სისხლი მოსდიოდა და თვალები ევსებოდა. მეც ერთიანად მის სისხლში ვიყავი მოსვრილი. სალონში საშინელი სუნი დადგა.

როგორც იქნა, მივაღწიეთ საავადმყოფომდე. სირბილით შევვარდი მისაღებში.

— საკაცე, ჩქარა, საკაცე, — ავყვირდი, როგორც კი პირველივე თეთრხალათიანი დავინახე.

რამდენიმე წუთის შემდეგ კაცს ექიმი ადგა თავზე და სინჯავდა. გარეთ გამოვედი და ჭირისუფალივით კართან დავდექი.

ცოტა ხანში ექიმიც გამოვიდა.

— სად ნახეთ ეს კაცი?

— გზაზე ეგდო, კვდებოდა... გადარჩება?

— ახლა სასწრაფოდ საოპერაციოში უნდა შევიყვანოთ. ოთხივე კიდური — მოტეხილი და უამრავი მძიმე დაზიანება აქვს. გადარჩება თუ არა, ამას ჯერ ვერ გეტყვით. მის ნათესავებს ხომ არ იცნობთ?

— არა, — გავაქნიე თავი, — ალბათ სადმე მიდიოდა და მანქანა დაეჯახა, მძღოლმა კი მიატოვა. ექიმო, აი, ფული, — ჯიბიდან კუპიურების დასტა ამოვიღე და ექიმს ჯიბეში ჩავუტენე; უარი არ უთქვამს, — თუ ნათესავები არ გამოჩნდნენ და კიდევ რამე იქნება საჭირო, დამირეკეთ, ტელეფონის ნომერს დაგიტოვებთ.

— კარგი, დაგირეკავთ, — მითხრა და საოპერაციოსკენ წავიდა.

ვიდრე ოპერაცია არ დამთავრდა, იქიდან ფეხი არ მოვიცვალე. ექიმმა დამინახა თუ არა, მაშინვე ჩემკენ გამოემართა.

— შესაძლოა, გადარჩეს. რაღაც შანსი აქვს, რომ გამოძვრეს. ახლა ყველაფერი მხოლოდ ღმერთსა და მის ორგანიზმზეა დამოკიდებული. თუ გაუძლებს, გადარჩება.

ტელეფონის ნომერი ფურცელზე დავუწერე, ექიმს მადლობა გადავუხადე და იქაურობა დავტოვე.

თუ ეს კაცი გადარჩებოდა, ვერასოდეს გაიგებდა, ვინ ვიყავი, მაგრამ მე ხომ ერთი სიკეთე გავაკეთე? ხომ ვეცადე, გადამერჩინა?.. ვინ იცის, როგორ ელოდნენ შინ. პირადობის დამადასტურებელი საბუთიც კი არ ჰქონდა, რომ გამეგო, ვინ იყო და მისი ოჯახი მომეძებნა. თუ გადარჩა და ამნეზიაც არ დაემართა, რამდენიმე დღეში ალბათ ლაპარაკს დაიწყებს და ექიმს თავის ვინაობას ეტყვის.

„ვინაობაზე" გამახსენდა, რომ ძებნაში ვარ, მე კი ჩემი სახლის ტელეფონის ნომერი და სახელი და გვარი დავუტოვე ექიმს... რამ გამომაშტერა? ახლა შესაძლოა, ამ ამბით მილიცია დაინტერესდეს და მომძებნონ. გულში უსიამოვნოდ გამკრა. ჩემს თავზე გავბრაზდი. რომელი დედა ტერეზა მე ვარ, რომ თავი გამოვიდე? საავადმყოფომდე უნდა მიმეყვანა და დამეტოვებინა. ახლა ამას რით ვუშველი? რაც არის, არის, ჩავიქნიე ხელი.

შინ რომ მივედი, დღის 3 საათი იყო. ბიჭებს ისევ ეძინათ. ლამის გადავირიე. რა აძინებთ მთელი დღე? რომ არ გავაღვიძო, ისე გააგრძელებენ ძილს, ვერც გაიგებენ, რამდენი დღე ეძინათ გადაბმულად.

— არ მოგშივდათ? საჭმელად მაინც გაიღვიძეთ, — ვუსაყვედურე და ფარდები გადავწიე. ოთახი განათდა. ლევანი და ვალერი წამოიზლაზნნენ და ბუზღუნ-ბუზღუნით დაიწყეს ჩაცმა.

— სად იყავი? — მკითხა ლევანმა.

— სხვაგან, — ვუთხარი და ტელეფონს დავწვდი.

— ვიღაც გოგომ დაგირეკა, — საპირფარეშოდან გამომძახა ვალერიმ, — რომ მოვა, დამირეკოსო.

შარვლის ჯიბე მოვიჩხრიკე და ნიცას ნომერი მოვძებნე.

— ალოო, — ყურმილში ნაზი ხმა გაისმა.

— ნიცა, შენ ხარ?

— ჰო, მე ვარ, სად იყავი, რომ არ დამირეკე?

— დაიმახსოვრე, რომ კითხვებს — „სად იყავი", „სად მიდიხარ" და „როდის მოხვალ", ვერ ვიტან და საშინლად მაღიზიანებს. გასაგებია?

— კი, გასაგებია.

— ახლა ჩაიცვი და დამელოდე, მოვალ.

შინიდან გასულს კიბეზე 2 მილიციელი შემხვდა.

— 27-ე ბინა რომელ სართულზეა? — ჩემი ბინის ნომერი მკითხეს.

— არ ვიცი, მე აქ არ ვცხოვრობ, — მივაძახე და კიბეზე დავეშვი.

მანქანაში ჩავჯექი, მაგრამ ადგილიდან ფეხი არ მომიცვლია. იქნებ ბიჭებს დახმარება დასჭირვებოდათ? მილიციელები კარგა ხანს დარჩნენ და ის იყო, შეშფოთებულმა შინ ასვლა და სიტუაციაში გარკვევა გადავწყვიტე, რომ სადარბაზოდან გამოვიდნენ. დაველოდე, ვიდრე თვალს მიეფარებოდნენ და ისევ შინ ავედი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ქალებს დასაბამიერი ბიჭები და დაკარგული ქალწულობის „ფილისუფალი“ მოგონებები



ანუ ვინ როგორ ცდილობს „გალიბას“?

ელენე ბასილიძე

ქალსა და მამაკაცს შორის პრობლემები სამყაროსავით ძველია, მაგრამ აქტუალობას არასოდეს კარგავს. როცა ქალწულობის ინსტიტუტზე რეპორტაჟის გაკეთება გადავწყვიტე, აღმოჩნდა, რომ საქართველოში მიტოვებული არაქალწულები იმაზე მეტნი ყოფილან, ვიდრე წარმოვიდგენდი. ამიტომაც, თემა შევცვალე და მათი პრობლემების გაშუქება გადავწყვიტე. „რამდენიც არ უნდა ვიძახოთ, ევროპელები ვართ-თქო, საქართველოში ქალწულობის ინსტიტუტი ყოველთვის იქნება. მიუხედავად ამისა, ბიჭები გოგონების „სიყვარულით“ დაბმას ცდილობენ და ხანდახან სექსზეც ითანხმებენ“, — მითხრა ერთ-ერთმა რესპონდენტმა. ვერ ვიტყვი, რატომ გააიგივა სიტყვა „ევროპელობა“ „სექსუალურ თავისუფლებასთან“, მაგრამ ფაქტია, რომ ქართველი გოგონები პრაგმატულად აზროვნებენ. უმრავლესობა ქალწულობის მიმდევარია, მაგრამ არა — მომხრე; და თუ ქალწულია, მხოლოდ იმიტომ, რომ საქართველოში ცხოვრობს — ვინაიდან აქ, არაქალწული ცოლი, თურმე არც ერთ ბიჭს არ უნდა (ასეთი დასკვნა, მათთან გასაუბრების შემდეგ გამოვიტანე. რა თქმა უნდა, ეს ყველა გოგოს არ ეხება). ახლა კი, „მწარე გამოცდილების“ მქონე გოგონების კომენტარს გთავაზობთ. იმედია, მათი ნათქვამი ზოგიერთისთვის მაგალითად გამოდგება.

ძეთი, *20 წლის*

— გოგა 6 თვის წინ გავიცანი შემთხვევით. „მარშრუტკაში“ ადგილი დამითმო, მერე მგზავრობის ფულიც გადამიხადა და გაჩერებიდან სადარბაზომდეც მიმაცილა. ძალიან ყურადღებიანი იყო, თბილი, მოსიყვარულე... მთელი დღეები მასზე ვფიქრობდი. მას შემდეგ, ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს და სიყვარულისგან თავბრუდახვეული დავდიოდი. გეგმებს ვაწყობდით, ქორწინების შემდეგ როგორ და სად ვიცხოვრებდით... 2 თვის შემდეგ, იმდენი მოახერხა, მასთან დაწოლაზე დამიყოლია, მამშვიდებდა, — რა მოხდა მერე, მაინც ჩემი ცოლი უნდა გახდე და რა მნიშვნელობა აქვს, როდის მოხდება ეს ყველაფერიო?! მეც მივენდვე, არაფერი მიეჭვია. დროთა განმავლობაში მივხვდი, რომ მის არც ერთ მეგობარს არ ვიცნობდი და ვთხოვე, ვინმე შენიანი გამაცანი-მეთქი. იუარა, ცოტა ხანში, ჩემი დაბადების დღე მოდის და ყველას სიურპრიზს გავუკეთებო...

— არაფერი გიეჭვია, მთელი 2 თვე მარტო რომ გხვდებოდა?

— რა უნდა მეეჭვა? მეუბნებოდა, შენთან გატარებული ყოველი წამი ძვირფასია და სხვების თანდასწრებით გახსნილი ვერ ვიქნებიო.

— შენი მეგობრები იცნობდნენ მას?

— კი, ერთ დაქალს გავაცანი და აღფრთოვანებული იყო გოგათი — მაგარი ტიპიაო. ამ საუბრიდან ორიოდე კვირაში საერთოდ დაიკარგა; აღარც მირეკავდა; აღარც მიმესიჯებდა; ტელეფონიც გათიშული ჰქონდა.. მივხვდი, რომ ამდენი ხნის განმავლობაში მისი სახელის, გვარისა და ტელეფონის ნომრის მეტი არაფერი ვიცოდი.

— თვითონ აღარ შეგხმიანებია?

— არა, დამტოვა გაურკვევლობაში, „გაბახებულ-გაღიმებული“. გამომიყენა როგორც ქალი და მერე კი მიმაგდო.

— არსად შეხვედრიხარ?

— როგორ არა?! მალე მივხვი, რომ კარგი არაფერი ხდებოდა ჩემს თავს, თავბრუსხვევა და სისუსტე

ამასაც ქალის ჰორმონებს შეიცავს — I ტრიმესტრის დასრულების შემდეგ ლოგიკურად ვერ ავხსნიდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდხანს რომ გამიგრძელდა, ქალთა კონსულტაციაში მივედი ფეხებაკანკალებული; მეგონა, ორსულად ვიყავი. მოსაცდელში კი გოგა დავინახე ორსულ გოგონასთან ერთად. თვალი ამარიდა, ისე იქცეოდა, თითქოს არასოდეს ვენახე.

— არ გამოელაპარაკე?

— ისე ცუდად გავხდი, მოსასულიერებელი ვიყავი. ის გოგო მისი ცოლი ყოფილა. ჩემი ყურით გავიგონე, მეუღლეაო, ექთანს რომ უთხრა. აღმოჩნდა, რომ ორსულად ვიყავი. არც კი დავფიქრებულვარ, ნაყოფი ისე მოვიცილე. არც ვნანობ..

— ახლა რას აპირებ?

— მწარე გამოცდილება მივიღე და ბიჭებს ადვილად აღარ ვენდობი. იმ დეგენერატს კი ერთხელაც იქნება, სამაგიეროს

გადავუხდი.

ნინი, *20 წლის:*

— ვერ ვიტანს ქალზე დახამებულ ბიჭებს

— „ქალზე დახამებულში" რას გულისხმობ?

— აი ისეთი, გოგო რომ მოეწონება და თავდაყირა დადგება, როგორმე თავი რომ მოაწონოს და შეაბას. გოგონებიც ჭკუაზე არ არიან, თავებს იფასებენ, მერე უცებ „დაიკერებიან". საქმე საქმეზე რომ მივა და გოგო იტყვის, ქალწული ვარო, ეს ხამები ხელების სავსავით გარბიან, აუჰ, ქალწული ყოფილაო!

— რატომ გარბიან?

— არ შემოგვეტენოსო (*იცინის*)

— არ შეიძლება, რომ მართლაც „შეეტენონ"?

— კარგი, რა, როცა გოგო თავისით გიწვება, პასუხი შენ რატომ უნდა აგო? თუ მაგარი ხარ, დაამტკიცე, გოგო თვითონ იყო ინიციატორი-თქო!

— ანუ შეცდენის შემთხვევაში ბიჭი არ უნდა დაისაჯოს?

— რა შეცდენა... გოგო ბიჭს თავად რომ უწვება, მაგას შენ შეცდენას ეძახი?! თუ არ უნდა, ნუ შეცდება და იქნება უმწიკვლო.

— ბევრი გოგო ცდილობს ამ ხერხით გათხოვებას?

— რამდენიც გინდა. ეს ბიჭებიც იმიტომ არიან დამფრთხლები, ვის უნდა „შეტენილი" ცოლი?! მე ჩემს შეყვარებულთან (უკვე ყოფილთან) სექსი მქონდა, მაგრამ ის კი არ მითქვამს, რადგან შენთან ვიწექი, არიქა ჩქარა, ცოლად მომიყვანე-მეთქი?!

— არასოდეს გაგიგია, რომ ბიჭს გოგო მოუტყუებია და მერე კი მიუტოვებია?

— ჰოდა, მეც მაგას გეუბნები: ეს დაშინებული ჭკუას — ბიჭები ტყუილებით ბერავენ გოგონებს, რომ დაიმორჩილონ. აბა, ყველა ჩემნაირი კი არაა, ბიჭის „მომწონხართი" დაკმაყოფილდეს?!

ლიკა, *18 წლის:*

— ყველაზე ცუდი ისაა, რომ დაქალებს ვარიგებდი ხოლმე ჭკუას — ბიჭებთან როგორი ურთიერთობა უნდა ჰქონოდათ. ბოლოს კი მე აღმოვჩნდი ბიჭებისგან მოტყუებული. ისე ვარ გამწარებული, ლამისაა საკუთარი თავი გავასილაქო.

— ამბობენ, ვერავინ მოგატყუებს, თუ მას ამის საშუალება არ მიეცი ან თავად არ მოიტყუე თავი...

— მართალი ხარ, მაგრამ ცუდი ისაა, რომ როცა ადამიანი გიყვარდება, მის ნაკლოვანებებს საერთოდ ვეღარ ამჩნევ, ფხიზლად აღარ ხარ და ადვილადაც ტყუვდები. ჩემი ამბავი ალბათ არაფრითაა გამორჩეული. მოტყუებული და პატივახდილი გოგოს მეტი რა დადის თბილისში? მაგრამ მე ვერაფრით მომინელებია. უბანში ერთი „პაკლო" მყავდა, რაც თავი მახსოვს, მეპრანჭებოდა, მაგრამ მე არ მომწონდა და თავს არ ვუყადრებდი. როცა მიხვდა, რომ ჩემთან არაფერი გამოუვიდოდა, შური იძია და ჩემი ნომერი თავის ძმაკაცს მისცა. 2 თვე მოსვენებას არ მაძლევდა ვიღაც ტიპი. დილა მისი მესიჯით იწყებოდა და საღამოც ასე მთავრდებოდა. მეც ჯერ თავს ვიფასებდი, მერე კი მისმა ვინაობამ დამაინტერესა და შევხვდი. ერთი ნახვით შეყვარებისაც ვირწმუნე (*ილიმება*), მასაც მოვეწონე და დაიწყო ჩვენი „ლავ სთორი"... რაც მართალია, მართალია, ზაზა საოცრად ყურადღებიანი და მოსიყვარულე იყო. ისე მიყვარდა, რომ ფიზიკურ ურთიერთობაზეც დავთანხმდი... 6 თვე ვიყავით ერთად.

— მერე რა მოხდა?

— მოგვიანებით შეიცვალა, იშვიათად მხვდებოდა, საქმეს იმიზეზებდა; ერთ დღესაც სულ გაქრა. როცა ვურეკავდი, ტელეფონი გათიშული ჰქონდა. კინაღამ გავგიჟდი, როცა ჩემგან უარყოფილმა „პაკლომ" მითხრა, ზაზა ჩემი ძმაკაცია და მე თუ ვერა, მან ხომ შეგაბაო?! სიცოცხლე აღარ მინდოდა, მაგრამ შევეგუე ყველაფერს. რაც იყო, იყო... ჩემს ქალწულობას კი მივტირი, მაგრამ რაღა დროს?

— ქალწულობა ასე მნიშვნელოვანი თუ იყო შენთვის, ადრე რატომ არ იფიქრე ამაზე?

— (*ფიქრობს*) იცი, როცა რაღაცას დაკარგავ, მაშინ ხვდები, რა ძვირფასი ყოფილა. ძალიან მეშინია. გათხოვება როგორ უნდა მოვახერხო? რომელი ქართველი ბიჭი მომიყვანს ცოლად?

— რატომ, ხომ არიან ისეთებიც, რომლებიც ქალწულობას ყურადღებას არ აქცევენ?

— ერთი შეხედვით ჩანს ეგრე, მაგრამ არაქალწული ცოლი არავის უნდა. მეც იმიტომ მოგიყევი ჩემზე, რომ სხვა გოგონებმა გაითვალისწინონ და ჩემსავით მოტყუებულები არ აღმოჩნდნენ. გოგოებო, ქალწულობა ძვირფასია!

მაკო, *21 წლის*

— ჩემს ამბავს დეტალურად არ მოგიყვები, მაგრამ გეტყვი, რომ შეყვარებულთან სექსი მქონდა, მერე იმ ბიჭს დავშორდი და სხვა შემიყვარდა. ვიცოდი, რომ თუ ჩემი წარსულის შესახებ სიმართლეს ვეტყოდი, აუცილებლად მიმატოვებდა. მეც ქალწულობა აღვიდგინე და მისი გავხდი...

— ცოლად გაჰყევი?

— არა, სერიოზული ურთიერთობა კი მქონდა, მაგრამ მოვლენებს გავუსწარი და ისევ მიტოვებული აღმოვჩნდი. ძალიან მინდა გათხოვება, .წყნარი და მშვიდი ოჯახი, მაგრამ ვიცი, რომ ისევ მომიწევს ქალწულობის „აღდგენა“.

— ?!

— ჰო, ასეა, ისევ ქალწული გავხდები და გავთხოვდები. აბა, ისე რა „გამასაღებს“?

— ქალწულობა „გასასაღებლად“ გჭირდება?

— ასე გამოდის, ვინმეს უნდა „შევეტენო“, თორემ რა გაძლებს მთელი ცხოვრება შინაბერად?

გიგლა, *22 წლის:*

—გოგო არასოდეს მომიტყუებია, ყოველთვის იმას ვეუბნებოდი, რასაც ვგრძნობდი, თუმცა ხშირად გამნაწყენებიან (*იცინის*).

— რატომ?

— რავი, მოგვატყუეო... არადა, არასოდეს ვატყუებ გოგოს. რა ჩემი ბრალია, თუ დამიწვება?! ძალას ხომ არავის ვატანან, თუ უნდათ, იქნებიან ჩემთან, თუ არა და, გზა დიდია...

— გოგო რომ სექსზე დაგეთანხმებინა, არასოდეს მოგიტყუებია?

— არაა, როცა გოგოსთან ყოფნა მინდა, ე.ი. ის ჩემთვის რაღაცას ნიშნავს. ამიტომაც იმწუთას რასაც ვეუბნები, გულწრფელად ვეუბნები! თუმცა, დროთა განმავლობაში, გადამივლის ხოლმე ეს აღფრთოვანება და მერე ვშორდები.

— არასოდეს გიფიქრია, რომ იმ გოგონას ცხოვრებას უნგრევ?

— არა! ძალას არავის ვატანან! თუ არ უნდათ, ნუ დაწვებიან ჩემთან, აღარც გაუბედურდებიან!

ლუკა, *20 წლის*

— არაქალწულ გოგოს ნაღდად არ მოვიყვან ცოლად, თუმცა გოგოსაც გააჩნია...

— ?!

— ახლა, შეიძლება ერთხელ შეცდა და მთელი ცხოვრება რატომ უნდა გაიტანჯოს?! თუმცა, უკეთესია, თუ ქალწულობას შეინარჩუნებენ... მე გოგო არასოდეს მომიტყუებია, მაგის საჭიროება არ მქონია (*იცინის*).

— გოგოებს როგორ კერავ?

— უი, მე კი არა, აქეთ მკერავენ გოგოები! არ ვიცი, ისინი რამ გადარია, მაგრამ ასეა! ქალიშვილებს რაც შეეხება, ვცდილობ, მათთან საქმე არ დავიჭირო, თუმცა ხშირად არ გამომდის...

— თავს რატომ არიდებ?

— რავი, არ მაქვს მაგათი წმუკუნის თავი... რატომღაც ჰგონიათ, რომ თუ ქალწულობა „ჩაგაბარა“, ეგრევე ცოლად უნდა მოიყვანო.

— სიყვარულით გონებადაბინდული გოგონები ხშირად მიიჩნევენ ასე...

— ჰოდა, მეც თავიდანვე „ვუიასნებ“ ყველაფერს. თუ მაინც თანახმაა, მაგას რა სჯობს?!



შოცა მაძლევდა ქალის ეჩიეჩიდება,
შომ ის ყველაზე ლამაზი,
სათნო და ყოთლია, ის მას ყი ამ
ელაპარაკება, თავს შეიკავინებს.

ფოტო, რომელიც ოლიოლის ღაჯარგია

ამ ფოტოსთვის შესაბამისი წარწერა უნდა გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61

ჩემეული ვერსია ეი ასეთია:

„ტუალეტი მათთვის, ვისაც ნაჭრილი აქვს"

მატა ჰარი — მოტაკავე და ორმაგი აგენტი

დასაწყისი იხ. „გზა“ №42

გრაფი თარხანი

მატა ჰარის საქმე გამოსაძიებლად სკოტლანდ იარდის ხელმძღვანელმა, სერ ბეზილ ტომსონმა თავის თავზე აიღო. 3 დღის შემდეგ ტომსონმა ნიდერლანდების ელჩს ლონდონში, შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნა: „სერ, მაქვს პატივი, მოგახსენოთ, რომ ყალბი პასპორტის მფლობელი ქალბატონი, მარგარეტ ზელე-მაკლიდი დავაკავეთ. ეჭვი გვაქვს, რომ ის გერმანიის აგენტი და ეროვნებით გერმანელია, კერძოდ — ჰამბურგელი კლარა ბენდიქსი. დაკავებული უარყოფს მითითებულ პიროვნებასთან იდენტურობას,

მაგრამ პასპორტზე გაყალბების აშკარა ნიშნებია. ქალბატონმა სურვილი გამოთქვა, თქვენთვის მოეწერა, რისთვისაც მას საწერი საშუალებები მივაწოდეთ.

რამდენიმე ხნის შემდეგ ტომსონი დარწმუნდა, რომ დაპატიმრებული ქალბატონი კლარა ბენდიქსი არ იყო. ახლა მას გასარკვევი დარჩა, რატომ სურდა ეჭვმიტანილს ჰოლანდიაში მოხვედრა. მატა ჰარიმ სკოტლანდ იარდის შეფი გააოცა, როდესაც განაცხადა, რომ ჰოლანდიაში საფრანგეთის სპეცსამსახურის დავალებით მიდიოდა. ამრიგად, ტომსონმა შეიტყო, რომ აკრძალვის მიუხედავად, მისმა პარიზელმა კოლეგამ, ლადუმ იმ ქალის გადაბირება მოახერხა, რომელიც ინგლისური დაზვერვის კარტოთეკაში გერმანელთა ჯაშუშადაა აღიარებული.

ლადუმ ტომსონისგან შეიტყო, რომ მოცეკავემ მას თავისი მისიის შესახებ უამბო. ლადუ განრისხდა და ლონდონში ტელეგრამა გაგზავნა: „ვერაფერი გავიგე. მატა ჰარი სასწრაფოდ ესპანეთში დააბრუნეთ“. იმასაც ამბობენ, ლადუმ სკოტლანდ იარდს დამატებით ისიც შეატყობინა, რომ მატა ჰარი ჰოლანდიაში გერმანელების დავალებით მიდიოდაო.

თავისთავად ცხადია, რომ მატა ჰარიმ ამ ტელეგრამების შესახებ არაფერი იცოდა და ტომსონის რჩევით კვლავ ესპანეთში გაემგზავრა, სადაც ძველ მეგობარს, მაიორ კალეს დაუკავშირდა და თავისი თავგადასავლების შესახებ უამბო. ამასობაში მას კვლავ ფინანსური პრობლემა გაუჩნდა. კალემ ამჯერად მის დახმარებაზე უარი თქვა. მან დაურეკა ამსტერდამში კონსულ კრამერს და სთხოვა, აგენტ H-21-სთვის ფული გამოეგზავნა.

როდესაც კრამერმა ტელეგრამა წაიკითხა, გაბრაზდა და თქვა: „ეს ყველაფერი ცუდად დამთავრდება“.

ამ დროს მატა ჰარიმ მაიორ კალესაგან სპეციალური დავალება მიიღო. მას სურდა, რომ მადრიდში ყოფნის დროს მატას მთელი დრო ესპანეთში მცხოვრები, მაღალი რანგის ფრანგი ოფიცრებისთვის დაეთმო.

მეორე დღეს მატა „პალას-ჰოტელში“ საფრანგეთის საელჩოს წარმომადგენელს, პოლკოვნიკ დანვინს შეხვდა. მას სამხედრო ატაშეს თანამდებობა ეკავა და ამავდროულად, მადრიდში ჯაშუშთა განყოფილებას ხელმძღვანელობდა. მატამ მასთან გულახდილი საუბრისას თავისი თავგადასავლები მოჰყვა. არც მაიორ კალესთან ვიზიტი დავიწყნია და უთხრა, რომ ყველანი მაიორ ლადუსგან განკარგულებას ელიან. პასუხად, პოლკოვნიკმა მოსთხოვა, რაც შეიძლება მოკლე დროში მოიპოვებინა ინფორმაცია მაროკოს სანაპიროზე მყოფი გერმანული სუბმარინების შესახებ. დანვინი სამსახურის საქმეზე პარიზში უნდა გამგზავრებულიყო. მისი გამგზავრების დღეს კალემ ორმაგ ჯაშუშს სასტუმროში, წერილი გაუგზავნა.

მატა ჰარი: „წერილში ის მეკითხებოდა, მქონდა თუ არა სურვილი, რომ მეორე დღეს, 3 საათზე მასთან ერთად ჩაი დამელია. მომეჩვენა, რომ ის ჩვეულებრივზე ცივი იყო. ვიფიქრე, რომ პოლკოვნიკთან ჩემი შეხვედრის შესახებ ყველაფერი იცოდა“.

მატამ კალესგან შეიტყო, რომ ფრანგებმა მადრიდიდან ტელეგრამა გაგზავნეს, სადაც გერმანული სუბმარინების შესახებ ატყობინებდნენ. „ჩვენთვის ცნობილია მათი კოდი“, — დაამატა კალემ.

კალესგან მიღებული ეს და სხვა ინფორმაცია მატა ჰარიმ საფრანგეთის საიდუმლო სამსახურს მიაწოდა. სინამდვილეში, ეს ინფორმაცია რეალობას არ შეესაბამებოდა და მხოლოდ მოწინააღმდეგის თვალში მატას პოზიციის გამყარებას ემსახურებოდა. სინამდვილეში, მაროკოს სანაპიროზე ოპერაციის ჩატარება, გერმანელების გეგმაში მთელი ომის განმავლობაში არ შედიოდა.

მალე მატამ ერთ-ერთი თავისი ესპანელი მეგობრისგან, სენატორ ჰუნოიასგან წერილი მიიღო. მან მატა გააფრთხილა, რომ ერთ-ერთმა მალალჩინოსანმა მასთან ურთიერთობისას სიფრთხილის გამოჩენა ურჩია. 3 კვირის შემდეგ, როდესაც ქალს მადრიდში აღარაფერი ესაქმებოდა, პარიზში გასამგზავრებლად მოემზადა.

ამ დროს ფრანგულმა რადიოპირატებმა მაიორ კალეს მიერ ამსტერდამში გაგზავნილი რადიოგრამის გაშიფვრა მოახერხეს: „ფრანგებმა აგენტი H-21-ის გადაბირება მოახერხეს. ის ინგლისელებმა ესპანეთში გაგზავნეს. ითხოვს ფულს და შემდგომ მითითებებს". კრამერმა უპასუხა: „მიეცით მითითება, რომ დაბრუნდეს საფრანგეთში და დავალების შესრულება განაგრძოს". მატამ კრამერისგან 5 ათასი ფრანკი მიიღო.

ის მადრიდიდან 1917 წლის 2 იანვარს გაემგზავრა. აუსტელიცის სადგურზე ძლივს მოახერხა დანვინისთვის რამდენიმე სიტყვის თქმა. პოლკოვნიკი მის შეკითხვებს უხალისოდ პასუხობდა, ზოგიერთს კი საერთოდ თავს არიდებდა.

კაპიტანი ლადუ და მატას ძველი მეგობარი, ჟიულ კამბონი მასთან საუბრისას ყველა სიტყვას წონიდნენ. მატამ პარიზში რამდენიმე დღით მყოფი თავისი საყვარლისგან, ვადიმ მასლოვისგან შეიტყო, რომ პარიზის რუსულ საელჩოში ვადიმს მატასთან ურთიერთობა აუკრძალეს.

მასლოვის გამგზავრების შემდეგ, მატამ მხიარული ცხოვრება დაიწყო და სიყვარულისა და გართობის მორევში გადაეშვა.

1917 წლის 13 თებერვალს „ელის-პალას ჰოტელის" ერთ-ერთი ნომრის კარზე კაკუნი გაისმა. კარი მატამ გააღო. დერეფანში 6 ფორმიანი მამაკაცი იდგა — პოლიციის შეფი და მისი თანამშრომლები. პოლიციის შეფმა მატას დაპატიმრების ორდერი წარუდგინა და ბრალი ჯაშუშობაში დასდო.

მატა სენ-ლაზარეს ციხეში გადაიყვანეს. პატიმარმა ციხის ხელმძღვანელობას დაუყოვნებლივ მისწერა: „მე დანაშაუ არ ვარ და არასოდეს ყოფილვარ ჯაშუში. საფრანგეთის ინტერესების წინააღმდეგ არასოდეს მიმოქმედია. ამის გათვალისწინებით, გთხოვთ მიიღოთ ზომები და გამათავისუფლოთ".

დაკითხვებზე გამომძიებელი ბუშარდონი უამრავ კითხვას უსვამდა. დაკითხვებს მხოლოდ მდივანი ესწრებოდა, რომელიც საუბრის ჩანაწერს აკეთებდა. მატა ჰარის ადვოკატი 14 დაკითხვიდან მხოლოდ ორს — პირველს და ბოლოს დასწრეს.

საქმის მასალებში, გაშიფრული ტელეგრამების გარდა კაპიტან ლადუს აგენტების დაკვირვების შედეგებიც იყო. ასევე — საბანკო გზავნილები და ჩეკები, რომლითაც მატა ფულს ანაღდებდა. საქმეს თან ერთვოდა იმ ხსნარის ანალიზის პასუხი, რომელსაც მატა საიდმლო ბარათის დასაწერად იყენებდა და რომლის შეძენაც მარტო ესპანეთში შეიძლებოდა.

მატა ჰარი: „ეს უბრალო ხნარია, რომელსაც ინტიმური მიზნებისთვის ვიყენებდი. ის ცოტა ხნის წინ ერთ-ერთმა ესპანელმა ექიმმა დამინიშნა".

გამომძიებელმა ჰკითხა: „უკვე იყავით თუ არა გერმანელთა ჯაშუში მაშინ, როდესაც ჩვენი კონტრდაზვერვის ბიუროში პირველად მიხვედით?"

მატამ უპასუხა: „ის, რომ ახლო ურთიერთობა მქონდა ზოგიერთ მაღალჩინოსანთან, სულაც არ ნიშნავს, რომ ჯაშუში ვიყავი და გერმანიის სასარგებლოდ ვმოქმედებდი. გარდა საფრანგეთისა, არც ერთი ქვეყნის დაზვერვაში არ მიმუშავია. მე, როგორც ცნობილი მოცეკავე, ბერლინში ბევრ ადამიანს ვიცნობდი, მაგრამ ამას ჯაშუშობასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა. თანაც, გაითვალისწინეთ, რომ ეს ადამიანები მე თვითონ დაგისახელეთ".

1917 წლის აპრილში ფრანგებმა გერმანელების რამდენიმე რადიოგრამა გაშიფრეს, რომელიც აგენტ H-21-ის შესახებ ინფორმაციას შეიცავდა.

გამომძიებელი ბუშარდონი: „მოულოდნელად, საქმის ყველა დეტალი ნათლად დავინახე. მარგარეტ ზელემ მაიორი კალე საჭირო ინფორმაციით მოამარაგა. კერძოდ? სამწუხაროდ, ინფორმაციის გათქმა არ შემიძლია, რადგან ფიცი მაქვს დადებული, მაგრამ შემიძლია ვთქვა: ჩვენ მიერ დადგენილია, რომ ეს ძალზე საჭირო ინფორმაცია გახლდათ და მნიშვნელოვან ფაქტებს შეიცავდა. მატა ჰარის თავისი კავშირების საშუალებით ამ ინფორმაციის მოპოვება შეეძლო და სრულად ფლობდა ინფორმაციას ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ".

ეჭვმიტანილი ჯიუტად იმეორებდა, რომ ის მხოლოდ საფრანგეთის სასარგებლოდ მუშაობდა და გერმანელ მაიორს — კალეს საჭირო ინფორმაციის ცინცლავდა.

გამომძიებელი ბუშარდონი: „თქვენ სხვაგვარად მოქცევა არ შეგეძლოთ, რადგან მადრიდში ცხოვრება გიჭირდათ. ვინაიდან იცოდით, რომ ჩვენი აგენტების თვალთახედვის არეში ნებისმიერ დროს შეგეძლოთ მოქცევა, ძალაუნებურად გამოსავლის ძებნა დაიწყეთ — რით ახსნიდით თქვენს საქციელს აუცილებლობის შემთხვევაში? ამრიგად, ჩვენი ეჭვების გასაქარწყლებლად გადაწყვიტეთ, საფრანგეთისთვის უსარგებლო ინფორმაცია მიგეწოდებინათ. ეს ნებისმიერი ჯაშუშური თამაშის ძირითადი პრინციპია. თქვენ კი ზომაზე მეტად ჭკვიანი ხართ და ვერ დავიჯერებ, რომ ეს არ გაგეთვალისწინებინათ".

სასამართლო პროცესი 1917 წლის 24 ივლისს დაიწყო და მეორე დღეს მარგარეტ ზელეს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს. როდესაც მატამ განაჩენს მოუსმინა, წამოიძახა — ეს შეუძლებელია! ეს შეუძლებელია! — მისი ადვოკატი მოსამართლის წინაშე მუხლებზე დაემხო და შეწყალება ითხოვა.

„ინტერნეიშენელ ნიუს სერვისის" კორესპონდენტი ერთადერთი იყო, რომელმაც მატას სიცოცხლის ბოლო საათები ნახა.

შეწყალებაზე უარის შესახებ მატამ მხოლოდ მაშინ შეიტყო, როდესაც გამთენიისას საკნიდან გამოიყვანეს და ჭიშკართან მდგარი ავტომობილისკენ წაიყვანეს. მანქანა იმ ყაზარმისკენ გაემართა, სადაც მატას განაჩენის სისრულეში მოსაყვანად მსროლელთა ბრიგადა ელოდა.

როდესაც სიკვდილმისჯილი ყაზარმაში მიიყვანეს, საბრძოლო ქვედანაყოფი უკვე მზადყოფნაში იყო. იქვე საეკლესიო მსახური იდგა. ვიდრე ის მატას ესაუბრებოდა, ირგვლივ სიჩუმე სუფევდა. შემდეგ ფრანგმა ოფიცერმა დაიძახა — სახვევი! მაგრამ მატამ თვალების ახვევაზე უარი განაცხადა.

ის წელში გამართული იდგა და ჯარისკაცებს უშიშრად შეჰყურებდა. მღვდელი და ადვოკატი ოთახიდან გავიდნენ. ბრძანებაზე ჯარისკაცებმა იარაღი გადატენეს. მეორე ბრძანების შემდეგ იარაღი ქალს გულმკერდში დაუმიზნეს. მატა შეუდრეკელი იყო და გაყინული სახით უყურებდა, როგორ აძლევდა ბრძანებას ოფიცერი. მესამე ბრძანების შემდეგ სროლის ხმა გაისმა. მატა წინ გადაიზნიქა, შემდეგ უკან და ნელ-ნელა დაეშვა, მაგრამ თავი ამაყად ჰქონდა აწეული და სახეზე კვლავ სიმშვიდე ეხატა. შემდეგ გულაღმა დაეცა და გახელილი თვალები ჭერს მიაშტერდა. ერთ-ერთი ფელდფებელი მივიდა და კიდევ ერთი ტყვია საფეთქელში დაახალა. ●

მსოფლიოში ყველაზე ცნობილი მსუქნები

ნებისმიერი ხალხის ფოლკლორში არსებობს გადმოცემა გოლიათების შესახებ, რომლებიც შთაბეჭდილებას თავიანთი სხეულის ზომებით ახდენენ. თუმცა, სუპერგიგანტების სიაში ის ადამიანები მოხვდნენ, რომლებიც ბოლო რამდენიმე ათეული წლის წინ დაიბადნენ.

კეროლ იეგერ

კეროლ იეგერს ეკუთვნის „ტიტული" — „ყველაზე მსუქანი", თუმცა, ეს დოკუმენტურად არაა დადასტურებული. ის 34 წლის ასაკში გარდაიცვალა. ამ დროისთვის მისი სიმაღლე 170 სმ იყო, ხოლო წონა — 544 კგ. არსებული ინფორმაციით, მისი მაქსიმალური წონა 727 კგ გახლდათ.

ჯონ ბრაუერ მენოხი ვაშინგტონის შტატში, კუნძულ ბეინბრიჯზე ცხოვრობდა. ის მსოფლიოში

ჯონ ბრაუერ მენოხი

ყველაზე მსუქან ადამიანად ოფიციალურადაა ცნობილი. მისი სიმაღლე 185 სმ იყო, ხოლო წონა — 635 კგ; საწოლში გადასაბრუნებლად 13 ადამიანის დახმარება სჭირდებოდა. ძლიერი შეშუპება ჰქონდა და ექიმების თქმით, მის ორგანიზმში 400 კგ სითხე იყო დაგროვილი.

როზალი ბრეედფორდი 1944 წელს, პენსილვანიის შტატში დაიბადა. 1989 წელს მისი სიმაღლე 167 სმ იყო, წონა — 478 კგ. თუმცა, მისი მაქსიმალური წონა 544 კგ გახლდათ, რასაც გინესის რეკორდების წიგნიც ადასტურებს.

როზალი ბრეედფორდი

უოლტერ ჰადსონი 1944 წელს დაიბადა. მისი სიმაღლე — 177 სმ, წონა 543 კგ გახლდათ. მისი აწონის დროს კი სასწორი გატყდა. უოლტერის გულმკერდის გარშემოწერილობა 265 სმ იყო, წელის — 275. ის პუბლიკისთვის განსაკუთრებულად ცნობილი მას შემდეგ გახდა, რაც 1987 წელს თავისი სახლის კარში გაიჭედა. მეზობლებმა სახანძრო რაზმი გამოიძახეს. მეხანძრეებმა კედელი გამოანგრიეს და ამწეს საშუალებით გამოიყვანეს.

უოლტერ ჰადსონი

მაიკლ ედელმანი 1964 წელს დაიბადა. როგორც გინესის რეკორდების წიგნში წერია, მისი წონა 450 კგ იყო. თუმცა დედამისი მიიჩნევს, რომ მისი შვილის მაქსიმალური წონა 540 კგ გახლდათ. 7 წლის ასაკში ედელმანი უკვე 70 კგ-ს იწონიდა. 10 წლის ასაკში კი სკოლაში სიარული შეწყვიტა, ვინაიდან მერხზე ვერ ეტეოდა.

გაგრძელება იხ. გვ. 24

23.10. - 29.10.2008

ფეხბურთული ფილები

მარი ჯაფარიძე

უნებლიე შეცდომა

როსაურას დიეგო როცა შეუყვარდა და გათხოვება გადაწყვიტა, მხოლოდ ამის შემდეგ შეიტყო, დიეგო მისი ძმა რომ ყოფილა. ამის შესახებ 20 წლის წინ გარდაცვლილმა და შინ უნებლად დაბრუნებულმა დედამ შეატყობინა. ეს რომ სენორა ანხელიკამ გაიგო, გულში იმედი ჩასახა, რომ დიეგოს ახლა მაინც დაისაკუთრებდა, მაგრამ ერთ დღეს მოახლე ანაბელისა და მისი საქმროს, რიკარდოს ლაპარაკს ყური მოჰკრა და შემთხვევით შეიტყო, რომ ის დიეგოსა და როსაურას და ყოფილა. ჰოდა, ასე, ბრაზილიური შაქარივით ტკბილი, ბრაზილიური სერიალის გმირებივით დამართვია საწყალ დათოს, რომლის შესახებაც ლუნა გვიამბობს.

„ბაია ტელეფონით გავიცანი. ერთ ლამეს „ფართიზეც“ მეჯსტუმრა და თავის ძამიკოზე იმდენი მეჭორავა, მეორე დღეს კინალამ ვიფიქრე, რომ მის ძმას ბავშვობიდან ვიცნობდი. ერთი წვრილმანი არ გამორჩენია. არა, მაინც რაში მაინტერესებდა ახლა მე, რატომ დაიკლო წონაში მისმა ძმამ? თუმცა, ბაიას მოყოლილმა დამაინტერესა (სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს) და გადავწყვიტე, თქვენც გიამბოთ. აი, რას მწერს ბაია: „მაგარი უიღბლო ძმა მყავს, ერთი გოგო მოსწონს, მაგრამ იმ გოგოს ისეთი კარგი ალნაგობა აქვს, მე რომ ვუყურებ, ვდნები და ჩემს ძმას, წარმოგიდგენია, რა დაემართება? ჩემს ძმას ეგონა, ჩემნაირ ლიპიანს არც კი შეხედავსო და დიეტის დაცვა დაიწყო. მთელი დღე არაფერს ჭამდა. როცა დაჭკნა და ადამიანს ალარ ჰგავდა, ძმაკაცმა აცნობა, — იმ გოგოს, შენ რომ მოგწონს, პუტკუნა ბიჭები მოსწონსო... უი, ამისთანა თქვა ჩემმა მტერმა...“ — მერე, მერე რა მოხდა-მეთქი (აზარტში შევედი)? „მერე რა მოხდა და, ამ ჩემი ცოდვით სავსემ, დათოს ძმაკაცმა ეს გოგო გაიცნო და შეიტყო, რომ თურმე გრძელთმიანი ბიჭები მოსწონს. ჩემმა ძმამ ხელი ჩაიქნია — წონაში კი დავიკელი, მაგრამ ახლა თმა როგორ გავიზარდოო? მამაჩემის დაბადების დღეზე ეს გოგო გვესტუმრა, მშობლებითურთ. მამაჩემმა გაგვაცნო, — ჩვენი შორეული ნათესავები არიანო. ნეტავ, ჩემი ძმის სახე დაგენახა... ისე ცუდად გახდა, სახლიდან გაიქცა და სულ ცინცხალი მანქანა მიალეწა. მაგას ვინ ჩივის, სიკვდილს ძლივს გადაურჩა. ეს ყველაფერი ერთი თვის წინ მოხდა. ჩემს ძმას ძალიან უყვარს ჩვენი შორეული ნათესავი, მაგრამ გულში ჩაიკლა ის გრძნობა, რომელიც მის მიმართ ჰქონდა. მართლაც, გმირულად მოიქცა დათო, რადგან ის დღესაც ძმასავით ეექცევა, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან უყვარს. ბედის ირონიაა, არა? ლუნა“.



„საწყალი“ ჰიტლერი და „ჰლეიბოი“ ბებო ანუ „შემოტყეპილები“

„როჟა“

„მე ახმეტიდან გწერთ. სოცუზრუნველყოფაში ექიმად ვმუშაობდი და თელავიდან პოლისები მომქონდა ხოლმე. „მარშრუტკაში“ ჩემი უფროსის მეგობარი შემხვდა — ბატონი ჟორა. ისე ვიყავი გადაღლილი, რომ მოვიკითხე: „როგორ ბრძანდებით, ბატონო როჟა?“ მგზავრები სიცილით რომ დაიხოცნენ, მაშინ მივხვდი, რაც ვუთხარი. კიდევ კარგი, ნასვამი იყო და ვერ გაიგო, რა ვუთხარი. აი, ასეთი უნებლიე შეცდომა დავუშვი. მანანა“.

შეცდომა

„გამარჯობა, მარი, მინდა ჩემს შეცდომაზე მოგიყვე. არ ვიცი, რამდენად შეიძლება, უნებლიე ეწოდოს, მაგრამ... 16 წლისას ერთი ბიჭი შემიყვარდა. მთელი 2 წელი ველოდი და ვიწვოდი მისი სიყვარულით. ერთად არაერთი ბედნიერი დღე გაგვიტარებია, მასთან ერთად მომავლის რწმენა მიბრუნდებოდა. მინდოდა, რაც შეიძლება მალე დავქორწინებულიყავით. ასეც მოხდა, მაგრამ ყველაფერი ისე არაა, როგორც ველოდი... ბევრჯერ ტირილში დამთენებია და ახლა აქედან გაქცევა მინდა, მაგრამ მეშინია. ეს ჩემი უდიდესი შეცდომაა. თეო“.

„დახუჭობანა“

„ეს ამბავი ძველად მოხდა. დათომ ცოლად 16 წლის ანა შეირთო (თავად 25 წლის იყო). ერთ დღეს, ანამ ქმარს განუცხადა, რომ მუშაობის დაწყება უნდოდა. ეს ამბავი დათოს არ მოეწონა და უთხრა: მოდი, „დამალობანა“ ვითამაშოთ, მე დავიხუჭები, შენ დამემალე, მე თუ გიპოვე და „დაგასტუკე“, არ იმუშავებ, შენ თუ „დამასტუკებ“, მაშინ თანახმა ვარო. დათანხმდა ანა. დაიხუჭა დათო და ანა დაიმალა. დიდხანს ფიქრობდა, სად დამალულიყო. ბოლოს, კარადაში შეძვრა, თავზე ტანისამოსი დაიფარა და გაისუსა. უეცრად ნაბიჯების ხმა გაიგონა. იგრძნო, რომ ვიღაც კარადასთან გაჩერდა. ანამ იფიქრა, მოგნებით კი მომაგნო, მაგრამ იქნებ მოვასწრო და „დავასტუკო“ მაინცო. ჰოდა, გამოვარდა ელვის სისწრაფით, ქმარს დაეტაკა, გაიქცა, რომ „დაასტუკოს“. ვაჰ, უკან არავინ მისდევდა. ნეტავ, რატომ არ დამედევნა დათოო? — გაიფიქრა. ოთახში შებრუნდა და რას ხედავს? მამამთილს არ დასტაკებია?! ანა ძალიან შეწუხდა და უთხრა — მაპატიეთ, არ ვიცოდი, თქვენ თუ იყავით, არ მინდოდა ასე მომხდარიყოო. მამამთილმა დაამშვიდა — კარგი, შვილო, რა შენი ბრალია, მაგრამ ჩემი შვილის დედაც... ბავშვი თუ უნდოდა, ეშვილებინა და ჩვენც დავისვენებდით და თვითონაცო. ლუნა“.

შემოტყეპილი

„პრივეტ“, როგორ ხართ? ხომ მშვიდობაა „გზავნილებში“? მაგრად მომენატრეთ, ხალხო, ახლა ავიღე ხელში „გზა“ და გაფაციცებით ვკითხულობ. უნებლიე შეცდომა — არა, მაგრამ შეცდომა დავუშვი, რომ... „პატრული ბიძია“ შემომეტყიპა, ჩემდა უნებურად, და 2 თვით მომიწია თქვენთან დამშვიდობებამ, ჩემდა უნებურად. მერე ნაცნობობა, ცოტა ფული და აგერ, ისევ თქვენთან ვარ, თან — მაგრად დასუსტებული: ოპერაცია უნდა გავიკეთო, მაგრამ ეგ არაფერი, მაგასაც გავუძლებ. მარი, მაგარი ადამიანი ხარ, გაკოცე. მაფიოზა“.

ქურდი

„რამდენი რამ შეიძლება დაემართოს ადამიანს უნებლიეთ. აი, მაგალითად, რამდენიმე კვირის წინ ფეხსაცმლის საყიდლად წავედით მე და ჩემი დაქალი. ნუ, ისეთი გამყიდველი შეგვხვდა, ოღონდ რამე გაეყიდა, იმდენნაირი ფეხსაცმელი მომაზომა, რომ ფეხზე ტყავი გადამძვრა. თქმისაც მომერიდა... იქით ჩემი დაქალი ცმუკავს გამწარებული და აქეთ მე ჩამომდის სიმწრის ოფლი. როგორც იქნა, გამყიდველი სხვა დახლისკენ წავიდა, სხვა ფეხსაცმლის მოსატანად. არიქა, გვეშველა-მეთქი, ვიყვირე და ისე გამოვიქეცი, უკან აღარ მიმიხედავს და არც ფეხზე დამიხედავს... სახლში მისულმა აღმოვაჩინე, რომ ცალ ფეხზე ახალი ფეხსაცმელი მეცვა,

გრიშა და ჰიტლერი

„ვინაიდან ჩემი საგმირო საქმეების მოყოლა შორს წაგვიყვანს, ამიტომ მეგრელი გრიშას საგმირო საქმეებზე გიამბობთ, რომელიც, მისი მტკიცებით, მეორე მსოფლიო ომის დროს გადახდა თავს და დიდი ენთუზიაზმით გვიყვებოდა: „1945 წლის 9 მაისია. დავდივარ ბერლინის ქუჩებში და უეცრად, ჰიტლერს არ გადავეყარე?! დამინახა თუ არა, გაიქცა. გაიქცა და გავეკიდე. დავეწიე ქუჩის კუთხეში და მთელი ძალით ამოვარტყი პანლური. გაჩერდა, შემომხედა ნაღვლიანად და გულდაწყვეტილმა მითხრა — ეჰ, გრიშა, არ ვიყავი მე ამის ღირსი და შენგან ეს არ მეკადრებოდაო“. ბოხო“.

ცაბაცე ლოდია,
საქმოსანი იქა.

„ციცო, გინდა?“

„რამდენიმე წლის წინ ზაფხულში, სოფელში ვისვენებდი, ბიძაჩემთან. მას სახლში ლიმონათის კუსტარული „ცეხი“ ჰქონდა და ვიჭყიპებოდი წყაროს წყალზე დამზადებული ლიმონათით. ერთ დილას სახლში დაბრუნება გადავწყვიტე და „ს ვეშჩამი“ შევუსტი ბიძას მანქანაში. კი იბუზღუნა, — დარჩი, შენი ადგილი არ მაქვს, დღეს ლიმონათი მიმაქვსო, მაგრამ ჩემი დეიდაშვილიც რომ შემოხტა, რალას იზამდა? ვიდრე ბიძაჩემი გარაჟში „იქექებოდა“, ჩვენ მანქანაში საინტერესო რვეული და უფრო საინტერესო სია ალმოვაჩინეთ: ციცო — 1ფ2ყ2ფ; თინა — 2ყ3ფ; ოთარას ნუნუ — ნყნფ (ოჰოო!); გოგიას მზია — 1ფ1ყ; ცირა — 2ფ1ყ3ყ. და ა.შ. (დაცემა ბიძა მყავს და ქალების სია არ გაგვკვირვებია), მაგრამ ეს „ყფ“-ები ვერ გავიგეთ, რას ნიშნავდა. რაღაც, საეჭვოდ გვეჩვენა და გაგუდვამდე ვიცინეთ. ბიძაჩემი საჭეს როცა მიუჯდა, დავსერიოზულდით, მაგრამ სიცილი თურმე წინ გველოდა. სოფლის ტრასაზე გამოვლისას, პირველსავე ჯიხურთან გავჩერდით. მანქანის ფანჯრიდან გადაყო თავი ბიძაჩემმა და: — „ციცო, გინდა?“ — გადასძახა ომახიანად. ჯიხურის „ფორთოჩკიდან“ თავი გამოყო ქალმა და უთხრა: — მინდა, ერთი მინდაო. — ციცო, მომცემ ბარემ? — ისევ გასძახა ბიძაჩემმა. — „ვიმე, ახლა? ახლა ვერა, საღამოს მოგცემ, რაა“ (ვალზე ლაპარაკობენ)... იქვე, ავტობუსის გაჩერებაზე მდგარი „დაჩნიკები“ თვალებგაფართოებული მოაჩერდნენ ამ „აღებ-მიცემობას“. ვიდრე ბიძაჩემი მანქანიდან არ გადავიდა და საბარგულიდან ლიმონათის ყუთები არ ამოათრია, მანამდე გონზე ვერ მოვიდნენ, რა ხდებოდა. მერე ისეთი სიცილი ატყდა, ცალკე ჩვენ ჩავბუირდით მანქანაში, ცალკე — გაჩერებაზე მდგომი ხალხი. ბიძაჩემმა საეჭვოდ შეგვათვალიერა, მაგრამ არაფერი უთქვამს. მერე მეორე ჯიხურთანაც იგივე განმეორდა, მესამესთანაც. ბოლოს დეიდაშვილმა შეჰბედა: — რომ ეძახი იმ ქალებს, გინდაო? თან „ლიმონათი“ დააყოლე, უხერხულიაო. — ლიმონათზე რომ ვეკითხები, ისედაც იციანო, გაბრაზდა ბიძა. — კაცო, შენ და იმ გამყიდველმა კი იცით, ლიმონათზე რომ ლაპარაკობთ, მარა სხვებმა რომ არ იციან? ვერ ხედავ, როგორ გიყურებენ, სანამ ლიმონათს დაინახავენო? — ნეტა, თქვენ, მოგცლიათო, — ხელი აგვიქნია ბიძაჩემმა და იმავე „დუხით“ განაგრძო — „მზია, გინდაა? რამდენი? მომცემ?“ — ასე მხიარულად ვიმგზავრეთ ქალაქამდე. P.S. ჰო, „ყფ“-ს ამბავიც გავარკვიეთ. თურმე ვალების რვეული ჩაგვვარდნია ხელში. „ყ“ ყუთს ანუ ტარას ნიშნავდა, „ფ“ — ფული ანუ მოსაცემი თანხა (ყუთების რაოდენობით) ყოფილა. ჩვენ კი რამდენი ვიცინეთ! :)) ფინტიკოზა“.

ვრასეს? ითბილს? სასაჭმელად?
ეს თქმა ონდა, დავლევ...

ცალზე — ძველი... დაქალი მეხუმრებოდა, თუ ქურდობა იყო, ბარემ მეორეც ახალი ჩაგეცვაო. მე კი იმას ვჩიოდი, იმ „ფეხისმცვეთელ“ გამყიდველთან რაღა მიმიყვანს-მეთქი და მეგობრის ხელით გავუგზავნე თავისი ნივთი. SWEET-GIRL“.

„ჩვენი დროის გმირი“

„გუშინ 2 მეგობართან ერთად თსუ-ის პირველი კორპუსის ფოიეში, მერხზე ვიჯექი. იქვე ბიჭები იდგნენ. ლიკას ერთ-ერთი მოეწონა. მე ვარცხნილობა დავუწუნე, მეორემ — დგომის მანერა. მერე რა, სამაგიეროდ, მაგარი სიმპოაო, თქვა ლიკამ. ამ კამათში ვიყავით, რომ ეს „სიმპო“ დაგვადგა თავზე და ლიკას უთხრა — რაღაც მაქვს დასაწერი და უნდა დავჯდე, სკამი დამითმეო. აი, გმირული საქციელი. ღერმონტოვი ცოცხალი რომ ყოფილიყო, მასზე დაწერდა „ჩვენი დროის გმირს“. ღმერთო, გვაშორე ასეთი „ვაუკაცები“! პარიჟანკა“.

ჯორი

„ჩემს სამსახურში უამრავი ხალხი შემოდის და ყოველდღე უამრავ საბუთს ვაკეთებ. დღესაც ერთი ჩვეულებრივი დღე იქნებოდა, უნებლიე შეცდომა რომ არ დამეშვა. ჰმ, ჩათავდა რიგი და ხანში შესული მამაკაცის დროც მოვიდა. მომაწოდა პირადობის მოწმობა და მითხრა, რაც სჭირდებოდა. მამაკაცს ჯონი ერქვა. თხოვნა შევუსრულე, 5 წუთში გავუმზადე საბუთი და მივაწოდე. თან დავამატე, გადახედეთ-მეთქი. მამაკაცმა გადახედა და — გმადლობ, შვილო, მითხრა. მეც გულუბრყვილოდ გავუღიმე. ჯონიმ კვლავ განაგრძო — გმადლობ, შვილო, მაგრამ ჯორი არა ვარო. მე ვერაფერი გავიგე და გაკვირვებულმა მივმართე — ბატონო-მეთქი?! მან კი ჩემი გამზადებული საბუთი მომაწოდა და გამიღიმა. ჰმ, რა დამემართაااااა?! როცა საბუთში ჩავიხედე და ჯონის ნაცვლად „ჯორი“ ამოვიკითხე, სიმწრისგან იმდენი ვიცინე, გვერდები მეტკინა. აბა, რა მექნა, აღარც მეცინა? აი, ჩემი უნებლიე შეცდომა. მაპატიეთ, ბატონო ჯორი (უკაცრავად — ჯონი), შეცდომა ვის არ მოსვლია? :)) ესკალი“.



სირცხვილი

„რისი თქმაც მინდა, ვიცი, სირცხვილია, თან დიდი ცოდვაც, მაგრამ გაუმხელელმა ფიქრებმა, ღამისაა, ჭკუიდან შემშალოს. ოთხი შვილის დედა ვარ, მალე ბებიაც გავხდები. ჩემი შვილების ტოლი ბიჭი მიყვარს სიგიჟემდე. ის უცოლოა. ცოლი რომ მოიყვანოს, შეიძლება თავი მოვიკლა. ცუდი არაფერი იფიქროთ, მისგან არაფერს ველი, არც მიფიქრია მასზე, როგორც მამაკაცზე. ფიქრითაც კი არასოდეს მიღალატია ჩემი შვილებისთვის. თვითონაც გრძნობს ყველაფერს. ვერასოდეს დავივიწყებ, სიკვდილამდე მეყვარება“.

მაგარი ძიძა

„ამას წინათ, დეიდაშვილმა მთხოვა, სასწრაფო საქმეზე ვარ წასასვლელი, ჩემთან მოდიო და თავისი 3 წლის ბავშვი დამიტოვა. ვერაფრით დავსვი, ტირილითა და ყვირილით ყურები გამომიჭედა. მერე მისი ძილის დროც მოვიდა და ლოგინს ანჯელინას პლაკატივით გავაკარი. წყალი დამალევინეო, მთხოვა. — ოღონდ მომასვენე და მაგაზე უარს გეტყვი-მეთქი? გავიქეცი მოსატანად. მაგიდაზე ბოთლი შევნიშნე, ჭიქაც იქვე იყო. დავუსხი და მივაწოდე. დაიჭყანა, მწარეაო. სიბრაზისგან თვალები ბუდიდან გადმომცვივდა — ახლა კიდევ ეგ მოიმიზეზე, ჩქარა, დალიე-მეთქი, — შევუყვირე და სულმოუთქმელად ვაყლურწვინე. შემდეგ ბოთლი და ჭიქა სამზარეულოში გავიტანე და უკან მობრუნებული რას ვხედავ?! ლოგინიდან გადმოსულა და გამოლენჩებული სიფათითა და ენის ბორძიკით რაღაცას მებურდღუნება. აი, მაშინ კი მივხვდი, რომ რაღაც საშინელება ჩავიდინე. სურდოს გამო სასუნთქი მილი დახშული მქონდა და წყლის მაგივრად ბავშვს თურმე არაყი არ დავალევინე?! მთელი დღე ეძინა და მერე „პახმელიაც“ ჰქონდა... SWEET-GIRL“.

ჟურნალისტის „10 მცნება“

„ვერ წარმოიდგენთ, როგორ მომენატრეთ ყველანი. მიზანი მიღწეულია და მე საოცნებო „კავკასიის უნივერსიტეტის“ სტუდენტი ვარ. ასე რომ, მგზავნელებს კიდევ ერთი ჟურნალისტი შეემატა. :) ილინს მივულოცავ დებიუტს დიდ ჟურნალისტიკაში. წინა ნომერში მგზავნელთა „10 მცნება“ დაიბეჭდა. ჟურნალისტსაც რომ ჰქონდეს (ქართულ რეალობაზე დაფუძნებული), ამით რა დაშავდება? მაშ ასე, ჟურნალისტი ვალდებულია:

1)არასდროს წაბილწოს, შეურაცხყოს, გაათახსიროს ქართული ენა (უპირველეს ყოვლისა, დაუბრუნოს დე ფაქტო სიტყვა „ძაან“-ს მისი კუთვნილი — „ლი“;

2) არასდროს გაიმდიდროს მეტყველება ხორხში გაგუდული ბგერა „მ“-ს გაწელილი, ტავტოლოგიური განგრძობითობით — „ममम“;

3) შეინარჩუნოს სიმშვიდე მაშინაც კი, როცა სიცოცხლის შენარჩუნება უფრო ადვილია, ვიდრე სიმშვიდისა;

4) ააგოს ჩინეთის დიდი, მაგრამ წარმოსახვითი კედელი პირად და პროფესიულ ცხოვრებას შორის;

5) წინასწარ განჭვრიტოს „უძვლო“ ორგანოს მოქმედებაში მოყვანის შედეგი;

6) არ დაირთოს არც ერთი „ისტ“ სუფიქსი, გარდა „ჟურნალ-ისტ-ისა“;

7) ეცადოს, რესპონდენტს ყოველგვარი დაძაბულობა მოუხსნას. გამოიყენოს ანეკდოტები (სასურველია,

„პლეიბოი ბებო“

„ჩემს დაქალს დედამ დაურეკა საბერძნეთიდან, „პლეიბოის“ მაისური რომ გამოგიგზავნე, მოგეწონაო? ნინომ იუარა, არ მიმილიაო. გზაში დაიკარგებოდა-თქო, დავასკვენით. ერთ დღეს ნინის ვესტუმრე. გავერთეთ ჭორაობაში, ბებიამისი კი საჭმელს გვიმზადებდა. დასცხა და ხალათის ღილები შეიხსნა. ორივემ ერთად ვიკივლეთ — „პლეიბოის“ მაისური-თქო. თურმე, მოხუცს ჰგონებია, მას გამოუგზავნა. დიდად არ მოსწონებია, მაგრამ მაინც ჩაუცვამს. ამ უნებლიე შეცდომის წყალობით იქცა მარგო ბებო „პლეიბოი ბებოდ“. პრანჭო“.

მამის „დაფუფქული“ რეპუტაცია

„ერთ დღეს ჩემს მეგობარ ანას (ლუნას) ტვინი გავუბურღე. ჩემთან ამოდი, მამაჩემს თანამშრომლებმა 1984 წლის ღვინო მოართვეს და „ჩავკრათ“-მეთქი (მამა ბათუმში, „ინტურისტების“ ადმინისტრატორია). ანამ ბევრი კი იწუწუნა, მაგრამ ჩემისთანა „თავქარიანთან“ რას გახდებოდა? კაი „ხოშიანად“ ჩავუჯექთ, 84 წლის ღვინო „დავაყუდეთ“ და რომ მივხვდით, მაგარი „გათხლეშილები“ ვიყავით, გაგრილება გადავწყვიტეთ. იმდენი ვქენით, რომ ცივი წყლის მოსაშვები ონკანი მოვშალეთ. ამ გაწამაწიაში ვიყავით, როცა მამის ტელეფონმა აგვიკლო (სახლში დარჩენია, ჩემდა ჭირად). ჰოოდა, ყურმილი რომ ავიღე, „ნამეტნავად“ ინტელიგენტურმა ხმამ ღვინით გათიშული გონება სულ დამიბნელა. ამ კაცის „ბუუტური“ ჩინურად მესმოდა. თურმე მამას შეხვედრა ჰქონია მასთან დანიშნული და 3 საათზე, სახლში დავიბარე. ამ ყოფაში ვიყავით, როცა მამა წამოგვადგა თავზე. ჩვენ თავი ავარიდეთ, სიმთვრალე რომ არ შეემჩნია. მან შპაპის მილება გადაწყვიტა. 3 საათიც მოვიდა და სასიამოვნო გარეგნობის, იმ ინტელიგენტმა კაცმა კარი შემოაღო მამის ყვირილის ფონზე (ჩვენ ხომ ცივი წყლის ონკანი მოვშალეთ და იყვირებდა, აბა რა იქნებოდა, დავფუფქეთ კაცი). სულ არ გამხსენებია, მამაჩემისთვის აბანოს კარის გაღება (რომელიც ხუმრობით გარედან ჩავუკეტე). სად მეცალა ამისთვის? ამ კაცის დაცვას ვუბრიალებდით თვალებს (მერვე საოცრებად გვეჩვენებოდა ეს „დაღრეჯილი“ ხალხი). მხედველობაში თუ არ მივიღებთ იმას, რომ „11-სართულიანებით“ მაგინა მამამ და თანამშრომელთა თვალში მისი ავტორიტეტი ისე „ჩაიფუფქა“, როგორც მამაჩემი — აბანოში, საინტერესო აღარაფერია. ვიკა“.

სასაცილო) ან გაიხსენოს რაიმე კურიოზი საკუთარი ცხოვრებიდან. სხვა თუ არაფერი, იმას მაინც მიხვდება, თუ რა ძნელია კურიოზის გახსენება;

8) პირდაპირი ჩართვის დროს გახდეს ქართველ ჟურნალისტთა „ანტონიმი“ და აზრი ისე გადმოსცეს, რომ თვითონ მაინც გაიგოს, რა უნდა;

9) არ აუვარდეს თავში პოპულარობა (თუკი ამას საერთოდ მიაღწევს, რა თქმა უნდა). ახსოვდეს, რომ ტელევიზორში გამოჩენა თავის გამოჩენას სულაც არ ნიშნავს (ეგრე, ყოველდღე მულატკაც კი ჩანდა და ასრულებდა აკრობატულ ილეთებს ეკრანზე);

10) დაბოლოს, კარგად დაიმახსოვროს წინა „9 მცნება“, რათა რამდენიმე წლის შემდეგ არ დაავიწყდეს ის, რომ რამდენიმე წლის წინ ასე ფიქრობდა...

თქვენი ლეო91“.

გმირი პატრული

„თელავის საავადმყოფოს შესასვლელში ერთმა გარე მოვაჭრემ საეჭვო, წითელი ლენტით შეფუთული ყუთი შენიშნა. რა თქმა უნდა, როგორც რიგითმა მოქალაქემ, ვალი მოიხადა და პატრულს დაურეკა. მოვიდნენ და იმათაც შეეშინდათ. ყუთი მაინც ყუთია. არც აციეს, არც აცხელეს, ადგნენ და „სასწრაფოს“ დაურეკეს (ანდა, რა დარეკვა უნდოდათ, იქვე იყვნენ). გამოიძახეს გამნაღმველებიც, მაგრამ რად გინდა? შიში ოხერი აღმოჩნდა და ახლოს მაინც არავინ მიდიოდა. დრო კი გადიოდა. გვარიანად რომ დაღამდა, შიში უფრო მოეძალათ, მაგრამ კახელებშიც გვყვანან გმირი, გულადი, მებრძოლი თანამშრომლები. ჰოდა, ერთმა უშიშარმა პატრულმა გაბედა მისვლა ყუთთან ახლოს და თან დააყოლა — გმირულად მაინც დავიღუპებიო. ფრთხილად გახსნა წითელი ლენტი და ყუთს თავსახური ახადა. შიგნით მაინც არაფერი ჩანდა, სქელი, მუქი ქსოვილი ეფარა, ღმერთმა იცის, რას. ვინ იცის, იმ მომენტში რა შიში ჭამა გმირმა პატრულმა, მაგრამ მაინც ფრთხილად წაავლო ხელი ქსოვილს და იქვე, მოშორებით გადააგდო. ცალი თვალით ყუთს ჩახედა. ამ დროს გულიანად გადაიხარხარა. იცით, ყუთში რა იყო? რა და — 4, ერთმანეთზე საწყლად მიხუტებული კნუტი, რომლებიც ისეთი პაწაწინები იყვნენ, რომ კნავილის თავიც არ ჰქონდათ. ისე, დიდი მადლობა იმ თელაველს, რომელმაც ასეთი ნიჭი გამოიჩინა და ხალხი გულიანად აცინა. გრუზინკა“.

ლხინშიც და ჭირშიც

„ამას წინათ, დილით ადრე ავდექი. უფრო სწორად, მაღვიძარას წივილმა თუ ჭყივილმა მაიძულა ადგომა. ისე მეძინებოდა, თვალებს ვერ ვახელდი და უნებლიეთ ტელევიზორს დავეჯახე. აფეთქდა და ისეთი ფეიერვერკი მოვაწყვე, მგონი, სამუდამოდ გამოვფხიზლდი, თმა კი დღემდე ყალყზე მიდგას. ერთხელ შემეშალა და „პაკლოსთან“ გასაგზავნი მესიჯი, რომლითაც თავის დანებებას ვთხოვდი კი არა და, მოვითხოვდი, მამიკოს გავუგზავნე. ამის შედეგად ხანგრძლივ ლექციებს ვუსმინე... გუშინ კი შემეშალა და მასწავლებელს ქართულის

სიდიდრის ყველაზე ზუსტი განსაზღვრება — „იმისი დედა!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

რვეულის ნაცვლად, პირადი დღიური მივეცი, შესასწორებლად. მე ვიცი, როგორც შემისწორებს. ის იქნება ერთადერთი, ვისაც ჩემზე ყველაფერი ეცოდინება. ეს იყო უნებლიე და თან ყველაზე დიდი შეცდომა, რაც ოდესმე დამიშვია. P.S. დღეიდან მეც თქვენთან ვარ, თავს მგზავნელად ვაცხადებ და მარიამულის ნების თანახმად, თქვენთან ვიქნები უკუნითი

უკუნისამდე, ჭირშიც და ლხინშიც, სანამ სიკვდილი არ დაგვაშორებს. მარ, თანახმა თუ არ ხარ, არ დაბეჭდო. სპორა".

ლაყე

„წელს კაფეში მცხობლად ვმუშაობდი. დავიტანჯე ლაყე კვერცხების გადამკიდე. მომმარაგებელს სულ ვეჩიჩინებოდი, კარგი კვერცხი მოეტანა, მაგრამ ამაოდ. ერთ დღეს ბევრი შეკვეთა გვქონდა. მომმარაგებელი კვერცხზე გავუშვი. ვეუბნები — მოდი, კვერცხის ცნობა გასწავლომეთქი (გამოვნახე მეც დრო). მიყურებს და აკვარკვარებს თვალებს, კაკლის მურაბასავით. — „ნიკუშ, ამოიღე ერთი კვერცხი, შეაყანყალე. ახლა მეორე მხარეს ამოიღე, ისიც შეაყანყალე. ახლა შუაში (ვგულისხმობდი „ლატოკში" ცუდი და კარგი შერეული არ ყოფილიყო)..." — ვქაქანებ მე, მაგრამ ვინ მაცალა სიტყვის დამთავრება? იფეთქა სიცილმა. თურმე, ყველა მოგვჩერებია. ავხედე ნიკუშას, გაჰქცევია თვალები შუბლზე და მეუბნება — დეიდა, მაგი მაღაზიაში როგორ ვქნაო? ხარხარი მერე უნდა გენახათ".

პაპის ოინები

„ჩემი პაპა იყო უნებლიე შეცდომების დიდოსტატი და „საბადო". დავიწყოთ თავიდან. შეყვარებული იყო პაპა და სისხლს უშრობდა სასიდედრო. ვერ იტანდა სასიძოს. ჩუმად ხვდებოდნენ სატრფოები ერთმანეთს სიმინდის ყანაში. ერთხელ, მორიგ პაემანზე მიმავალმა პაპამ დაინახა მისკენ ზურგით მდგომი სატრფო. უკნიდან მიეპარა, ხელში აიტაცა და დააბზრიალა, მაგრამ შერჩა სასიდედრო, რომელსაც შვილის აღნაგობა ჰქონდა. ოჰო, ჰო, პაპა გაძუყნეეეეს... :) ერთხელ, ჩემს მამიდას პროფესორი საქმრო და მისი ასევე პროფესორი მშობლები ესტუმრნენ. პაპა ძალიან ცდილობდა თურმე, პატივი ეცა მომავალი ნათესავებისთვის და მძახალს უთხრა — მიირთვით, ქალბატონო, ბამბანიური, შამპანერკასაც დაგისხამთო. ბოლო შვილიშვილი (ანუ მე) რომ შეეძინა, სასტიკად იუკადრისა მდედრობითი სქესი და ფიქრებში გართულმა, უნებურად დაბადების მოწმობაში დავითად ჩამწერა. ასაკში, ცოტა მამაკაცურმა პრობლემებმა შეაწუხა და ურولოგთან მიდიოდა, მაგრამ უნებლიეთ გინეკოლოგთან მივიდა და დაუჯდა შეწუხებული სახით ექიმს. ჰოდა, რა ვიცი, რა ვიცი... კარდიოლოგი".

მატყუარა

„ჩემმა დაქალმა უნებლიე შეცდომა დაუშვა. ერთ ტიპთან თავს იფასებდა, — ვერ შეგხვდებიო და ჩემთან გამოსაგზავნი მესიჯი იმასთან გაუშვა! აი, ციტატა: „სიხ, ხომ იცი, ვკვდები, ისე მინდა შევხვდე, მაგრამ მაგას როგორ ვეტყვი? იწუწუნოს ცოტა!" — და ამის მსგავსი უამრავი ფრაზა! წარმოგიდგენიათ, ტიპი ლამის სახლში მიუვარდა — ან შენ რას წვალობ, ან მე რატომ მაწვალებო? ეგ რა არის?! იცით, კიდევ რა ქნა? პაემანზე აგვიანდებოდა, ოთახის ჩუსტებით წავიდა და ეს აღმოაჩინა რესტორანში! პატარა მავნე".

დაბოლილები

„ჰეჰ, აუ, მარ, იცი, როგორ ვარ? აი, „ტრუხა" პლანს რომ მოსწევ და მოთენთილობით გამოგაშტერებს... „კაკ რაზ", თავიც მისკდება და... უი, პლანზე გამახსენდა, ამას წინათ მამიდა ქალაქგარეთ გავიდა და სახლის მეთვალყურედ მე დამტოვა. მის ეზოში 3 სახლი დგას და „ობშეჟიტიეს"

ზოგისთვის სიცოცხლე 40 წლის შემდეგ იწყება, ზოგისთვის — 100 გრამის შემდეგ.



თემაზე და თემის გარეშე მოსული მოკლე მესიჯები

„აუუ, იმერეთში უნდა ნახოთ, როგორი რეკლამები გვაქვს — მანქანების რეცხვა-გაპრიალება; ვალუტის გადაცვლის პუნქტი, ფასი — შეთანხმებით. მარ, უნებლიეთ დაგიმესიჯე. აბა, შენ იცი, იქნებ უნებლიეთ დამიბეჭდო. თაისი“.

„მოგეხსენებათ, საქართველოში დუხჭირი დრო დაგვიდგა. ვერც ჩვენი სოფლის საბჭომ მოაბა თავი ჩვენი სოფლის დანგრეული ხიდის აღდგენას. ჰოდა, ერთ საღამოს მამამ გამგზავნა სიგარეტზე, ხიდს გაღმა. შებინდებული იყო და ხიდის ჩანგრეული ადგილები არ ჩანდა. მივდიოდი ჩემთვის, უცებ ყველაფერი გამუქდა და მტკვარში მოვადინე ტყაპანი. გაბრაზებულმა და გაწუწულმა ავიღე ნაჯახი და მთელი ხიდი ავყარე. ამ ინციდენტის მერე აგვიშენეს სამანქანო, რკინის ხიდი. ტინტორენტო“.

„ეჰ, პირადად მე უნებლიე შეცდომის წყალობით გავჩნდი. ბიჭი ვეგონე დედას და მაგიტომ გამაჩინა. რომ სცოდნოდათ, გოგო ვიყავი, იქნებოდა — ბებიაქალი, „მაშა“, პინცეტი, ლანცეტი და... ხსოვნა იყოს! ვავ!“

„თამადა ამბობს სადღეგრძელოს: ამ ჭიქით საქართველოს გაუმარჯოს და ჩვენი მტრების დედაცოო! ვილაცამ უთხრა — ნუ აგინებ, გამრავლდებიანო. მაშინ თქვენი დედაც და იმრავლეთ და იხარეთო! GREEN GIRL“.

„მარი, როგორ ხარ? დიდი ხანია, არ მომიწერია და მომენატრასავით... ჩემი ყველაზე დიდი შეცდომა ის არის, რომ შეყვარებული მყავს, მაგრამ პატარა ფლირტებს მაინც ვერ გადავეჩვიე. ცუდი გოგო ვარ, ხომ? ეჰ, რა ვქნა, ხშირად ვუშვებ მაგ შეცდომას, მაგრამ არ ვიცი, უნებლიეა თუ „ნებლიანი“. მიყვარხართ... ვის ვახსოვარ, მაგრამ მაინც... :) შანსი“.

მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ — ყველაზე ცუდი მოგონება. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com „მოკლე ჩართვის“ კითხვად გთავაზობთ — რას ვკითხავდი ყოვლისმცოდნეს?

პონტია. ერთხელ, გავიღვიძე, საღამოა და ეზოში ბიჭები „ბუინობენ“. ჯერ კონსერვის გასახსნელი მთხოვეს, მერე — მარლა, კოვზი... მანაგუას ხარშავდნენ. მეეეეთქი, თქვენ გაჩვენებთ... დალიეს, გავიდა 40 წუთი, მოიტანა და რა მოიტანااااა... ფანჯრიდან ვუყურებ, თავს ვერ იჭერენ, ვერც ვერაფერზე დებენ, — გვიბრტყელდებაო... :) მოკლედ, სხედან დალენჩებულები, სიგარეტს ვერ იკავებენ პირში, განგრეული „სუშნიაკი“ აქვთ და ონკანამდე ვერ მიდიან. :) წინადღეს, მეზობელმა დისკი მათხოვა, მაგარი „ბოევიკიაო“. „ბოევიკი“ კი არა, პატრულის სირენის მეტი არაფერი ისმოდა საათ-ნახევარი. ავდექი და „ვტენე“ DVD-ში ეს კინო. ვაااახვიე, ვახვიე და სადაც კაااარგი კივილი მეგულებოდა, იქამდე „მივაჩოჩეეე“... დაიწყო ტელევიზორმა და რა დაიწყო?! ფეხმოტეხილი ძაღლივით რომ აწკავწკავდა სირენა, მეზობლის ძაღლები ბანს აძლევდნენ. ეცნოთ მონათესავე სული, მაგრამ რაღა ძაღლები, ჩემი ქეში მეზობლების ყმუილსა და მალაყებს არ იკითხავთ? გალავანზე ფეხდაუკარებლად ცვიოდნენ, მეზობლის ეზოში. მე კიდევ, ფერდებდახუთული, 2 კვირის დაუგვეელ იატაკზე გორაობისგან მეწისქვილე მურთაზასავით ვიყავი ამოგანგლული და სულს ძლივს ვიბრუნებდი... ჩიხტიკოპიანი დილეტანტი“.

ფოლი ფოფოფონების ყი ანა, ქალის შეშის საამოლებაა.

დასაწყისი იხ. გვ. 16

მაიკლ ედელმანი

ფრენსის ჯონ ლანგი 1934 წელს დაიბადა. მისი სიმაღლე 188 სმ, წონა — 538 კგ გახლდათ. ახალგაზრდობაში მას სიმსუქნე არ აწუხებდა. ვიეტნამში სამსახურის დროს, სულ რაღაც 68 კგ-ს იწონიდა. გასუქებას ექიმის მიერ გამოწერილ პრეპარატს აბრალებდა: ამტკიცებდა, რომ წამალის გვერდითი მოვლენები ახასიათებდა, რის შედეგადაც მიღებული საკვების რაოდენობას სრულებით ვეღარ აკონტროლებდა. ლანგს სიარული არ შეეძლო, მაგრამ შემოსავლის წყაროს


ფრენსის ჯონ ლანგი

მოძებნა მაინც მოახერხა: დანაზოგით მოძრავი სახლი შეიძინა და მოგზაურობას მიჰყო ხელი. ლანგი სხვადასხვა თავშეყრის ადგილას ჩნდებოდა და მისი ახლოდან დათვალიერების მსურველებს ფულს ახდევინებდა.

რობერტ ერლ ჰიუჯესიც ამერიკელია. მისი სიმაღლე 184 სმ, ხოლო წონა — 458 კგ გახლდათ. რობერტი დაბადებიდან ჯანმრთელი ბავშვი იყო. შემდეგ წონაში მომატება დაიწყო და 6 წლის ასაკში უკვე 92 კილოგრამს იწონიდა, 10 წლის ასაკში — 170-ს, 13 წლის ასაკში — 248 კგ-ს, 27 წლის ასაკში კი — 430-ს. წონამ რობერტი ცნობილ ადამიანად აქცია. მისი ხელით შეკერილი ჯინსის შარვალიც კი ახალი ამბების განხილვის საგანი იყო. რობერტის გულმკერდის გარშემოწერილობა 310 სმ გახლდათ, წელის — 305. მისი ნაადრევი სიკვდილი თირკმლის უკმარისობამ გამოიწვია. იმის გამო, რომ ავადმყოფი საავადმყოფოს კარში ვერ შეეტია, ექიმებმა მისი მკურნალობა ეზოში მდგარ ავტომობილში გადაწყვიტეს.


მაიკლ ჰებრანკო

მაიკ პარტელენო ოჰაიოს შტატში ცხოვრობდა. მისი მაქსიმალური წონა 464 კგ იყო. იმ პერიოდში ის დიკ გრეგორის ბოჰემური დიეტის რეკლამირებას ახდენდა. თუმცა, დიეტამ უკუშედეგი გამოიღო. პაციენტი ირწმუნებოდა, რომ დიეტამდე ის მხოლოდ 293 კგ-ს იწონიდა.

მაიკლ ჰებრანკო ბრუკლინში ცხოვრობდა. ის 3,8 კგ დაიბადა, 16 წლის ასაკში კი უკვე 160 კგ-ს

დენი უელში

მაიკ პარტელენო

იწონიდა. მისი მაქსიმალური წონა 450 კგ გახლდათ. საზოგადოებისთვის ცნობილი, რიჩარდ სიმსონის დიეტის რეკლამირებისას გახდა. ეკრანზე გამოჩენისას ამბობდა, რომ დიეტის შედეგად 360 კილოგრამი დაიკლო და მისი წელის გარშემოწერილობა 200 სანტიმეტრით შემცირდა, მაგრამ სინამდვილეში, მხოლოდ 23 კილოგრამის დაკლება შეძლო, ისიც — ქირურგიული ჩარევის გზით.

დენი უელში 445 კგ-ს იწონიდა. ის ჯერი სპრინგერის შოუს მონაწილე გახლდათ, სადაც თავდაპირველად ქალის პაროდიას აკეთებდა. შემდეგ, როდესაც მისმა წონამ 363 კგ-ს მიაღწია, შოუში კვლავ მიიწვიეს, როგორც „მსუქანი მამაკაცი". 1996 წელს (მას შემდეგ, რაც დენიმ საწოლში 4 კვირა გაატარა), ჯერი სპრინგერმა დენის სახლის კედლები დაანგრევინა, რათა მისი საავადმყოფოში გადაყვანა შესძლებოდათ, სადაც დიეტაზე დასვამდნენ. მისი გახდომის პროცესს ტელევიზიით აშუქებდნენ, მაგრამ დენიმ მხოლოდ უმნიშვნელოდ დაიკლო.

სანტიაგო გარსია

ტეხასელი **სანტიაგო გარსია** 408 კგ-ს იწონიდა. ის 1994 წელს ფალსიფიცირებული, საემიგრაციო რუკების გაყიდვის გამო დააპატიმრეს. როდესაც აღმოჩნდა, რომ კამერაში ვერ ეტეოდა და ვერც ამწე მოერია — პოლიციის ფურგონში რომ ჩაეტენა, გარსია გამოუშვეს და შინაპატიმრობა მიუსაჯეს.

ჯოზელინა და სილვა

ბრაზილიელი **ჯოზელინა და სილვა** 406 კგ-ს იწონიდა. მან წონაში მომატება 15 წლის ასაკიდან დაიწყო. ჯოზელინა დიდი რაოდენობით კანფეტს, ნამცხვარსა და გაზიან სასმელს მიირთმევდა. ამის შედეგად, ისე გასუქდა, რომ საწოლიდან ადგომა უჭირდა. მას 10 მეხანძრე სჭირდებოდა, რომ ჰიგიენა დაეცვა და საწოლში გადაბრუნებულიყო. მისი მდგომარეობით ადგილობრივი პრესა დაინტერესდა. ამის შემდეგ მასზე მზრუნველობა ერთ-ერთმა ფიტნესცენტრმა ითავა: გადაწყვიტეს, ჯოზელინას გახდომაში დახმარებოდნენ და ეს შემთხვევა სარეკლამო მიზნებისთვის გამოეყენებინათ. თუმცა, შედეგას ვერ მიაღწიეს.

2007 წელს, 7 წლის გოგონა, **ჯესიკა ლეონარდი** 222 კილოგრამს იწონიდა. ბავშვი ხოხვით გადაადგილდებოდა და მხოლოდ ერთი გვერდიდან მეორეზე გადაგორება შეეძლო. ძლივს ლაპარაკობდა, სუნთქვა უჭირდა... მისი ყოველდღიური რაციონი ძირითადად ცხიმიანი საკვები იყო და 10 ათას კკალ-ს შეიცავდა — მაშინ, როცა ბავშვისთვის დასაშვები ნორმა დღეში მხოლოდ 1800 კკალ-იაა.

გოგონას შესახებ ტელევიზიით მომზადებულმა რეპორტაჟებმა ამერიკელები შეაშფოთა. ათაიათასობით ტელემაყურებელმა მოითხოვა დედის დასჯა, რომელიც შვილის დაინვალიდებას ხელს უწყობდა და განუსაზღვრელი რაოდენობის საკვებს აძლევდა. მკურნალობის შემდეგ გოგონამ წონაში 140 კილოგრამი დაიკლო.

ჯესიკა ლეონარდი

ჯესიკა ლეონარდი გახდომის შემდეგ

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ქალები

1. გავიცნობ ყველაფრით უზრუნველყოფილ, ზნეკეთილ მამაკაცს, 40-50 წლამდე, ვინც ეძებს ღირსეულ ცხოვრების თანამგზავრს. ვარ განათლებული, დასაქმებული, კარგი გარეგნობის ქალი.

2. ვარ 20 წლის, ლამაზი გარეგნობის გოგო. მინდა, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნო 22-28 წლამდე გაგებული ბიჭი.

3. ვარ შავგვრემანი გოგო, თაფლისფერი თვალებით, მომხიბვლელი გამომეტყველებითა და სასიამოვნო გარეგნობით. მ. თამო 19.

4. 35 წლის, უმშვენიერეს, თბილ და ტკბილ მანდილოსანს სურს გაიცნოს შესაფერისი მამაკაცი, 35 წელს ზევით, ოჯახის შექმნის მიზნით. გასართობად არ შემაწუხოთ, თორემ...

5. 35 წლის, ნაზ, თბილ, ტკბილ და გადასარევ ქალიშვილს სურს გაიცნოს ნამდვილი მამაკაცი, ოჯახის შექმნის მიზნით. თუ არსებობენ კიდევ, გამომეხმაურონ. გასართობად არ შემაწუხოთ.

6. ვარ ძალიან ლამაზი და პატიოსანი გოგო. ვარ განქორწინებული. მინდა, დაოჯახების მიზნით გავიცნო თბილი და მოსიყვარელე ადამიანი. ვარ 23 წლის. ს.ა.ლ.ი.

7. ვარ 34 წლის, ქმარს გაცილებული, ნახევრად უკრაინელი, სტიუარდესა. გავიცნობ ყველანაირად იდეალურ პიროვნებას.

8. ვეძებ ჩემს პრინცს, რომელიც „გზის“ საშუალებით ვნახე.

9. ვარ 17 წლის, ეშხიანი გოგო. ვცხოვრობ ქუთაისში. გავიცნობ 27 წლამდე ასაკის, სერიოზულ და დასაქმებულ ბიჭს. არასერიოზულებმა თავი შეიკავეთ. თეო.

10. ვარ 37/170/59, განათხოვარი, გარეგნობით ჩვეულებრივი, გავიცნობ 30-40 წლამდე მამაკაცს. იყოს ნაცოლარი ან ქვრივი, ჰყავდეს შვილი, იყოს უზრუნველყოფილი ყველაფრით.

11. ვარ სასიამოვნო გარეგნობის, ცოტა პუტკუნა, ქვრივი, უშვილო, დასაქმებული, 40 წლის. გამომეხმაუროს დასაქმებული, ბინიანი, ქვრივი მამაკაცი, 47-დან 57 წლამდე.

12. ვეხმიანები 21-ე მესიჯის ავტორს, 30 წლის ექიმს. თქვენზე გაცილებით პატარა ვარ, მაგრამ ვგიჟდები ექიმ კაცებზე. ამავდროულად, ჯანმრთელობას გამიუმჯობესებთ. გიშრისთვალება.

13. ვარ 32 წლის, წესიერი, პატიოსანი, გამგებიანი ქალიშვილი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 33-39 წლამდე ასაკის მამაკაცს. სამაიმუნოდ ნუ შეწუხდებით.

14. ვარ 39/176/65, ნორმალური გარეგნობის, თითქმის ყველა დადებითი თვისებების მქონე მანდილოსანი. გამომეხმაურეთ მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით.

ბიჭები

15. ვარ 30/185/80, დასაოჯახებელი მამაკაცი. ვცხოვრობ კახეთში. დაოჯახებიც მიზნით გავიცნობ სიმპათიურ, თბილ, მეოჯახე, პატიოსან გოგოს.

16. ვარ 36 წლის, ძალზე სიმპათიური, მომხიბვლელი გარეგნობისა და თვისებების მქონე მამაკაცი. გავიცნობ ანალოგიური გარეგნობისა და თვისების მქონე მანდილოსანს.

17. ვარ 36 წლის, მაღალი, უკომპლექსო მამაკაცი. გავიცნობ მანდილოსანს, 40 წლამდე.

18. ვარ 30 წლის, სიყვარულით გულნატკენი მამაკაცი. გავიცნობ 20-30 წლის, სერიოზულ, სულიერად ლამაზ და თბილ ქალბატონს. გელოდები, ერთადერთო.

19. ვარ 33 წლის მამაკაცი და გავიცნობ იმ ქალბატონს, რომელიც მიატოვეს და გვერდით სულიერი (და არა მარტო სულიერი) მეგობარი სჭირდება.

20. ვეხმაურები „გზა“ №41-ის, მე-10 მესიჯის ავტორს. გთხოვთ, დამიკავშირდეთ.

21. ვარ 24 წლის, სიმპათიური, სტილისტი. ვცხოვრობ გლდანულაში. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 18-22 წლის, რუს ან უკრაინელ გოგონას. საშა შაინიანი.

22. ვეხმაურები მე-10 მესიჯის ავტორს. მეც მინდა შენი გაცნობა.

23. ვარ 28 წლის მამაკაცი, მანქანით, ბინითა და სამსახურით უზრუნველყოფილი. გავიცნობ 27 წლამდე ასაკის მანდილოსანს. დაბლები და პუტკუნები ნუ გამომეხმაურებით.

24. გავიცნობ მომხიბვლელ გოგონას, რომელიც სახელის თქმის სანაცვლოდ ტელეფონის შევსებას არ მთხოვს და ასაკის მაგივრად ხელფასის რაოდენობას არ მკითხავს. ტრადიციულს და ქართულად აღზრდილს.

25. გავიცნობ დაოჯახების მიზნით, 32 წლამდე ასაკის, ერთგულ, ოჯახის მოყვარულ და მაღალ მანდილოსანს, თუნდაც განქორწინებულს, უშვილოს, იმერეთიდან. ვარ 33/185/80 მონაცემების.

26. გთხოვთ, გამაგებინოთ „გზა“ №40-ში მე-3 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

ვაჟები

27. ვეძებ სამტრედიაში მცხოვრებ ნანას. ჰყავს 2 შვილი. გვარი არ მახსოვს. 3 წლის წინ ერთად ვმუშაობდით, სტამბოლში. მე ლელა ვარ, ფოთიდან.

28. ვეძებ როსტომ მგელაძეს, ბათუმში ცხოვრობს. გამომეხმაუროს. ლელა.

29. ვეძებ ირმა ცოცხალაშვილს, ცხოვრობს ბორჯომში. შენ გადმოცემით მიცნობ. გამომეხმაურე, დამიმესიჯე. თუ ვინმე იცნობს, გთხოვთ, შეატყობინეთ.

30. ვეძებ ძმას, გია ჩხვიმიანს.

ოჯახში ვფხოს ვეძახდით. ვცხოვრობთ მესტიის რაიონში, სოფელ ჭუბერში. მარტის დასაწყისში გავიდა შინიდან და მას შემდეგ არაფერი ვიცი. იქნებ ვინმე გამომეხმაუროს და ვეფხოს ამბავი მაცნობოს. ამჟამად სალონიკში ვარ.

31. მინდა, მეგობარს სიურპრიზი მოვუწყო და ვაპოვნინო ჯგუფელი, კარგი მეგობარი, რომლის მოძებნასაც ნატრობს. ვეძებთ რუსთაველ ნანა კიკილაშვილს. მეუღლეა — თამაზ მშვენიერაძე. ჰყავთ 2 ქალიშვილი. ეძებს სამტრედიელი, დროებით ათენში მცხოვრები ქეთი გიორგაძე. მარი, გთხოვ, დამეხმარე და გამახარებინე ჩემი მეგობარი. თინიკო.

32. ვეძებ კახა კვიტინიძეს, ოდიშელს. ცხოვრობს ზუგდიდში. მაია, ათენი.

სესია

• სიყვარულით მოვიკითხავ უტკბეს ლუნას, მძინარა გრუზინკას, მშვენიერ უზნეო ანგელოზს, მიუწვდომელ კამელიას, ბიძია ოლეგარიოს, ძვირფას ენიგმას. გაკოცეთ! crazy girl.

• რავა ხართ? მე მაჩი ვარ, წყალი დამალევინეთ, თორემ ძალიან მშია და თან თავშესაფარიც არ მაქვს. იმედია, ჯიგრულ პონტში ვიქნებით... მაჩი.

• — მგზავნელებო, თქვენ გიყვართ მარი ჯაფარიძე?

— დიიიაااااხ! — იყო პასუხი.

— გინდათ, რომ შრომა შეუმსუბუქოთ?

— რა თქმა უნდა! — ერთხმად წამოიძახეს.

— მაშინ სწორად წერეთ მესიჯები, თორემ დაიტანჯა ჯაფარიძე, მესიჯების აზრის ჩაწვდომით. აი, ასე! მართლა ბევრს მუშაობს მარი. პირადად ჩემთვის, ქართულის გაკვეთილია ჩემი გაგზავნილი მესიჯის კითხვა. რომ ვადარებ გაგზავნილს და დაბეჭდილს, რაღა ქართულის მასწავლებელის გასწორებული თემა და რაღა — მარის მიერ დაბეჭდილი მესიჯი. რომ წარმოვიდგენ, რამდენი ადამიანი გზავნის ჩემნაირ მესიჯს და ყველაფერ ამას მარი კითხულობს, გული მიწუხდება. მართლა გულწრფელად თანავუგრძნობ მარის. დარწმუნებული ვარ, ვერც ერთი თქვენგანი „გზავნილების" გარეშე ვერ გაძლებს. ამიტომ მოვუფრთხილდეთ მარის. P.S. ისე, ვეცადე ეს მესიჯი რაც შეიძლება სწორად დამეწერა.

• ამ ზაფხულს „სტერეოს" „მორბენალი სტრიქონი" მეტად უცნაურმა განცხადებამ გაახალისა — „ღმერთის ძალით, სანამ მე არ შევაჩერებ ქარიშხლებს, წყალდიდობებს, მანამ არ შეჩერდება. ასევე ოლიმპიადის ჩაშლა... დამიკავშირდეს მთავრობა". ამ უაზრო და ამბიციურმა განცხადებამ ჩემი, ჟურნალისტური ცნობისმოყვარეობა გამოაღვიძა და ჩალაძე ოქროპირთან სულ მალე დავრეკე. მინდა გითხრათ, რომ ამ დროისთვის ოლიმპიადა დამთავრებული გახლდათ. ჰოდა, ამ უცნაურ ადამიანს თავი ახალგაზრდა „ნაციონალების" ერთ-ერთ თავმჯდომარედ გავაცანი და საუბარი მადლობის გადახდით დავიწყე ოლიმპიადის „ჩაშლის" გამო. მანაც — არაფერსო, ისე გულწრფელად მითხრა, ერთხანს მისი შესაძლებლობებისაც კი ვირწმუნე. კითხვაზე, თუ რას ითხოვდა მთავრობისგან, ასეთი პასუხი გამცა: ფული, ოღონდ თანხას მე დაგისახელებთო. გამოდის, ფულის გარეშე თავისი ხალხის გადარჩენაზე უარი განაცხადა. ბატონი ოქროპირი ძალიან დააბნია და გააღიზიანა კითხვამ — თუ ღმერთის ძალით მოქმედებდა, ფულს რა მნიშვნელობა ჰქონდა? „ძლევამოსილმა სასწაულმოქმედმა" ჩვენი საუბარი უწმაწური სიტყვებით დაასრულა. მისმა საქციელმა კი საბოლოოდ დამარწმუნა მის „სიმართლეში" და ყურმილი დავკიდე. უსკო".

• ვისაც არასოდეს გაუავდრდა, მაინც იმედებით გრძნეულია, ეს იმ ადამიანს გაუმარჯოს, ვისაც სიყვარული შეუძლია. ნათათო.

• მინდა, მოვიკითხო ლიმონა. ქალ, გამიხარდა შენი გაცნობა. სესი, თოჯინა ხარ. კიკო, საკალელი გოგჩო ხარ. იკჩო, ტატუსიას ჩამოჰგავხარ. კახელო, მომენატრე. სად ხარ? უსაყვარლესი ხარ. აპოლონიც მაგადია კიდევ და ჩემი სიცოცხლე, მის რეალი. კახელი საკო და მისი ნინიკოც ვიცი. გაკოცეთ, ერთი სიტყვით. 9717, სად ხარ? უკარება.

• დღეს ისეთი გახარებული ვიყავი, ისეთი ბედნიერი, რომ რას ვაკეთებდი, ვერც კი ვტვინავდი. გათენდა ხუთშაბათი და გავექანე ჯიხურისკენ. „გზა" შევისწავლე და სრული ბედნიერება შევიგრძენი. თითქოს ჯანზე მოვედი და ამ ენერგიისგან დაცლას ვლამობდი. ჯერ ქალაქის ცენტრში დაქალები გადავკიდე ერთმანეთს. თამთა მარიკას ფეხზე წამოედო. ჯერ მარი დაეტყეპა ასფალტზე, მერე ზედ თამთა დაეკრო. წარმოიდგინეთ, რა პრიკოლი იყო. ერთმა მუხლი იტკინა, მეორემ — მკლავი. ხმა ჰქონდა არაჩვეულებრივი. მეგონა, დაიმსხვრნენ-მეთქი, მაგრამ ორივე კაი გემრიელი სიცილის შემდეგ „წამოვფხიკე" ასფალტიდან. გაკვეთილზე რომ შევედი, რამ წამომიარა, არ ვიცი — ჩემი ლოვეს დეიდაშვილს, ნინოს ანუ კოჩას ისეთი ვტკუცე სიფათში მოულოდნელად, რომ ვერც გაიაზრა, რა დაემართა. ეჰ, რა მეშველება? მთელი კლასი გაოცებული მიყურებდა, ნეტავ რა ეტაკაო. ერთი წამოხტა და დაიძახა — მიუშვით, დღეს „გზა" აქვს წაკითხული და იმიტომაა ჯანზეო და გადაიხარხარა. იქნება და ჩემი კლასელი მართალი იყო და იმიტომ ვიყავი დღეს ასეთი აჟიტირებული? მიყვარხართ, მგზავნელებო და მენატრებით. მიოოოოორთ. თქვენი გადარეული მეგრელი მგელო.

• ენიგმა, გირჩევ, თავი დაანებო და შური არ იძიო. ყველაფერი ისე დატოვე, როგორც არის. ისე, მაგარ ლექსებს წერ, ასე განაგრძე. წარმატებები. ლანულა.

• იცით? გული მაქვს მაგარი ნატკენი. ჩემზე და აპოლონზე ისეთი რამეები გავიგე, გავგიჟდი. ყველა ჭორიკანას ვეუბნები, მე და აპოლონი ერთმანეთს არ ვაბამდით, არც ერთმანეთს შევხვედრივართ, მარტო სურათით მყავს ნანახი-მეთქი. ჰოოდა, ჭორაობას თავი დაანებეთ, ნუ გშურთ მეგობრული ურთიერთობების. საზიზღრობაა უბრალოდ და მეტი არაფერი. პავლიკასაც დაანებეთ თავი. ამოხვედით ყელში რა, ეს ჭორის გამავრცელებლები. ნორმალური მაინც თქვით რამე. ყველა კარგ მგზავნელს მინდა ვუთხრა, რომ მაგრად მიყვარს. კიდევ კარგი, „გადახრებიც" არ დამაბრალეთ და არ თქვით, ჭრიჭინასაც აბამდაო. აბა, დაიმალეთ ბიჭებო, სესი გაბამთ! ეს უბრალოდ, სიბინძურეა. არ მინდოდა, რამე მეთქვა, მაგრამ ამოვიდა ყელში. „გზა" ძალიან აირია, შურმა დაღუპა ხალხი. მარ, მაპატიე, თუ რამე ცუდად ვთქვი, მაგრამ ზოგს მართლა ზედმეტი მოსდის. სესი.

• მარი გაძლებას გისურვებ. მგზავნელებს კი ვეტყოდი, რომ ყველამ თავის გულში ჩაიხედოს. მინდა ელისოს ვუთხრა, რომ მართლაც გმირია! ქართველი ამორძალი! ელისო, შენ შენი სამსახურით უამრავ ადამიანს იცავ. ღმერთმა დაგლოცოს შენ და შენი პატარა. მარ, იცი, „გზავნილებს" ილინისა და კანიბალკას შარმი დააკლდა. მართალია, ხშირად არ გწერთ ხოლმე, მაგრამ ჩემს გულში საკმაოდ დიდი ადგილი გაქვთ „ოკუპირებული". კარგები ხართ. ჟუკი.

• მე თუ ფერმკრთალი ვარ, შენთვის გავწითლდები და თუ ამაყი ვარ, შენთვის ავტირდები, მე თუ პატარა ვარ, შენთვის გავიზრდები და თუ ჭკვიანი ვარ, შენთვის გავგიჟდები. თუ კი შეგცივდება, მაშინ მზე ვიქნები, სიცხე შეგაწუხებს? მაშინ ზღვა

ვიქნები... სხვა შეგიყვარდა? შენ ნუ დაფიქრდები, იბედნიერე და მსხვერპლი მე ვიქნები.

• ერთხელაც ვიფიქრე, რომ ჩემი მოსაწყენი ცხოვრებიდან არაფერი მქონდა ისეთი მოსაყოლი, რომ მგზავნელებისთვის საინტერესო ყოფილიყო. ვიფიქრე, წავალ და უბრალოდ, აქტიურ მკითხველად დავრჩები-მეთქი, მაგრამ როცა „გზას" ვკითხულობ და ჩემი მესიჯები აღარ არის, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს საკუთარი ოჯახის ცხოვრებას თვალს შორიდან ვადევნებდე. გადავწყვიტე, ისევ დავამესიჯო მაგრამ მარი აღარ მიბეჭდავს. დეე, შემომიშვი რა, სახლშიიიი?! დამსაჯე, კუთხეში დამაყენე, თუ ცუდად მოვიქცე. თაისი.

• ენიგმა, სერიოზულად ვარ დაინტერესებული შენი პიროვნებით. შენს მესიჯებს გულგრილად ვეღარ ვკითხულობ. იქნებ მომცე საშუალება, რომ უკეთ გაგიცნო? ათენი-27.

• ეს მესიჯი თქვენი იყოს, მე მინდა, რომ კარგად იყოთ და თუ მესიჯს წაიკითხავთ, მუდამ ბედნიერი იყოთ. მგზავნელებს ჩემგან. იუზა.

• რამდენი ხანია, „გზას" ვკითხულობ? ოჰ, აღარც კი მახსოვს, მაგრამ ახლა გადავწყვიტე, რომ მოგწეროთ და რატომ? იმიტომ, რომ მოსაწყენი გახდა ამდენი ჩხუბი და კინკლაობა. არ მოგბეზრდათ, ხალხო? მშვიდობის მტრედი შემოვფრინდი და იმედია, მიმიღებთ. იუზა.

• საღამო მშვიდობის, მარი. უმაგრესი ადამიანი ხარ და ჩემი ოჯახის წევრად მიმაჩნიხარ. იმიტომ, რომ ჩემს სახლში სულ შენზე და „გზავნილებზე" ლაპარაკობენ. გაკოცე. მის პელეგრინო.

• გუ-ათენო, რომ ჩამოხვედი საფრანგეთიდან, რა, აღარ უნდა გამოჩნდე თუ ჯერ ისვენებ? ტატუსიას რატომ არ სჯერა შენი მოგზაურობის ამბავი? მტრები ჰყავს კაცობრიობას. ლანდი.

• სალამი ათენელო მგზავნელებო, როგორ ხართ? თქვენ შამოგევლოთ ჩემი თავი. მოვიკითხავ ათენი-23-ს, გუ-ათენს, უკარებას, ბოტოტას, ვარდენას, 13-07-ს, ტატუსიას. ლანდი.

• ჩიხტიკოპიანო დილეტანტო, რა მაგარი ხარ! მეც ახალი ვარ. იმედი მაქვს, მიმიღებთ. მარ, მე გალექსვებს ვერ დაგპირდები, მაგრამ გპირდები, არ მოგაწყენთ. ლანულა.

• ჰი ალლ, როგორ ხართ? გენათალეთ ძაან მინდა თქვენი გაცნობა. მარი, მიუხედავად იმისა, რომ არ გიცნობ, მაინც ძალიან მიყვარხარ! გთხოვ, არ დამბლოკო. გაკოცე. LITTLE EMO.

• მ-ინდა მოგიძღვნა ალალი გულით მე ლექსი ციდა,
ე-სე სიტყვები უბოროტო, წრფელი და წმინდა,
შ-ენზე ფიქრებში რომ ვათენებ ღამეებს, იცი?
ე-ს არის ჩემი ოცნება და მარადი ციცი,
ნ-იავსაც მოაქვს უნაზესი შენი სურნელი,
მ-იხმობს თავისკენ ნეტარებით, კვლავ ვხვდები ხელი,
ი-ის და ვარდთა ამ ღვთაებრივ სურნელში ქრები,
ყ-ველგან გიპოვის ოცნება და ჩემი ფიქრები,
ვ-არსკვლავთა ციმციმს ედარება შენი სიცილი,
ა-რსად მინახავს სხვას შვენოდეს ასე ღიმილი,
რ-წმენით სიყვარულს აუგია ჩემს გულშიც სვეტი,
ხ-არ სათნოება და სიკეთის მაღალი ღმერთი,
ა-რ მსურს დაღვარო კვლავ ცრემლების არც ერთი წვეთი,
რ-აც უნდა მოხდეს, მე მარადის შენ ისევ გეტყვი:
ო-ცნება ხარ და ოცნებაზე ათასჯერ მეტი,
ო-ცნებას გჩუქნი, მიყვარხარ და მარადჟამს გეტრფი! აპოლონი

• ტატუსია, ერთი ადგილი დააყენე თავის ადგილზე, არავინ გეკითხება, ვინ სად იყო და ვინ საიდან ჩამოვიდა, გამიგე? სადაც არ არის შენი საქმე, ცხვირს ნუ ყოფ.

• მოვიკითხავ ნიკოლს, მის რეალს, 616-ს, უკარებას, ოლეგარიოს, კოხს, ათენი23-ს, გუ-ათენს, ნონ სტოპს. 13.07.

• ყველას დიდი მადლობა, მოლოცვისთვის. გაიხარეთ. უფალი გფარავდეთ, თითოეულ თქვენგანს. გაკოცეთ. 13.07.

• 16 წლის ვარ და მალე ბაია მეყოლება. გათხოვება ჯერ შეცდომა მეგონა, მაგრამ უსაზღვრო სიხარულია, როცა შენს სხეულში ახალი სიცოცხლეა და მას შვილი ჰქვია. ბედნიერად. თიი.

• არ მინდოდა, „გზაში" კანიბალკა კიდევ ერთხელ ხსენებულიყო, მაგრამ მართლა ვერ ვიკავებ თავს. ვიცი, რომ აქ ყველას თუ არა, უმეტეს ნაწილს მგზავნელებისა, ვუყვარვარ. ამიტომ, ვფიქრობ, ჩემს თხოვნას პატარა ფასი მაინც ექნება. ხალხო, „გზავნილები" ჩვენს დროს სამოთხე იყო, სადაც ყველა ერთმანეთს უფრთხილდებოდა. მაშინაც იყო კამათი, მაგრამ ბოროტება არ იდო იმ კამათში. მარი დამეთანხმება, რომ მარის შემდეგ „გზავნილები" მე, პავლიკამ, მგლის დამ, სტიქიამ, მუკობაზიერმა, ელისომ, ილინმა, ლორელაიმ, ოლეგარიომ, დუჩიმ, პარიჟანკამ და სხვა ძველმა მგზავნელებმა შევქმენით. ეს ლამაზი სამყარო სიყვარულის აგურებით ავაგეთ. ჩვენ წავედით და ახლები (ყველას არ ვგულისხმობ) გვინგრევთ ამ სამყაროს. მართალია, ადვილია იმის დანგრევა, რაც თქვენი აშენებული არაა, მაგრამ გეხვეწებით, ნუ იზამთ ამას. გული საშინლად მწყდება. ერთ დროს „გზავნილებს" ერთი ამოსუნთქვით ვკითხულობდი. ახლა მხოლოდ ნაცნობ ნიკებს ვეძებ. მარი, გავკადნიერდები და გთხოვ, რომ თუ ასე გაგრძელდა, დახურე „გზავნილები". ეს შენთვის და ჩვენთვისას ძნელი იქნება, მაგრამ დღევანდელი „გზავნილები" ისეთია, პროფესორი რომ გალოთდება და ნაგვის ბუნკერთან დაიძინებს. მის ცხოვრებას ხომ სიკვდილი სჯობია? მაპატიეთ ყველამ, თუ ზედმეტი მომივიდა, მაგრამ გულწრფელად მტკივა გული აქაურ სიტუაციაზე. მარი, მგონი, ბოლოჯერ გთხოვს კანიბალკა მესიჯი დაუბეჭდო. კანიბალკა.

• მოსაპოვებლად უპოვრად ვიბრძვი/ არ უნდა ამას მტკიცება და ბევრი ფიცი/ ჩემს დიდ სიყვარულს შენი აზრი ვერ გაუგია/ შენს გულს კი ჩემთვის გრძნობის კარი არ გაუღია/ ამ წრფელ სიყვარულს გინდ შევეწირო, მაინც არ ვნანობ/ შენდამი გრძნობას ჩემთვის გულში ჩუმად დავადნობ/ მე ამას ვამბობ: თუ გულმა ოდესმე ჩემკენ გამოგიწია/ ისევ მიყვარხარ, ისევ გეტრფი, ხატის წინ დამიფიცია. აპოლონი.

• ჩემში რწმენას შეეპარა ეჭვის ჭია/ გადაეკრო შემოდგომის რუხი ფერი/ სულშიც, ყველგან საშინელი წყვდიადია/ უფერული და უაზრო გახდა ყველაფერი/ დაე, იყოს მხოლოდ სიძულვილი/ გაქრეს ყველა გრძნობა დანარჩენი/ ოღონდ ამ ყალბ გრძნობებს თავს ნუ მახვევ/ ვითარც სასიკვდილო განაჩენი... აპოლონი.

• ჩემი თხოვნა იქნება, მესიჯები, რომლებიც ერთმანეთის შეურაცხყოფას ეხება, არ დაბეჭდო! მეც არ დამიბეჭდე, გახსოვს? და ამისთვის მადლობა. უკარება.

• ადამიანები საკუთარ შეცდომებზე სწავლობენ. მიტევება უნდა შეგვეძლოს, იესომ მიუტევა ცოდვები ცოდვილთ და თქვენ? რატომ ჭამთ ერთმანეთს? მის რეალმა თუ გაწყენინათ, უთხარით, რომ ცუდად მოიქცა და არ უნდა ყოველ ნომერში შეურაცხყოფის მიყენება. არაა ლამაზი. ვიღაცა ვიღაცაზე კარგი იქნება და ეს საწყენი არაა. დაფიქრდით, რა... უკარება.

• მინდა, მგზავნელებს შეკუერთდე. იმედია, მეც ისევე მიმიღებთ, როგორც ყველას. ოღონდ, ყველას ვთხოვ, ნურავინ გამლანძღავს, გულის მანკი მაქვს და ცუდად გავხდები. ჩემი შეცდომა ისაა, რომ ვიცი, ჩემთვის დალევა არ შეიძლება, მაგრამ გუშინ უნ-

ებლიედ მაინც დავლიე და დღეს სამაგიეროს ვიმკი. სულ ასე მემართება. მანკი.

• მარი, როგორ ხარ? მე აქტიური მკითხველი ვარ. მარი, არ გეწყინოს, მაგრამ ყველას ხუშტურზე რომ დადიხარ, მეტსაც გაგიკეთებენ.

• შვილები სამი წელია, არ მინახავს, რაც ძალიან მტანჯავს. სამი დღე არ მიცხოვრია მათ გარეშე და ძალიან მიჭირს. ამიტომ მივიჩნევ თავს გმირად. ათენი. მონატრებული დედა.

• მე მაიკო ვარ. მინდა, თქვენი ჟურნალისა და „გზავნილების" აქტიური წევრი გავხდე. მარი, გთხოვ, ეს წერილი დამიბეჭდე. პირველად გწერ და გული არ მატკინო.

• მარიკუნა, ჩემო კარგო, გახსოვარ? lily19 ვარ და თუ დამიბეჭდავ ხოლმე, ახლა lily20 გავხდები. :) ჩემი აზრით, ჩვენ, ძველმა მგზავნელებმა დავუშვით შეცდომა, „გზიდან" რომ დავიკარგეთ, მაგრამ იმედი მაქვს, გამოსწორება შესაძლებელია. კანიბალკა, გამოჩნდი, რა, მახსოვს, ადრე შენც მოგვიწოდე ამისკენ, ძველებს. კამელია და ენიგმა, მაგრები ხართ.

• კაი ხანია, „გზა" არ წამიკითხავს, რადგან აფხაზეთში ვიყავი, იქ კი მოგეხსენებათ, ქართული აღარაფერი უნდათ. ახლახან ჩამოვედი. გუშინ ვარდების ბაღში შეყვარებულს უნდა შეეხვედროდი, გვარიანად მალოდინა, გავბრაზდი და ამ გაბრაზებაში „გზაც" გამახსენდა და ვიყიდე. ჩემს აქ არყოფნაში თურმე რაები მომხდარა?! მინდა, ყველა მგზავნელს ვუთხრა, რომ მათი კინკლაობით ჟურნალი უინტერესო ხდება. რა აქვთ გასაყოფი, ვერ ვხვდები. შენ კი მარიმულ, მაგარი ნერვები გქონია, ამათ რომ უძლებ. უწინ არც ისე ხშირად, მაგრამ მაინც გწერდით სხვა ნიკით, მაგრამ ახლა მინდა, აქტიური მგზავნელი გავხდე, თუ დამიბეჭდავ, რა თქმა უნდა. გრუზინი. მაგრად მიყვარხარ, ჩემო სიცოცხლევ. ქეცბა.

• ერიჰაა, არ ვიცი, უნებლიე შეცდომის ბრალია თუ „ნებსითის", მაგრამ ვიღაც-ვიღაცები მეგერობას რომ იჩემებენ, ეგ ნამდვილად ვიცივოო! ვოჰოჰოუ, რა იყო, ხალხო, რა ყველამ მეგერობა მოინდომეთ?

• მადლობა ღმერთს, რომ გვყავს ისეთი მგზავნელები, რომლებიც სიყვარულსა და იუმორს აფრქვევენ „გზავნილებიდან". ერთი საყვედურიც არ დასცდენიათ დაუბეჭდავი მესიჯის გამო. ყველა მგზავნელმა მივბაძოთ მათ და ყველაფერი მოგვარდება. ჩვენ დასაკარგი მგზავნელები არ გვყავს. მოდით, ყველა შევრიგდეთ და „მობილი-ზაციას" ძველი დიდება დავუბრუნოთ. ოლეგარიო.

• ძალიან მაგრად მიტყდება, რომ ზოგიერთი ისეთები არ აღმოჩნდა, როგორიც მეგონა. მოიხსენით ნიღბები, იყავით ის, ვინც ხართ! ჰე, ჰეე! გიყვარდეთ ერთმანეთი, „გზაელებოოო"! დუჩი.

• გამარჯობა, როგორ ხართ, ბავშვებო, ისევ ჩხუბობთ? კაკუ, სად იკარგები ხოლმე? ლუსი16.

• ბოხო, შეცდომის აღიარება და გამოსწორება არასდროსაა გვიანი. ბოდიშს გიხდი. ტირიფი73, უღრმესი მადლობა, გაიხარე. ლანირაკო (ლუნა), შენ მე მაჯობებ სიყვარულში? გრუზინკა.

• ენიგმა, კამი, ეთო, ლუნა, მეც მიყვარხართ. ნიკოლ, მართალი ხარ, მასე მეგონა. ლორე, ამისრულე მალე, რა. ბანანისჭამიას მოვიკითხავ. მაესტრო, მიყვარხარ. ნეტავ, როგორ? გრუზინკა.

• ენიგმა, ძალიან, ძალიან მიყვარხარ, ძამი! ყველა შენნაირი რომ იყოს, ალბათ სამოთხე იქნებოდა ქვეყნიერება. კამი, ხედავ მარიამული არსადაც არ გიშვებს! მიყვარხარ! ლუნა.

• დეიდა გრუზინკა, გილოცავ იუბილეს, მუდამ ბედნიერი ყოფილიყავი. მიყვარხარ უზომოდ! დეი, რატომ გიყვარს ჩემი გაბრაზება, მე ხომ მთელი გულითა და სულით მიყვარხარ? ლუნა.

• ნათათო, მე შენს უბედურებაზე არ ამიგია ბედნიერება. მე მართალი ვარ. შენ კი გახსოვს, ბოლოს რა მომწერე? ბედნიერებას ვერ მოესწრებიო! ამ სიტყვებს ვერ ვივიწყებ.

• მარი, გთხოვ, skorpion girls და ლაშას ჩემი ნომერი მისცე. ანარქიას პატივისცემით მივესალმები. ნონ სტოპ, აგრესიულ კითხვებს შენ სვამ ისე, რომ არ მიცნობ! ენიგმა.

• რაო, მარი, რაღაცები იჭორავე მის რეალზე? რამდენიმეს, ვინც ლიკას არ იცნობს, თავგზა აუბნიე და თავი მაგარი გგონია? ის მთელ გზავნილეთს სჯობია! შურიანები ხართ. ლიკა ჩემი ფავორიტია! მე გწერ და მოგწერ მის რეალზე. თუ ვინმეს ეჭვი ეპარება, შეგხვდებით. მის რეალ, დაიკიდე, უმაგრესი ხარ! გოგა.

• გრუზინკა, კარგად ხარ? შენ თუ მის რეალზე მაღლა დგახარ, მე ჯეიმს ბონდი ვყოფილვარ. გაბზეკილი ბოლმის და ჭორის გუდა ხარ. ლიკა წერს ცუდ ლექსებს? ვაა, ნახე შენ! გოგა.

• სალონიკში მცხოვრებ ჩემს დაიკოს და მის მეუღლეს ვთხოვ, ჩამოვიდნენ და ჩემი პატარა დისშვილი მაჩვენონ. ძალიან მენატრება. ნატო და იანის, გთხოვთ, ანრი მენატრება. ნონა.

• მე უფრო გამიხარდა, მეგობრად რომ მიმიჩნევ. ჯეჯე, სანზონელი ხარ? ედელვაის, კარგი ხარ, რომ გადაიფიქრე. პავლიკ, დიდება შენს გამოჩენას. ადამიანებო, გაიხარეთ. სიკვდილა.

• თქვენი მგელო დაბრუნდა. იმედია, გაგიხარდებათ. ძალიან მომენატრეთ, ყველანი. კანიბალკა, ილინ, ლიმონა, nicol, მავნე, თხერე, მუკო, კიკო, ვერმახტ, green girl, აბსურდა, მაესტრო, ბოხო და რავი, ყველა, ვისაც კი გიცნობთ, სიხარულებო. მიყვარხართ ყველანი. მიხარია, თქვენთან რომ ვარ. გკოცნით ყველას, გულუკებში. მპუა, მპუა, მპუაო. მეგრელი მგელო.

• ჰეროსტრატემ პოპულარობისთვის არტემიდეს ტაძარი დაწვა, მის რეალმა იგივე მიზნით მარიამული გაგვილანძღა. ჰმ, ბრიყვი მიუშვი ნებასა, თვით შეეყრება ვნებასა. ლაშარელა.

• პარიჟანკა, გილოცავ, გავიგე, სიყვარული გიპოვია, სიხარულო. :) აგრეთვე ლორელაისაც ვულოცავ მეგზურის პოვნას. ბედნიერებას გისურვებთ, ჩემო კარგებო. გკოცნით. მეგრელი მგელო.

• ლუნა, ენიგმა, სვეტ, კამელია, მაესტრო, crazy girl, ცირა, ნიკოლი, აპოლონი, ეთო, ელისო ღირსეული ადამიანები ხართ. გაიხარეთ! სიკვდილ, კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო. ნერტისი.

• გოგო, დუჩი, იმედია, ზოგიერთ მოღრინავეს გაგვაცნობ. ვაგონი გაჩერდა და ახლა ვატმანობას სწავლობ? მაინც სადა გიკვალს მის რეალი, სადაო? ბილეთი აიღე, თორემ დარჩი ძირს.

• გრუზინკა, ანგელოზობაზე პრეტენზია რომ გაქვს, არ იცი, რომ სხვისი შეურაცხყოფა ცოდვაა? დაგიშავე რამე? პუკუ, გმადლობთ შექებისთვის, გაიხარე. მოკითხვა ათენელებს. კახელო.

• იყო დუმილი, ჩუმი მოლოდინი, უხმო მონატრება, წყნარი მელოდია, შორიდან დანახული ფერადი მომავალი, უფერული ანმყო და უშენობა... ალბათ ასე იქნება სამუდამოდ. სოხუკა.

• ვაიმე, ეს რა ვნახე?! გამიხარდი პავლიკ, რომ გახსოვარ. :) მართლა ძალიან გამიხარდი, მეგობარო. გირეკავ და ტელეფონი გამორთული გაქვს, ვერ შემეხმიანები? ანი.

• ვა, მარი, ღმერთმა გაძლება მოგცეს. ასეთი რამეების დაფარვასაც ვაუკაცობა უნდა (მის რეალის გზავნილებს ვგულისხმობ, სხვადასხვა ნიკით). საინტერესოა...

• ეთო, შე მართლა კაი ტიპო, შენა, ჩემს გულში პერსონალური ადგილი გიჭირავს! ანუშკა, ვინ ხარ? გადარეულო გურულო, გადამრიე, გადამრიეეე... ენიგმა.

• ჩემკენ მომართული თათხვები და ანტისიმპათიები გავატარე და დეფეკაციის ხვრელში მივუჩინე ადგილი. მსურველებს შეუძლიათ, ამოქექონ. ენიგმა.

• რა იყო, ბავშვებო? არ

ვიცი, ვინაა მტყუან-მართალი, მაგრამ ძალიან გთხოვთ, მის რეალს მოეშვით. გთხოვთ, მისაბაძები უნდა ვიყოთ და ეგ ჩვენ, მგზავნელებს გვეკადრება, ასე მოქცევა? ვინც კი რამე ინტრიგას დახლართავს, პასუხის ღირსად არ ჩავთვალოთ და არ გამოვეხმაუროთ. ასე მოუხდება, მერწმუნეთ! მეგრელი მგელო.

• გრუზინკას და ენიგმას დიდი მადლობა, მანაველთან დაკავშირებისთვის. მაგრად მიყვარხართ. ლუნა, დაი, შენი გაცნობა გამიხარდა. გაკოცეთ თქვენ. უსაყვარლესები ხართ. ედელვაისი.

• მანაველი რომ დამიკავშირდა, სიხარულისგან ვტიროდი და პატარა ბავშვივით მიხაროდა. ვერ წარმოიდგენთ, რა ბედნიერი ვიყავი. ასეთი სიხარული გქონოდეთ ყოველთვის. ედელვაისი.

• ჩემთვის 2 უძვირფასეს ადამიანს დიდი მადლობა, რომ ჩემი იუბილე 17 ოქტომბერს გადმოიტანეს. მიყვარხართ უგონოდ. კამი, მადლობა, დაიკო, იუბილეს მოლოცვისთვის. გრუზინკა.

• დადუს დიდი ბოდიში, გაცნობაზე უარი რომ ვუთხარი. მიზეზის თქმას, მირჩევნია, იფიქრო, რომ ცუდი ადამიანი ვარ. იმდენჯერ გთხოვე პატიება, ღმერთი მაინც მაპატიებს. გრუზინკა.

• ყველას, ვინც იუბილე მომილოცა, უღრმეს მადლობას ვუხდი. ძაან გამახარეთ. კამელიას არც ვიცნობდი, მაგრამ მაინც მომილოცა. :)) ნუ, მგზავნელობა მაგადიაა... აბეზარა.

• მის რეალ, მიხო, კასი და გოგა, მეხუთე რა უყავით? თუ „რიგითი რეზერვისტი" გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე? მოკლედ, მეფე კი არა და, მის რეალი შიშველია, ოეეე!

• როგორ ხართ, ტკბილებო? როგორ არ ვცდილობ, რომ ცოტა მაინც დაგაწყნაროთ და ამ დავიდარაბას გადაგარჩინოთ, მაგრამ არაფერი გამომდის. ჰოდა, ჯობია გავჩუმდე. ლომუა.

• თქვენი საქმისა თქვენ უკეთ იცით. მე მხოლოდ ტირიფი73-ს მინდა, მადლობა ვუთხრა, რადგან ამ ადამიანიდან მხოლოდ უდიდესი სითბო და სიყვარული იფრქვევა. ლომუა.

• მარი, დაიკო, გთხოვ, ნუ დამბლოკავ, რადგან მეც მინდა, ჩემი მხრიდან ყველა ნამდვილ ადამიანს სითბო დავანახვო. ქუთაისს და კერძოდ, ლომუას მაგრად უყვარხართ. ლომუა.

• ჩემო ანარქია, იმ დღიდან გიცნობ, როცა „გზის" ფურცლებზე გამოჩნდი. სტიქიას მოძღვნილი ლექსიც მახსოვს და ჩვენთვის განდობილი შენი ტკივილიც. კამელიას უყვარხარ!

• პირველად გწერთ, მაგრამ დიდი ხანია, რაც თქვენი ფანი ვარ. მეშინოდა, რომ არ მიმიღებდით (ახლაც მეშინია). მინდა ხათოს და პაკოს მივულოცო პატალა გოგონას დაბადება.

• პეპი, თუ შეგიძლია მომდევნო ნომერში დაამესიჯო, სასულიერო სემინარიაში როდის იწყება ხოლმე მისაღები გამოცდები და რისი ცოდნა მოეთხოვება ჩაბარების მსურველს? მე.

• გენაცვალე კამელია, ძალიან საყვარელი ხარ. ასე უცებ თუ შემამჩნევდი, არ მეგონა. ძველები რატომ წახვედით? უთქვენოდ უფერულია „გზა". გაიხარეთ ყველამ. მონარქი.

• მოგესალმებით, გზაელებო, როგორ ხართ? პირადი პრობლემების გამო ვერ გწერდით და ძალიან მომენატრეთ. ჯეჯე, კამელია, უმაგრესები ხართ. ლიმონა, გაფასებ ძაან. იასამანი.

• ენიგმა, გაძის მაძიებელი თუ ხარ, ორჯერ უფრო მიხარია, რადგან უნიჭიერესი ადამიანი ხარ. მომწონს შენი ლექსები. რატომ სცემ პასუხს მათ, ვინც ამის ღირსი არ არის? იასამანი.

• ღმერთო, აქ რა ამბავია? მარ, აფერისტების ადგილი აქ არ არის. ზესტაფონის ლამაზმანი.

• ენიგმა, გაიხარე. სიყვარული და ბედნიერება ყოფილიყოს მუდამ შენი მეგზური. „გზავნილებს" ველარ ვცნობ, რა არის, თვალი გეცათ? თფუი, ეშმაკს! ლიკა, ქუთაისი.

• შენი ტუჩები ჩემი ხატია, ხატზე კოცნა კი ჩემი ვალია. ოთო, მიყვარხარ ძალიან, ძალიან მაგრად. გკოცნი. შენი სიცოცხლე, მარი.

• თემო, უთუოდ გეტყვი, თუ გნახე, ან რა მაქვს დასამალავი, ვიცი, რომ სხვასაც უყვარხარ, მაგრამ ჩემსავით — არავის. გაიგე? ფისო.

• ახლა სიზმარშიც აღარ მშორდები, თურმე სიყვარულს ასე სცოდნია, გულში მემსხვრევა დარდის ლოდები, სულში ღრუბლები მიდი-მოდიან. თემოს, ფისოსაგან. ათენი.

• მირიან, უზომოდ მიყვარხარ. თაგუნა.

• ჩემს სიცოცხლე კახა ჭინჭარაულს მინდა ვუთხრა, რომ ძალიან მიყვარს და მენატრება. ჩემო ბიჭო, გული არ გაიტეხო, ყველაფერი კარგად იქნება. ღმერთი გფარავდეს. გკოცნი. ირინა.

• მიყვარხარ, იცი, როგორ? ყოველწამიერად, ხარისხებისა და კოეფიციენტების გარეშე. სიტყვებისა და ქმედებების მიზანშეუწონლად. ამ სიყვარულსაც საოცარი ინტენსიურობისა და მუდმივობის თვისება აქვს. ყოველთვის ვითარდება, იზრდება, აქტიური ხდება და საშინლად მოქმედებს გონებაზე, რომელსაც სარტყელივით შემოჰკვრია, შენზე მოგონებები და გასაქანს არ აძლევს ამინდის, დროის, გარემოებებისა და სივრცის მიუხედავად. მენატრები, ტირილამდე მენატრები. და ამ ყველაფერს არ აქვს საზღვარი.

• აგნეს (ზურა ქილითაურო), სიცოცხლეზე მეტად მიყვარხარ. დამირეკე რა, მენატრები. შენი თამო.

• თამუნა ჭეიშვილს დაბადების დღეს ულოცავს დედა, ნანა ქათამაძე. ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და ლამაზ სიყვარულს გისურვებ.

• თამუნა, დაბადების დღეს, 11 ოქტომბერს გილოცავთ. ჯანმრთელობასა და ბედნიერ მომავალს გისურვებთ, საყვარელო. ფიქრია, მადონა, ირა, ფოთოლა, მაია და შენი დეიდა, ნუნუ.

• ოზურგეთელო ლელა, გილოცავ 27 ოქტომბერს. გფარავდეს ღმერთი, შენს ლამაზ ქმარშვილთან ერთად. ნესტანი.

• თემო კორტავა, მინდა გისურვო ლამაზი ოცნება და რასაც ისურვებ, უთუოდ ახდება. ფისო.

• დათუ, გილოცავ დაბადების დღეს. გაიზარდე დიდი ბიჭი და სასახელო ვაჟკაცი. ჩვენი გულები გაგეხარებინოს. გკოცნი, შენი მარინა ბებო.

• 25 ოქტომბერს კახელ სალომეს ვულოცავ დაბადების დღეს. ჰო, მართლა, მეც ამ დღეს მაქვს და ჩემს თავსაც ვულოცავ. მგზავნელნო ამა ქვეყნისა, დაბადების დღე მაქვს. ჰოდა, სასმელი და საჭმელები წამოიღეთ, ჩემს აივანზე მაგარი ნიავი მოდის და მაგრად ვიქეიფოთ. ა, ამას ჰქვია დაპატიჟება. მოკითხვა ლიმონას. 9717.

• ჩემს პატარას, ჩემს სიხარულსა და სიცოცხლეს, ბაბუს სეხნიას, შოთა კაკაბაძეს ვულოცავ დაბადების დღეს. გაიზარდე, ჩემო პატარავ, სასახელო ვაჟკაცი, ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს გისურვებ, შენს მშობლებთან ერთად. მიყვარხარ სი-

ცოცხლეზე მეტად. შენს მოფერებას მონატრებული, შენი მარინა ბებია.

• ჩემს უსაყვარლეს შვილს, ლიკა არაბულს ვულოცავ დაბადების დღეს, 20 ოქტომბერს. დედიკოს ლამაზო ქალო, გისურვებ ულევ ბედნიერებასა და სიხარულს. მუდამ შენზე მლოცველი დედა.

• ლილი ხახიაურს ვულოცავ დაბადების დღეს, 15 ოქტომბერს. საყვარელო, გისურვებ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლესა და გამძლეობას. მეგრელო.

• დაბადების დღეს ვულოცავ ნათია და ლალი არაბულებს. გისურვებთ ულევ ბედნიერებასა და სიხარულს. იდღეგრძელეთ და გაიხარეთ. დიდი სიყვარულით, მეგრელო.

• გია მაღლაკელიძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 14 ოქტომბერს. დეი, გილოცავ დაბადების დღეს. დაესწარი მრავალს, შენს ოჯახთან ერთად. ნანა ქათამაძე და თამუნა ჭეიშვილი, ათენიდან.

• ანამარია მიქაძეს 16 ოქტომბერს ვულოცავ დაბადების დღეს. გაიზარდე სასახელო გოგო. მიყვარხარ, ჩემო სიხარულო. გფარავდეს უფალი, შენს დაიკოებთან ერთად. ბებო დარეჯანი.

• ცისფერთვალებავ, გილოცავ დაბადების დღეს, დაესწარი მრავალს. ღმერთი გფარავდეს, სიხარულო. ძალიან მიყვარხარ. ჩემი სიხარული და სიცოცხლე ხარ. გაკოცე ბევრი. შენი ბუტია.

• დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს სარძლოს, ხათულის. მრავალს დაესწარი, ანგელოზო. ხომ იცი, ძალიან მიყვარხარ. სამუელ.

• მაგდა თიგიშვილს და სოსო სასწრაფოშვილს ვულოცავ ბედნიერებას. მცხეთობა დღეს ვწერთ ამ წერილს. დღეს ანთებული სანთელი ყოფილიყოს თქვენთვის ბედნიერების, ულევი სიხარულისა და ლამაზი სიყვარულის მომტანი. შენი დედიკოს დაქალები, ნუნუკა და ნინო.

• ხონში ლალი კუხალაშვილს. ვულოცავ 31 ოქტომბერს. ნესტანი.

• ოზურგეთელო ლელა, გილოცავ 27 ოქტომბერს. გფარავდეს ღმერთი. ნესტანი.

• აპოლონ კუხალაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს და ვუსურვებ ლამაზი ოჯახის შექმნას. ნესტანი.

• დოდო გორელაშვილს მეგობრები ულოცავენ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას და ბედნიერ საქართველოში დაბრუნებას. ნუნუ, მაია, ზიზო, ნაზი, ელზა და მაყვალა.

• კახა ბოდაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. ჩემო სიცოცხლე, გისურვებ მშვიდობიან საქართველოში, სასახელო ვაჟკაცი გაზრდილიყავი. ძალიან მიყვარხარ. შენი ნუნუ ბებო.

• 9717-ს უდიდესი სიყვარულით ვულოცავ დაბადების დღეს. გაიხარე, ჩემო კარგო, გისურვებ შენი ჩანაფიქრის 99%-ით ასრულებას. ის 1% კი ოცნებად დაგრჩენოდეს, რათა ცხოვრება მოსაწყენი არ ყოფილიყოს. უკარება.

• ჩემს საყვარელ მამიდაშვილს, ჯაბა ბოდოკიას მოგვიანებით, მაგრამ მაინც ვულოცავ დაბადების დღეს. უფალი გფარავდეს. შენი ბიძაშვილი, მაიკო.

• ჩემს დედიკოს ვულოცავ 18 ოქტომბერს, birThdays. დე, მრავალს დაესწარი, სულ გახარებული მენახე. მაგრად მენატრები. რომ იცოდე, როგორ მაკლია შენი სითბო... იმ დროს, როცა ყველაზე მეტად მინდოდა შენთან, სულ მარტო ვარ. ტკივილამდე მენატრები. უკარება.

• ნინო გელაძე, გილოცავ დაბადების დღეს, 18 ოქტომბერს. გისურვებ შენი მიზნების ასრულებას, ჯანმრთელობას, ბედნიერებას, სიხარულს და ლამაზ სიყვარულს.

• ჩემს პატარა დაიკოს, ელენიკო ჯინჭარაძეს ვულოცავ დაბადების დღეს. მიყვარხარ, ჩემო ძუ ლომო. გკოცნი, დიტო.

• 23 ოქტომბერს დაბადების დღეს ვულოცავ გრუზინკას. გისურვებ ჯანმრთელობას და დიდ ბედნიერებას. მარადიული სიყვარულის მადლი არ მოგკლებოდეს, მარადჟამს. მგზავრი.

• უშგულელ გოგოს, ქეთი ჭელიძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 22 ოქტომბერს. თუკა, ჩემო თბილო და ტკბილო, ძალიან მიყვარხარ. გაბრწყინდეს შენი მომავალი.

• ჩემს დაიკოებს, ლია ჩოხელს და მერი გვაზავას 24 ოქტომბერს ვულოცავ დაბადების დღეს. დაესწარით მრავალს. გისურვებთ სიყვარულსა და დიდ, ადამიანურ ბედნიერებას, სიკეთეს, ჯანის სიმრთელეს, სულის სიმხნევეს, ლამაზი დღეების სიმრავლეს, ზღვა ყვავილს, ყველაფერ ლამაზსა და მშვენიერს, რაც კი არსებობს ცხოვრებაში. გფარავდეთ ღმერთი და დედაღვთისმშობელი. კეთილი სურვილებით, ნანა ლემონჯავა.

• ავჭალის ლამაზმანებსა და ნამდვილ მეგობრებს, სულით ულამაზეს ქალბატონებს, ლია ჩოხელს და მერი გვაზავას 24 ოქტომბერს ვულოცავ დაბადების დღეს. ძვირფასებო, ასეთი კარგები და სათნოები ყოფილიყავით, მთელი ცხოვრების მანძილზე. დიდი სიყვარულით, მეგრელი ნანა.

• 20 ოქტომბერს დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს საყვარელ ქმარუკას. კოდი, მაგრად მიყვარხარ, ჩემი ცხოვრება ხარ. შენი კუსა.

ყურადღება!

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა **guli** გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში აკრიბეთ: **guli 18-10** და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

ჩიჩხიჩ უნდა დაადგინოს თავი ქალს

დაფიქრდი, ხშირად მომხდარა, რომ ტრანსპორტში ჩაგძინებია და გაჩერებას გაცსდენიხარ? სამსახურში შეფს ძილის გამო შენთვის საყვედური ხომ არ უთქვამს? საჭესთან ძილი ხომ არ მოგრევია? თუ ასეა, რამდენიმე უბრალო რჩევა არ გაწყენდა.

1. ვარჯიში

ძილის შემდეგ მსუბუქი ფიზიკური დატვირთვა კონცენტრაციის აღდგენასა და ყურადღების გამახვილებაში დაგეხმარება. თუ სამსახურის შემდეგ ძალიან გეძინება, შინამდე კი გზა გაქვს გასავლელი, რამდენჯერმე კიბეზე აირბინე ან უბრალოდ, მანქანამდე სირბილით მიდი. ეს ყურადღებას გაგიმახვილებს, ღამის ძილი კი გაცილებით მშვიდი გექნება.

2. დღის განრიგის შეცვლა

შესაძლოა, შენი დღის განრიგისა და ბიორიტმების შეუსაბამობამ ძილის სურვილი გამოიწვიოს. თუ 30 წუთით გვიან ან 20 წუთით ადრე გაიღვიძებ, შესაძლოა, თავი გაცილებით უკეთ იგრძნო. ეცადე, ეს შენთვის იდეალური გაღვიძების დრო „დაიჭირო" და დღის განრიგი ამის მიხედვით შეადგინო. სცადე ადრე დაძინება და ადრე ადგომა. რაც უფრო ადრე ადგები, მით უფრო მხნედ იგრძნობ თავს.

3. სინათლე

როგორც კი გაიღვიძებ, მაშინვე შუქი აანთე, თუნდაც სიბნელეში ყოფნის დიდი სურვილი გქონდეს. თუ სინათლე თვალს მოგჭრის, არ ინერვიულო, თვალი უცებ მიეჩვევა. სამაგიეროდ, კონცენტრაციის უნარს დაიბრუნებ და ტვინს უცებ გამოფხიზლების საშუალებას მისცემ. ეცადე, შემოდგომის თბილი დღეები სასეირნოდ გამოიყენო და დილაობით ფეხით ისეირნო.

4. შესვენება

იაპონიაში სიახლეა — ბევრმა ფირმამ სპეციალური, დასასვენებელი ოთახები გამოყო. ეს მომცრო ზომის, ბნელი, ხმაგაუმტარი ოთახებია, სადაც ნებისმიერ თანამშრომელს შეუძლია მოხერხებულ სავარძელში დასვენება და დაძინებაც კი. 45 წუთის შემდეგ სავარძელი ვიბრირებას დაიწყებს და გაგაღვიძებს. შრომისმოყვარე იაპონელები ასეთი მეთოდით სამუშაო დროის ხანგრძლივობას 3-4 საათით ზრდიან. ცივილიზაციის ამ მონაპოვარს ჩვენამდე ჯერჯერობით არ მოუღწევია. ამიტომ, შეგიძლია, თავად მოიწყო შესვენება და სამსახურში თუნდაც 15 წუთით ჩათვლიმო. ამის შემდეგ თავს გაცილებით მხნედ იგრძნობ.

5. ჩაი და ყავა

ეს ყველაზე გავრცელებული და უსაფრთხო სასმელებია, რომლებიც ძილიანობას ებრძვის. თუმცა, არც გადაჭარბება შეიძლება. თუ 1 ფინჯან მაგარ, მწვანე ჩაის ან ყავას მიირთმევ, დაღლილობა მოგეხსნება. დღის განმავლობაში სიფხიზლის შენარჩუნებაში 3-4 ჭიქა მუქი ჩაი დაგეხმარება.

6. ვიდეოფლეერი

ბევრი ადამიანი ძილზე უარს ღამის ფილმების გამო ამბობს. თუ საყვარელი გმირების ამბავი გაინტერესებს, შეგიძლია, „დივიდიზე" ჩაწერილი ნებისმიერი ფილმი იყიდო ან ინტერნეტიდან გადმოქაჩო და თავისუფალ დროს უყურო.

7. სუნი

ზოგიერთი მძაფრი სურნელი ორგანიზმზე ისევე მოქმედებს, როგორც 1 ფინჯანი ყავა. ლიმონის ან სხვა, ნებისმიერი ციტრუსის სუნი კონცენტრაციის გაუმჯობესებასა და აზროვნების გახალისებას უწყობს ხელს. თავად ყავის სუნიც საკმაოდ ამხნევებს. ასე რომ, თუკი ექიმმა ყავის დალევა აგიკრძალა, შეგიძლია, მისი სურნელით დატკბე.

8. ვიზიტი ექიმთან

თუ მოთენთილობა და ძილიანობა 3 კვირის განმავლობაში ვერ დასძლიე, აუცილებლად ექიმს უნდა მიმართო. შესაძლოა, ეს სტრესის ან ავიტამინოზის ბრალი იყოს. როდესაც ადამიანს ნებისმიერ მომენტში შეუძლია დაიძინის, ამას ნარკოლეფსია ეწოდება. ნარკოლეფსიით შეპყრობილ ადამიანს შეუძლია, მუშაობის ან სირბილის დროსაც კი ჩაეძინოს და ძილის დროს სუნთქვა შეაჩეროს.

პასუხისმგებელი რედაქტორი — მარი ჯაფარიძე. პირადი ტელ: 8.77.45.68.61

როცა კარგი ადამიანი მეუღლეს ღალატობს...



„არსებობს 17 ძირითადი მიზეზი, რომლის გამოც ადამიანები მეუღლეებს ღალატობენ და ამას ყოველთვის ეგოიზმითა და ამორალური განზრახვით როდი სჩადიან", — ირწმუნება ცნობილი ამერიკელი ფსიქოთერაპევტი, მასაჩუსეტსის შტატის ბოსტონის ერთ-ერთი ინსტიტუტის კლინიკის დირექტორი, ცნობილი მწერალი და წამყვანი მირა კირშენბაუმი თავის წიგნში — „როცა კარგი ადამიანები ღალატობენ". ოცდაათწლიანი პრაქტიკის მქონე მეცნიერს, რომელიც ფიქრობს, რომ ბევრი მოღალატე მეუღლე საკმაოდ კარგი ადამიანია, ხოლო ქორწინების გარეშე კავშირს ზოგჯერ თვით ქორწინების გადარჩენაც კი შეუძლია, რომელიც მოღალატე ქმრებსა და ცოლებს თავიანთი ცოდვების აღიარებასაც არ ურჩევს, ცოტა კრიტიკოსი და მოწინააღმდეგე როდი გამოუჩნდება. მაგრამ კირშენბაუმის მიერ ჩამოთვლილი და მეტ-ნაკლებად ახსნილი, ღალატის 17 მიზეზი ვფიქრობთ, ყურადსაღებია, მით უმეტეს, რომ მას ისტორიიდან მოხმობილი, შესაბამისი მაგალითებიც ერთვის.

საკუთარი თავის პოვნის მცდელობა

„თუ ხანგრძლივი დროის განმავლობაში თვითგამოხატვის საშუალება არაფრით გეძლევათ, ღალატი საუკეთესო საშუალებაა იმის გასაგებად, თუ ვინ და როგორი ხართ სინამდვილეში".

ვირჯინია ვულფის მეუღლე ლეონარდ ვულფი სინამდვილეში მისი მფარველი უფრო იყო, ვიდრე სასურველი საყვარელი. ამიტომაც ქალმა ვიტა საკვილ-ვესტთან ცეცხლოვანი კავშირი გააბა. სწორედ ეს ურთიერთობა დაედო საფუძვლად მის რომან „ორლანდოსაც".

შემთხვევითი კავშირი

„ღალატს ნამდვილად არ აპირებდით, უბრალოდ, უხერხულ დროს უხერხულ ადგილზე აღმოჩნდით..."

პოეტმა თომას ელიოტმა ვივიენ ჰეივუდი გაცნობიდან რამდენიმე კვირაში შეირთო ცოლად, მოგვიანებით კი თავადვე აღიარა, რომ ქორწინებამ ვივიენს ბედნიერება ვერ მოუტანა. მე კი გონების ის მდგომარეობა მომცა, რომელმაც „უნაყოფო მიწა" შვაო. მიუხედავად ამისა, ვივიენი ქმარს ასე სწრაფად მაინც არ უღალატებდა, მის გვერდით ბერტნარ რასელი რომ არ აღმოჩენილიყო.



სექსუალური პანიკა

„აშკარად გრძნობთ, რომ თქვენი სექსუალური ძალა ჩაქრობას იწყებს, პანიკაში ვარდებით და საყვარელს მხოლოდ იმის დასამტკიცებლად იჩენთ, რომ ლოგინში უწინდებურად ძლიერი ხართ".

მიუხედავად იმისა, რომ ჯონ პრესკოტმა შესანიშნავი კარიერა გაიკეთა და საზღვაო ლაინერის სტუიარდიდან ვიცე-პრემიერამდე მიაღწია, არასრულფასოვნების კომპლექსისგან მაინც ვერ გათავისუფლდა. როცა პოლიტიკოსმა სამოცს გადააბიჯა, 26 წლით უმცროსი, საკუთარი მდივანი ქალი ტრეისი ტემპლი შეაცდინა.

„მოდი, მოვალათ და შემდეგ ხელახლა აღვადგინოთ ურთიერთობები"...

„მიზანი — ღალატის გახმაურებაა, რაც თქვენს ქორწინებას ისეთ დარტყმას მიაყენებს, რომლის შემდეგაც ის ან საბოლოოდ დაიღუპება, ანდა უფრო გაძლიერდება".

საკმარისი იყო, ნაპოლეონი საომრად წასულიყო და ჟოზეფინა მარტო დაეტოვებინა, რომ უმალ მისი ღალატის შესახებ ირხეოდა ხმები. თუმცა მას შემდეგ, რაც იმპერატორი პარიზში დაბრუნდა, ჟოზეფინას მისთვის ერთხელაც კი აღარ უღალატია.

ქორწინების ერიმიხი

„თუ ერთმანეთს საკმარის დროსა და ყურადღებას არ დაუთმობთ, თქვენი ქორწინება ჩიხში შევა ანდა უამრავი ისეთი პრობლემით დაიტვირთება, რის შემდეგაც ერთადერთ გამოსავლად საყვარლის გაჩენაღა მოგეჩვენებათ".

დევიდ და ვიქტორია ბექჰემები საკუთარი ქორწინების გადასარჩენად ყველა ღონეს ხმარობენ. არაერთი ქალი ოცნებობს ამ ცნობილ ფეხბურთელთან თუნდაც ერთი ღამის გაჯარებაზე, ერთი-ორი კი იმასაც ირწმუნება, რომ ბექჰემთან უკვე ეძინა. „არავის უთქვამს, რომ ქორწინება იოლი საქმეა", — აღიარებს ვიქტორია.

საკუთარი თავის ძვირად გაყიდვა

„თუ თქვენი ცხოვრება წინ მიიწევს, მეუღლე კი საგრძნობლად ჩამოგრჩებათ, — ისეთ ვინმესთან ყოფნას შეეცდებით, ვინც თქვენს მდგომარეობას უკეთ შეესაბამება".

ჰორაციო ნელსონი ერთი უბრალო მეზღვაური იყო, როცა ქვრივი, ფანი ნისბერი ცოლად შეირთო. 11 წლის შემდეგ, 1798 წელს, ნილის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ, ნელსონი ეროვნული გმირი გახდა და ლედი ემა ჰამილტონთან გააბა რომანი. მათი კავშირი სახელმწიფო მნიშვნელობის სკანდალად იქცა, საერთო შვილის გაჩენას კი ორივე ბოლომდე საიდუმლოდ ინახავდა.

ქორწინების გამოცოცხლების სურვილი

„ქვეცნობიერად იმის იმედი გაქვთ, რომ თვით ღალატი ან ის, რომ ამის შესახებ მეუღლე შეიტყობს, თქვენს ურთიერთობას უფრო ვნებიანს გახდის".

1907 წელს ამერიკის პრეზიდენტ ვუდრო უილსონის მეუღლე ელენი საკუთარი ქმრისა და მერი ჰალბეტის ურთიერთობამ დეპრესიაში ჩააგდო. მართლა ჰქონდა თუ არა უილსონს ამ ქალთან რომანი, საკამათო იყო, მაგრამ ელენს მათი მეგობრობაც კი სასტიკად ტანჯავდა. მაშინ პრეზიდენტმა ქალები ერთმანეთს გააცნო, მოგვიანებით ისინი საყიდლებზეც ერთად წავიდნენ, რის შემდეგაც უილსონი ოჯახს დაუბრუნდა.

„მე, უბრალოდ, ჩემი საქციელის გამართლება მჭირდება"...

„შეიძლება, უსინდისობად მოგეჩვენოთ, მაგრამ იმდენად დიდხანს და ბევრს მუშაობდით, რომ თქვენთვის ღალატი საკუთარი თავისთვის სიამოვნების მინიჭების საუკეთესო ხერხად იქცა".

საბრალო მონიკა ლევინსკი მთელი ცხოვრება ვერ მოიშორებს იმ შეცდომის შედეგს, რომელიც მან 21 წლის ასაკში, თეთრ სახლში სტაჟირების დროს ჩაიდინა. ამ შეცდომის გამო ის ერთ-ერთი იმ ქალთაგანი გახდა, რომლებიც ბილ კლინტონს მისი მძიმე შრომისთვის „მხურვალედ აჯილდოებდნენ".

გაქცევა

„ქორწინების დარღვევის დიდი სურვილის მიუხედავად, მეუღლისგან წამოსვლის მაინც გეშინიათ, ამიტომაც იმის იმედიღა გაქვთ, რომ ღალატი ყველაფერს თავისთავად დაასრულებს — ანუ, ან მეუღლე გამოგაგდებთ, ანდა საყვარელი გაგაბედვინებთ ოჯახიდან წამოსვლას“.

„ამ ქორწინებაში გამუდმებით სამნი ვიყავით“, — ჩიოდა პრინცესა დაიანა. და ეს მართლაც ასე იყო. როგორც ჩანს, პრინცმა ჩარლზმა მასზე მოვალეობის გრძნობის და არა სიყვარულის გამო იქორწინა, კამილა პარკერ ბოულზთან კი ყოველთვის ძლიერი ვნება აკავშირებდა...

რა იქნებოდა, რომ?..

„ღალატის მეშვეობით, იმის გარკვევას ცდილობთ, შეძლებთ თუ არა სხვისგან იმის მიღებას, რაც საკუთარ მეუღლესთან ურთიერთობისას ასე გაკლიათ“.

რაიან ფილიპი და ები კორნიში ერთმანეთს ერაყზე შექმნილი ბლოკბასტერის — „ომი იძულებით“ გადაღებებზე შეხვდნენ და მალე მათი პროფესიული თანამშრომლობა რომანში გადაიზარდა. ყვითელ პრესაში მაშინვე დაიწერა, — ქალიშვილი, გაახალგაზრდავებული რიზ უიზერსპუნივით (ფილიპის ყოფილი მეუღლე) გამოიყურებაო. რაიან ფილიპი ერთადერთი მსახიობი მამაკაცი როდია, რომელმაც სიმშვიდე იმ ქალის მკლავებში პოვა, ვინც მის პირველ სიყვარულს ჰგავდა.

ყურადღების გადაგანის სურვილი

„თქვენი საქმეები ცუდად მიდის, რის გამოც ძალიან უხასიათოდ ხართ და ამიტომაც ყველა ამ სირთულისგან თავის დაღწევას ღალატისა და თავისებური სასიყვარულო ოაზისის შექმნით ცდილობთ“.

დევიდ ლოიდ-ჯორჯმა, მას შემდეგ, რაც უელსში მოკრძალებულ ცხოვრებაზე უარი თქვა და დიდ პოლიტიკაში წავიდა, შესანიშნავად ისწავლა სასიყვარულო ოაზისების შექმნა. მისი მთავარი გატაცება „ძვირად ღირებული ფისუნია“ — ფრენსის სტივენსონი იყო, რომელიც მოგვიანებით მისი მეორე ცოლი გახდა.

სუროგატული სამუალება

„თუ რაიმე დახმარება — მაგალითად, თვითშეფასების ამაღლება — გჭირდებათ, ამის საშუალებას საყვარლის გაჩენა მოგცემთ“.

ავსტრიელი მწერლის, ლეოპოლდ ფონ ზახერ-მაზოხის მოსაწყენი ქორწინება მის უჩვეულო ემოციურ მოთხოვნებს არაფრით შეესაბამებოდა. ამიტომაც მან თავის „ქალბატონთან“, ფანი პისტროგ-ბოგდანოვასთან გააბა კავშირი და ნახევარი წელი მის მონობაში იმ პირობით გაატარა, რომ ქალი მასთან სასიყვარულო ურთიერთობისას ტყავის ტანსაცმელში გამოწყობოდა და არც მათრახის გამოყენება დაავიწყდებოდა. ტერმინი „მაზოხისტიც“ სწორედ აქედან მოდის.

„ვინმესთვის თავის მოწონება თუ შემიძლია?“

„ბერდებით, თქვენი ქორწინება ჩიხში შედის და ამიტომაც, სულ უფრო ხშირად გებადებათ კითხვა, ახლაც თუ შეიძლება ვინმეს მოსწონდეთ? მეტიც, შეძლებს თუ არა ვინმე თქვენს შეყვარებას, თავად თქვენ კი — მასთან ვნებიანი ურთიერთობის გაბმას?“

პაბლო პიკასომ ოლგა ხოხლოვაზე 1918 წელს იქორწინა და ფორმალურად, სიცოცხლის ბოლომდეც (1955 წლამდე) მის მეუღლედ მიიჩნეოდა. მაგრამ ამას პიკასოსთვის, ღალატში ოდნავადაც არ შეუშლია ხელი. პიკასოს ორი შვილი ჰყავდა ფრანსუაზა ჟილოსგან, რომელმაც გენიალური მხატვარი 1953 წელს, 71 წლის ასაკში მიატოვა. სიბერისა და დაჩაჩანაკების პანიკური შიშის მიუხედავად, პიკასომ ამის შემდეგ რომანი გააბა 24 წლის ჟენევიევ ლაპორტთან, რომელმაც მხატვრის შექმნილი მისი პორტრეტის წყალობით, სიბერეში დიდი ქონებაც დააგროვა.

იმ გამოცდილების შეძენის სურვილი, რომელიც არ გქონდათ

„ქორწინებამდე არცთუ ისე ბევრი პარტნიორი გყავდათ, რის გამოც თქვენთვის ესოდენ მნიშვნელოვანი გამოცდილების მიღების შანსი ლამის ხელიდან გაუშვით“.

1984 წელს „კონსერვატორებიდან“ პარლამენტში არჩეულმა ედვინა კარიმ რომანი გააბა ჯონ მეიჯორთან, რომელიც იმ პეროდში პარტიის საპარლამენტო ორგანიზატორი იყო. მათი ურთიერთობა თითქმის ერთი წელი გრძელდებოდა, თუმცა მეიჯორს ცოლი, კარის კი — ქმარი ჰყავდა.

შურისძიება

„მეუღლეზე მისგან მოყენებული ტკივილის გამო ბრაზობთ და ამ გზით მასზე შურისძიებას იმ შემთხვევაშიც კი ფიქრობთ, თუკი ის თქვენს ღალატზე საერთოდ ვერაფერს გაიგებს“.

როცა რობერტ ბრიუსის წინააღმდეგ საომარი ლაშქრობის შემდეგ ინგლისელებს საქმე ცუდად წაუვიდა, მეფე ედუარდ II გაიქცა და თავისი ცოლი, საფრანგეთის მეფის ასული იზაბელი იმდენად მიუსაფარი დატოვა, რომ ეს უკანასკნელი კინაღამ შოტლანდიელების ტყვეობაში აღმოჩნდა. თუმცა თავად იზაბელს, ქმრის ამ მიუტევებელ საქციელზე მეტად მაინც ის ამწარებდა, რომ მას მამაკაცი-საყვარლები ჰყავდა. ამიტომაც თავად, ჯერ რობერტ მორტიმერთან გააბა რომანი, შემდეგ კი ჯარი შეკრიბა და მეფე ედუარდ II ტახტიდან ჩამოაგდო.

საშუალო ასაკის კრიზისი

„ამ მიზეზით გამოწვეული ღალატი ისეთივე იშვიათია, როგორიც საშუალო ასაკის ნამდვილი კრიზისი“.

ჯონ პროფუმო პარლამენტში 25 წლის ასაკში აირჩიეს და ყველაზე ახალგაზრდა დეპუტატიც გახდა იმ კონსერვატორ დეპუტატებს შორის, რომლებმაც ნევილ ჩემბერლენი გადააყენეს. თუმცა შემდეგ, 46 წლის ასაკის ისე მოიყარა, რომ როგორც პოლიტიკოსს, წინ თითქმის აღარ წაუწევია. სწორედ მაშინ გაიცნო 25 წლის კრისტინ კილერი. ქალიშვილთან პროფუმოს ვნებიანმა ურთიერთობამ სულ რამდენიმე კვირა გასტანა, მაგრამ მისდა სამწუხაროდ, გოგონამ ამ კავშირის საიდუმლოდ შენახვა ვერ შეძლო.

რეალიზების გარეშე დარჩენილი მოთხოვნილებები

„როცა ასეთი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე მეუღლე უარს გეუბნებათ, მათ რეალიზებას ქორწინების გარეშე კავშირის მეშვეობით ცდილობთ“.

ეკატერინე დიდი უმანკო გერმანელი პრინცესა იყო, როცა ის რუსეთში გაგზავნეს, სადაც ტახტის მემკვიდრეზე, დიდ მთავარ პეტრეზე დააქორწინეს. პეტრე საშინელი ქმარი და მეფე იყო. ეკატერინეს კი სექსი სიამოვნებდა და მემკვიდრის გაჩენაც ძალიან უნდოდა. პეტრეს მკვლელობის შემდეგ, ეკატერინემ უამრავი საყვარელი გამოიცვალა. მათ შორის ყველაზე ცნობილი — გრიგორი პოტიომკინი იყო, რომელიც მარტო დიდი გონიერებით როდი გამოირჩეოდა. ■

„ორგზის“ დაქორწინებული პინოვარსკვლავი და ჰოლივუდის ოჯახური ცხოვრების პერიპეტიები

მადონამ და გაი რიჩიმ განქორწინება გადაწყვიტეს. პოპის დედოფლის ოჯახური ბედნიერება მხოლოდ 8 წელი გაგრძელდა. ბოლო ხანებში ოჯახში ხმაურიანი სკანდალი გახშირდა. ამის მიზეზი კი — ცოლ-ქმრის მუდმივი მოუცლელობა და მადონას სურვილია, რომ კიდევ ერთი ბავშვი იშვილოს. „ძალზე სამწუხაროა, ისინი შესანიშნავი ცოლ-ქმარი და არაჩვეულებრივი მშობლები იყვნენ, მაგრამ ერთად ცხოვრება აღარ შეუძლიათ“, — ამბობს ოჯახის ერთ-ერთი ახლობელი. მადონას ზოგიერთი მეგობარი ადრეც აღნიშნავდა, რომ მომღერალი განქორწინების შესახებ განცხადების გაკეთებას 2009 წელს, მსოფლიო ტურნეს დასრულების შემდგომ აპირებდა, მაგრამ მეუღლეებს შორის დაძაბულობის გამწვავების გამო, მათ საქმის დასრულება შობამდე გადაწყვიტეს.

მადონამ და კინორეჟისორმა **გაი რიჩიმ** 2000 წლის 23 დეკემბერს შოტლანდიაში მდებარე სკიბოს ციხესიმაგრეში იქორწინეს. წყვილმა ერთმანეთი სტინგის წვეულებაზე გაიცნო. გაი რიჩი ცოლზე 10 წლით უმცროსია. ზღაპრულ ქორწილზე მიწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ: დიზაინერი დონატელა ვერსაჩე, სტინგი და მისი მეუღლე ტრუდი სტაილერი; მსახიობი გვინეტ პელტროუ, მუსიკოსები — ჯონ ბონ ჯოვი და ბრაიან ადამსი.

მადონასა და რიჩისგან განსხვავებით, **ჯენიფერ ლოპესმა** და მისმა მეუღლემ **მარკ ენტონიმ** ქორწინებიდან 4 წლისთავზე კიდევ ერთხელ იქორწინეს და ერთმანეთს სამუდამო ერთგულება შეჰფიცეს. უიკ-ენდზე ვარსკვლავურმა წყვილმა მეგობრებთან ერთად, ლას-ვეგასს მიაშურა. მხიარული კომპანია რესტორნებში, ღამის კლუბებსა და კაზინოში ერთობოდა. მოულოდნელად, ცოლ-ქმარმა საქორწინო ცერემონიის კიდევ ერთხელ ჩატარება გადაწყვიტა. ღირსი მამის, სტივენ სმიტის წინაშე ჯერ ჯენიფერმა და მარკმა გაცვალეს საქორწინო ბეჭდები, შემდეგ კი კარლოს და ჯესიკა ბელტრანების ჯერიც დადგა, მერე ისევ ლოპესმა და ენტონიმ შეჰფიცეს ერთმანეთს ერთგულება... ჯვრისწერის ცერემონია Ceasars Palace-ში ღამის 3 საათზე ჩატარდა. ოტელის წარმომადგენელმა ჟურნალისტებს ეს ინფორმაცია დაუდასტურა. ანონიმმა ინფორმატორმა კი დასძინა: „ყველაფერი ძალზე სპონტანურად მოხდა. ღამის პირველის ნახევარზე დაქორწინება გადაწყვიტეს და მლვდელს დაურეკეს“.

„ორგზის“ ცოლ-ქმარი განმეორებითი ქორწინების შესახებ კომენტარს არ აკეთებს. მკითხველს შევახსენებთ, რომ მარკ ენტონისა და ჯენიფერ ლოპესის პირველი ქორწილი 2004 წლის ივნისში შედგა. 22 თებერვალს ტყუპის გაჩენის შემდგომ, ოჯახში სამაგალითო იდილიამ დაისადგურა.

ლას-ვეგასი „სწრაფი ქორწინების დედაქალაქის“ რეპუტაციით სარგებლობს. იქ შეუღლება ნებისმიერ დროს შეიძლება. 2004 წლის იანვარში სწორედ ლას-ვეგასში იქორწინეს ბრიტნი სპირსმა და მისმა ბავშვობის მეგობარმა ჯეისონ ალექსანდერმა და ყველაზე ხანმოკლე ქორწინების რეკორდი დაამყარეს. „სწრაფი ქორწილი“ ძალზე „სწრაფი განქორწინებით“ დასრულდა: წყვილის ცოლქმრობა მხოლოდ 55 საათი გაგრძელდა. გონს მოსულმა ბრიტნიმ იურისტებს მიმართა და მათ ქორწინების გაუქმება დაავალა.

ყველაზე ხანმოკლე ქორწინებათა სიაში მეორე ადგილი **კარმენ ელექტრასა** და **დენის როდმანს** ეკუთვნის. 1998 წლის ნოემბერში მომღერალმა და სკანდალებით სახელგანთქმულმა კალათბურთელმა ერთმანეთს სამუდამო ერთგულება შეჰფიცეს, მაგრამ 9 დღის შემდეგ ერთმანეთს გაეყარნენ. როდმანის სიტყვებს თუ ვერწმუნებით, ეს ქორწინება „მთვრალთა ხუშტური“ იყო.

მხოლოდ 3 თვე გასტანა **ნიკოლას კეიჯისა** და **ლიზა მარია პრესლის** ქორწინებამ, რომელიც 2002 წლის აგვისტოში ჰავაის კუნძულებზე დაიწყო და ზუსტად 107 დღის შემდეგ დასრულდა.

ძალზე ხანმოკლე იყო ჰოლივუდის კიდევ ერთი ვარსკვლავის — **რენე ზელვეგერის** გათხოვებაც. რენე და ქანთრი-მომღერალი **კენი ჩესნი** 2005 წლის მაისში შეუღლდნენ. ცერემონია კარიბის ზღვის უმშვენიერეს კუნძულზე ჩატარდა. ფეხშიშველა ნეფე-დედოფალი ბედნიერებას აფრქვევდა. მაგრამ სულ რაღაც 4 თვის შემდეგ, წყვილი ერთმანეთს დაშორდა.

სწორედ ამდენივე ხანს გაგრძელდა **ჯენიფერ ლოპესისა** და მოცეკვავე **კრის ჯადის** ოჯახური იდილია. 2001 წლის სექტემბერში შექმნილი ოჯახი 2002 წლის იანვარში დაინგრა. პამელა ანდერსონის ბიოგრაფია არაერთი ხანმოკლე ქორწინებით არის მდიდარი. 2006 წლის ივლისის ბოლოს „მალიბუს მაშველი“ მუსიკოს კიდ როკის მეუღლე გახდა. წყვილმა ქორწილი რამდენიმე ქალაქში გადაიხადა. ეს ზარ-ზეიმი იმით დასრულდა, რომ 4 თვის შემდეგ წყვილი გაიყარა. სულ რაღაც 10 თვეში პამელა პერის ჰილტონის სკანდალური ვიდეოჩანაწერის მთავარ მოქმედ გმირს, რიკ სალომონს გაჰყვა ცოლად, მაგრამ 2,5 თვის შემდეგ, მსახიობმა სასამართლოს განქორწინების თხოვნით მიმართა. 2008 წელს სასამართლომ მათ ქორწინებას „თაღლითობის“ კვალიფიკაცია მიანიჭა და გააუქმა.

გაგრძელება 88-ე გვერდზე



დასაწყისი

სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

ნინო წავიდა თუ არა, უარესად გამიფუჭდა ხასიათი. მეგონა, მარტოობა შვებას მომგვრიდა, მაგრამ შევცდი. სამი დღე-ღამეა, ჩემს ცოლს თვალი არ მოუხუჭავს. შემეცოდა და ვთხოვე, შინ წადი, გამოიძინე და ცოტა აზრზე მოხვალმეთქი.

მე კი უაზროდ მივჩერებოდი კედლებშეთეთრებული პალატის ჭერს და დაძინებას ამაოდ ვცდილობდი. შემეძლო, რამეზე მეფიქრა, მაგრამ არც ამის სურვილი მქონდა. „აი, ახლა ოცამდე დავითვლი და ჩავთვლემ", — ვარწმუნებდი თავს. მაგრამ ვინ მაცალა!.. თორმეტამდეც არ ვიყავი ასული, რომ პალატის კარი ფართოდ გაიღო, თან ისეთი სისწრაფით, თითქოს ქარმა შემოხეთქაო და ნუნუ ექიმი ხმაურით შემოიჭრა ოთახში.

— აბა, როგორ გრძნობს თავს ჩემი პაციენტი? სიცხე გაიზომე, ზაზა, თუ ისევ ჩემს მოტყუებას ეცდები? — გაიღიმა ნუნუ ექიმმა და ოქროს კბილი გამოაჩინა.

— გავიზომე, ექიმო, გავიზომე. ოცდაჩვიდმეტი და ოთხი ხაზი მაქვს.

— ეგ არაფერი, თავისით დაიწევს. ხომ ხედავ, მეოთხე დღეა და უკვე პროგრესი გვაქვს... ოცდაცხრამეტიდან ოცდაჩვიდმეტამდე ჩამოვედით. სად არის შენი მეუღლე?

— სახლში გავუშვი, ცოტა დაისვენოს.

— კარგად მოქცეულხარ. რა საჭიროა თავზე მდგომი! ისე, ტელევიზორი არ გაწყენდა.

— არა, არ მინდა, ხმაური უფრო მღლის.

— გეთანხმები. ან კი რას უნდა უყურო კაცმა? ყველგან პოლიტიკა და პოლიტიკა, სხვა სალაპარაკო არაფერი აქვთ, მთელი საზოგადოება პოლიტიზებულია, — ქაქანებდა შუახნის ქალი, — ჰო, მართლა, შენთან მნახველია მოსული, გარეთ გელოდება. შემოვუშვა?

— ვინ არის? — დავიჯღანე, არავის ნახვის სურვილი არ მქონდა, ცოლიც იმიტომ მოვიშორე თავიდან, რომ მარტო დავრჩენილიყავი.

— ვინ არის, არ ვიცი, მაგრამ იმისთანა ქალია... იფ! — აღფრთოვანება ტუჩების დაბრეცით და წარბების აწევით გამოხატა ექიმმა.

— შემოვიდეს, რა ვიცი, — უკმაყოფილოდ წარმოვთქვი და ბალიში წამოვწიე, რომ დამჯდარი დავხვედროდი სტუმარს. ისეთი დასუსტებული ვიყავი ავადმყოფობისგან, ფეხზე დგომა და სიარულიც მიჭირდა.

— აბა, დროებით. ამაღამ მე ვარ მორიგე და კიდევ შემოგივლი. მანამდე ირმა ექთანი მოგხედავს. ცხრაზე გიწევს წამლები, იცოდე! — გამაფრთხილებელი ტონით დამიბარა ექიმმა და პალატა სწრაფი ნაბიჯებით დატოვა.

გამეცინა. ისეთი შეგრძნება მეუფლება, რომ ეს ქალი ყოველთვის ჩქარობს. ჩქარა გვის, ჩქარა რეცხავს, ჩქარა ამზადებს სადილს, ჩქარა დადის... სექსში როგორ აქვს ნეტავ, საქმე?

დერეფანში ვიღაცას გამოელაპარაკა. „მიბრძანდით, გელოდებათ", — ეს სიტყვები გარკვევით გავიგონე და ღია კარში ქალი გამოჩნდა...

დაახლოებით ოცდათხუთმეტიოდე წლის იქნებოდა... არც კი... მაღალი, ლამაზი... ტანზე გამოყვანილი სალათისფერი კაბით, შავი, გრძელი და სრიალა თმით... გიტარასავით გამოყვანილი წელით... უზარმაზარი ლურჯი თვალებითა და იდუმალი ღიმილით, რომელიც ერთობ ვნებიან ტუჩებზე მაცდურად დასთამაშებდა.

— გამარჯობა, ზაზა, — თქვა და შედგა.

— გაგიმარჯოს?! — ჩემთვის უცხო რომ იყო, ხმის ინტონაციით გამოვხატე.

— ვერ მიცანი, არა?

— ვერა. რომელი ხარ?

— ნუთუ ასე შევიცვალე? — თითქოს დანანებით წარმოთქვა და მარცხენა ხელით თმა ყურზე გადაიწია...

ვერ ვიცანი? როგორ ვერ ვიცანი... ამ ჟესტით ვიცანი ზუსტად.

— ნატა? შენ... საიდან? საიდან გაიგე?

— ჩიტმა მომიტანა ამბავი, — თქვა თავისი ხავერდოვანი ხმით და თვალებით უფრო გამიღიმა, ვიდრე ტუჩებით.

— არა, მართლა...

— გოგა შემხვდა გუშინ... იმანაც ძლივს მიცნო. შენზე მითხრა, ინფექციურში წევსო...

— ჰო... წელან იყო მოსული, მაგრამ შენზე არაფერი უთქვამს.

— დაავიწყდა ალბათ.

— რა მნიშვნელობა აქვს. დაჯექი და მომიყევი, როგორ ხარ?

— რა ვიცი... ვარ. ვცხოვრობ, ვმუშაობ... ქმარ-შვილს ვუვლი და ასე...

— რამდენი შვილი გყავს?

— ერთი გოგო.

— აუჰ, გიზარმაცია. მე სამი მყავს.

— ვიცი.

— საიდან?

— აკი გითხარი, გოგა შემხვდა-მეთქი.

— ჰო, სულ დამავიწყდა. სხვა?

— სხვა რა ვიცი... ისეთი არაფერი. ინსტიტუტში ვმუშაობ, ლექციებს ვკითხულობ. ნინო როგორ არის?

— კარგად, კარგად. ათი წუთია, რაც წავიდა. ცოტა ადრე რომ მოსულიყავი...

— არა მგონია, ჩემი დანახვა გახარებოდა.

— არა, რატომ... მას შემდეგ იმდენი წელი გავიდა...

— ვიღას ახსოვს ის ამბავი, არა?

— მაგის თქმა არ მინდოდა, — ნატას რეპლიკაზე სახე ამიჭარხლდა, — უბრალოდ, ის წლები წავიდა. ახლა აღარ აქვს ეჭვიანობის საბაბი.

— ვითომ? მაშინ რატომ არ მახსენა

გოგამ, როგორ ფიქრობ? მგონი, ნინოს განაწყენებას მოერიდა, არა?

თვალები მთელი ძალით დავხუჭე. ეგ კი არ მიფიქრია! აი, თურმე, რატომ არაფერი თქვა გოგამ. ნინოს წამითაც არ დავუტოვებივართ მარტო, ამიტომაც ვერ მითხრა გუშინდელი შეხვედრის შესახებ.

— ალბათ...

— შენ გამოსწორებულხარ, ეჭვიანობის საბაბს თუ არ აძლევ ცოლს. როგორ მოხდა? წლებმა დაგაბრძენა?

— კი არ დამაბრძენა, გამტეხა, ნატალია, გამტეხა. ამ ავადმყოფობამ კი ბოლო მომიღო.

— ჰო, ექიმმა მითხრა, ჰეპატიტი აქვსო. ბევრს სვამდი?

— არც ისე... მთლად სასმლის ბრალი არ უნდა იყოს.

— ნარკოტიკები?

— არა, არა, შენ ხომ იცი, ცხოვრებაში წამალი არ გამიჩხერია. „პლანს“ თუ მოვწევდი ხოლმე და ეგ იყო. უბრალოდ, ღვიძლი ბავშვობიდან მაწუხებდა. მამაჩემიც მაგან მოკლა, ციროზი დაემართა სამოცი წლის ასაკში.

— რას ამბობ! რობიკო გარდაიცვალა? — პირზე ხელი აიფარა ნატამ და თვალები აუწყლიანდა. — რა სამწუხაროა, როგორ მიყვარდა მამაშენი.

— იმასაც ძალიან უყვარდი... სხვათა შორის, ხშირად გახსენებდა.

— ეჰ, რაც მე მის სცენაზე გამოვსულვარ და მიცეკვია...

— კარგი დრო იყო, ლამაზი წლები და...

— „ჯიბრიანი“ შეცდომები, — დაამატა ნატამ.

— შენ ეგა თქვი. ერთმანეთის ჯიბრით შეცდომას შეცდომაზე ვუშვებდით... შენც და მეც.

— ჰო... შენგან მიკვირდა, თორემ მე ბავშვი ვიყავი და კიდეც მეპატიებოდა.

— მეც ბავშვი ვიყავი, რა გგონია, — არ დავუთმე.

— რა ბავშვი, მთელი შვიდით წლით ხარ ჩემზე უფროსი. თექვსმეტი წლისა გამიცანი, დაგავიწყდა?

— არა, მახსოვს და არც არასდროს დამვიწყებია. მხოლოდ იმის თქმა მინდოდა, რომ ყველა შეყვარებული ადამიანი, ბავშვია.

— რა თქვი? — უცებ ყურები ცქვიტა. — გაიმეორე, რა თქვი?

— ყველა ადამიანი, როცა შეყვარებულია, ბავშვია-მეთქი.

— გინდა თქვა, რომ ჩემზე იყავი შეყვარებული?

— ჰო, რა იყო, პირველად გესმის?

— კი, პირველად მესმის და ამიტომაც გამიკვირდა. შენ ჩემთვის სიყვარული არასდროს აგიხსნია... იქნებ აღარ გახსოვს?

— მახსოვს, — საკუთარი ხმა ძლივს გავიგონე.

— რატომ, მერე, რატომ? იქნებ ახლა მაინც მითხრა, რატომ არ მეუბნებოდი, რომ გიყვარდი?

— რა საჭირო იყო ამის თქმა, შენ თუ გრძნობდი ამას?

— მერე რა, რომ ვგრძნობდი. იქნებ როგორ მჭირდებოდა ამის მოსმენა? მე რომ გეუბნებოდი, ხომ გსიამოვნებდა?

— თანაც ძალიან.

— აი, ხომ ხედავ, შენ კი მე ეს სიამოვნება მთელი ოცდახუთი წელი მომაკელი.

— რამდენი? — მეგონა, ვერ გავიგონე.

— ოც-და-ხუ-თი წელი.

— მაგდენის ხა-არ? — გავეხუმრე.

— ვარ, შენ წარმოიდგინე. ორმოცდაორი წლის ვარ.

— 19 ივლისს გახდები.

— მართალია, ჩანს, ეს არ დაგვიწყებია, — სინანული გაუკრთა ლამაზ თვალებში.

— არც ეს და არც სხვა დანარჩენი, ყველაფერი ზეპირად მახსოვს. რომ შეიძლებოდეს, მოგონებების გამოცდას ზეხუთიანზე ჩავაბარებდი.

ნატამ თავი ჩაღუნა. რამდენიმე წამს ორივე დადუმდა.

— ნატა...

— ბატონო, — ჩამქრალი ხმით თქვა და თავი ასწია.

— ძალიან ლამაზი ხარ... — არ შემეძლო, არ მეთქვა.

— ჰო, რა ვიცი...

— ისევ ისე გესევიან კაცები?

გაიცინა. სიცილიც კი სევდიანი მომეჩვენა.

— მიყვარხარ, ზაზა. ისევ ისე მიყვარხარ, როგორც მაშინ. ვერ დაგივიწყე. ყველაფერი შევძელი ცხოვრებაში და ეს ვერ მოვახერხე.

— მეც, — ჩემდა უნებურად წარმოვთქვი.

— ძალიან დაგვიანებული ხომ არ არის? — თვალი თვალში გამიყარა.

ვერ გავუძელი მის მზერას.

— ჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. მართალია, კარგად ვერ გამოვიყურები, მაგრამ აღქმის უნარი არ დამიკარგავს. რომ მცოდნოდა, მოხვიდოდი, ცოტა სხვანაირად დაგხვდებოდი.

— როგორ, სხვანაირად? — გამოცოცხლდა ნატა.

— როგორ და... აი, წვერს გავიპარსავდი...

სიცილი წასკდა.

— იცი, რამდენიმე წლის წინ რა დამემართა? ვიღაც კაცს მიგამსგავსე სტადიონთან. კინაღამ გამიჩერდა გული. არ მახსოვს, როგორ ჩამოვხტი „მარშრუტკიდან“, მივუახლოვდი ამ კაცს, ხან აქედან მოვუარე, ხან იქიდან. ძალიან გგავდა — მანერებით, დგომით, გამოხედვით, თვალების ფერით, სიმაღლით... ერთადერთი, ნაიარევი არ ჰქონდა შენსავით ლოყაზე. ვიფიქრე, პლასტიკური ოპერაცია ხომ არ გაიკეთა-მეთქი? ბოლოს ვერ მოვითმინე, მივაჭერი და ვკითხე, თქვენ ზაზა ხომ არ გქვიათ-მეთქი? იცი, რა მიპასუხა?

— კიო, ალბათ, არა?

— ვერ გამოიცანი. სამწუხაროდ, არაო, მიპასუხა.

— სამწუხაროდო, არა? ხედავ? თურმე იმასაც მოეწონე.

— არა, რა სისულელეა.

— ეძახე შენ სისულელე... მე კი სწორედ შენმა მოწონებამ დამღუპა.

— იცი, რამდენ ხანს გეძებე? — მოულოდნელად საუბრის თემა შეცვალა ნატამ.

— მეძებე? ეგ კი აღარ მჯერა, ნატალია... და იცი, რატომ? ზუსტად თხუთმეტი წლის წინ, საახალწლოდ, მისალოცი ბარათი გამოგიგზავნე, შენ კი პასუხიც არ მომწერე. იქ ეწერა ჩემი მისამართი.

— ვიცი. ახლაც შენახული მაქვს.

— მერე? თუ ჩემი ნახვა გინდოდა, ხომ შეგეძლო...

— იმ ბარათის გამო კინაღამ ოჯახი დამენგრა, — ჩუმად წარმოთქვა და ისევ ჩაღუნა თავი.

— მართლა? არ მინდოდა... მაპატიე.

— არა უშავს, შენი ბრალი არ არის. მე ვარ დამნაშავე. რა სულელი ვიყავი, სანამ გავთხოვდებოდი, გიგლას შენ შესახ-

ებ ყველაფერი ვუამბე... ამიტომაც იეჭვიანა, როცა შენი მისალოცი მივიღეთ.

— ახლაც ეჭვიანობს?

— ყოველ წუთს.

— ჩემზე, კაცო?

— არა მარტო შენზე, ყველა შარვლიანზე.

— მესმის მისი. შენნაირი ცოლი როცა ჰყავს ადამიანს, ძნელია, არ იეჭვიანო.

— შენც იეჭვიანებდი? — ეშმაკურად ამომხედა.

— აუცილებლად, — უკან არ დავიხიე, — მით უმეტეს ახლა, შენ უკვე ხარ ქალი-ქალში.

— ჰო, მახსოვს, ამას რომ მეუბნებოდი, — დაიმორცხვა ნატამ.

— მერე როგორ გადაურჩა შენი ოჯახი დანგრევას? როგორ შეინარჩუნე? — ახლა მე შევცვალე საუბრის თემა.

— თამუნას, ჩემი ქალიშვილის გამო. არ მინდოდა, იგი უმამოდ გაზრდილიყო, თორემ ერთი დღე არ გავუჩერდებოდი. ძალიან გავბრაზდი მაშინ. არადა, არაფერ შუაში ვიყავი. მიმტკიცებდა, ალბათ შენ გააგებინე მისამართი, თორემ როგორ მოგძებნიდაო.

— რას მელაპარაკები-მეთქი! — აღმომხდა გაღიზიანებულს. — კაცმა თუ მოინდომა, სასურველი ქალის მისამართს ყოველთვის მოიძიებს... ასე რომ, მეც გეძებდი, — დავამატე ბოლოს, შეცვლილი ხმით.

— ჰოდა, აგერ ვარ, ჩემი ფეხით მოვედი, — მტკიცე ხმით წარმოთქვა და გამჭოლი მზერა მესროლა.

ხმა ვერ ამოვიღე. რას ნიშნავდა მისი სიტყვები? რას მთავაზობდა? სანამ რამეს მოვიაზრებდი, ისევ თვითონ გააგრძელა:

— იმედია, მთელი ცხოვრება საავადმყოფოში არ მოგიწევს ყოფნა. ხომ არ იცი, როდის უნდა გაგწერონ?

— ყველაზე ცოტა, ორკვირიანი კურსია, ექიმმა თქვა.

— ორი კვირა... — თავისთვის ჩაილაპარაკა შეფიქრიანებულმა. — მერე ცოტა დასვენებაც დაგჭირდება, საბოლოოდ რომ მომაგრდე. ორ თვეს გაძლევ დროს.

— რა ორ თვეს? — ვერ მივუხვდი.

— მობილური გაქვს?

— კი, როგორ არა.

— ჩამაწერინე შენი ნომერი და ორი თვის მერე დაგირეკავ.

— კარგი, — დაბნეულმა ვუპასუხე და ნომერი ვუკარნახე.

— არასწორად ხომ არ ვიქცევი? — მკითხა უეცრად.

— არა, რატომ?

— რა ვიცი, იქნებ არ გინდა ჩემთან შეხვედრა, — მხრები აიჩეჩა და ირიბად გამომხედა.

— როგორ არ მინდა, მინდა, მაგრამ...

— მაგრამ?

— მაგრამ ამას მერე რა მოჰყვება, არ ვიცი, საკუთარ საქციელზე პასუხს არ ვაგებ, იცოდე! — გავაფრთხილე.

— არც მე! — მრავალმნიშვნელოვნად წარმოთქვა და ხელზე ხელი დამადო.

ხომ გახსოვთ, როგორ შეახურებს ხოლმე ალკოჰოლიანი სასმელი ორგანიზმს? სწორედ ასე შემახურა ნატას ხელის შეხებამ.

ჩვენი მზერა კვლავ ერთმანეთს შეხვდა. მის თვალებში ყველაფერი ძველებურად იკითხებოდა, როგორც მაშინ, ძველ დროს. ეს ერთადერთი ქალის თვალები იყო, რომელსაც საიდუმლოს დამალვა არ შეეძლო...

— გახსოვს, რას მეძახდი? — იდუმალი ხმით მკითხა.

— მახსოვს — სხვისი ოცნების ქალს.

— ჰო... და ასეთადაც დავრჩი. სხვათა შორის, შენთვისაც... ჯერჯერობით.

— ვიცი, — ვთქვი და ამოვიხვნეშე.

— დაგირეკავ... აუცილებლად, — ხელი მომაშორა და წამოდგა.

— შენს ზარს დაველოდები... მეც რომ დაგირეკო?

— არა, მე თვითონ... ნახვამდის, ზაზა.

— შეხვედრამდე, ნატალია.

თითები ლამაზად აამოძრავა, თითქოს საცეკვაო ილეთს აკეთებსო, მრავლისმეტყველად გამიღიმა და ოთახიდან გავიდა.

სანამ კარს გაიხურავდა, ერთხელ კიდევ შემომხედა...

მიყვარხარო, — თვალებით მითხრა...

ოცდასამი წლის ვიყავი, პირველად რომ დავინახე. უნივერმაღში იყო შესული, ბიჟუტერიის სექციასთან იდგა და სამკაულებს ათვალიერებდა. ეგრევე მომხვდა თვალში. არ შეიძლებოდა, შეუმჩნეველი დაგრჩენოდა. ის იყო ერთ-ერთი იმ საოცარ არსებათაგანი, რომელიც ბუნებას ოდესმე შეუქმნია. მაღალი, ტანადი, წელწვრილი და გრძელფეხება

გოგო თავისი ბრიალა თვალებით უცებ იქცევდა ყველას ყურადღებას. საოცარი სიარულის მანერა ჰქონდა, თავაწეული კი არ დადიოდა, დასრიალებდა, თითქოს მხოლოდ ფეხის წვერებით ეხებოდა მიწას, როგორც ბალერინა სცენის იატაკს. მაშინ არ ვიცოდი, რომ თურმე ცეკვავდა. ამიტომაც დააბიჯებდა ასე ამაყად, ყველასგან გამორჩეულად. სწორედ მისი განსაკუთრებულობა იყო მიზეზი იმისა, რომ საპირისპირო სქესის ყურადღება მიექცია. თვალები? მსგავსი არაფერი მინახავს. განა მარტო ლამაზი თვალები ჰქონდა, სასწაულებრივად მეტყველიც — მთელი მისი ცხოვრების ისტორია იკითხებოდა ერთ გამოხედვაში. როცა ახლოს გავიცანი, მერეღა მივხვდი, რატომ ვერ უსწორებდა ადამიანს მზერას დიდხანს — ეშინოდა, არ გაეცა თავი, ყველა იოლად არ ჩასწვდომოდა მისი სულის სამყაროს, არ ამოეცნო მისი პატარ-პატარა საიდუმლოებანი...

ერთადერთი, ამქვეყნად რასაც რეალურად ვაფასებდი, სიყვარული იყო, ოლონდ... პირველ რიგში, საკუთარი თავის სიყვარული. იდეალურ რომანტიკოსს წარმოვადგენდი — ყოველთვის ყველა ქალში სიყვარულს ვეძებდი. მათი ყურადღება ნამდვილად არ მაკლდა. ერთ-ერთი იმ მამაკაცთაგანი გახლდით, ნებისმიერი ქალის — მიუხედავად მისი სტატუსისა და სოციალური მდგომარეობისა თუ ფენისა — მოხიბვლა წამებში რომ შემეძლო. ამაში ყველაფერი მიწყობდა ხელს — გარეგნობა, სილაღე, კარგი აღზრდა, ჯანსაღი იუმორი, ვაუკაცური მოლხენა, გიტარა და, როგორც იტყვიან, ჩქარი ტაში. სასიმღერო ხმა მამისგან გამომყვა, რომელიც თავის დროზე განთქმული მომღერალი იყო. ხალხური სიმღერის ანსამბლში მღეროდა და მსოფლიო ჰქონდა მოვლილი. მერე, ასაკში რომ შევიდა, სიმღერას თავი დაანება და მუშაობა დაიწყო. მას, როგორც დაფასებულ ადამიანს, ქალაქკომმა პატივი სცა და კულტურის განყოფილების გამგედ დანიშნა. იცოცხლე, ისე დატრიალდა, რამდენიმე წელიწადში ხელოვნების კერად აქცია ჩვენი ქალაქი. ყველასთან ყველაფერი გამოსდიოდა, ერთი მე ვერ მომიხერხა ვერაფერი. ისე ნებიერად გამზარდეს დედამ და მამამ, იმდენი ფული მქონდა, სწავლაზე ძალიან ადრევე ავიცრუე გული. მართალია, თეატრალურ ინსტიტუტში ჩამაბარებინეს, მაგრამ ორ წელიწადში გამომრიცხეს და საერთოდ ჩავიქნიე სწავლაზე ხელი. საბოლოო ჯამ-

ში, „ბირჟავიკის“ სახელი მოვიხვეჭე და მთელი დღე ქუჩაში დგომით ან ძმაკაცებთან ერთად ქეიფსა და მანქანით სეირნობაში ვატარებდი დროს.

ქალს ქალზე ვიცვლიდი, არც ასაკს დაგიდევდით და არც წარმომავლობას. არც იმას ვუყურებდი, გათხოვილი იყო, გასათხოვარი თუ განათხოვარი. მთავარი იყო, მომწონებოდა და ორი შეხვედრაც საკმარისი იყო, ჩემი გამხდარიყო. ყველა მიცნობდა, დიდიც და პატარაც, უდიდესი მექალთანის სახელი მქონდა გავარდნილი.

ჰოდა, იმას ვამბობდი... ნატა რომ დავინახე პირველად... გითხარით უკვე, როდის და სად დავინახე.

მეორედაც იქ დავინახე, ბიჟუტერიის სექციასთან. მე გარეთ ვიდექი, ტროტუარზე და ვიტრინიდან ვადევნებდი თვალყურს. ამ დროს თათული მომიახლოვდა, ჩემი ძმაკაცის, ზურას და.

— ვა, ზაზული? როგორ ხარ? — მხარზე დამკრა ხელი.

მივესალმე, ვაკოცე და მეც მოვიკითხე.

— თათო, რაღაც მინდა გკითხო, ოღონდ... ჩვენ შორის დარჩეს, კარგი?

— კარგი, — მითხრა და ყურადღებით შემომაჩერდა, თითქოს დიდი საიდუმლოს გაგებას ელოდა ჩემგან.

— ის გოგო ხომ არ იცი, ვინ არის? — და ხელით ვანიშნე უნივერმაღისკენ.

— აბა, რომელი? ნინელის სექციასთან რომ დგას, მაგაზე მეკითხები?

— ჰო, ზუსტად მაგაზე.

— ე-ე-ე! ეგ იცი, რა გოგოა? მაგარი! მაგის გულისთვის მთელი ქალაქის ბიჭები ერთმანეთს თავ-პირს ამტვრევენ.

— ეგ არ მაინტერესებს. შენ ის მითხარი, ვინ არის და რა ჰქვია.

— ნატა ჰქვია, შარშან ჩამოვიდა თბილისიდან. ბებია ზრდის. დედა არ ჰყავს, მამამისმა კი მეორე ცოლი მოიყვანა და ეს აქეთ გამოუშვა, დედაჩემი მოგივლის, სანამ სკოლას დაამთავრებო.

— შენ იცნობ?

— როგორ არ ვიცნობ, ჩვენს სკოლაში სწავლობს, მეათე კლასშია.

— გამაცნობ?

— რა პრობლემაა, წამო, შევიდეთ და გაგაცნობ. ჩემი დაქალია.

— მოიცა ახლა!

— ნუ... მთლად დაქალი არ არის, მაგრამ კარგი ურთიერთობა გვაქვს, წამო, წამო!

შევდიოდი მაღაზიაში, მაგრამ ფეხები უკან მრჩებოდა. ასეთი რამ ცხოვრებაში არ დამმართვია, რატომღაც შინაგანად ვნერვიულობდი.

— ნატული, პრივეტ, როგორ ხარ? — თათომ ხელი მხარზე გადახვია დახლზე თავდახრილ გოგონას.

— უი, თათუშკი, როგორ შემაშინე! არა მიშავს, შენ რას შვრები?

— არაფერს, ვისვენებ. ხომ იცი, კვირაა და უსაქმოდ ვარ, აი, მე და ჩემი ძმაკაცი ვსეირნობთ.

„ძმაკაცის“ გაგონებაზე ღიმილი ვერ შევიკავე. აბა, რომელი მისი ძმაკაცი მე ვიყავი, მაგრამ არ შევიმჩნიე.

— ჰო, მართლა, გაიცანი, ეს ზაზაა.

— სასიამოვნოა, ნატა... ნატალია, — მორცხვად თქვა და გაწითლდა.

— ჩემთვისაც, — ხელი გავუწოდე და მისი პატარა თითები მუჭში მოვიმწყვდიე.

რბილი და თბილი თითები ჰქონდა, წვრილი და გრძელი, თლილი და... მგრძნობიარე. საჭიროზე მეტხანს გავაჩერე მისი ხელი ხელში.

— რას ათვალიერებ, მოგეწონა რამე? — თათომაც დაუწყო სამკაულებს ყურება.

— ისე, უბრალოდ, მიყვარს ლამაზი სამკაულები, — უხერხულად შეიშმუშნა ნატა და მარცხენა ხელით თმა ყურზე გადაიწია, — ცოტა ადრე მომიწია წამოსვლამ და დრო გამყავს.

— სად მიდიხარ, რო? — ჰკითხა თათულიმ და მე გამომხედა.

— რეპეტიციაზე. სამშაბათს კონცერტი გვაქვს.

— მღერით? — ღიმილით ვკითხე.

— არა, ვცეკვავ.

— ა-ა-ა. ვინ არის თქვენი ქორეოგრაფი, შემთხვევით, თენგოსთან ხომ არ დადიხართ? — დავინტერესდი.

— კი, თენგოსთან.

— აჰა. ხომ არ გაბრაზებს ჩვენი თენგო?

— არა, რას ამბობთ, არაჩვეულებრივი ადამიანია.

— ვიცი. მომიკითხე, რომ ნახავ, — ჩემდა უნებურად, უნებლიეთ გადავედი „შენობით ფორმაზე“, — ამ დღეებში გამოგივლი-თქო, გადაეცი.

— აუცილებლად გადავცემ, — თქვა და თვალები დახარა.

მეტი სალაპარაკო არაფერი გვქონდა. დავემშვიდობე და გავეცალე. თათულიც თავის გზაზე წავიდა.

რეპეტიცია! რა კარგია, ცეკვაზე რომ დადის. თენგო რეპეტიციებს თეატრის შენობაში ატარებს, იქ, სადაც მამაჩემი მუშაობს. ხშირად ვარ იქ, მაგრამ ნატა არასდროს მინახავს. ერთხელ მაინც როგორ ვერ მოვკარი თვალი? საოცარია პირდაპირ!

ის დღე იყო და... ნატაზე ფიქრი აშეკვიატა. ახლა იმაზე ვფიქრობდი, რა გზა გამომენახა, რომ უფრო კარგად გამეცნო და დავახლოებოდი. ჯერ ვიფიქრე, რეპეტიციაზე მივალ და იქ გამოველაპარაკები-მეთქი, მაგრამ უმალვე გადავიფიქრე. არ მინდოდა ეგრძნო, რომ განსაკუთრებულ ინტერესს ვიჩენდი მის მიმართ. თან იმდენ ხალხში... არც ის მინდოდა, სხვებს რამე შეენიშნათ.

ჩემდა საბედნიეროდ, ფიქრით თავის მტვრევა არ დამჭირდა. მეორე დღეს კვლავ მოვკარი თვალი, ჰაეროვანი ნაბიჯებით შედიოდა უნივერმაღში. მივხვდი, თავისი საყვარელი სამკაულების მოსანახულებლად მიდიოდა. ფეხდაფეხ შევყევი და გვერდით ამოვუდექი სექციასთან მდგარს.

— ნატა, როგორ ხარ? — შინაურულად მივმართე.

მოულოდნელობისგან შეხტა და შეშინებული თვალებით ამომხედა.

— ა! თქვენ ხართ? არა მიშავს, თავად?

— მეც არა მიშავს. რამის ყიდვას აპირებ?

— არა, ისე... — თქვა, მაგრამ მივხვდი, რაღაც ძალიან მოეწონა და ფული არ ჰქონდა, რომ შეეძინა. იდეა უცებ მომწიფდა თავში.

— იცი, შენი რჩევა მჭირდება, ხომ დამეხმარები? — გაღიმებულმა თვალი ჩავუკარი.

— რა ვიცი, თუ შემიძლია... — მხრები აიწურა.

— მეგობარი გოგოს დაბადების დღეა და იქნებ რამე შემარჩევინო.

— მე... არ ვიცი... გემოვნების საკითხია... — დაიბნა.

— დაახლოებით შენი ტოლია, სამკაულები იმასაც ძალიან უყვარს. ბეჭედსაც ატარებს, საყურესაც, მძივსაც და სამაჯურსაც. ოღონდ კაცების ამბავი ხომ იცი, მე საერთოდ ვერ ვერკვევი ამგვარ რამეებში.

— მაგრამ... გააჩნია, რა უფრო სჭირდება, — გაბედა ბოლოს.

— აი, მაგალითად, შენ რა გაგიხარდებოდა მეგობრისგან საჩუქრად? — დავეხმარე.

— მე-ე? — უმწეოდ მიმოიხედა.

— შენ რაც უფრო მოგეწონება, ავდგები და იმას ვუყიდი.

— მე ეს გულსაბნევი მომწონს, — თქვა და ცრემლის ფორმის თეთრთვლიან გულსაბნევს დაადო ხელი.

— გადასარევია! — შევძახე, მერე ნინელის ვანიშნე, ამას ვყიდულობ-მეთქი და ჯიბეზე გავიკარი ხელი.

— გმადლობ, რომ დამეხმარე, — ვუთხარი, გარეთ რომ გამოვედით.

— მთავარია, მოეწონოს, — დარცხვენით მითხრა.

— კიცი, რომ მოეწონება.

— ასე დარწმუნებული რატომ ხართ? — შემომცინა.

— იმიტომ, რომ შენ გიყიდე. არ დამიწყო ახლა ესაო და ისაო. ეს დიდი არაფერია, ამიტომ არაფერი მითხრა, ისე გამომართვი. გთხოვ.

ერთხანს დაბნეული მომჩერებოდა, თითქოს დააპირა კიდეც რაღაცის თქმა, მაგრამ გადაიფიქრა, მადლობა გადამიხადა და საჩუქარი მორიდებით გამომართვა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ჟურნალის საკვარიერო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგეძალოთ თვალი

1. „— კტო ბოლშე ზნაეტ — მუდრეც ილი დურაკ? — დურაკ! მუდრეც ვა ვსიომ სამნევაეტსა! — ხარაშო ბიტ დურაკომ! — მნოგო მუდრასტი, მნოგო პეჩალი!“ რომელ მხატვრულ ფილმში და ვისა და ვის შორის გაიმართა ეს დიალოგი?

2. ამ ქალს ხალხი „საბჭოთა კავშირის პირველ იუბკას“ ეძახდა. ახალგაზრდობაში იგი ცირკის მსახიობი გახლდათ და ცნობილ ილუზიონისტ იგორ კიოს გაჰყვა ცოლად, თუმცა მათი ურთიერთობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ამ ქალს ყველაფერი ჰქონდა ცხოვრებაში, გარდა ჩვეულებრივი ადამიანური ბედნიერებისა. მან 1998 წელს ფსიქიატრიულ კლინიკაში დაასრულა სიცოცხლე. დაასახელეთ ეს ადამიანი.

3. მსოფლიოს მასშტაბით ყველაზე ხშირად, რომელი მხატვრის ტილოებს იპარავენ?

4. რა არის ქავი?

5. რა არის დგვიფი?

6. ასურეთი ულამაზესი სოფელია ქვემო ქართლში, რომლის გერმანელი მოსახლეობაც სამამულო ომის დროს გაასახლა სტალინმა. ვინ ჩამოასახლეს მათ მაგივრად სოფელში?

7. როგორი თაფლი გამოირჩევა განსაკუთრებული კალორიულობით, რის გამოც კოსმონავტების კვების რაციონშია შეტანილი?

8. რამდენი ეკიუ გამოატანა პარიზში ბედის საძებნელად წამოსულ დ'არტანიანს მამამისმა?

9. რა არის თალიში?

10. რა ერქვა კარლოს დიდის გოლიათურ ხმალს?

11. დაასახელეთ იტალიელი მსახიობი, რომელსაც თავის სამშობლოში ყველაზე მომხიბვლელი ბებიის ტიტული მიანიჭეს.

12. ვინ ამბობდა სტალინის შესახებ: „ონ სამოე ვიდაიუშეესა ნიჩტოჟესტვო ნაშეი პარტიი“?

ანეკდოტები

***

პატარა ბავშვები სილაში თამაშობენ:

— მამაჩემს იმდენი ფული აქვს, შეუძლია, მთელი თბილისი იყიდოს!

— ჰა, ჰა, ჰა! მამაჩემს ვეტყვი და არ გაყიდის!

***

სვანი ქალი პირველად მივიდა ზოძღვართან.

— ქალწული ხარ, შვილო ჩემო?

— არა, მამაო, კირჩხიბი.

***

— ბავშვები გიყვართ? — ეკითხება სახლის პატრონი ახალდაქირავებულ მსახურს.

— რა თქმა უნდა, მაგრამ დიდ პატივს დამდებთ, თუ პრეზერვატივს გაიკეთებთ.

***

— ქმარი გიყვარს?

— რა თქმა უნდა!.. მე საერთოდ, ყველა მამაკაცი მიყვარს!..

***

თვითმფრინავი. ღამის რეისი. ორნი დგებიან და მიდიან უკანა ტუალეტისკენ:

— ნელა, ნელა, მე მგონი, ყველას სძინავს, — ამბობს ერთი.

— ჰო, ჩუმად, შედი და მეც ახლავე მოვალ, — ჩურჩულებს მეორე.

— კაი, წამოიღე პრეზერვატივი?

— კი, ახლავე ჩამოვაცმევ.

ისმის ხვნეშა.

— უფ, რა კარგია!

— ჰო, მიდი, დროზე!

ამ დროს ისმის პილოტის ხმა დინამიკიდან:

— ეი, მანდ, უკანა ტუალეტში! ვიცით, რასაც აკეთებთ! ახლავე ჩააქრეთ სიგარეტი და მოხსენით პრეზერვატივი კვამლის დეტექტორს!

***

ცოლმა ქმარს ახარა:

— იცი, მალე მამა გახდები!

ქმარი მძიმედ ჩამოჯდა სკამზე:

— მაინც ყველაფერი გითხრა, ხომ, იმ გათახსირებულმა?!

***

— ჩემს ცხოვრებაში ორი ღირსშესანიშნავი ამბავი მოხდა: პირველი — ბიჭი გამიჩნდა, მეორე — როგორც იქნა, გავბედე ცოლისთვის ამის თქმა.

***

მეზღვაურებმა უკაცრიელ კუნძულზე ალმოაჩინეს „ახალი რუსი“, რომელსაც სამი სახლი ჰქონდა აშენებული.

— სამი სახლი რაში დაგჭირდა?

— ერთში ვცხოვრობ, მეორეში რესტორანია.

— მესამეში?

— მესამეშიც რესტორანია, მაგრამ იაფფასიანია და იქ არ დავდივარ.

***

კლიენტი მივიდა ხარაზთან:

— შეაკეთეთ ჩემი ფეხსაცმელი?

— დიახ, ბატონო, ხუთი ლარი გადაიხადეთ.

— ვაა, გუშინ ათი არ მითხარით?

— მართალია, მაგრამ ერთი ფეხსაცმელი დაგვეკარგა.

***

მიხო და მარო ლოგინში წვანან. მარო:

— მიხო, მითხარი, რა, ხომ გიყვარვარ?

— მიყვარხარ, გველო.

— მიხო, მითხარი, რა, რომ გინდივარ!

— მინდიხარ, ნაგავო!

— ოჰ, შენ ხომ მკვდარსაც დაითანხმებ!

***

მოსამართლემ გაამართლა ბრალდებული. ადვოკატი ეკითხება:

— კმაყოფილი ხარ ჩემი დაცვით?

— კი, მაგრამ რომ მცოდნოდა, უდანაშაულო ვიყავი, საერთოდ არ დაგიქირავებდი.

***

დილით ჩხუბის შემდეგ ცოლი ქმარს ფურცელს აწვდის, რომელზეც ექვსნიშნა

ციფრი წერია.
— ეს რა არის?
— შენ მე გუშინ კახპა მიწოდე!
— მერე?
— მერე ის, რომ ამდენი წლის მანძილზე დავალიანება დაგიგროვდა.

***

— არაფერია ქალის მოტყუებაზე უარესი, მაგრამ არაფერია იმაზე სასიამოვნო, როდესაც ეს გამოგდის.

***

პატიმარი საკანში ოხრავს:
— ერთი დასანანი შეცდომა რომ არა, დღეს მილიონერი ვიქნებოდი.
— ისეთი რა შეცდომა დაუშვი?
— ჩემი ასდოლარიანები ამერიკულზე ორი მილიმეტრით გრძელი აღმოჩნდა!

***

ავტოსადგურზე მთვრალი კაცი ცოდვილობს, რომ როგორმე ავტობუსში ავიდეს. მგზავრებმა სიცილი დაიწყეს.
— ჰო, იცინეთ, იცინეთ და ბოლოს ვნახოთ, ვინ გაიცინებს, — გაბრაზდა მთვრალი.
— ვინ ხარ, კაცო, ასე რომ გვემუქრები? — სიცილით ჰკითხეს მგზავრებმა.
— ვინა ვარ და მძღოლი!

***

ექიმი:
— რას უჩივით?
— მე, ბატონო, არაფერს, მაგრამ გამყიდველს ხურდა ვთხოვე და, — შენ სიცხე ხომ არ გაქვსო?! — წონაში აკლია-მეთქი და, — შენ ტვინი ხომ არ გაკლიაო?! სანტექნიკოსს გულითადი მადლობა გადავუხადე და, — ბავშვობაში თავი ხომ არაფერზე მიგირტყამსო?! დირექტორი გავკრიტიკე და, — ექიმს მიაკითხე აუცილებლადო! მეც ავდექი და მოგაკითხეთ!

***

— მასწავლებელმა მითხრა, რომ მათემატიკის გაგებაში არა ვარ და ჟურნალში რაღაც რიცხვი ჩაწერა!

***

ოთხმოცდაათიანი წლებია. ორი სვანი შეხვდა ერთმანეთს:
— გერმანიაში ვიყავი. ერთ კვირაში ათი ათასი მარკა ვიშოვე!
— რა ჯანდაბად გინდა? ამდენ წერილს ცხოვრებაში ვერ დანერ!

***

— ყავა კონიაკით გნებავთ?
— არა.
— კონიაკის გარეშე?
— ყავის გარეშე!

***

ერთი ქალი ეუბნება მეორეს:
— მოკლედ, იმისთანა მოსიყვარულე ქმარი მყავს, რომ ვუთხრა, — გიღალატე-მეთქი, — თავს მოიკლავს.
— მერე, უფრთხილდები?
— კი, უკვე შვიდჯერ გადავარჩინე სიკვდილს.

***

ერთი მეგობარი ეუბნება მეორეს:
— ა-ა-რ მმ-მესმის, მ-მმ-ობილური ტ-ტტ-ელეფონების კო-კო-მპანიამ რა-რატომ მმომცა სა-სა-საუკეთესო ა-აბონენტის პრიზი!

***

რესტორნის მეპატრონეს ახარეს — მეზობლად მდებარე რესტორანი დაიწვაო. მეპატრონემ ბოროტად ჩაიცინა:
— იმედია, ახლა მაინც ჰქონდათ ცხელი კერძები!

ჯონების საჯარიმო

„ეზის" ერთგული მკითხველისათვის

(ვასუხები)

1. მჭედელ ჩუდრასა და ლოიკო ზაბარს შორის, ფილმში — „ბოშათა ბანაკი ზეცას მიემგზავრება".
2. გალინა ბრეჟნევა (ლეონიდ ბრეჟნევის ქალიშვილი).
3. პაბლო პიკასოს ტილოებს.
4. ქავი ციხის გალავანია.
5. დგვიფი წყალნარევი ღვინოა.
6. რაჭველები (ძირითადად — ქვემო სხვავიდან).
7. ველური ფუტკრების მიერ დამზადებული.
8. თხუთმეტი.
9. ახალ, ფოჩიან ხახვს, რომელსაც ჯერ ბოლქვი არა აქვს განვითარებული, თალიში ჰქვია.
10. დიურენდალი.
11. ორნელა მუტი.
12. ლევ ტროცკი.

***

ერთი კაცი აფრიკიდან დაბრუნდა. დაღის მოწყენილი. მეგობარმა მიზეზი ჰკითხა.
— იცი, იქ, აფრიკაში ერთი მაიმუნი გადამეკიდა, ლოგინში შემათრია და...
— მერე, მაგაზე დარდობ?!. რა მოხდა, ეგ ამბავი უკვე წარსულს ჩაბარდა. ხომ არავინ იცის და ვერც მაიმუნი მოუყვება ვინმეს.
— საქმეც ისაა, რომ ვერავის მოუყვება... ვერაფერს მომწერს, ვერ ჩამოვა და ვერც დამირეკავს...

ჩვენი ფოტო მაღლია

შეგახსენებთ, რომ ბანაფშერები შეგიძლიათ გამოგვიგზავნეთ ელფოსტით gza.lantaza@gmail.com, „ეზის ბალიტრის" (ლიტერა და საფრის) სადოსტო ყუთების (კონვერტზე მიანერეთ „ეზისთვის") მეშვეობით ან მოგვწერეთ რედაქციაში: თბილისი, ოსებიანის ქ. №49.

ბედნიერება რომ გავიხანგრძლივოთ....

თქვენი ურთიერთობა უსასრულოდ გაიწელა და მოსაწყენმა ერთფეროვნებამ დაისადგურა. უკვე კარგა ხანია, აღარაფერი იცვლება, ყოველი დღე მომაბეზრებლად ერთნაირია. ბოლო ხანებში უფრო და უფრო ხშირად გრძნობთ, რომ ეს ყველაფერი გაღიზიანებთ, მაგრამ...

იქნებ დროა, დაფიქრდეთ და ქცევის სტილი შეიცვალოთ?

ქვემოთ მოყვანილ მასალაში იმ ტიპურ შეცდომებზე გვექნება ლაპარაკი, რომელსაც ქალები მამაკაცებთან ურთიერთობისას უშვებენ. თუკი თქვენთვის ნაცნობ სიტუაციას წააწყდებით, ნუ გაბრაზდებით საკუთარ თავზე. ჩვენი რჩევების მიზანი მხოლოდ ის არის, რომ კარგად გააცნობიეროთ: იმის უნარი შეგწევთ, სიტუაცია თქვენს სასარგებლოდ შეცვალოთ.

თუკი ფიქრობთ, რომ უმამაკაცოდაც მშვენივრად გრძნობთ თავს და სიყვარული მხოლოდ პოეტების მოგონილია — ეს, არც მეტი, არც ნაკლები, გულისტკივილისგან თავის დაძვრენის მეთოდია. მაგრამ თუკი გგონიათ, რომ ნამდვილი სიყვარული არასოდეს გეწვევათ, ეს უკვე საგანგაშოა: შესაძლოა, მართლაც ასე მოხდეს. დაიმახსოვრეთ! რაც უფრო პოზიტიურად აზროვნებთ, მით უფრო იოლად იპოვით ნამდვილ სიყვარულს.

ალბათ ცხოვრებაში შეხვედრიხართ ისეთ მამაკაცს, რომელსაც დანაპირების შესრულება არ სჩვევია. ნუ შეეგუებით ამგვარ გარემოებას და ეცადეთ, რაც შეიძლება მალე დაივიწყოთ ის პიროვნება. ამოიგდეთ თავიდან აზრი, რომ ყველა მამაკაცი ერთნაირია; ნურც თვითგვემას მოჰყვებით — რომ ყველაფერი თქვენი ბრალია და ვინაიდან ასე მოგექცნენ, უკეთესს არც არაფერს იმსახურებთ. კარგად გაიაზრეთ, როგორი უნდა იყოს ნამდვილი მამაკაცი, როგორს იმსახურებთ და ამის მიხედვით შეაფასეთ სიტუაცია.

სიყვარული კონტროლს არ ექვემდებარება. სურვილი იმისა, რომ მამაკაცი 24 საათის განმავლობაში თქვენ გვერდით იყოს, არარეალურია. თავს მარტოსულად მიიჩნევთ, როდესაც *მამაკაცი ბილიარდის სათამაშოდ* ან ფეხბურთის მატჩის საყურებლად მიდის? — სულ ტყუილად. შეგიძლიათ შემთხვევით ისარგებლოთ და კომპეტიკურ პროცედურებს დაუთმოთ ის ძვირფასი დრო, რომელიც საამისოდ „არასოდეს გყოფნით“.

ჰარმონიული წყვილები ანგარიშს უწევენ ერთმანეთის სურვილებს და ურთიერთს განმარტოების საშუალებასაც აძლევენ. ამგვარი დამოკიდებულება უფრო მეტად აახლოებს მათ და ერთმანეთისთვის ახალ-ახალი შთაბეჭდილებების გაზიარების საშუალებასაც აძლევს.

ნუ განახორციელებთ ემოციურ „ცვლილებებს“. თუკი მთელ თქვენს შთაბეჭდილებებს, დავუშვათ, თანამშრომელ მამაკაცს გაუზიარებთ, მაშინ რაღა უნდა მოუყვეთ თქვენს რჩეულს? მთელ დროსა და ენერგიას თუკი სხვა ადამიანზე დახარჯავთ, მისთვის რაღა დაგრჩებათ?! თუ ასე გააგრძელებთ, დროთა განმავლობაში თქვენი ურთიერთობა ჩიხში მოემწყვდევა; დაკარგავთ ემოციურ კავშირს პარტნიორთან და იგი აღარ იქნება იმ „პირველთაგანი“, რომელმაც მართლაც რომ პირველმა უნდა გაიზიაროს თქვენი მწუხარება თუ სიხარული. ამის შემდეგ კი ძალიან მალე, ერთმანეთისთვის სრულიად უცხო ადამიანები გახდებით.

ცდებით, როცა გსურთ, იყოთ მუდამ მართალი. ეს იმას ნიშნავს, რომ არასოდეს იხდით ბოდიშს და ყოველთვის იტოვებთ უფლებას, თავად მიიღოთ გადაწყვეტილება. ასეთი თავდაჯერებულობა, ერთი მხრივ, ყველანაირი დაბრკოლებისგან თავის დაღწევაში უდავოდ დაგეხმარებათ, მაგრამ მეორე მხრივ, არასოდეს მოგიტანთ სრულ კმაყოფილებას. უნდა გახსოვდეთ, რომ დროულად ბოდიშის მოხდა სულაც გახლავთ სისუსტის გამოვლინება.

ერთმანეთის რომ გესმოდეთ, უნდა გაითვალისწინოთ, რომ მამაკაცები და ქალები ერთსა და იმავე სიტუაციას რადიკალურად განსხვავებულად აფასებენ. მოდი, ვნახოთ, რას ფიქრობენ მამაკაცები ამ თუ იმ ცხოვრებისეულ საკითხზე.

მაშ ასე, მამაკაცი მიიჩნევს:

სიყვარული

ერთხელ ხომ ვუთხარი, მიყვარხარ-მეთქი, რაღა საჭიროა, დაუსრულებლად ვუმეორო ერთი და იგივე?!

ქორწინება

ეჰ, ოჯახი ტვირთია... მაგრამ ტრადიციას არ ეღალატება. ეს ქორწინების ბეჭედიც ნერვებს მიშლის. ერთი კვირის შემდეგ, ალბათ უკვე მოვიხსნი.

ბიზნესი

მაგარია! ყოველთვის გაქვს შანსი, წახვიდე იქითკენ, საითკენაც გული გაგიწევს; შინ გვიან დაბრუნდე, თუნდაც ნასვამი და განაცხადო: ოფიციალურ შეხვედრაზე ვიყავიო. რაც შეეხება ფულს, როცა მას ღარიბი ნათესავები გთხოვენ, ეტყვი — ახალ საქმეში ჩავდეო.

ფული

ფული იმისთვის მოიგონეს, რომ მისით ისევ ფული აკეთო ანდა გარშემო მყოფებს შენი ინდივიდუალურობა დაუმტკიცო. ათასგვარ სისულელეზე მისი ხარჯვა არ ღირს.

უკმაყოფილება

ნუთუ ასე ძნელია, დაიმახსოვროს, რომ ჩაიში სამის ნაცვლად, ოთხი კოვზი შაქარი უნდა ჩამიყაროს?! ანდა, შარვალზე ორი ზოლი არ უნდა იყოს ერთის მაგივრად?!

ჩხუბი

ღმერთო ჩემო! ისევ აღრიალდა. ჯერ პირი წესიერად არც გამიღია, რომ უკვე ნიანგის ცრემლები გადმოყარა. როგორმე უნდა დავაწყნარო და შემოვირიგო.

ასაკი

ჩემს ცოლს ნაოჭები ეჭვიანობისგან გაუჩნდა და თანაც შურს, როცა ნორჩი, კოხტა გოგონები ქუჩაში მიღიმიან. რა ჩემი ბრალია, თუკი კარგად გამოვიყურები?!

გამოცდილება

გამოცდილება? რაღაც კარგად არ მესმის ამ სიტყვის მნიშვნელობა. ისე, გამოცდილ ქალთან ლაპარაკი უკვე შეიძლება, რადგან დუმილი რომ ოქროა, — ეს მან მშვენივრად იცის.

დღესასწაული

საღამომდე წამოვგორდები დივანზე და კარგად გამოვიძინებ. სტუმრების მოსვლამდე დრო თავზე საყრელად მაქვს. რაც მთავარია, ღვინო უკვე მოვიტანე.

ზაფხული

ცოლი და ბავშვები — დასასვენებლად! მე კი... დაიწყება ახალი პრეტენზიები. რაიმეს მოვიფიქრებ და ერთი-ორი კვირით მაინც მოვახერხებ მარტო დარჩენას. ცივი ლუდი, ტელევიზორი... ერთი სიტყვით, სრული თავისუფლება. ახლა მთავარია, რაც შეიძლება მალე გაემგზავრონ.

ტელეფონი

ოჰ, ეს ტელეფონი! — ზოგჯერ მინდა, ნამსხვრევებად ვაქციო... მაინც რა უბედურებაა — გამუდმებით ზედაა „ჩამოკიდებული“.

სიყვარული – სიბერის დაუძინებელი მტერია

იაპონელები ხაშუალოდ 79 წელს ცოცხლობენ, ავსტრალიელები, ბერძნები, ჯანადელები და შვედები – 78 წლამდე: გერმანელები და ამერიკელები დაახლოებით 76 წელს. დანარჩენ ქვეყნებში ეი ხიცოცხლის ხანგრძლივობა თანდათანობით იკლებს. ექიმების, ფსიქოლოგებისა და დიეტოლოგების საერთაშორისო ჯგუფმა რამდენიმე მეთოდი შეიმუშავა, რომელიც ადამიანებს ხიცოცხლეს უხანგრძლივებს და გხოვრებას უფრო ხასიამოვნო ელფერს ხძენს.

ზომაზე მეტად ნუ დანაყრდებით

ჩვეული 2500 კალორიის ნაცვლად, 1500 კალორიას დასჯერდით. ნუ იშიმშილებთ, მაგრამ იკვებეთ ზომიერად.

მენიუ ასაკის შესაფერისი უნდა იყოს

30 წელს მიღწეულ ქალბატონებს პირველი ნაოჭები გაცილებით გვიან გაუჩნდებათ, თუ რეგულარულად მიირთმევენ ღვიძლს და თხილს. 40 წელს გადაცილებულებს ბეტაკაროტინი ესაჭიროებათ; 50 წლის ზემოთ აუცილებელია კალციუმის დოზის გაზრდა (ძვლებისთვის) და მენიუში მაგნიუმის ჩართვა (გულისთვის).

მოძებნეთ შესაფერისი სამსახური

როგორც ფრანგი ფსიქოლოგები ამტკიცებენ, სამსახური ახალგაზრდობის შესანარჩუნებლად საუკეთესო საშუალებაა. უმუშევარი ადამიანი ასაკთან შედარებით ხუთი წლით ხნიერად გამოიყურება.

იპოვეთ მეორე ნახევარი

სიყვარული ხომ სიბერის დაუძინებელი მტერია. საყვარელი ადამიანის გვერდით ყოფნისას, ადამიანის ორგანიზმი გამოიმუშავებს ენდორფინს — ე.წ. ბედნიერების ჰორმონს, რომელიც თავის მხრივ, ახალგაზრდობის შენარჩუნებას უწყობს ხელს.

ნუ მიჰყვებით ცხოვრების დინებას პასიურად

თამამად გამოთქვით საკუთარი მოსაზრება. ასეთნაირად გაცილებით იშვიათად ჩავარდებით დეპრესიაში.

იმოძრავეთ

ყოველდღიურად, 10-წუთიანი ვარჯიშიც საკმარისია სიცოცხლის გასახანგრძლივებლად.

იძინეთ გრილ ოთახში

ვისაც უმეტესწილად, 17-18 გრადუს ტემპერატურაზე სძინავს, უფრო დიდხანს ინარჩუნებს ახალგაზრდობას. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლა და ასაკობრივი თავისებურებების გამოვლენა გარემო ტემპერატურაზეცაა დამოკიდებული.

გოლგას გულში ნუ ჩაიხვევთ

ვინც გამუდმებით დაბოღმილია, საკუთარ თავში იკეტება, გარშემო მყოფებთან კამათსაც ერიდება და აქტიურ ურთიერთობასაც, გაცილებით მეტად მიდრეკილია დაავადებებისკენ, მათ შორის — ონკოლოგიურისკენაც. საერთაშორისო ტესტირების თანახმად, სიმსივნით დაავადებულ რესპონდენტთა 64 პროცენტი ბრაზს ყოველთვის გულში იკლავდა.

ავარჯიშეთ გონება

შეავსეთ კროსვორდები, ითამაშეთ კოლექტიური თამაშები — ისეთები, რომლებიც მახვილ გონებასა და სხარტ აზროვნებას მოითხოვს; შეისწავლეთ რომელიმე უცხო ენა; ითვალეთ გონებაშიც და არა მარტო — კალკულატორის მეშვეობით. როდესაც ტვინს მუშაობას აიძულებთ, გონებრივი შესაძლებლობების ასაკობრივი დეგრადაციის პროცესს აჩერებთ, ამავდროულად, გულის, სისხლძარღვების და ნივთიერებათა ცვლის პროცესის მუშაობას ააქტიურებთ. ■

რუბრიკა მოამზადა
ეკა გუნთაიშვილმა

აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად
ინტერნეტ მაღაზია
www.elva.ge
წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 ეგზ. ფასი	6 თვე
1. რეიტინგი	1.00	26.0
2. გზა	0.80	20.8
3. Женский журнал	11.65	69.7
4. Женское здоровье	7.00	41.8
5. Сандра	4.00	24.0
6. Все для женщины	0.80	19.9
7. Гламур	7.20	43.2

პრესის
გავრცელების
სააგენტო
„ელვასერვისი"
ქ. თბილისი
იოსებიძის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvirispalitra.com

აგრეთვე ნებისმიერი სხვა
დასახელების ჟურნალ-გაზეთები



ლიდგოჩრის ცაზე ფრანდა ის ჯვარი

გოჩა მანველიძე

დასაწყისი „გზა“ №24-42

ნაწარმოებზე თქვენი
შთაბეჭდილება შეგიძლიათ
გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

ბადახშინი ისევე უკან დარჩა, როგორც სხვა ქალაქები, მაგრამ ამით მურროჩისთვის არაფერი შეცვლილა. ისევ შორეთში მიმავალ გზას მიუყვებოდა. დილით ისევ სახეში აჭყეტდა ამომავალი მზე. თითქოს ეუბნებოდა: „სად მიდიხარ, ზურგი მაქციე და უკან, შინ გაბრუნდი, როდემდე აპირებ ცეცხლთან თამაშს, ერთხელაც არ გაგიმართლებს და...“

მურროჩი ამაზე არ ფიქრობდა. ახლა მშობლიური ფხოვის სიახლოვეს რომ ყოფილიყო, მაინც ზურგს შეაქცევდა და თავის მეგობრებთან ერთად გააგრძელებდა გზას. ყრმობიდანვე ჩააგონებდა მამამისი ბერდია ვაჟკაცთა წესს: მუდამ მეგობრის გვერდით იყავ; თავადაც რომ გითხრას, მაინც არ ჩამოშორდე და თუნდაც მოკვდე, სიტყვა არ გატეხო და გასაჭირში მარტო არ მიატოვოო! მურროჩიც ასე იქცეოდა. მიჰყვებოდა მათ, ვინც თვითონაც არ მიატოვეს გაჭირვებაში და ბოლომდე უმეგობრეს.

გვიდოს თავგამოდება რომ არა, ახლა ცოცხალი აღარ იქნებოდა. დათვის ქონი ერთადერთი წამალი იყო, რასაც მისი გადარჩენა და განკურნება შეეძლო. მაგრამ ის დათვი მოსანადირებელი იყო....

გვიდომ იმ დათვის ბრჭყალები, ტყავის თასმაზე ასხმული, სახსოვრად მიართვა. თანაც იხუმრა: გახსოვდეს, რომ მან გადაგარჩინაო! თითქოს ის დათვი კისერგაშვერილი დახვდა ტყეში, — ახლავ წამაჭერ თავიო, — და თითქოს მას არ დაეძენძოს ჯაჭვის პერანგი, რომელიც საგულდაგულოდ ალესილ ფოლადს იგერიებდა. ხუმრობდა ვენეციელი, მაგრამ მურროჩიმ კი კარგად იცოდა, როგორი სახიფათოც იყო დათვთან პირისპირ შებმა. ვაჟკაცებით განთქმული იყო მისი მშობლიური არდოტი, მაგრამ იმ ვაჟკაცებიდან რამდენიმე თუ გაბედავდა ამას. მარტო გაბედვაც არ იყო. შეუპოვარი ადამიანი ზვავსა და ნიაღვარსაც შეებრძოლებოდა, მაგრამ მოიგებდა რომ იმ ომს?

ვენეციელი კი შლეგი არ იყო. კარგად უწყოდა, რითაც შეიძლებოდა დამთავრებულიყო დათვთან შერკინება, მაგრამ მაინც არ დაიხია უკან. ისე მოიქცა, ვითომ ბერდიას აღზრდილი ყოფილიყო ისიც.

ანდა როგორ უნდა მიეტოვებინა ჰასანი და გუელმო, რომლებმაც ბევრჯერ დაუმტკიცეს, რომ ალალგულა ვაჟკაცები იყვნენ?!

მაგრამ ყველა არ აღმოჩნდა ასეთი. სულ ცოტა ხნის წინ ვინმეს აზიზზე რომ ეთქვა, ორგულიაო, არ დაიჯერებდა. მექარავნეთუხუცესი თავიდანვე სანდო კაცად მოეჩვენა. ის ხომ პირყვითელა ყმაწვილი არ იყო. ომებიც ჰქონდა გამოვლილი, ყაჩაღთა თავდასხმებიც, მცხუნვარე უდაბნოები და თოვლით დაფარული უღელტეხელებიც ბევრჯერ გადაელახა, მაგრამ მაინც ულალატა ჰასანს — კაცს, რომელთანაც დიდი ხნის განმავლობაში მეგობრობდა. ამიტომაც წააგო თავი და თავისი ხალხიც დალუპა. იმ ხაფანგში გაება, რომელსაც მექარავნეებს უმზადებდა. კარანაუსელებს მოჰკრა თვალი, უჩუმრად გაიპარა და ვაჭრები და ტვირთი, რომლებიც თვალისჩინივით უნდა დაეცვა, უპატრონოდ მიატოვა. ეგონა, მათი სისხლით დაკმაყოფილდებიან კარანაუსელები და მე ძებნას აღარ დამიწყებენო, მაგრამ შეცდა. მაშინ შეცდა, როცა ამხანაგები სასიკვდილოდ გაიმეტა. მერე შეეშალა გზაც და თავად მოძებნა სიკვდილი, რომელიც მთის ბილიკზე ელოდა.

მოღალატე და ორგული იყო აზიზი, მაგრამ ჰასანმა მაინც არ მიატოვა. რაც შეეძლო, ის გააკეთა. კარანაუსელებს მისი და მასთან ერთად მოკლული მცველების თავები გამოსთხოვა და ბადახშინში მათ ოჯახის წევრებს ჩაუტანა — როგორც მუსლიმანს ეკადრება, ისე მიაბარეთ მიწასო. მისი ღალატის შესახებ კი სიტყვაც არ დაუძრავს: შეილებმა რაღა დააშავეს? დაიზრდებიან და ვინმე გულს ატკენს, მამათქვენი უპირო კაცი იყოო. ჰასანი ორგულსა და უკვე მკვდარ ამხანაგსაც არ ღალატობდა და როგორ უნდა მიეტოვებინა შორ გზაზე დამდგარი?!

ანდა როგორ არ უნდა ეერთგულა ისასთვის, რომელიც დღედაღამ მის სასთუმალთან იჯდა, საკუთარი ხელით ასმევდა დათვის ქონს და სახვევს უცვლიდა?! მარტო მისი წყალობით გადარჩა მურროჩი. მარტო დათვის ქონშიც არ იყო საქმე. ქონს სხვაც გაადნობდა და დაალევინებდა. მაგრამ ის მხოლოდ ქონი იქნებოდა. მურროჩის კი წამალი სჭირდებოდა და მისი დამზადების წესი მარტო ჰასანის ღულამისთვის იყო ცნობილი. რა იყო წამლის მომზადების საიდუმლო, ვერავინ გაიგო. ისა წვრილად დაჭრილ დათვის ქონს სპილენძის ქვაბში ადნობდა. ქონს არაფერს ურევდა, მაგრამ ქვაბს არ შორდებოდა და ყურადღებით აკვირდებოდა გამდნარი ქონის მოთუხთუხე ზედაპირს. მისი თქმით, ქონის წამლის მომზადების მთელი საიდუმლო, ცეცხლიდან ქვაბის დროულად გადმოდგმაში იყო. როგორც კი ქონი ლურჯად აბოლდებოდა, წამალი მზად იყო. ისა ცეცხლიდან გადმოდგამდა ქვაბს, ქონს გააგრილებდა და ფიალით ასმევდა მურროჩის.

განკურნება რომ მტკივნეული იქნებოდა, მურროჩიმ თავიდანვე იცოდა. მაგრამ ასეთ ტკივილს მართლაც არ მოელოდა. ის დაჭრიდან მეორე დღეს მოეგო გონს. მაშინ უკვე მამარის სიმაგრეში იმყოფებოდა და ისა დასტრიალებდა თავს. დაჭრის პირველი ტკივილი უკვე გადატანილი ჰქონდა და საწოლში თუ არ იწრიალებდა, იარა აღარც კი აწუხებდა.

მკურნალობის მესამე დღეს მურროჩიმ ძლიერი ტკივილი იგრძნო. ის საერთოდ არ ჰგავდა ტკივილს, რომელსაც ხმლის პირი ან ისრის ბუნუკი აგრძნობინებდა. ალბათ ეს იყო ისას ნახსენები „შიგანში ცეცხლის წაკიდება“. მთელი სხეული ეწვოდა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს მკერდში უზარმაზარი კოცონი გიზგიზებდა. მისი განელება არაფერს შეეძლო, არც გრილ წყალს და არც ძმრის საფენებს, რომელსაც ისა მზრუნველად ადებდა მკერდსა და შუბლზე. კიდევ რამდენიმე დღის მერე წვას სხვა ტკივილიც დაემატა. მურროჩის ეჩვენებოდა, მკერდის სიღრმეში ზღარბი წრიალებდა, რომელიც გარეთ გამოღწევას ცდილობდა და თავისი ეკლებით ჩხვლეტდა და სერავდა.

მურროჩი კბილების ხრჭიალით ითმენდა ტკივილს. დროდადრო ისე იგრიხებოდა, რომ ისას მისი გაკავება უხდებოდა. ბოლოს ტკივილს სხვა უბედურებაც დაემატა: ჭრილობიდან სისხლნარევმა სითხემ იწყო დენა. ისა ამშვიდებდა: ასეც უნდა იყოს, ეს გამოჯანმრთელების ნიშანიაო. მაგრამ მურროჩის არ სჯეროდა. ეგონა, ჭრილობიდან ჩირქი მდის და ისა მხოლოდ ჩემს დასამშვიდებლად ცრუობსო. მისი წამება მეათე თუ მეთერთმეტე დღეს დამთავრდა. ისა ელოდა ამას და იმ დღეს საერთოდ არ მოშორებია გვერდიდან. ტკივილმა მოულოდნელად იმატა. მურროჩის მოეჩვენა, რომ მკერდში უთვალავი გავარვარებული შანთი გაუყარეს. ამის მნახველმა ისამ გვერდზე გადააბრუნა და სახვევი შეხსნა. ისარს უკვე დაეწყო მოძრაობა! ჭრილობიდან ბუნიკის ბოლო ამოსულიყო.

— ახლა გმართებს ვაჟკაცობა. უნდა გაუძლო, — წინასწარ გააფრთხილა ისამ,

მერე კი თითებით ჩაბღუჯა ბუნიკის ბოლო და მთელი ძალით მოქაჩა.

მურროჩის უმალ თვალთ დაუბნელდა. ველარ გრძნობდა, რა ხდებოდა მის ირგვლივ. მხოლოდ ისას კმაყოფილი შეძახილი ჩაესმა. მერე კი რალაცამ გაიღრჭიალა. როცა თვალი გაახილა, ქვის იატაკზე დაგდებულ ისრის ბუნიკს მოჰკრა თვალი, რომელიც მისი ჭრილობიდან ამოეღო ისას.

მურროჩის დაჭრამ დიდი ხნით შეაფერხა ქარავანი. მექარავნეებს დაჭრილ ამხანაგთან ერთად გზის გაგრძელება არ შეეძლოთ, მაგრამ ვერც მამართა სიმაგრეში დარჩებოდნენ დიდხანს. ემირ ბაადის ჯარი უკან გაბრუნებას აპირებდა. ისინი კი აბუბაქართან ვერ დარჩებოდნენ. მან შეძლო აჯანყებულთა დაშინება და საკუთარი თავის ბელადად გამოცხადება. ამაში ემირ ბაადის ჯარი დაეხმარა, მაგრამ აბუბაქარის ტახტი მაინც არამყარი იყო. ჰასანმა იცოდა, რომ კარანაუსელები ფარულად დრტვინავდნენ. მოკლულ აჯანყების მოთავეთა მეგობარ-ნათესავები შურისძიებისთვის ემზადებოდნენ. განსაკუთრებით კი მექარავნეებს ემუქრებოდნენ, რომლებსაც ჯაფარის ტახტიდან ჩამოგდებასა და მისი ოჯახის ამონყვეტაში მთავარ დამნაშავეებად მიიჩნევდნენ. ასეთ დროს კარანაუსელთა მინაზე დარჩენა ძალიან სახიფათო იყო. შურისმაძიებლები სიმაგრეს არ დაესხმოდნენ თავს. მაგრამ მათ შორისაც მოიძებნებოდნენ თავზე ხელაღებული მკვლელები, რომლებიც დედაციხეში შეღწევასა და მექარავნეებზე ან აბუბაქარზე თავდასხმას არ შეუშინდებოდნენ. ესეც რომ არ ყოფილიყო, უსასრულოდ ხომ ვერ დარჩებოდნენ აბუბაქართან. ადრე თუ გვიან, მაინც მოუწევდათ გზის გაგრძელება. მაშინ უფრო უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ. მთის ბილიკებზე ველარაფრით დაიცავდნენ თავს კარანაუსელი შურისმაძიებლებისგან. ამის მიუხედავად, მექარავნეებს მცირე ხნით მაინც მოუხდათ აბუბაქარის სიმაგრეში დარჩენა. ვიდრე მურროჩი ძალას არ მოიკრებდა, ვერსად გაემგზავრებოდნენ, მაგრამ ემირ ბაადის ლაშქარმა ჰასანს არჩევანის საშუალება არ მისცა. ლაშქარი მხოლოდ რამდენიმე დღით უნდა დარჩენილიყო კარანაუსელთა მინაზე. ასეთი იყო ამირას ბრძანება. ლაშქარს აჯანყებული კარანაუსელები უნდა დაეშოშმინებინა და როგორც კი მათგან მძევლებს მიიღებდა და აბუბაქარს მამართა ტახტზე დასვამდა, უკან უნდა გაბრუნებულიყო. როგორც კი სარდალმა ორივე დავალება შეასრულა, ჯარს კარანაუსელთა მინებიდან გასასვლელად სამზადისი უბრძანა. ჰასანმა მისი მცირე ხნით დაყოვნება სცადა — მანამდე, ვიდრე მურროჩი მგზავრობას შეძლებდა. მაგრამ — ამაოდ. სარდალს სასაცილოდაც არ ეყო მისი სიტყვები. ასე უპასუხა: სად გაგონილა, ერთი დაჭრილის გამო მთელი ლაშქრის დაყოვნებაო?!

— მაგ კაცს თავი არ დაუზოგავს ჩვენს გადასარჩენად! — შეეკამათა ჰასანი.

— მაგ კაცს თქვენ გადაურჩენიხართ და თქვენვე მიხედეთ! — ბრაზი მოერია სარდალს. — მე ამირას მსახური ვარ და მისი ბრძანების შესასრულებლად, ვიღაც გადამთიელს კი არა, მთელ ლაშქარს გავწირავ!..

— ათი დღე... ათი დღე მომეცი. მეტს არაფერს გთხოვ, — თქვა ჰასანმა და ქამრიდან ოქროთი სავსე ქისა მოიხსნა.

სარდალმა აუჩქარებლად ჩამოართვა ქისა. ხელში შეათამაშა და მერე უპასუხა:

— სამ დღეს მოგცემ. სამი დღის მერე ლაშქარს ავშლი. დანარჩენი თქვენი გადასანყვეტია. შეგიძლიათ გამომყვეთ, შეგიძლიათ აქ დარჩეთ!..

საბედნიეროდ, სამ დღეში მურროჩიმ იმდენად მოიკეთა, რომ ტახტრევნით მგზავრობას შეძლებდა და მექარავნეები ემირის ლაშქართან ერთად დაადგნენ გზას. გამგზავრების წინ აბუბაქარმა მათ მოულოდნელი საჩუქარი გაუკეთა: ეს იყო ქარავანი, რომელიც გვიდომ და გუელმომ კარანაუსელთა შემოტევისას მიატოვეს. სიკვდილით დასჯის შიშით, აჯანყებულებმა ყველაფერი უკლებლივ მიიტანეს სიმაგრეში და ვაჭრებს დაუბრუნეს.

ჰასანს იმედი ჰქონდა, რომ სამ-ოთხ დღეში გასცდებოდნენ კარანაუსელთა მინებს, მაგრამ ემირის ლაშქრის სარდალი ფრთხილობდა. მამართა სიმაგრისკენ ლაშქრის მოძრაობის დროს, კარანაუსელი მეომრები უღელტეხილზე იმყოფებოდნენ და გზად მხოლოდ ქალები, ბავშვები და მზვერავეთა მცირე რაზმები ხვდებოდნენ. მათ დანახვაზე ქალები და ბავშვები სამალავებს აფარებდნენ თავს. მზვერავები კი თავდასხმას ვერ ბედავდნენ და შორიდან უთვალთვალებდნენ. ახლა ყველაფერი სხვანაირად იყო. აბუბაქართან შერიგების შემდეგ, კარანაუსელები თავიანთ სოფლებს დაუბრუნდნენ, მაგრამ ისინი არსად ჩანდნენ. მოლაშქრენი გზადაგზა ისევ ქალებსა და ბავშვებს ხვდებოდნენ. კარანაუსელი მეომრები კი ერთხელაც არ გამოჩენილან. მაგრამ სარდალმა იცოდა, რომ ისინი სადღაც იქვე, მთის კალთებზე შეფენილ ტყეებს აფარებდნენ თავს და შესაძლოა, ლაშქარზე თავდასხმისთვისაც ემზადებოდნენ. ეს რომ არ მომხდარიყო, სარდალი წინ მზვერავთა რაზმებს გზავნიდა და ლაშქართან ერთად, აუჩქარებლად მიჰყვებოდა უკან.

მურროჩის ძალიან გაუჭირდა მგზავრობა. მთის ოღროჩოღრო გზაზე ტახტრევანი უსასრულოდ ორწეოდა, ჯაყჯაყებდა და წარმოუდგენელ ტკივილს აყენებდა. ერთადერთი, რაც ტკივილის გადატანაში შველოდა, მექარავნეთა სიახლოვე იყო. ისინი მუდამ მის გვერდით ტრიალებდნენ. ხან წყაროს ცივ წყალს სთავაზობდნენ, ხან — ხილს და ხანაც — ტკბილეულს.

კვირისთავზე ქარავანი ბაადში შევიდა. მოგზაურები ბალქის მსგავსი ქალაქის ხილვას ელოდნენ, მაგრამ ბაადი სასაზღვრო ციხესიმაგრე აღმოჩნდა, რომელიც კარანაუსელთა თარეშისგან იცავდა ქარავნებსა და ბადახშინის საამიროს. სიმაგრის სიახლოვეს რამდენიმე ფუნდუკი და ადგილობრივ მცხოვრებთა ქოხმახები მიმოფანტულიყო. მტვრიან შუკებში ძონძებში გამოხვეული ბავშვები მიმორბოდნენ და გამვლელ-გამომვლელისგან მოწყალებას ითხოვდნენ. ბაზარი ისეთივე ღარიბული აღმოჩნდა, როგორიც თვით ქალაქი. გვიდო და ჰასანი პირველ დღესვე მიხვდნენ, რომ იქ არაფერი ესაქმებოდათ. ბაადელები ვერაფერს იყიდდნენ მათგან და თავადაც ვერაფერს შესთავაზებდნენ. ისინი სიხარულით გააგრძელებდნენ გზას, მაგრამ ჭრილობითა და მთის ბილიკებზე ჯაყჯაყით გატანჯული მურროჩი ებრალებოდათ და ამიტომაც გადაწყვიტეს, მანამდე დარჩენილიყვნენ ბაადში, ვიდრე მათი მეგობარი საბოლოოდ არ გამოჯანმრთელდებოდა.

ერთი თვის შემდეგ, კარანაუსელთა სამფლობელო, აბუბაქარი, ჯაფარი, მულიდები და მათთან დაკავშირებული თავგადასავალი მურროჩისთვის მოგონებად იქცა. ქარავანმა გზა განაგრძო და ისევ მიუყვებოდა უდაბნოზე, მთებზე, მდინარეებზე, ქალაქებსა და დაბებზე გამავალ გზას. მიუყვებოდა იმ იმედით, რომ ერთ მშვენიერ დღეს, მზეს ზურგს შეაქცევდა და მშობლიური სახლისკენ მიმავალ გზას დაადგებოდა.

მურროჩის დაჭრამ მნიშვნელოვნად შეცვალა ჰასანისა და გუელმოს გეგმები. ქარავანმა თვე-ნახევრით გვიან ჩააღწია ბადახ-

შინს. ამას დაერთო ადრიანი შემოდგომა და საქარავნო გზების ჩაკეტვა. ჰასანმა გუელმოსთან ერთად შემოიარა ბადახშინის ყველა ქარვასლა და ფუნდუკი, მაგრამ ვერც ერთი ვაჭარი ვერ მოძებნა, რომელიც წლის ამ დროს ცინის ქვეყნისკენ მგზავრობას გაბედავდა. ყველა ერთი პასუხით ისტუმრებდა: აქ თუ წვიმს, მთაში უკვე სასტიკი ზამთარია; ასეთ დროს ვერავინ გადავა უღელტეხილებზე და თუ ვინმე მაინც გაბედავს, უეჭველად დაიღუპებაო. ჰასანი კი ისევ განაგრძობდა გამცილებლის ძებნას, მაგრამ ბოლოს მაინც მოტყდა და გზის გაგრძელება გაზაფხულამდე გადადო.

გაზაფხულის დადგომასთან ერთად, ბადახშინში მექარავნენი გამოჩნდნენ. ისინი ყოველდღე გროვდებოდნენ ქარვასლაში და ცინის ქვეყანაზე ბჭობდნენ, მაგრამ ქარავნის გზაზე გაყვანას არავინ ჩქარობდა. ყველა, უღელტეხილებზე თოვლის გადნობას ელოდა.

ჰასანი შემთხვევით შეხვდა ში ცზუნს. იმ დღეს ჩვეულებისამებრ, ჩამოაირა რამდენიმე ფუნდუკი, რომლებშიც მექარავნეები და გამცილებლები იყრიდნენ თავს. მათგან სანუგეშო არაფერი მოუსმენია. ყველანი ისევ თოვლის გადნობასა და უღელტეხილების გახსნას ელოდნენ. ის იყო, ჰასანი უკან გაბრუნებას აპირებდა, რომ ნაცნობმა მექარავნემ კუთხეში მჯდომ მამაკაცზე მიანიშნა: მასთან დალაპარაკება სცადეო.

მამაკაცი იმდენად ტანმორჩილი იყო, რომ თავიდან ჰასანს ბავშვი ეგონა. მაგრამ მისმა ხელისგულისოდენა, დანაოჭებულმა სახემ მიახვედრა, რომ მის წინაშე ასაკოვანი მამაკაცი იდგა. უცნობს შელახული სამოსი ეცვა, მხრებზე მგლის ტყავის ჯუბა მოეგდო, ტყავის განიერ ქამარზე ხანჯალი ეკიდა. ჰასანს ბევრი ქვეყანა ჰქონდა შემოვლილი, სხვადასხვა ხალხს შეხვედროდა, მაგრამ ასეთი სახე არასოდეს ეხილა. უცნობს ყვითელი, დანაოჭებული სახე ჰქონდა, ყვრიმალები უჩვეულოდ აბურცვოდა, თვალები კი ისე მოსჭუტვოდა, თითქოს კაშკაშა მზეს ვერ უსწორებს თვალსო. ტუჩნიკაპს თხელი, მეჩხერი წვერი უფარავდა.

მამაკაცი ჭამდა. ხმიადს ჩაიში ალბობდა და ისე მიირთმევდა. ამ დროს სწრაფად ამოძრავებდა თითებს და თვალებს ვირთაგვასავით აქეთ-იქით აცეცებდა, თითქოს ეშინოდა, ხმიადის ნაჭერი ვინმემ არ მომპაროსო.

— რა გქვია? — მაგიდასთან მიახლოებისას ჰკითხა ჰასანმა.

— ში ცზუნი, — ჭამის შეუწყვეტლად უპასუხა მამაკაცმა, — კიდევ რა აინტერესებს ბატონს?

— გამცილებელი ხარ? — განაგრძო ჰასანმა.

— ეგ საქმეც მეხერხება.

— ცინის გზა იცი?

შიმ აუჩქარებლად ახედა ჰასანს. ყურადღებით შეათვალიერა მისი ჩაცმულობა. სქელ ქისას ჰკიდა თვალი და მერე უპასუხა:

— გზა ვიცი, მაგრამ ის გზა ბატონს არ გამოადგება. სხვა მეგზურის მოძებნა მოგიწევს.

— რატომ? — გაუკვირდა ჰასანს.

— ხედავ ამ ხალხს? — შიმ ფუნდუკში მყოფ ვაჭრებზე მიუთითა. — მათ ცინში მგზავრობა აქვთ ჩაფიქრებული, მაგრამ ვიდრე უღელტეხილები არ გაიხსნება, ბადახშინიდან ფეხს არ მოიცვლიან...

— ეგ მეც ვიცი, — შეაწყვეტინა ჰასანმა.

— მაგრამ ბატონმა სხვა რამ არ იცის, — განაგრძო შიმ, — აქაური გამცილებლები მარტო ერთი გზით დადიან — უღელტეხილებით და სი სიას სამეფოს (*ჩინური სამთავრო, მდებარეობდა თანამედროვე ტიბეტის მთიანეთში.* — ავტ.) გავლით. გზა მძიმეა. უღელტეხილისკენ მიმავალ საცალფეხო ბილიკებზე უამრავი ხიფათია მოსალოდნელი. მაგრამ მაინც უფსკრულების პირას სიარული ურჩევნიათ იმ გზას, რომლითაც მე დავდივარ.

— რა გზით დადიხარ?

— ის გზა უფრო გრძელია და უღელტეხილზეც არ გადის. მე გვერდს ვუვლი სი სიას სამეფოს, მთებს და ცინის ქვეყანაში ჩრდილოეთიდან, მანჯუს სამეფოს (*თანამედროვე მანჯურია, მდებარეობს ჩინეთში.* — ავტ.) მხრიდან ჩავდივარ.

— ესე იგი, უღელტეხილის გადავლა არ გიწევს.

— არა, — დაუდასტურა შიმ.

— მაშინ რატომ გაურბიან ვაჭრები იმ გზას?

— თათრების გამო. ის გზა მათი მიწების სიახლოვეს გადის. მათთან მოლაპარაკება ძნელია. თათრები ვერაგი ხალხია. თანაც, საერთო მმართველიც არ ჰყავთ. ეს, ხალხი კი არა, მომთაბარეთა ბრბოა, რომელიც გაუთავებლად მოძრაობს. ყველა ტომს თავისი ბელადი ჰყავს და ის ბელადი არავის ემორჩილება. შეიძლება, ერთი ბელადი მოქრთამო და ოქროს სანაცვლოდ, მის მიწაზე ყოფნის ნებართვა მიიღო, მაგრამ მეორე ან მესამე დღეს ის ბელადი სხვაგან გადაიყვანს თავის ტომს და ქარავანს სხვა ბელადი დაესხმება თავს.

— მცველები?.. — თქვა ჰასანმა. — ბადახშინში მცველთა რაზმს დავიქირავებ!

— მცველთა რაზმი!.. — ჩაიცინა შიმ. — ბატონმა არაფერი იცის თათართა შესახებ. ბადახშინში თუნდაც მთელ ჯარს დაიქირავებ, მაგრამ ის ფეხს არ შედგამს თათართა სამფლობელოში. ამქვეყნად არ არსებობს ლაშქარი, რომელიც მათ მორჯულებას შეძლებს. თათრები ყოველთვის გაურბიან პირისპირ ომს, მაგრამ უკანაც არ იხევენ. ისინი ქარავნის სიახლოვეს ტრიალებენ, მოულოდნელად ჩნდებიან და მცველებს ისრების სეტყვას აყრიან. როგორც კი მცველები მათკენ გაქანდებიან, ცხენებს შეაბრუნებენ და სტეპში უჩინარდებიან. მათ ფეხმარდ ბედაურებს კი ვერც ერთი ცხენი ვერ დაეწევა. მერე ცოტა ხანს მოიცდიან, სხვა მხრიდან მოცვივდებიან და ისევ ისრებს დააყრიან ქარავანს. ასე გაგრძელდება მანამდე, ვიდრე მექარავნეები არ მოტყდებიან ან მცველთა რაზმი გაქცევით არ უშველის თავს.

— გამოდის, ამ გზით წასვლას აზრი არ ჰქონია, — შენიშნა ჰასანმა.

— თათრები დაუნდობელი ხალხია, მაგრამ იმასაც ხვდებიან, რომ ძარცვა-რბევით საკუთარ თავსაც ავნებენ. თუ მექარავნეებმა იგრძნეს, რომ დარბევა ელით, ფეხს არ შედგამენ მათ მიწებზე. ამით კი თათრები შემოსავალს დაკარგავენ. მათთან მოლაპარაკება ძნელია, მაგრამ არა — შეუძლებელი. მთავარია სწორი მიდგომა.

— არა, — თავი გაიქნია ჰასანმა, — ასეთი გზა არ გამომადგება. ჩემი და ჩემი მეგობრების სიცოცხლეს სასწორზე ვერ შევაგდებ!

— ნება შენია, ბატონო. მაგრამ უნდა იცოდე, რომ ასე მალე ვერ დატოვებ ბადახშინს. კარგად ვიცნობ აქაურ ბუნებას. ზამთარი რბილი იყო, ეს კი იმის ნიშანია, რომ მთელი სუსხი უღელტეხილს დაატყდებოდა თავს. მთა დიდხანს ვერ გათავისუფლდება ყინულის ტყვეობიდან. და ვერც ერთი ქარავანი ვერ შეძლებს იმ გზის გავლას, — თქვა შიმ და ჩაის სმა განაგრძო.

შის წინასწარმეტყველება მალე ახდა. ბადახშინს უსიამოვნო ცნობამ მოაღწია: მთებიდან ჩამოწოლილმა ზვავმა მთელი სოფელი ჩამარხა და გზებიც ჩახერგა. ახლა მზეც ვეღარ უშველიდა საქმეს. რომ დამთბარიყო, თოვლი გადნებოდა და ხეობები წყლის მღვრიე ნაკადებით შეივსებოდა. მდგომარეობა გამოუვალი ჩანდა. ვერავინ ამბობდა, როდის აღდგებოდა ქარავანთა მიმოსვლა. შეიძლება, ეს ორი ან სამი თვის მერე მომხდარიყო. შესაძლოა, ადრეც. მაგრამ ერთ ვადას ყველა მექარავნე ეთანხმებოდა: თვეზე ადრე ცინის მიმართულებით ვერც ერთი ქარავანი ვერ დაიძვრებოდა. ამდენის მოთმენა კი ჰასანს არ შეეძლო და ამიტომაც, მეორე დღესვე მიაშურა ფუნდუკს, სადაც ში ცზუნს პირველად შეხვდა.

სახედანაოჭებული მეგზური ისევ მაგიასათან იჯდა და მშვიდად ხვრეპდა ჩაის. ჰასანის დანახვაზე, ფინჯანი გვერდზე გადადო, მისკენ შებრუნდა და ჰკითხა:

— მთაში ჩამოწოლილმა ზვავმა გაგიჩინა საფიქრალი, ბატონო?

— მართალი ხარ, — ჰასანი მის პირისპირ ჩამოჯდა, — შენ როგორ ფიქრობ — რამდენ ხანში გაიხსნება გზა?

— არა უადრეს ორი თვისა. ესეც იმ შემთხვევაში, თუ ყინვამ არ იმატა, — დაუფიქრებლად უპასუხა შიმ.

— და ცინისკენ ვერც ერთი ქარავანი ვერ გავა?

— გასვლით შეიძლება გავიდეს, მაგრამ არა მგონია, ცინამდე ჩააღწიოს. ასეთ ამინდში უღელტეხილზე ქარავანი ვერ გადავა. შეიძლება, რამდენიმე თავზე ხელაღებულმა კაცმა გააღწიოს, მაგრამ მძიმედ დასაპალნებული ჯორები თოვლსა და ყინულს ვერ დასძლევენ. აქლემზე ხომ ფიქრიც არ ღირს: ის უდაბნოს მკვიდრია და ისედაც არაფერი ესაქმება მთაში.

— მაგ აქლემებით ორმუზიდან ჩამოვედი!

— და შენ გგონია, მთები გადმოლახე?.. — გაეცინა შის.

— სწორედ რომ მთები გადმოვლახე! — ბრაზით მიუგო ჰასანმა.

— ნუ იქნები თავდაჯერებული, ბატონო, ეგ შენს ჭალარას არ შეჰფერის. შეიძლება, რომელიმე გორაკი მთად მოგეჩვენა. მაგრამ მთაც რომ გადაგელახა, ახლა სამყაროს სახურავზე მოგიწევს ასვლა!

— შენ იცი, ეს გზა?

— ვიცი, მაგრამ მეგზურად არ გამოგადგები. მე ფეხსაც არ შევდგამ მაგ გზაზე!

— რამდენს ითხოვ? — სწრაფად ჰკითხა ჰასანმა და ხელში ქისა შეათამაშა.

— ვერ გამიგე, ბატონო, — შის არც კი გაუხედავს ქისისკენ, — მთასა და ყინვაში არ არის საქმე. გაშლილი შარა რომ მქონდეს გასავლელი, სი სიაში მაინც არ ჩამესვლება: იქ კანონგარეშედ ვარ გამოცხადებული.

— ბოროტმოქმედი ხარ? — მოიღრუბლა ჰასანი.

— არა... მაგრამ ეგ შენი საქმე არ არის. შენ არ მოგწონს გზა, რომელსაც მე გთავაზობ. სხვა გზაზე კი მე არ გამოგყვები. რაღა გვაქვს სალაპარაკო? სხვა მეგზური უნდა მოძებნო, — მშვიდად ჩაილაპარაკა შიმ და თავის ჩაის მიუბრუნდა.

— მოიცა!.. — სწრაფად თქვა ჰასანმა. — ვთქვათ, შევთანხმდით. რას მოითხოვ სამაგიეროდ?

— ჩემი დაქირავება გინდა?

— ვნახოთ.

— ის, რომ „ბოროტმოქმედი" ვარ, აღარ გაფიქრებს?.. — ჩაიცინა შიმ.

— ეგ შენ უფრო უნდა გაფიქრებდეს.

— რატომ? — გაიკვირვა შიმ.

— რამდენიმე დღეა, გადევნებ თვალს. ვიცი, რომ თავლაში ათევ ღამეს. ჩაი და ხმიადია შენი საკვები. უკეთეს საცხოვრებელსა და საჭმელს შენი ქისა ვერ გასწვდება. ისიც ვიცი, რომ თავადაც გინდა ცინში დაბრუნება, მაგრამ მარტო ვერ ახერხებ. ვერც რომელიმე ქარავანს მიეკედლები. სი სიას სამეფო გაფიქრებს და ასეც რომ არ იყოს, არც ერთი მექარავნე ახლოს არ გაგიკარებს: შენ უცხო ხარ აქაურებისთვის. ჩვენი პირველი შეხვედრისას, ბევრი მიამბე თათართა შესახებ. იქნებ, არ იცი, რომ აქაურებს თათართა ჯაშუში ჰგონიხარ, რომელიც მექარავნეებს მათ ხაფანგში იტყუებს?!

— კიდევ რა იცი ჩემ შესახებ? — ბრაზი მოერია შის.

— ესეც საკმარისია იმისთვის, რომ არ გენდო, — შენიშნა ჰასანმა.

— მაშინ, უფრო მეტს გეტყვი: ჩემი ქისა მართლაც, ცარიელია და მალე თავლაშიც არ გამათევებინებენ ღამეს. იმასაც გეტყვი, რომ თუ რომელიმე მუსლიმანს უკანალზე ამოსული ძირმაგარა არ შეაწუხებს და მკურნალი არ დასჭირდება, ჩაისა და ხმიადის გარეშეც დავრჩები. კიდევ გეტყვი, რომ მართლაც, მინდა ცინს დაბრუნება, მაგრამ მექარავნეები არ მენდობიან. იქნებ, უკვე გიამბეს აქაურებმა, როგორ ჩამოვედი ბადახშინს?

— მიამბეს.

ჰასანმა თავად მეფუნდუკისგან მოისმინა ეს ამბავი. ში ცზუნი შარშან ზაფხულში გამოჩნდა ბადახშინში. მას და რამდენიმე ვაჭარს მექარავნეებმა თათართა მიწების მახლობლად მიაგნეს. მხოლოდ ისინი გადარჩენოდნენ თათართა თავდასხმას, მგზავრების ნაწილი მოეკლათ, ცოცხლად დარჩენილები კი ტყვეებად გაერეკათ. ცოცხლად გადარჩენილი ვაჭრები მომხდარში შის ადანაშაულებდნენ. ქარავანი ორი კვირის გამოსული იყო მანჯუდან, როცა მეგზური შხამიანმა გველმა დაკბინა. მას მერე ქარავანს ში მეგზურობდა, რომელმაც უკეთ იცოდა ბადახშინის გზა. ცოტა ხანში კი მოგზაურებს თათრები დაესხნენ თავს და ცოცხლად გადარჩენილებმა ის თათართა ჯაშუშობაში დაადანაშაულეს. ისინი ამტკიცებდნენ, რომ გამცილებელმა ქარავანი სხვა გზით წაიყვანა და თათართა მახეში გაიბა.

— რატომ წაიყვანე ქარავანი სხვა გზით? — განაგრძო ჰასანმა.

— თათრები კვალში გვედგნენ და თავდასხმისთვის შესაფერის დროს ელოდნენ. ამაზე თავიდანვე ვაფრთხილებდი მექარავნეებს. მაგრამ ისინი მშვიდად იყვნენ. იმედი ჰქონდათ, რომ ოქროთი მოისყიდნენ თათრებს და გზას მშვიდად განაგრძობდნენ. მათ არაფერი იცოდნენ თათართა წესების შესახებ: თუ ის კვალში ჩაგიდგა, აუცილებლად ელოდე თავდასხმას. ეს იმის ნიშანია, რომ მეორე რაზმი წინ, ჩასაფრებული გელის... მათგან თავის დასაღწევად, მარტო ერთი გზა რჩებოდა. ჩვეულებრივად უნდა დავბანაკებულიყავით, მერე კი, ღამით, თათრებისთვის შეუმჩნევლად აგვეშალა ბანაკი და იქაურობას სხვა გზით გავცლოდით. მექარავნეები ამაზე დამთანხმდნენ. მაგრამ ყველაფერი ისე არ გამოვიდა, როგორც ვგეგმავდით. ბანაკი ხმაურით აიშალა. ვიღაცას სიბნელეში ყოფნა არ სურდა და მაშხალა აანთო. ვიღაც ბრიყვმა სახედარს მათრახი გადაუჭირა და ააყროყინა, ვიღაცამ — ვიღაცას გასძახა... ეს თათრებსაც არ გამოჰპარვიათ. ისინი მაშინვე კვალში ჩაგვიდგნენ და რადგან ჩასაფრებულ ამხანაგებს ველარ გააფრთხილებდნენ, თავად დაგვესხნენ თავს.

— შენ როგორღა გადარჩი?

— მექარავნეებს ხომ არ გადავყოლებდი თავს?!. მას შემდეგ, რაც თათრებმა შეგვნიშნეს, ისინი განწირულები იყვნენ. თავდამსხმელთა გამოჩენისთანავე გავაფრთხილე, თავი მიენებებინათ ქარავანისთვის და გაქცეულიყვნენ. საქონელს დაკარგავდნენ, სამაგიეროდ, ცოცხლები გადარჩებოდნენ, მაგრამ სიხარბემ სძლიათ და ყველაზე დიდი სიბრიყვე ჩაიდინეს, რისი ჩადენაც შეეძლოთ, — თათრებს მათსავე მინაზე შეებნენ. კარგად ვიცოდი, რაც მოჰყვებოდა ამას. როგორც კი მექარავნეებმა იარაღი იშიშვლეს, ცხენს დეზი ვკარი და საპირისპირო მხარეს გავაჭენე. რამდენიმე მექარავნემ მე მომბაძა. ისინი გადარჩნენ და მერე, თავიანთი ღალატი რომ დაეფარათ, მექარავნეთა დალუპვაში მე დამადანაშაულეს.

— გასამრჯელოდ რას მომთხოვ, მეგზურად რომ აგიყვანო? — მცირე ხნის მერე ჰკითხა ჰასანმა.

— ბევრს არაფერს... შენი ოქრო არ მჭირდება. მოგთხოვ ტანსაცმელს, საჭმელს, კარგ ცხენსა და ყველაფერ იმის შესრულებას, რასაც საჭიროდ მივიჩნევ.

— მაინც რას მიიჩნევ საჭიროდ?

— ბანაკს იქ დავცემთ, სადაც მე ვიტყვი. როცა ვიტყვი, მაშინ წავალთ და როცა მოვითხოვ, ადგილზე დავრჩებით, შეიძლება — რამდენიმე დღეც. თუ თათრებს გადავაწყდით, მათ მე მოველაპარაკები. დანარჩენი გზადაგზა გამოჩნდება, — აუჩქარებლად ჩამოთვალა შიმ თავისი პირობები.

— და ეგრე ჩამაბარებ თათრებს?.. — მზერა გაუსწორა ჰასანმა.

— თათრებს არ ჩაგაბარებ, მაგრამ იმის იმედიც ნუ გექნება, რომ შენი ამხანაგებისა და ქონების გამო მოვკვდები. თათრებმა თუ შემოგვიტიეს... რად გვინდა ზედმეტი ლაპარაკი? უკვე იცი, რასაც გავაკეთებ, — უპასუხა შიმ.

— მაგის იმედი ნუ გექნება, იცოდე, რომ გვერდიდან არ მოგიშორებ და თუ რაიმე საეჭვო შევნიშნე, ეგრევე თავს გაგაგდებინებ!.. ხვალ ქარავასლაში მოდი. იქ მიიღებ ტანსაცმელსა და ცხენს, — სწრაფად ჩაამთავრა ჰასანმა და წასასვლელად წამოდგა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

დასაწყისი იხ. გვ. 32

ქალთა წარმატებებით ერთ დროს განებივრებულ და მათ დამფასებელ საქართველოში დღეს მხოლოდ პოლიტიკურ სვლებზე ფიქრობენ, მართლა ნიჭიერ მოჭადრაკეებზე კი საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველები ზრუნავენ.

— ანა არაჩვეულებრივი ადამიანია და ძალიან ზრუნავს ახალგაზრდა მოჭადრაკეებზე. ის საშუალებას გვაძლევს, ვითამაშოთ ტურნირებში, რომელიც აქ აღარ ტარდება. საერთოდაც, ძალიან მინდა, თქვენი ჟურნალის მეშვეობით, ანასა და ჩემს მწვრთნელს — ლაშა ჯანჯღავას დიდი მადლობა გადაკუხადო ყველაფრისთვის.

— მარიამ, ვაჟებთან თამაში არ გიცდია?

— იანვარში საქართველოში იქნება მამაკაცთა პირველი ლიგა და იქ ვაპირებ თამაშს. ისე კი, საქართველოში ჩემი ასაკის გოგონებსა და ვაჟებს შორის, რეიტინგით პირველი ვარ, მსოფლიოში 14 წლამდე გოგონებში — მეოთხე.

— შენსავით ნიჭიერი მოჭადრაკეები დღეს გვყავს საქართველოში?

— სამწუხაროდ, აქ ჭადრაკს სათანადო ყურადღება აღარ ექცევა. არადა, ბევრი ნიჭიერი გოგონა გვყავს, სხვადასხვა ასაკში მსოფლიო ჩემპიონებიც არიან. სოფიკო გურამიშვილი და ქეთი ძაძალაშვილი საერთაშორისო ოსტატები და 16 წლამდე ასაკის გოგონებში მსოფლიო ჩემპიონები არიან, მერი არაბიძეც მსოფლიო ჩემპიონია...

— რამდენი მსოფლიო ჩემპიონი გვყოლია, ჩვენ კი მათზე არაფერი ვიცით. იცის ალბათ, ძალზე ვიწრო წრემ. როგორ ფიქრობ — საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია არ უნდა ცდილობდეს მათ პოპულარიზაციას?

— პოპულარიზაცია ერთია და ფედერაციამ წარმატების მიღწევაშიც უნდა შეგიწყოს ხელი. კიდევ ერთხელ გავიმეორებ — რომ არა ანა მათნაძე, მართლა მომიწევდა მხოლოდ საქართველოში ტურნირების თამაში, ასეთი ტურნირი კი ერთი-ორია წლის განმავლობაში და ასეთი წარმატებაც არ მექნებოდა. ამიტომ მიმაჩნია, რომ ჭადრაკის ფედერაციამ აუცილებლად უნდა მიაქციოს ყურადღება ნიჭიერ ბავშვებს, რომელთა ნაკლებობას ნამდვილად არ განვიცდით. მაგალითად, როდესაც ორი მსოფლიო ჩემპიონი — მე და სოფო გურამიშვილი 2007 წლის ზაფხულში ესპანეთში ჩავედით, ერთდროული სეანსი ჩავატარეთ. იქ საოცარი რეკლამა გაგვიკეთეს, ძალიან თბილად დაგვხვდნენ და უჩვეულო ყურადღებით მოგვექცნენ. წარმოიდგინეთ, ახლა ერთი ესპანელი მოჭადრაკე პირველად გახდა მსოფლიო ჩემპიონი და ფანტასტიკური დახვედრა მოუწყვეს სამშობლოში. კარგი იქნება, ჩვენი ფედერაცია მათგან მაგალითს თუ აიღებს და მეტ ყურადღებას მოგვაქცევს, თორემ, როცა ჩემპიონატებზე საზღვარგარეთ მივდივარ, მგზავრობის ხარჯს ფედერაცია მინაზღაურებს.

— სკოლაში როგორ ასწრებ სიარულს?

— 61-ე საჯარო სკოლაში ვსწავლობდი, ტურნირების გამო ხშირად მიწევდა გაკვეთილების გაცდენა და მართლა ძალიან მიწყობდნენ ხელს, ამისთვის მათი მადლიერი ვარ. შარშან, საზღვარგარეთ ყოფნის გამო, სასწავლო წლის ნახევარი გამიცდა, ამიტომ წლის ბოლოს გამოცდები ჩავაბარე. ძალიან შევაწუხე ჩემი გაცდენებით ის სკოლა (*იცინის*) და ახლა 43-ე საჯაროში გადავედი.

— ახალ სკოლაში კლასელებს იცნობ?

— კი, ვიცნობ (*იცინის*).

— მარიამ, ოჯახში როგორ „იტანენ" შენს ამდენ მოგზაურობას?

— ჩემთვისაც ძნელია, ნახევარი წლის განმავლობაში საზღვარგარეთ, ოჯახის გარეშე ყოფნა, მაგრამ ეს კარიერისთვის აუცილებელია და რა ვქნა?

საუბარს მარიამის დედა, ***ძალზე ტოვი მანანა*** *შემოუერთდა:*

— უკვე ვატყობ, რომ მარიამი, როგორც პიროვნება, ძალიან გაიზარდა, დამოუკიდებელი გახდა. რომ დასჭირდეს, საჭმელსაც გაიკეთებს.

— განსაკუთრებული კვება სჭირდება?

— მარიამი ჩვეულებრივად იკვებება, მაგრამ მისთვის ძალიან კარგია: ნიგოზი, ვაშლი. როდესაც სერიოზული ტურნირი აქვს, ვიტამინებსაც ვასმევ.

— მარიამ, თამაშის დროს გადაღლისგან არასწორი სვლა თუ გაგიკეთებია ან დაბნეულხარ?

— ხშირია ასეთი რამ, რადგან დაფასთან დაახლოებით 4 საათი გვიწევს ჯდომა და ფიქრი. ზოგჯერ ისე იღლები, სვლაც შეიძლება გამოგრჩეს და ამით ყველაფერი დამთავრდეს. მახსოვს, 11 წლის ვიყავი და თურქეთში ევროპის პირველობაზე ვთამაშობდი. ექვს ტურში ხუთ-ნახევარი ქულა მქონდა და ერთპიროვნული ლიდერი ვიყავი. წარმოიდგინეთ, თითქმის მოგებული მქონდა ის პარტია და წაგების ერთადერთი შანსი არსებობდა. მეც მაინცდამაინც ის „შანსი გამოვიყენე" — ცუდი სვლა გავაკეთე და იმ ტურნირზე მეცხრე ადგილს დავჯერდი (*იცინის*). ასე რომ, ყველაფერი ხდება... ახლა ვიეტნამში 18 წლამდე გოგონებში მსოფლიო პირველობაზე მივემგზავრები...

— უფრო სწორად, ჩვენი ინტერვიუ რომ დაიბეჭდება, შენ უკვე იქ იქნები. როგორ ფორმაში ხარ?

— აპრილში საქართველოს ვიცე-ჩემპიონი გავხდი 18 წლამდე გოგონებში. ამან გამათამამა და ეს-ეს არის, 18 წლამდე გოგონებში ევროპის ჩემპიონატიც წარმატებით დავასრულე — მესამე-მეხუთე ადგილები გავიყავი. გამოცდილების მისაღებად, ხშირად ვაპირებ დიდებთან თამაშს. ვიეტნამშიც წარმატების მისაღწევად მივდივარ.

— იცოდე, რომ ჩვენც — მთელი რედაქცია გგულშემატკივრობთ და ჩემპიონატზე წარმატებას გისურვებთ.

— დიდი მადლობა!

„...იქნებ, ახლაც მაპოვნიდნენ კეთილი ადამიანები“

ᲚᲐᲛᲐᲠᲐ ᲐᲕᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ 5-ᲡᲣᲚᲘᲐᲜ ᲝᲯᲐᲮᲡ 70-ᲚᲐᲠᲘᲐᲜᲘ ᲞᲔᲜᲡᲘᲐ ᲐᲠᲩᲔᲜᲡ. ᲝᲯᲐᲮᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ 2 ᲛᲪᲘᲠᲔᲬᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲐ, ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ. 5 ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲔᲠᲗ ᲛᲝᲣᲬᲧᲝᲑᲔᲚ ᲝᲗᲐᲮᲨᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲪ ᲓᲘᲓᲘ ᲒᲐᲭᲘᲠᲕᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲐᲥᲕᲗ. ᲗᲐᲕᲐᲓ ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜ ᲚᲐᲛᲐᲠᲐᲡ ᲤᲔᲮᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲛᲝᲢᲔᲮᲘᲚᲘ, ᲝᲜᲙᲝᲚᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲘᲐ ᲓᲐ ᲞᲔᲜᲡᲘᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪ ᲘᲚᲔᲑᲡ, ᲬᲐᲛᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲧᲝᲤᲚᲐᲓᲐᲪ ᲙᲘ ᲐᲠ ᲯᲧᲝᲤᲜᲘᲡ.

ᲔᲚᲔᲜᲔ ᲑᲐᲡᲘᲚᲘᲫᲔ

— 1-ᲔᲚ ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ „ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘ ᲯᲐᲭᲕᲘ“ რომ მოეწყო, იმ აქციაზე მივდიოდი. ქუჩაში მოულოდნელად თვალთ დამიბნელდა და დავეცი. ფეხი მაქვს მოტეხილი. დიდი გაჭირვებით წამიყვანეს საავადმყოფოში, თაბაშირი დამადეს. 2 კვირაში ისევ უნდა მივსულიყავი ექიმთან, მაგრამ საავადმყოფოში მისულს, მითხრეს, რომ ფული მჭირდებოდა გასასინჯად. ფული არ მქონდა და უკან გამოვბრუნდი. ვარ დღემდე ასე — უექიმოდ და უწამლოდ. 4 შვილი მყავს, 2 ჩემთან ერთად ცხოვრობს, შვილებიანად. ჩემი 70-ლარიანი პენსია რამდენ რამეს გასწვდება?!

— თქვენი შვილები არ მუშაობენ?

— ვინც ჩემთან ცხოვრობს, ორივე ავადმყოფია. ქალიშვილმა ამას წინათ ურთულესი ოპერაცია გადაიტანა, მისთვის გადაღლა და დატვირთვა არ შეიძლება — ჩემს შვილს ფსორიაზის დიაგნოზი დაუსვეს. მეც ონკოლოგიური ავადმყოფი ვარ, მკერდის კიბო მაქვს. ასე ვართ, ღვთის ანაბარად მიტოვებულები.



— სოლარიბის პროგრამაში არ ირიცხებით?

— მე გურჯაანიის რაიონის სოფელ კარდანახიდან ვარ. იქ მქონდა დახმარება, მაგრამ მერე ჯანმრთელობის მდგომარეობა ძალზე გამიუარესდა და აქ, შვილთან ჩამოვედი. დახმარებაც, ავტომატურად, მომეხსნა.

— ეს ბინა თქვენ გეკუთვნით?

— კი, ჩემი გოგონასია, მამამთილის დამ გაზარდა და მანვე დაუტოვა ბინაც. ხომ ხედავთ, რა პატარა ოთახია. ადგილი რომ არ გვაქვს, ბავშვებს იატაკზე უწევთ დაძინება. ავარიულია ეს ოთახიც, ჭერიდან წვიმა ჩამოდის...

— აქ არ მოსულა სოციალური აგენტი?

— კი, შარშან ივლისში შევიტანე განცხადება. 2 თვის მერე მოვიდა აგენტი და მონაცემთა ბაზის პასუხებს 4 თვე ველოდით. როცა ჩემს მონაცემებს სააგენტოში მივაკითხე, მითხრეს, — თქვენი მონაცემები დახმარებას არ ითვალისწინებსო: 70760 ქულა დაგვიწერეს. გადამოწმება მოვითხოვე, ისევ მოვიდნენ და მერე 71850 ქულა დაგვინერეს. ქულებმა კი მოიმატა, მაგრამ ჩვენი მდგომარეობა არაფრით შეცვლილა. მონაცემთა ბაზის დირექტორის მოადგილეს, იოსებ ლობჟანიძეს ვკითხე, თუ რამ გამოიწვია ჩვენი ოჯახისათვის ასეთი მაღალი ქულების დაწერა? მან მიპასუხა, — პენსიონერი ხართ, 70 ლარს იღებთ, კიდევ მოგემატებათ და იცხოვრებთ; თქვენი შვილიშვილი სკოლაში სწავლობს, იმუშავებს და შეგინახავთო. მესამედაც ვცადე ბედი, მოვიდა სოცაგენტი ნატო უგრეხელიძე, რომელმაც გვითხრა, — გატყობთ, ძალიან გიჭირთ, დახმარება გეკუთვნით, მაგრამ არ გეკუთვნითო...

— ეს — როგორ?

— არ ვიცი, ზუსტად ასე გვითხრა. ჩემი ერთი შვილიშვილი მეთორმეტე კლასშია, მეორე — მერვეში, მაგრამ ის სკოლაში ვერ დადის. სოფელში ცხოვრობდა, დედამისი სულით ავადმყოფია და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში დააწვინეს, ბავშვი კი ჩემთანაა, მამამისთან ერთად. უნდოდა სკოლიდან საბუთების წამოღება, რომ აქ ესწავლა, მაგრამ სკოლის დირექტორმა უთხრა: თუ საბუთებს წაიღებ, დახმარება მოგეხსნებაო. დედა-შვილი 22-22 ლარს იღებდა, ბავშვი, როგორც სოციალურად დაუცველი მოსწავლე — 90 ლარს. საბუთებიც ველარ წამოგვიღია სკოლიდან. ეს დახმარება რომ მოეხსნას ბავშვს, როგორღა იარსებებს?!

— დღეს უამრავი ლტოლვილი ბავშვი სწავლობს სკოლაში უსაბუთოდ. მისულა გაკვეთილებზე დასასწრებად სკოლაში?

— სკოლაში საბუთების გარეშე არ იღებენ, ხშირად მოდიან შემოწმებაზე და გვეუბნებიან, — საბუთების გარეშე გაკვეთილებზე ვერ დავუშვებთო.

— თავის გატანას როგორ ახერხებთ?

— ჩემი ბავშვები „კათარზისშიც“ დადიან, ზოგჯერ ჩემთვისაც მოაქვთ სადილი. ხშირად დღე ისე გავა, რომ პურიც კი არ გვაქვს. ჩემმა შვილიშვილმა, დედა ცუდად რომ ჰყავდა და ოპერაცია სჭირდებოდა, თქვენს რედაქციას წერილი მისწერა. გამოქვეყნდა და რკინიგზის საავადმყოფოს ერთ-ერთი ექიმი — სულხან ქემოკლიძე ჩვენით დაინტერესდა. ჩემს შვილს სრულიად უფასოდ გაუკეთა ოპერაცია, ერთი თეთრიც კი არ გადაგვიხდია. მანვე მიიყვანა ჩემი შვილიშვილი სასულიერო სკოლაში, სადაც ახლა სწავლობს. სკოლაში გადასახადია დაწესებული, ამ გადასახადს ერთი ღვთისნიერი ქალბატონი გვიხდის. შვილიშვილს უნივერსიტეტში ჩაბარება უნდა, ზინაიდა გარსევანიძე უფასოდ ამზადებს ინგლისურ ენაში. თავმოყვარე ქალი ვარ, მთელი ჩემი ცხოვრება შრომაში გავატარე, ახლა კი ძალიან მერიდება, ჩემს გასაჭირზე რომ ვყვები. შვილიშვილებს გეფიცებით, არავის შევაწუხებდი, ამ ცივ ოთახშიც ვიცხოვრებდი, რომც მოვმკვდარიყავი, ხმასაც არ ამოვიღებდი, მაგრამ ჩემი ობოლი შვილ-..შვილების გაუსაძლისმა პირობებმა ამალაპარაკა. იქნებ, ვინმემ მოგვაქციოს ყურადღება, უმუშევარი შვილები მაინც დაასაქმონ, რომ ელემენტარული შემოსავალი და ლუკმაპურის ფული გვქონდეს. „კვირის პალიტრის“ რედაქციამ ერთხელ ჩემს შვილიშვილს 200 ლარი გადასცა: „ნატვრის ბარათში“ წიგნები ინატრა და ოცნება შეუსრულეს. იქნებ, ახლაც გამოჩნდნენ კეთილი ადამიანები, რომლებიც დახმარების ხელს გამოგვიწვდიან... ■

ქორწინება სიყვარულის გარეშე

„არ მინდა, მოღალატე მერქვას“...

რა აიძულებთ ადამიანებს ისეთ პიროვნებებზე დაქორწინებას, ვინც არ უყვართ, ვისაც ნორმალურად არც კი იცნობენ? ალბათ, ეს კითხვა ბევრ თქვენგანს აწუხებს, რადგან არა მგონია, არსებობდეს ადამიანი, რომელსაც მსგავსი ქორწინების ამბავი არ სმენია. ზოგჯერ, თინეიჯერები გვწერენ, რომ დაქორწინდნენ თავიანთ თაყვანისმცემლებზე, მაგრამ სინამდვილეში, სხვა უყვარდათ. ისინი თავიანთ სიყვარულს წლების შემდეგაც ვერ ივიწყებენ. ქმრისა თუ ცოლის ღალატის სურვილი უჩნდებათ, ზოგიერთი კი ამ გრძნობას საგულდაგულოდ მალავს და მეუღლეს მხოლოდ ოცნებებში ღალატობს.

ლიკა ქაჯაია

სალი, *19 წლის:*

— სანამ გავთხოვდებოდი, შეყვარებული ჩემს კლასელ თორნიკეზე გახლდით, რომელიც თავადაც მეფლირტავებოდა. ჩვენ თითქმის 1 წლის განმავლობაში ვხვდებოდით ერთმანეთს და როცა მეგონა, რომ ცოლობას მთხოვდა, სწორედ მაშინ მითხრა: — ჩვენ შორის ყველაფერი დამთავრდაო. მან ოცნებები დამიმსხვრია და ზვიადს სწორედ მის ჯიბრზე გავყევი ცოლად.



— თორნიკემ შენთან დაშორება რატომ გადაწყვიტა?

— თურმე, მიხვდა, რომ არ ვყვარებივარ. იმის გარკვევას, ვუყვარდი თუ არა, მთელი წელი მოანდომა, მერე კი ხელი ისე მკრა, თითქოს უსულო საგანი ვყოფილიყავი.

— თუ არ უყვარდი, რა უნდა ექნა?

— ამაზე თავიდანვე უნდა ეფიქრა. თორნიკემ გამომიყენა და მერე მიმაგდო.

— გამოყენებაში რას გულისხმობ?

— არა, ჩვენ შორის სერიოზული არაფერი მომხდარა, მაგრამ ცუდი ისაა, რომ მისი დავიწყება ვერ შევძელი. მან ტყუილებით „გამბერა“, იმედებით ამავსო, ოცნებებში მასთან ერთად მაბორიალა, ბოლოს კი ჩემი განადგურება განიზრახა.

— იქნებ ეგონა, რომ უყვარდი, მაგრამ მერე მიხვდა, რომ ეს სიყვარული არ იყო?

— კარგი, რა. გოგო ხარ და მსგავს რაღაცას არ უნდა ამბობდე. რას ჰქვია, ეგონა? ეგრე სად არის?..

— შენც ხომ მოატყუე ზვიადი, როცა ცოლად უსიყვარულოდ გაჰყევი?

— ზვიადმა იცოდა, რომ სანამ მას შეეხვდებოდი, შეყვარებული მყავდა, რომელიც ნაძირალა აღმოჩნდა და ამიტომაც, დავშორდი. მან ისიც კარგად იცოდა, რომ უსიყვარულოდ მივყვებოდი და ახლა ვერაფერს მისაყვედურებს.

— სასაყვედურო რა აქვს? შენ ხომ ცოლის მოვალეობას პირნათლად ასრულებ?

— ჰო, მაგრამ მისი შეყვარება დღემდე ვერ შევძელი... ამას წინათ, თორნიკე ქუჩაში შემხვდა. მოვიდა და გადამკოცნა. გული ძველებურად ამიძგერდა. ვიგრძენი, რომ მიუხედავად ყველაფრისა, ძველებურად მიყვარს.

— მთელი ცხოვრება ასე უსიყვარულოდ ცხოვრებას აპირებ?

— არ ვიცი აბა, სხვა რა უნდა ვქნა? თორნიკეს ჩემთვის მხოლოდ საყვარლობის შემოთავაზება შეუძლია, ამაზე კი არ დავთანხმდები.

— იმედია! რას აპირებ?

— ცხოვრებას განვაგრძობ ქმართან, რომელიც არ მიყვარს, მაგრამ რომელსაც უზომოდ დიდ პატივს ვცემ. ზვიადი ცდილობს, თორნიკეს სახელი გულიდან ამომგლიჯოს და იმედია, მიზანს მიაღწევს...

ელზა:

— თქვენთან დაკავშირება მარტოსულის მესიჯმა (*რომელიც „გზის“ №42-ში დაიბეჭდა — ავტ.*) გადამაწყვეტინა. მეც მსგავს სიტუაციაში ვარ, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ მე შეყვარებულს დამაშორეს — მომიტაცა ბიჭმა, რომელსაც მეგობრად მივიჩნევდი. სამწუხაროდ, მან ჩემზე ძალა იხმარა და მისგან ველარ წამოვედი. ვიცოდი, ამის შემდეგ ჩემი შეყვარებული აღარ მიმიღებდა, რადგან ის ქართული მენტალიტეტის მქონე ადამიანია.

— საინტერესოა, როგორ ცხოვრობ ადამიანთან, რომელმაც შენზე ძალა იხმარა?

— მისი მესმის, რადგან იცოდა, ასე რომ არ მოქცეულიყო, აუცილებლად დავშორდებოდი. გიოს ძალიან ვუყვარვარ, დიდ პატივს მცემს, მაგრამ მე ძველ სიყვარულს — პაატას ვერ ვივიწყებ და რა ვქნა? გულს მართლაც, ვერაფერს უბრძანებ. დიდხანს ვცდილობდი, გიო შემეყვარებინა და პაატა დამევიწყებინა, მაგრამ ყველა მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. აღარ ვიცი, რა ვქნა.

— გათხოვების შემდეგ პაატას თუ დაელაპარაკე?

— არა, ამის საშუალება არ მომეცა. გიო ყველანაირად ცდილობს, მასთან შეხვედრას ამარიდოს. ისე, პაატასთან ლაპარაკი არც მე მინდა.

— რატომ?

— ვიცი, შეიძლება, გრძნობები განმიახლდეს, თავი ვერ შევიკავო და თუ პაატას სურვილიც იქნება, მასთან ურთიერთობა გავაბა, მე კი არ მინდა, მოღალატე ცოლი მერქვას. მიუხედავად ყველაფრისა, ქმარს პატივს ვცემ. ოჯახური ურთიერთობა, როგორიც უნდა იყოს, პატივისცემას მოითხოვს. თანაც, მე და გიოს უკვე 1 წლის პატარა გვყავს და სხვა თუ არაფერი, ის დამიოკებს ყველანაირ მაცდუნებელ გრძნობას.

— შენ თქვი, ადრე გიოსთან ვმეგობრობდიო...

— დიახ. მე და გიო ძმაკაცები გახლდით (ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვფიქრობდი). მან ჩემ შესახებ ყველაფერი იცოდა. მიუხედავად ყველაფრისა, იმდენად ვუყვარდი, რომ გარისკა და ცოლად მომიყვანა. მან მითხრა, — ჩემგან თუ წახვიდოდი, თავს მოვიკლავდი. უშენოდ ცხოვრებას ვერ შევძლებდიო... მეც მეგონა, რომ პაატას გარეშე ვერ ვიცხოვრებდი, მაგრამ ხომ ხედავთ, დღემდე ვსულდგმულობ. ზოგჯერ, ქმარს ფიქრებში ვღალატობ, რელაობაში დაბრუნებული

კი თავს იმით ვიმშვიდებ, რომ ყველაფერი ჩემს გონებაში მოხდა, რომ სინამდვილეში, ქმრისთვის არ მიღალატია.

— ამბობენ, — ღალატი ღალატია და მნიშვნელობა არა აქვს, ეს ვირტუალურია თუ რეალური...

— შეიძლება, ბევრი მართლაც, ასე ფიქრობს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ოცნებებში ვიღაცას ისინიც ღალატობენ. სანამ გავთხოვდებოდი, ღალატზე მეც ასეთი შეხედულების გახლდით, მაგრამ ახლა, სულ სხვანაირად ვფიქრობ. ასე რომ, სხვისი განსჯის უფლება არავის აქვს. არავინ იცის (უფლის გარდა), თუ ვის რა შეემთხვევა, მომავალში როგორ იცხოვრებს.

— შენი ქმარი არ ეჭვიანობს?

— თავიდან ეჭვიანობდა, მარტოს არსად მიშვებდა, ახლა კი მიხვდა, რომ სანდო ადამიანი ვარ და ბოლომდე მენდობა. სწორადაც იქცევა, მე მას არასდროს ვუღალატებ. ქმარს მივეჩვიე და ვიცი, ვერც გიოს გარეშე გავძლებ, მაგრამ ჩემს გულში პაატაც ყოველთვის იქნება.

ამბავი, *20 წლის:*

— როცა ადამიანი გიყვარს, გგონია, რომ მის გამო ყველაფერს გააკეთებ, მაგრამ თურმე, ცხოვრებაში, ისეთი გაუთვალისწინებელი რაღაცებიც ხდება, როცა სიმწრისგან თითებს იკვნეტ, მაგრამ სიყვარულის გადასარჩენად ვერაფერს აკეთებ.

— შეყვარებულმა შენც გიღალატა?

— ჰო, მიღალატა — ის ამ ქვეყნიდან უჩემოდ წავიდა და მარტო დამტოვა. მაშინ 16 წლის ვიყავი. ნინო სიმსივნით გახლდათ დაავადებული, ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს. სიკვდილის წინ ნინომ მთხოვა, ისეთ გოგონაზე დავქორწინებულიყავი, რომელიც მისი სიკვდილით გამოწვეულ ტკივილს დამიამებდა. ასეთი კი მეგი აღმოჩნდა, რომელსაც 2 წელი ვუყვარდი, მაგრამ მეგობრის — ნინოს ხათრით ხმას არ იღებდა. ჩემი შეყვარებულის სიკვდილის შემდეგ, იგი გვერდიდან არ მცილდებოდა, მხარში მედგა და ცდილობდა, ნინო დამვიწყებოდა. მართალია, ამას მეგი კი არა, ვერავინ შეძლებდა, მაგრამ მის ამ მცდელობას ის შედეგი მოჰყვა, რომ გოგონა ცოლად უსიყვარულოდ შევირთე და ახლა ამას ძალიან ვნანობ.

— მისი შეყვარება ვერ შეძელი?

— მიყვარს, მაგრამ თავისებურად... სინდისი მქენჯნის, როცა მეგის სხვა ქალებთან ვღალატობ, მაგრამ კაცი ვარ და რაღაც მოთხოვნილებები მაქვს.

— რომელსაც ცოლთან ვერ იკმაყოფილებ?

— დიახ. იცით, ძალიან ცუდ დღეში ვარ. როცა მეგის ვუყურებ, მგონია, რომ ნინოს ვღალატობ. მიუხედავად იმისა, რომ სიკვდილის წინ მეგისნაირი გოგონას შერთვა თავად მთხოვა, მგონია, რომ ჩემზე მაინც ბრაზობს.

— რას გულისხმობ?

— სიზმრებში ყოველთვის მიჯავრდება. მეუბნება, რომ მოღალატე ვარ.

— იქნებ იმიტომ გიჯავრდება, რომ მეგის სხვა ქალებთან ღალატობ?

— იცი, ამაზე არ მიფიქრია. შეიძლება, მართალი ხარ, მაგრამ მე კაცი ვარ და...

— და აუცილებელია, რომ ცოლს ულალატო, არა?

— სწორად გამიგე, რა. მეგი ისე რომ მიყვარდეს, როგორც ნინო მიყვარდა, არ ვუღალატებდი, მაგრამ ცოლთან სულ სხვა გრძნობა მაკავშირებს.

— ასე გგონია, რომ ნინოსაც ულალატებდი.

— შესაძლოა, მაგრამ ეს იშვიათად, მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში მოხდებოდა.

— რას ნიშნავს ცოლის ღალატის აუცილებლობა?

— როცა ძმაკაცებთან ერთად ხარ და ისინი ქალებში წასვლას შემოგთავაზებენ, უარის თქმა რა პონტია? შესაძლოა, ამის გამო მთელი საძმაკაცოს დასაცინი გახდე. მერწმუნე, არ არსებობს კაცი, რომელსაც ცოლისთვის ერთხელ მაინც არ ეღალატოს.

— მერე, ეს კარგია?

— შესაძლოა, კარგი არ იყოს, მაგრამ ეს ფაქტია და ქალები რაც უნდა ეცადოთ, მსგავსი რამ მაინც მოხდება. ქალებო, მოგვიტევეთ ეს შეცოდება და კაცები მეტად დაგაფასებთ.

— იმედია, შენი ამ ცოდვების გამო მეგი არ დაგშორდება და ნინოს იმ ქვეყნად არ ატკენ გულს...

— მეგი არ ვიცი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ნინო გამიგებს. თუმცა, მეგისაც ისე ძალიან ვუყვარვარ, რომ ჩემ გამო ყველაფერს გააკეთებს და საყვარელთან ერთადაც რომ მნახოს, თვალებს დახუჭავს, ისე მოიქცევა, თითქოს არაფერი დაუნახავს. ქალის ასეთი საქციელი კი მართლაც დასაფასებელია.

ამ თემასთან და ზინა ნომერში დაბეჭდილ წერილებთან დაკავშირებით თინეიჯერები გვწერენ:

„ვაქციოთ, ვონეპა რამ დაგიპინდათ?!"

ფინთიკოზა:

„ლიკ, მსხვერპლად ქცეული გოგონები ბედს შეგუებულნი მეჩვენებიან. თავს რაღაცით ხომ უნდა უშველონ? აინტერესებთ, მათზე ხალხი რას იტყვის? გოგონებო, თავი დაიცავით!... მსგავს შემთხვევებში კანონი უხერხემლოა. წავიკითხე, რომ ერთ-ერთ ქვეყანაში პედოფილებს ორი არჩევანი აქვთ: ან სამუდამო პატიმრობა, ან ნებაყოფლობითი კასტრაცია".

მარინელა:

„როცა მხეცი არაკაცების საქციელის შესახებ წავიკითხე, მთელი ღამე თეთრად გავათენე, თვალი ვერ მოვხუჭე. ვიკაცებო, გონება რამ დაგიბინდათ, საკუთარ სისხლს და ხორცს რომ აუპატიურებთ და მერე, ალბათ, კაცობაზე დებთ თავს, ვენებს იჭრით. ან 22 წლის მსხვერპლის დედას თავში ტვინი არ აქვს, მოძალადე დისშვილს შვილზე მაღლა რომ აყენებს? დღეს თავის დაცვა ყველას შეუძლია, მივმართავ ყველა მსხვერპლს, დაიცავით თქვენი ღირსება და ერთხელ დაშვებული შეცდომის გამო ფეხქვეშ ნურავის გაეთელვინებით! გამოფხიზლდით და უკეთესი ცხოვრებისთვის იბრძოლეთ."

პანკუშკა:

„დიდი მადლობა, რომ გვაძლევთ საშუალებას, ამა თუ იმ საკითხზე ჩვენი მოსაზრებები გამოვთქვათ და ადამიანებს რჩევებით მაინც დავეხმაროთ. თქვენ ბევრი გწერთ: ვიცი, მესიჯს მაინც არ დაგვიბეჭდავთო და მინდა, მათ მივმართო: ლიკა გულს არავის სწყვეტს და ყველა საინტერესო მესიჯს ბეჭდავს".

(ქობულეთიდან):

„გაუმარჯოს ყველას. ძალიან მომწონს „გზა" და ამ ჟურნალის ყველა გვერდს ვეცნობი. განსაკუთრებით მომწონს „თინეიჯერული პონტები" და „ცხოვრება". მინდა, ყველა მგზავნელი გავიცნო და იმედია, დამეხმარებით. განსაკუთრებით, გრუზინკას გაცნობა მინდა. იქნებ, მას ჩემი ნომერი მისცეთ. აბა, ჰე, გელოდებით".

„ღალატი ქალს კი არა, კაცსაც არ ეპატიება“

„მწვანეთვალებაზე ფიქრს შეეშვი და ოჯახს მიხედე“

„გზის“ №42-ში დაიბეჭდა 20 წლის მარტოსულის მესიჯი, რომელიც გვწერდა, რომ სკოლაში სწავლის პერიოდში შეუყვარდა მწვანეთვალება ბიჭი, მაგრამ ის ისე უყურებდა, როგორც დას. და ამიტომაც, მარტოსულმა გადაწყვიტა, ცოლად გაჰყოლოდა ადამიანს, რომელსაც ის ძალიან უყვარდა. „თითქოს, ქმარი შემიყვარდა (თუ შევეჩვიე), მაგრამ ჩემს მწვანეთვალებას ვერ ვივიწყებ“, — გვწერდა გოგონა და თანატოლებს რჩევას სთხოვდა.

გრუზინკა:

„იმ ბიჭს შენთვის სიყვარული არ აუხსნია და საინტერესოა, რამ გადაგრია? გათხოვილი ქალი ხარ და ცოტა ტვინი გაანძრიე, თორემ რაც გაქვს, იმასაც დაკარგავ. შენი ქმარი რომ ვიყო, ვერ გადამირჩებოდი“.

სპორა:

„მწვანეთვალება უნდა დაივიწყო! მერწმუნე, ის შენი ბავშვური გატაცება იყო. საკუთარ ბედნიერებას კარს ნუ მიუხურავ. ბევრი ნატრობს, იპოვოს ისეთი ადამიანი, რომელსაც ეყვარება, შენ კი ასეთი პიროვნება უკვე იპოვე და ნუ დაკარგავ. თუ ასე არ მოიქცევი, სანანებელი გაგიხდება. აბა, შენ იცი“.

დადუ:

„თუ არ გიყვარდა, ცოლად რატომღა გაჰყევი? ოჯახს მიხედე, ოჯახს!“

EKO BOY **(ძოგულეთიდან):**

„ცუდ დღეში ყოფილხარ, ჯობს, მწვანეთვალებას საყვარლობა შესთავაზო. აბა, როდემდე უნდა იტანჯო? იქნებ, გრუზინკა დამიკავშირდეს, რა“.

GREEN GIRL:

„ის ბიჭი უბრალოდ, შენი კარგი მოგონებაა. მასზე ხშირად ფიქრს არ გირჩევ. ოჯახი უწმინდესი რამაა და მას გაუფრთხილდი“.

იკუშკები:

„ოოო... ძნელია, როცა გათხოვილ ქალს სხვა მამაკაცი ენატრება. ზოგჯერ მონატრება სიყვარულზე უფრო ძლიერი და მტანჯველია. გირჩევ, საკუთარ გრძნობებში კარგად გაერკვე. შენ ქმარს კი არა, საკუთარ თავს ატყუებ. ასე რომ, დაფიქრდი და გონიერი ადამიანის მსგავსად მოიქეცი“.

SCORPION GIRL:

„თავს რისთვის იტანჯავ? მწვანეთვალებასთვის „დაიკო“ იყავი, ქმარს კი უყვარხარ. ნუ სულელობ, ოჯახს მოუფრთხილდი. თუ მწვანეთვალებაზე ფიქრს განაგრძობ, მართლა მარტოსული იქნები. არა მგონია, მის გამო მარტოობა ღირდეს. უფალი გფარავდეს“.

ლომუა:

„შე დალოცვილო, ღვთის წყალობით, ოჯახი გაქვს, მანდილოსანი გქვია და უიღბლო წარსულს რატომღა მისტირი? ბედნიერად იცხოვრე და წარსულის გატაცება გონებიდან ამოშალე. ღმერთმა ულევი ბედნიერი დღე გაჩუქოს“.

პანკუშა:

„ჩემო კარგო, ბევრს ზოგჯერ ჰგონია, რომ მეუღლე არ უყვარს, მაგრამ საკმარისია, მას მცირე ხნით დაშორდეს, რომ მაშინვე ხვდება, რასაც კარგავს. იქნებ, ქმრისგან სითბო გაკლია და წარსულს ამიტომაც მისტირი? არ იცი, რომ ოჯახი წმინდა კერაა?“

ენიგმა:

„ქმარი თუ შეგიყვარდა, თავს უიღბლოს რატომღა უწოდებ? საინტერესოა, ქალები პრობლემებს რატომ ეძებთ? რაღაცებს ნუ აბუქებ, რა, მარტოსულო, ქართველობას პატივი ეცი და ოჯახი შეინარჩუნე! მაპატიე, თუ ვერ „დაგირეევერანსე“, მაგრამ მწვანეთვალება უკვე წარსულია და მასზე ფიქრი — წამგებიანი“.

უცნობი:

„მარტოსულო, თავად თუ იცი, რა გინდა? სიყვარულს რას ეძახი? ქმარზე ცუდს ვერაფერს ამბობ და მასთან ურთიერთობის გაფუჭება მხოლოდ იმიტომ, რომ მწვანე თვალებით აღფთოვანდი, სასაცილოა“.

ნოსტალგია:

„შენ ეს მწვანეთვალება არც გიყვარს და არც გენატრება. უბრალოდ, ბრაზობ იმის გამო, რომ ერთ დროს მან შენი გატაცება უყურადღებოდ დატოვა. აბა, დაფიქრდი, მას რომ გაჰყოლოდი, უფრო ბედნიერი იქნებოდი? მწვანეთვალებაზე ფიქრს შეეშვი. შენ კარგი ქმარი გყავს და მისი გრძნობები უნდა დააფასო“.

უცნობი:

„მგონი, ქალებმა ჭკუა საერთოდ, დავკარგეთ. ვფიქრობთ იმაზე, ვინც პატივს საერთოდ არ გვცემს, ხოლო მათ, ვისაც წრფელი გულით ვუყვარვართ, ხელს ვკრავთ. მარტოსულო, ქმარს მიხედე, თორემ მერე სანანებელი გექნება. მან რომ გიღალატოს (თუნდაც ფიქრებში), დარწმუნებული ვარ, გაცოფდები. საინტერესოა, მწვანეთვალება საყვარლობაზე თუ დაგთანხმდება? ისე, იმედი მაქვს, ამ დონემდე არ დაეცემი და მას მსგავს ურთიერთობას არ შესთავაზებ. წარმატებები“ .

გიო:

„მგონი, ჭკუა დაკარგე. ქალო, შენ ნორმალური ხარ? შენი ქმარი ძალიან მეცოდება. მის ადგილას რომ ვიყო, ისე მაგრად მიგეჟეჟავდი, რომ მწვანე თვალები კი არა, საკუთარი თვალის ფერიც დაგავიწყდებოდა. ჰმ, ქალების ღალატიღა გვაკლდა, რა! ქართველებო, გონს მოეგეთ და ღირსეულად მოიქეცით, ეშმაკის მიერ დაგებულ მახეში ნუ გაებმებით. ღალატი (თუნდაც ოცნებაში) ქალს კი არა, კაცსაც არ ეპატიება. სულს ნუ გაყიდით, თორემ მის გამოსყიდვას ვეღარასდროს შეძლებთ და მთელი ცხოვრება დაგიმახინჯდებათ“.

უცნობი ქალი:

„შვილო, ქალისგან მსგავსი სიტყვები უსიამოვნო მოსასმენია. იმედი მაქვს, შენი ღალატი ფიქრს არ გასცდება და თავს არ დაიღუპავ. მერწმუნე, პატიოსნებას არაფერი სჯობს. ღმერთმა სწორ გზაზე გატაროს! ქმარს პატივი ეცი და ოჯახი შეინარჩუნე. უფალი გფარავდეს“.

„ხელებს ბრიტვით ვისერავ... როცა სისხლი წამოვა, შვებას ვგრძნობ“

„გზის“ №42-ში დაიბეჭდა 17 წლის ზვიოს მესიჯი. იგი გვწერდა, რომ საოცრად დაბნეულია და არ იცის, რა ხდება მის თავს. „მგონი, დაუნის სინდრომი მივითარდება, ჩემზე ზეგავლენას ვერაფერი ახდენს. ადამიანებთან კონტაქტი მიჭირს. ურთიერთობას მეგობრებთანაც ველარ ვაწყობ. ამის გამო, შეყვარებულიც არასდროს მყოლია“.

„შენ ქალის დახმარება გჭირდება“

ნოსტალგია:

„საინტერესო წიგნები იკითხე, ხარისხიან მხატვრულ ფილმებს უყურე, ინტერნეტში შედი, ადამიანებთან ვირტუალური ურთიერთობა გააბი და მათთან კონტაქტი რეალურ სამყაროშიც გაგიადვილდება. მოკლედ, შეწყვიტე ეს უაზრო ფიქრები, თორემ მართლა „მიგადაუნებ“! :)) კარგად“.

ფინთიკოზა:

„ზვიო, დაუნის სინდრომი ზრდასრულ ასაკში არ ვითარდება, იგი განაყოფიერებისას მომხდარი ქრომოსომული პათოლოგიაა (21-ე ქრომოსომის ტრისომიაა). 17 წლის ასაკში შეყვარებულის არყოლა ტრაგედია არ არის და ძალიან გთხოვ, ტრაგედიას ნურც შექმნი. წაიკითხე კარნეგის წიგნი — „როგორ შევიძინო მეგობრები“, სადაც ასეთ ფრაზას შეხვდები: დღის მანძილზე ნებისმიერი ადამიანი 5 წუთის განმავლობაში მაინცაა აბსოლუტური სულელი. სიბრძნე იმაში მდგომარეობს, რომ ამ დროს არ გადაეჭარბო. ზვიო, წიგნები იკითხე და შეეცადე, საინტერესო პიროვნება გახდე“.

ენიგმა:

„შენი დაკომპლექსების მიზეზი ალბათ შენსავე ბავშვობაშია და მეგობრებს ამიტომაც ველარ უგებ. პირველ რიგში, ეს მიზეზი იპოვე და ამოძირკვე, მერე კი დღეში 12-ჯერ ჩაიხედე სარკეში და საკუთარი თავი „დააპროგრამე“, რომ მაგარი ხარ. ჰო, სანამ რამეს იტყვი, კარგად დაფიქრდი და სათქმელი დინჯად თქვი — ამას მეტი ფასი ექნება, ხშირად, აჩქარება საქმეს აფუჭებს“.

KING LUKA:

„მსგავსი რაღაცები მეც მჭირდა. ეს ნერვიულობის ბრალია. ახლა ყველაფერი რიგზე მაქვს. ეცადე, თავი გააკონტროლო. დამშვიდდი და რაც მთავარია, ღმერთის არსებობა ირწმუნე, ეკლესიაში იარე და ამ სენისგან გათავისფლდები“.

პანკუშკა:

„ფსიქოლოგს მიმართე და ის აუცილებლად დაგეხმარება. მერწმუნე, ამის შემდეგ ცხოვრებისა და სიყვარულის მშვენიერებას აუცილებლად შეიგრძნობ. იქნებ, ოჯახის სითბო გაკლია? შენ დეპრესიაში ხარ“.

ლომუა:

„რა იყო, ბიჭო, კაცი არ ხარ?! ვაჟკაცს, ყურები რამ ჩამოგაყრევინა? შენ ცხოვრებას ახლა ინყებ და ვერ ვხვდები, რა განერვიულებს? თქვე დალოცვილებო, რა გართულება გაქვთ ამ შეყვარებულებზე! ხალხნო, ხალხი და ღმერთი გიყვარდეთ. ზვიო, შენ დაუნი კი არა, ერთი მორიდებული, უთქმელი ბიჭი ხარ. ნურაფერს განიცდი. ღმერთმა ხელი მოგიმართოს! მერწმუნე, წლებს მოაქვს განათლებაც და სიყვარულიც. მაგრად იყავი“.

იკუშკები:

„ალბათ აჯობებს, დახმარებისთვის სპეციალისტს მიმართო. მშობლებს დაელაპარაკე, მათ შენი მდგომარეობის შესახებ ყველაფერი უნდა იცოდნენ. ისე, ერთ ბიჭს ვიცნობ, რომელსაც შენნაირი პრობლემა ჰქონდა და იცი, რამ უშველა? — მეგობარმა გოგომ. ალბათ შენც ქალის დახმარება გჭირდება. ასე რომ, ყურადღებიანი, თბილი, მზრუნველი, ვნებიანი გოგო აირჩიე და შენი პრობლემებიც უკვალოდ გაქრება. დაუნის სინდრომისგან კი ძალიან შორს ხარ, ეს ტიპური, დაკომპლექსებული თინეიჯერის კრიტიკული პერიოდია. და ამას „უქალობა“ ჰქვია. ასე რომ, გამოფხიზლდი. წარმატებებს გისურვებ“.

ნერტილი:

„ცოცხალ გვამად ყოფნას სჯობს, სულ უმნიშვნელო, მაგრამ მაინც, სხვისთვის სასიკეთო საქმეს მოჰკიდო ხელი და ნახავ, რამდენი შემოგთავაზებს მეგობრობას. სიტყვების „წამოსროლას“ რაც შეეხება, ალბათ, ეს შენი გაუნათლებლობის ბრალია. მეტი იკითხე!“

ფიფილა:

„შენმა პესიმიზმმა გამაგიჟა. თავს დაუნს რატომ უწოდებ? ძალა მოიკრიბე, და წიგნები იკითხე, რათა განვითარდე. საკუთარ თავში ნუ ჩაიკეტები. ეს შენივე მომავლისთვის იქნება ცუდი. ნუ დაკომპლექსდები! იმედია, ჩემი რჩევა დაგეხმარება“.

EKO BOY (ქობულეთიდან):

„შენი მესმის, რადგან მეც მსგავსი სენით ვარ შეპყრობილი. ვერავინ მიგებს (მშობლებიც კი), სულ მარტო ვარ. თუ ვინმე წამეჩხუბება, მას არაფერს ვეუბნები — სახლში მივდივარ, ოთახში ვიკეტები და ხელს ბრიტვით ვისერავ. ჰოდა, როცა სისხლი წამოვა, შვებას ვგრძნობ. ასევე, პრობლემა მაქვს ჩაცმულობასთან დაკავშირებით. თმას საკუთარი ხელით ვიჭრი, ჯალ-ცალი კედით დავდივარ, რომელსაც თასმებიც კი არ აქვს. კიდევ, ჯერ ჯინსის შარვალს ვიცვამ, ზემოდან კი — დახეულ ჯინსს „ვიხვევ“. ერთი პერიოდი წარბებსაც კი ვიპარსავდი. მიყვარს მაზოხისტური რაღაცები. მინდა, მომავალში ბევრი ისეთი რამ გავაკეთო, რაც საზოგადოებისთვის მიუღებელი იქნება“.

გრუზინკა:

„დაუნის სინდრომი თანდაყოლილი სენია. შენი პრობლემა ისაა, რომ საკუთარ თავში დარწმუნებული არ ხარ. აქტიურად იცხოვრე, სპორტის რაიმე სახეობით დაკავდი და მომავლის იმედი არ დაკარგო!“

„ მამაჩემს ცოლი მოჰყავს...“

ნემო:

„გადავწყვიტე, ჩემი პრობლემის შესახებ მომეწერა და ასეც ვიქცევი, იმ იმედით, რომ დამეხმარებით. მშობლები გაყრილები არიან. ახლა მამას ცოლი მოჰყავს და ამის შესახებ მკითხა, — რა აზრის ხარო? მე ჩემი ვუთხარი, მაგრამ ვიცი, მიუხედავად ამისა, ის ცოლს მაინც მოიყვანს. მეგობრებს ამას ვერ ვუმჟღავნებ. როგორ ავიცილო ეს ამბავი თავიდან? რჩევებისთვის წინასწარ გიხდით მადლობას:

„მიყვარს, მაპრამ მისი გული ვერაფრით მოვიგე“

პესიმისტი:

„ამ მესიჯს იმ იმედით ვწერ, რომ დამეხმარებით. 3 წელია, მიყვარს გოგო, რომლის გულიც ვერაფრით მოვიგე. მისი გაცნობა მესიჯებით რამდენჯერმე ვცადე, მაგრამ სულ უარით მისტუმრებს. ახლა მომწერა, — სხვა მომწონს, მაგრამ ის ჩვენს ქალაქში არ ცხოვრობსო. დარწმუნებული ვარ, მატყუებს. 3 წელია, მის გარდა, არაფერი მაინტერესებს. წიგნების კითხვასაც ვერ ვუდებ გულს. როგორ მოვიქცე? P.S. იმედია, გულს არ მატკენთ და მესიჯს მეც დამიბეჭდავთ“.

P.S. მაშ ასე, თუ ნემოსა და პესიმისტის წერილების წაკითხვის შემდეგ რომელიმე მათგანთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.99. 17.35.27. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ. ■

რუბრიკის დასაწყისი იხ. გვ. 69

პამელა ანდერსონის და ბრიტნი სპირსის საქორწინო ავანტიურებმაც კი ვერ მოხსნეს დიდი ხნის წინ მივიწყებული რეკორდი, რომლის „საავტორო უფლება“ მუნჯი კინოს ეპოქის სექსსიმბოლოს — **რუდოლფო ვალენტინოს** ეკუთვნის. 1919 წელს მან კინომსახიობი ჯინ ეკერი შეირთო, მაგრამ პატარძალმა ქმარი საძინებელ ოთახშიც კი არ შეუშვა. მათმა კავშირმა მხოლოდ 6 საათი გასტანა!

ქორწინებათა რაოდენობის აღსანიშნავად დანესებული „ჰენრი VIII-ის პრემია“ სრულიად სამართლიანად, ეკუთვნის **ლიზ ტეილორს**, რომლის ანგარიშზე 7 მამაკაცთან შემდგარი 8 ქორწინებაა (**რიჩარდ ბარტონმა** და ლიზ ტეილორმა ოჯახის შექმნა ორგზის სცადეს).

განქორწინების ყველაზე სასტიკი და ხელჩართული ბრძოლები გადაიტანეს: **ჯონ დენვერმა**, რომელმაც ერთხელ ცოლქმრული სარეცელი ხერხით გადახერხა; **მია ფეროუმ**, რომელმაც ვუდი ალენი ბავშვების გახრწნაში დაადანაშაულა. **ვუდი ალენმა**, სკანდალის შემდეგ, ნაშვილებ ჩინელ გოგონაზე იქორწინა, მაგრამ ეს შემთხვევა შესაძლოა, „რეკორდების“ სიაში არც კი შევიდეს, რადგან მია ფეროუ და ვუდი ალენი ოფიციალურად შეუღლებულნი არ იყვნენ. მსახიობმა ენტონი კუინმა ყოფილ ცოლს, რომელთანაც 29 წლის ოჯახური ცხოვრება აკავშირებდა, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადა, ყველა ტელეგადაცემიდან გააძევა და მის საყვარელ რესტორანთან მიახლოებაც კი აუკრძალა!

ნომინაციაში — „განქორწინების საძაგელი მომენტის შერჩევა“ — აშკარად ლიდერობს **ტომ კრუზი**, რომელმაც **ნიკოლ კიდმანთან** განქორწინების მოთხოვნით, სასამართლოს ქორწინებიდან 10 წლისთავამდე 3 დღით ადრე მიმართა. კალიფორნიის შტატის კანონმდებლობით, ამ დღის შემდეგ, კრუზს სიცოცხლის ბოლომდე ალიმენტების გადახდა დაეკისრებოდა.

ამჯერად, ჰოლივუდი სულმოუთქმელად ელის **ანჯელინა ჯოლისა** და **ბრედ პიტის** ქორწილს, მაგრამ ვარსკვლავები ამბობენ, რომ მათ შეუღლებას ერთსქესიანი ქორწინების აკრძალვა აყოვნებს: „მე და ენჯი მხოლოდ მაშინ გადავწყვეტთ დაქორწინებას, როცა ოჯახის შექმნის კანონიერ უფლებას ნებისმიერი მსურველი მიიღებს... ადამიანის ცხოვრებაში ჩარევის უფლება არავის აქვს, თუნდაც მის ცხოვრების წესს არ ეთანხმებოდნენ. ამერიკაში დისკრიმინაციას ბოლო უნდა მოეღოს!“ — განაცხადა ბრედ პიტმა ჟურნალისთვის — Esquire მიცემულ ინტერვიუში. ■

მოამზადა **ნატო მანჯავიძემ**

„ნიკა, კოტანგს ბიბზავენი არა იმისთვის, რომ შენი ფეხების პასპარტობა მინდა“...

ჩვენი წინა ნომრის „სასიძო“ მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი ნიკა კუჭავა გახლდათ. მასთან შეხვედრის სურვილი უამრავმა გოგონამ გამოთქვა. როგორც იცით, არც ნიკა იყო ამის წინააღმდეგი. მაგრამ შეხვედრა მაინც ვერ მოვახერხეთ, რადგანაც „სასიძო“ თეატრთან ერთად, გასტროლებზე ამერიკაში იმყოფება.

პოპულარობა, ფული თუ ორივე ერთად?..

სოფო ჭონიშვილი

„ნიკა, საყვარელი ტიპი ხარ, მაგრამ ისეთი არა, რომ შენზე ვაფანატებდე. ერთი ჩვეულებრივი „ბაბნიკი“ ხარ. საცოდავი შენი ცოლი!.. წარმატებებს გისურვებ!“

„კაი ტიპი ხარ, ისეთი, გოგონებს რომ მოგვწონს. შინაგანად როგორი ხარ, არ ვიცი. გარეგნობა მეც „საყვარელი“ მაქვს, მაგრამ დეგენერატი ვარ. ისე, ჩემნაირად აზროვნებ. სიყვარულის ახსნას არ დაგიწყებ. ვიცი, რომ ამას აზრი არ აქვს. SKORPION GIRL“.

„შენი ინტერვიუს წაკითხვისას, საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება შემექნა. ამ ინტერვიუმ შენი დადებითი და უარყოფითი მხარეები ნათლად დამანახვა. ძალიან მინდა, შენსავით პოპულარული გავხდე. მინდა, ვიმეგობროთ. მართალია, ასაკით უმცროსი ვარ, მაგრამ ეს მეგობრობას ხელს არ უშლის. მარი“.

„ჩიფსების თაობას“ შენ გამო ვუყურებდი. შენი „ხასიათები“ მაინცდამაინც არ მომეწონა, თუმცა ვალიარებ, რომ გარეგნულად ძალიან კარგი ხარ. ვისურვებდი, შენნაირი შეყვარებული მყავდეს. წარმატებებს გისურვებ! სარა სკოფილდი“.

„ნიკა, გამარჯობა! დიდხანს ვფიქრობდი, მომეწერა თუ არა შენთვის მესიჯი. ბოლოს, როგორც იქნა, გავბედე. ფშავიდან ვარ და ჩვენებური ტრადიციები ძალიან მაღიზიანებს. გამიხარდა, ფშავში ნამყოფი რომ ხარ. ძალიან მინდა, შენი ერთი სპექტაკლი მაინც ვნახო. ჯერჯერობით ეს ვერ მოვახერხე. ვიცი, რომ ჩემს ნახვას არ მოისურვებ, რადგან მიმაჩნია, რომ ლამაზი სულაც არ ვარ. მარიანა“.

„ნიკა, ჩემო სიცოცხლე, ალბათ მიცნობ, მეგი ვარ. ძალიან მიყვარხარ და ასე ხშირად იმიტომ განუხებ. შენს მობილზეც ხშირად გირეკავ. მაპატიე, თავი თუ მოგაბეზრე, მაგრამ რა ვქნა, როგორც გადამრიე, ისე დამაწყნარე. გული დამწყდა, ამერიკაში რომ გაემგზავრე. შენი წარმატებები მახარებს. გკოცნი მოგუდვამდე... სოფო, ზუსტად ასე დამიწერე, გთხოვ“.

„აუ... რა მაგრად გამიხარდა!.. ვგიჟდები შენზე. მაგარი ადამიანი ხარ. ეჭვიანობას ნაკლად ნუ ჩათვლი! როცა ადამიანი გიყვარს, მაშინ ეჭვიანობ. შენთან დიდი სიამოვნებით ვიმეგობრებდი. რომ იცოდე, უსწავლელ და გაუნათლებელ ადამიანებ! აც

აქვთ თავ-თავიანთი პლუსები. ყველას არა აქვს შესაძლებლობა, უმაღლესი დაამთავროს. ქეთი“.

„ჟურნალ „გზაში“ „ესემესს“ პირველად ვგზავნი. „სასიძო“ ძალიან მომეწონა და გადავწყვიტე, შევხმიანებოდი. ნიკა, მეც შენსავით, სიყვარულში გულგატეხილი ადამიანი ვარ. 8 წელი მიყვარდა და მერე დავშორდით, ვიცი, რას ნიშნავს საყვარელი ადამიანის დაკარგვა... ნინო“.

„გამარჯობა! შენი ინტერვიუ წავიკითხე. აღმოჩნდა, რომ ერთნაირი ხასიათი გვქონია. მეც თეატრში ვმუშაობ, ოღონდ — ბათუმში, მსახიობი ვარ. ხათუ“.

„ვა, ნიკუშ მაგარი ტიპი ხარ! დიდი სიამოვნებით შეგხვდებოდი და უკეთესად გაგიცნობდი... ა, რას იტყვი? ისე, მეც მაგარი გოგო ვარ. თეკო 20“.

„ნიკუშ, გელოდები, დამიმესიჯე. შენ გამო სოფო ღამით გვიან გავაღვიძე. ძალიან მინდა, ჩემი მესიჯი შენამდე მოვიდეს. სოფო, მაპატიე და ეს „ესემესი“ დამიბეჭდე, გთხოვ“.

„შენზე და ჯუგლაძეზე ვაფანატებ. ორივე, ძალიან მაგარი ტიპები ხართ. გული დამწყდა, „რუსთავი 2“-ის ახალ სერიალში რომ აღარ ხართ. ძალიან მინდა, თქვენნაირი მეგობრები მყავდეს. ქუთაისელი ლიაკო 555“.

„ნიკა, მართლა კარგი სასიძო ხარ, ისეთი, ყველა გოგონა რომ ინატრებდა. ბათუმელი თეკო“.

„26 ოქტომბერს დაბადების დღე მაქვს. არ გინდა, დაგპატიჟო?.. საჩუქარზე არ იდარდო, მერე ერთად შევარჩიოთ. ბუტია 19“.

„ნიკა, კოცნას გიგზავნი, იმიტომ არა, რომ შენი ოჯახის პატარძლობა მინდა. ვინ ვარ, რა მინდა და რატომ გიმესიჯებ, ამას მერე გეტყვი. გეფიცები, არ „გაბამ“ — უბრალოდ, გთხოვ, დამიმესიჯე“.

ახლა კი ნიკას ორი თაყვანისმცემლის ინტერვიუებს გთავაზობთ

მარი, *21 წლის:*

— მარი, ვიცი, რომ ნიკა კუჭავას ერთ-ერთი აქტიური თაყვანისმცემელი ხარ: ხშირად მირეკავდი და მსახიობთან შეხვედრას მთხოვდი. სამწუხაროდ, ნიკა ამჟამად ამერიკაშია გასტროლებზე. რა გინდოდა, მისთვის რომ გეთქვა?

— ჩემს თანატოლებში ნიკა საოცარი პოპულარობით სარგებლობს. ზოგს მისი გარეგნობა ხიბლავს, ზოგს — საქმიანობა; ზოგს კი უბრალოდ, იმიტომ მოსწონს, რომ პოპულარული ადამიანია.

— შენ რატომ მოგწონს?

— ნიკა უბრალოდ, კარგი მსახიობია და იმიტომ მომწონს. მისი ყველა სპექტაკლი ნანახი მაქვს. ძალიან სადა და უშუალო ადამიანია. პოპულარობა ზოგიერთივით, თავში არ ავარდნია.

— როგორ ფიქრობ — გოგონებს პოპულარული ბიჭები რატომ მოსწონთ?

— მხოლოდ იმიტომ, რომ პოპულარულები არიან. ვიცი, რომ ერთი-ორი ჩემი მეგობარი ნიკას მობილურზე ურეკავს და გაცნობას სთხოვს. ყოფილა შემთხვევა, მას ტელეფონი გაუთიშია და უთქვამს, — აღარ დამირეკო, დაკავებული ვარ და არ მცალიაო, — მაგრამ ისინი მაინც ურეკავენ. მე ასე არასოდეს ვიქცევი. ნიკა საქმიანი ადამიანია, ისინი კი — უსაქმურები, უბრალოდ, ერთობიან. მერე კი თანატოლებში „ბლატაობენ“: ნიკას ვიცნობ, ვმეგობრობ, ვურეკავო... ჩემთვის ასეთი რამ წარმოუდგენელია. გარეგნულად, როგორც ამბობენ, ლამაზი გოგონა ვარ. ნიკას გაცნობა იმიტომ არ მინდა, რომ სიყვარული ავუხსნა, უბრალოდ, მინდა ვუთხრა, რომ ვიმეგობროთ.

— შეიძლება, ადამიანი ძალიან მოგწონდეს, მაგრამ არ შეგიყვარდეს, ასეც ხომ ხდება?

— კი, მაგრამ... საბოლოოდ, დავრწმუნდი იმაში, რომ თუ სურვილი გაქვს, პოპულარული ადამიანის მეგობარი ან მეუღლე იყო, შენც პოპულარული უნდა გახდე, სხვისი პოპულარობის ხარჯზე პოპულარული ვერ გახდები.

— პოპულარობა შენთვის ყველაფერია?

— მიუხედავად იმისა, რომ პოპულარული არ ვარ, ვფიქრობ, რომ პოპულარობა ძალიან კარგი რამ არის: ყველა პატივს გცემს, საინტერესო ადამიანების წრეში ტრიალებ, რაც ძალიან სასიამოვნოა. ამიტომ, ბევრს ვშრომობ იმისთვის, რომ მეც პოპულარული გავხდე.

— რა პროფესია გაქვს?

— სტუდენტი ვარ. სამსახიობოზე ვსწავლობ.

— ძალიან კარგი. თუ კარგი მსახიობი გახდები, ნიკას აუცილებლად შეხვდები. შეიძლება, სცენაზე ერთადაც კი ითამაშოთ, არა?

— (*იცინის*) ჯერ მეორე კურსზე ვარ. იმედი მაქვს, რომ უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე თამაში, ნიკასთან ერთად თუ არა, ისე მაინც მომიწევს. ყოველ შემთხვევაში, ეს ჩემი ოცნებაა.

— ოცნების ასრულებასა და წარმატებას გისურვებ!

სალომე, *16 წლის:*

— ნიკა იმიტომ მომწონს, რომ, ჯერ ერთი, კარგი გარეგნობა აქვს; მეორე — იმიტომ, რომ ფული აქვს. ფული დღეს-დღეობით ყველაფერია. თუ ფული გაქვს, პატივს გცემენ და ყველას შენთან მეგობრობა უნდა.

— მეგობრებს მატერიალური მდგომარეობის მიხედვით ირჩევ?

— არც ასეა საქმე, მაგრამ... ყოველთვის ვცდილობ, ჩემ ირგვლივ უფულო ტიპები არ იყვნენ. ჩემს თანატოლებს, ფულიან ბიჭებზე მეტად, პოპულარულები მოსწონთ, ის კი არ იციან, რომ ზოგიერთ პოპულარულ ადამიანს საჭმლის ფულიც კი არა აქვს.

— გეტყვი, რომ ნიკას ბევრი ფული სულაც არ აქვს. უბრალოდ, მას სხვებთან შედარებით, ცოტა მაღალი ხელფასი აქვს.

— ინტერვიუში ამბობს, რომ მისი ყოველთვიური ანაზღაურება 3.000 ლარია. ეს არც ისე პატარა თანხაა. ყოველ შემთხვევაში, თვიდან თვემდე „საგულაოდ“ გვეყოფოდა...

— ნიკა ამბობს, რომ მას განათლებული გოგონები მოსწონს, შენი აზრით, ერუდირებული ადამიანი ხარ?

— ოო... შეიძლება, ნიკამ ამის გამო მართლაც დამიწუნოს: კითხვა საშინლად არ მიყვარს. სკოლაშიც — „ისე რა“ ვსწავლობ... თუმცა ვერ ვიტყვი, რომ გაუნათლებელი და უწიგნური ვარ. ისე, გარეგნულად ძალიან ლამაზი გოგო ვარ, ბევრ ბიჭს ვუყვარვარ, მე კი ყურადღებას არც ერთ მათგანს არ ვაქცევ.

— რატომ? ფული არა აქვთ?

— სწორად გამოიცანი. მათ იმის ფულიც კი არა აქვთ, რომ ნაყინზე დამპატიჟონ. უფულო ბიჭები ჩემს სიმპათიას არ იმსახურებენ.

— თავად თუ გაქვს ფული?

— (*ფიქრობს*) ბევრი — არა...

— იმაზე არ გიფიქრია, უფულობის გამო, იმ ფულიანმა ბიჭებმა შენც რომ დაგიწუნონ? არსებობენ ბიჭები, რომლებიც ფულიან გოგონებს ეძებენ.

— სხვათა შორის, ამ საკითხზე მიფიქრია. ქალისა და კაცის ურთიერთობისას, ფული და შემოსავალი მამაკაცს უნდა ჰქონდეს. ქალს თუ ფული არა აქვს, არ „ტეხავს“, მამაკაცს — კი... გული მწყდება, რომ ნიკა საქართველოში არ არის. რომ დაბრუნდება, პირისპირ მაინც შეეხვდები და გავიცნობ. იმედია, ამ პატარა ინტერვიუს წაიკითხავს და ჩემით დაინტერესდება. ■

ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნები რუსეთის წინააღმდეგ ირაზმეებიან

„არჩევანი არ გვაქვს: ან სამუდამოდ უნდა დავემშვიდობოთ რუსეთს, ან მისი შემადგენელი ნაწილი გავხდებით“

სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიაში მიაჩნიათ, რომ რუსეთის მიერ ზაფხულში ჩატარებულ სამხედრო სწავლებას — „კავკასია-2008“ უშედეგოდ არ ჩაუვლია. ხუთდღიანი ომის შემდეგ, რუსეთმა საქართველოს სეპარატისტული რეგიონები დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა და იმავდროულად, თვით ფედერაციაში ავტონომიების გაერთიანება დაიწყო. მართალია, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები დაღესტანში, ინგუშეთსა და ნებისმიერ, დამოუკიდებლობის მსურველ რესპუბლიკაში „ჩეჩნეთის სცენარის“ გამეორებას არ გამორიცხავენ, მაგრამ მათივე თქმით, ბრძოლას აზრი ყოველთვის აქვს... განსაკუთრებით, ინგუში ხალხი აქტიურობს; მისი სახალხო მოძრაობის წარმომადგენლობა ბრიუსელში ევროკავშირის დელეგაციასაც შეხვდა და ამ რესპუბლიკასთან, განსაკუთრებით კი სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიასთან დაკავშირებით არსებულ, რუსეთის გეგმებზე ესაუბრა.

ლალი პაპასქირი

ასლამბეკ ასხამადოვი, *ინგუშეთის საზოგადოებრივი მოძრაობის — „კავკასიელი ხალხის ერთიანობისთვის“ წარმომადგენელი:*

— ინგუშეთში სამოქალაქო ომი უკვე დაწყებულია, ქვეყანაში მასობრივი დაპატიმრებები მიმდინარეობს. ნაზრანში, მალგობეკსა და ყველა დიდ ქალაქში სამხედრო ნაწილებია მობილიზებული... ახლა დაახლოებით ისეთივე სიტუაციაა, როგორიც საქართველოში XX საუკუნის 90-იან წლებში იყო. მართალია, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა დაირღვა, მაგრამ ქვეყანამ — ერი და, რაც მთავარია, დამოუკიდებლობა შეინარჩუნა... ახლა ჩვენ დიდი არჩევანი არ გვაქვს: ან სამუდამოდ უნდა დავემშვიდობოთ რუსეთს, ან მისი შემადგენელი ნაწილი გავხდეთ. საქართველოსთან ხუთდღიანი ომი ჩრდილოკავკასიელი ხალხებისთვის მაგალითი იყო. რუსეთმა კუნთები შეათამაშა და კავკასიის დანარჩენ ქვეყნებს გვითხრა: თუ ჩემთან არ იქნებით, საერთოდ, არ იქნებითო... ბოლო მოვლენებმა გამოააშკარავა ის, რომ რუსეთი მარტო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მითვისებით არ დაკმაყოფილდება. ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის რეგიონებში არეულობის პოლიტიკას ის ჯერ კიდევ საბჭოთა წლებში ატარებდა და საკმაოდ წარმატებულადაც. ამიტომაც, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაშლაში ჩეჩნები, ადიღეები, ინგუშები, სომხები და აზერბაიჯანელებიც მონაწილეობდნენ — აფხაზეთის ომს ვგულისხმობ.

— ფაქტია, რომ რუსეთი ინგუშეთის დათმობას არ აპირებს და ზოგადად, არც ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიაზე ამბობს უარს. რას აპირებთ?

— ძნელი სათქმელია... საქმე ისაა, რომ საქართველოს, დღევანდელი ხელისუფლების ძალისხმევით, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საზოგადოების უპრეცედენტო მხარდაჭერა ჰქონდა და ამან თქვენი ქვეყანა რუსის ჩექმისგან იხსნა. ჩვენ მსგავსი მხარდაჭერის მოსაპოვებლად იმდენი ხანი დაგვჭირდება, რომ ეს დრო რუსეთს თავისუფლად ეყოფა ჩვენს მოსასპობად. იმ შედეგების მისაღწევად, რასაც საქართველომ უკვე მიაღწია, ინგუშეთმა ჯერ ის გზა უნდა გაიაროს, რაც თქვენ — 90-იან წლებში. მაშინ რუსეთი ბევრად სუსტი იყო, ვიდრე დღეს, მაგრამ

ჩვენ არ ვიყავით მზად დამოუკიდებლობისთვის. 1991 წელს ინგუშმა ხალხმა ისტორიული შეცდომა დაუშვა — მოსახლეობის 94% რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში სახელმწიფოს სტატუსით შესვლას დათანხმდა... როცა რუსეთი თქვენს ქვეყანას ბომბავდა, უცხოელი დიპლომატების გამოსვლებს ვუსმენდი და მივხვდი, რომ საქართველო მარტო არ იყო... ინგუშეთი ამ ურჩხულის წინაშე ჯერ-ჯერობით მარტოა. ამიტომაც, მასთან საბრძოლველად, ყველანაირი გზა გამართლებულია, მათ შორის — ტერაქტებიც.

— ბატონო ასლამბეკ, რადგან საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერაზე საუბრობთ, უნდა შეგახსენოთ, რომ მისთვის ტერორისტულ ქვეყნებთან ურთიერთობა მიუღებელია.

— დიახ, მესმის. მაგრამ ეს ჩვენი თვითგადარჩენის უკიდურესი გზა არის. ამიტომაც ვახსენე დრო, რომელიც ამერიკასა და დასავლეთთან სამუშაოდ გვჭირდება. სულ მალე, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, კავკასიელ ხალხთა გამოსვლები დაიწყება, სადაც რუსეთის პოლიტიკას გავაპროტესტებთ და მსოფლიო თანამეგობრობის ყურადღების მოპყრობას შევეცდებით... შესაძლოა, ჩვენი გაბრძოლება მხოლოდ ინგუშეთისთვის კი არა, მთელი კავკასიის ხალხებისთვის დამღუპველი აღმოჩნდეს, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, ამას უნდა მივაღწიოთ. ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი... თუ საქართველო და უკრაინა ნატოში შევლენ, რუსეთ-საქართველოსა და რუსეთ-უკრაინის საზღვრებს უკვე ნატო გააკონტროლებს, რუსეთი კი შავი ზღვის აუზზე კონტროლს დაკარგავს, რაც მას მნიშვნელოვნად შეასუსტებს. სწორედ ამიტომ, მის გენერალიტეტს სურს, საქართველოში კიდევ ერთ სავარაუდო ომამდე, სამხრეთ კავკასიასა და შუა აზიაში სიტუაცია თავის კონტროლს სრულად დაუქვემდებაროს.

— ბოლო დროს აქტიურად ალაპარაკდნენ ჩეჩნეთისა და ინგუშეთის შესაძლო გაერთიანებაზე.

— ეს გამორიცხულია. ჩვენ მომმე ერი ვართ, მაგრამ შეუძლებელია, ორმა ძმამ ერთ ოჯახში იცხოვროს და მათ შორის პრობლემები არ წამოიჭრას. ეს რუსეთმაც იცის. ერთმანეთთან მუდმივი ქიშპობით დასუსტებული ქვეყნები

ადვილი დასამორჩილებელი იქნება. მან უკვე იპოვა ამ იდეის მხარდამჭერები ორივე მხარეს: ჩეჩნეთში კადიროვის ხალხმა უკვე გამართა მიტინგი... ჩეჩნეთისა და ინგუშეთის გაერთიანება ვერ მოხდება. ორივე ერმა ვნახეთ, რომ თანაცხოვრებას არც ერთისთვის არ მოუტანია სიკეთე. ჩეჩნეთთან გაერთიანება საბჭოთა რეალობაში დაბრუნებას ნიშნავს, ჩვენ კი დამოუკიდებლობა გვსურს. იმედია, ჩემს ხალხს ეყოფა გონიერება და ამას არ დაუშვებს.

რუსლან ტამალოვი, *„ნაციონალური გადარჩენის ჩეჩნური კომიტეტის“ წარმომადგენელი:*

— ჩეჩნეთისა და ინგუშეთის გაერთიანების საკითხზე რუსეთი 2002 წლიდან ლაპარაკობდა, მაგრამ შემდეგ ვითარება შეიცვალა. ეს არის პროვოკაციული იდეა. ახლა რუსეთი ცდილობს, ჩვენი დაპირისპირების მიზეზად, ის სამი რაიონი გამოიყენოს, რომელიც ინგუშეთს ესაზღვრება: თუ ჩვენს შემადგენლობაში იქნებით, საზღვარი რალაში გჭირდებათო?.. ინგუშეთს ცალკე სახელმწიფოდ ჩამოყალიბების სურვილი აქვს და ჩვენ ვალდებული ვართ, მას ამაში ხელი შევუწყოთ. თუ სამხრეთ ოსეთს, ადიღესა და დანარჩენ რესპუბლიკებს აქვთ ცალკე არსებობის უფლება, ჩეჩნებმა და ინგუშებმა რა დააშავეს?! ახლა ინგუშეთში დამოუკიდებლობის ტალღა აგორდა, რომელსაც ვერაფერი შეაჩერებს, და რუსეთი ცდილობს, მისთვის ჩეჩნეთის მიერთებით ეს თემა უკანა პლანზე გადასწიოს. დარწმუნებული ვარ, ინგუშეთის მოსახლეობის 90% ჩეჩნეთთან გაერთიანების წინააღმდეგია. რუსებს ყველა რუსი ჰგონიათ ან ცდილობენ, რუსად აქციონ და მერე მასზე იბატონონ... ჩვენ მოძმე ერი ვართ, მაგრამ განსხვავებული კულტურა, ტრადიციები და ინტერესები გვაქვს.

— არცთუ ისე დიდი ხნის წინ ბევრი ლაპარაკობდა კავკასიელი ხალხების გაერთიანების საჭიროებაზე. ახლა რას ფიქრობთ ამაზე?

— ეს საქართველოს პირველი პრეზიდენტის — ზვიად გამსახურდიას იდეა იყო, რომელიც ჩანასახშივე მოსპეს. რუსეთმა მაშინ კარგად იმუშავა და ჩვენი დამორჩილება არ გასჭირვებია. მას შემდეგ ვითარება შეიცვალა, ქართველებს სხვა ინტერესები გაუჩნდათ. ახლა საქართველოს ხელისუფლების მთავარი მიზანი — არა კავკასიელ ხალხთა გაერთიანება, არამედ ნატოში გაწევრებაა, ამიტომაც, ჩემი აზრით, საქართველოსთვის ამის შეთავაზება უაზრობა იქნებოდა. საერთოდ, ქართველი ერი ყოველთვის მიისწრაფოდა ცივილიზაციისა და გლობალიზაციისკენ, რაც ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობით აიხსნება. ხშირად ვფიქრობ და ვერაფრით ამიხსნია, როგორ ინარჩუნებს ეს პატარა ქვეყანა ერთდროულად, ევროპულ, აზიურ და კავკასიურ ელემენტებს. იმავდროულად, კარგი ურთიერთობა გქონდათ რუსეთთანაც. მეტ-ნაკლებად, მაგრამ დღემდე შენარჩუნებულია ტრადიციები, რომლებიც ძალიან ჰგავს კავკასიურს... შეიძლება ითქვას, რომ კავკასიაში რუსების შემოსვლასა და დამკვიდრებაში ქართველებს დიდი წვლილი მიუძღვით: სერგო ორჯონიკიძის „დამსახურებას“ ვგულისხმობ. საბოლოოდ, ეს საქართველოს ძვირად დაუჯდა.

სალანდირ კეჩორიევი, *ალტერნატიული სახალხო ფორუმის — „დამოუკიდებელი დაღესტნის“ წევრი:*

— დაღესტანი ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს იყო არასტაბილური რეგიონი. შინაარეულობა და რუსულ ხელმძღვანელობასთან დაპირისპირება კი ბოლო დროს ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. აქაურებისთვის იარაღის ბიზნესი და ადამიანების გატაცება ერთგვარი შემოსავლის წყაროა. ვინც ასეთი ცხოვრება ვერ აიტანა, რუსეთში გაიქცა. ნალჩიკში ყოველდღე გაიგებთ, რომ ვიღაც თვითნაკეთ ასაფეთქებელ მოწყობილობაზე აფეთქდა ან ტერაქტი მოხდა. ხალხი დღემდე ასეთი ცხოვრების რიტმზეა „აწყობილი“. 5 წელი გერმანიაში ვიცხოვრე და როცა სამშობლოში დავბრუნდი, თავი ჯუნგლებში მეგონა. ვერ ვიტყვი, რომ ამ ყველაფერში რუსეთია დამნაშავე, მაგრამ მეტი წილი — მისი დამსახურებაა. რუსეთს ასეთი სილატაკის ზღვარზე მისული და დაჩაჩანაკებული რესპუბლიკა აძლევს ხელს, რომელსაც თვითგადარჩენისთვის ბრძოლა არ შეუძლია და შვილს მოსკოვისგან ელოდება. აქ ხალხი განათლებისთვის დროს „არ კარგავს“, სხვა, უფრო „საინტერესო“ ცხოვრების სტილი აქვს არჩეული — ძარცვა, ყაჩაღობა, „ადამიანებით ვაჭრობის ბიზნესი“... ამ ყველაფერმა ეროვნული თვითშეგნება თანდათან დააჩლუნგა. ჩვენ ახლა მის გამოღვიძებას ვცდილობთ. მართალია, უფრო ადრეც, მცირე საპროტესტო მოძრაობები იყო, მაგრამ მათ რუსეთი ადგილობრივი ხელმძღვანელობის დახმარებით ერეოდა. დროდადრო მცირე დამსჯელ რაზმებს გზავნიდა, ხან ისლამისტურ ტერორისტულ დაჯგუფებებს იმიზეზებდა, ხანაც — არაბულ ტანსაცმელში გადაცმული ტერორისტები და მოჯაჰედები ელანდებოდა და ეროვნული მოძრაობის ლიდერებს მუსრს ავლებდა... ბოლო დროს რუსეთმა გავლენის გაფართოება მოისურვა. საქართველოზე თავდასხმამ, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებამ ყველანაირი კალაპოტი უნდა გაარღვიოს: რუსეთი უნდა დაიშალოს, თუნდაც ამას რომელიმე კავკასიელი ეთნოსი შეეწიროს... ახლა უნდა გვეყოს გონიერება, რომ ჩრდილოეთ და სამხრეთკავკასიელები ერთმანეთს არ დავერიოთ. დაღესტანს აფხაზეთზე მეტი სამართლებრივი უფლება აქვს, რომ დამოუკიდებელი სუბიექტი გახდეს, — აღარაფერს ვამბობ ცხინვალის რეგიონზე, რომლის დამოუკიდებლობის დაჯერებაც კი ძნელია, რადგან შუაგული საქართველოა და ის ტერიტორია უბრალოდ, სადავოც კი არ არის... ჩვენი ხალხი უფრო ტრადიციების მიმდევარია, ვიდრე კანონმორჩილი, მას წინააღმდეგობის გაწევა სისხლში აქვს, ისევე, როგორც ჩეჩენს, ყაბარდოელს, ინგუშს, ქართველს. ჩვენ კრემლის პოლიტიკის წინააღმდეგ უნდა გავერთიანდეთ. რუსეთს მისი გეგმების შესრულებაში ხელი თუ არ შევუშალეთ, ჩანაფიქრს სისრულეში მოიყვანს. მას ავტონომიების 8 ერთეულამდე დაყვანა აქვს გადაწყვეტილი. თავის დროზე რუსეთმა სისხლის ფასად გაერთიანა ყაბარდო-ბალყარეთი და ყარაჩაეთ-ჩერქეზეთი. ამით თითქოს პრობლემები შეიმცირა, მაგრამ ახლა მათაც აქვთ ცალ-ცალკე არსებობის სურვილი...



ანტი და ალტერნატიული ნობელის პრემიების ლაურეატები

ყოველწლიურად, ნობელის პრემიის ახალი ლაურეატების დასახელების წინ, მსოფლიო კიდევ ორი — ანტი და ალტერნატიული ნობელის პრემიების ლაურეატებსაც ეცნობა. ასე იყო წელსაც: ჰარვარდის უნივერსიტეტში „ყველაზე საეჭვო მიღწევებსა და უაზრო სამეცნიერო აღმოჩენებში" ანტინობელის (იმავე იგნობელის) პრემიების გადაცემის ცერემონიამ ჩაიარა, სტოკჰოლმში კი ე.წ. „ალტერნატიული ნობელის" პრემიის ლაურეატები დაასახელეს.

„ჯერ — სიცილი, შემდეგ — ფიქრი"

წელს ანტინობელის პრემიის მოსაპოვებლად, განსაკუთრებით, ამერიკელმა ქიმიკოსმა დებრა ანდერსონმა გამოიდო თავი, რომელიც „კოკა-კოლას", როგორც ჩასახვის საწინააღმდეგო ეფექტურ საშუალებას(?!) იკვლევდა. ექსპერიმენტის საბაბად იქცა ჰიპოთეზა, რომლის თანახმადაც, ნახშირორჟანგის გაზს სპერმიციდული თვისებები აქვს. ჩატარებული კვლევების შემდეგ ანდერსონმა დაადგინა, რომ: „კოკა-კოლას" მართლაც აღმოაჩნდა მსგავსი ზემოქმედების უნარი და ამ მხრივ საუკეთესო შედეგი დიეტური „კოლას" გამოყენებას მოჰყვა". მაგრამ ამავე თემით დაინტერესებულმა ტაივანელმა მეცნიერებმა თავიანთი ამერიკელი კოლეგის დასკვნები მთლიანად გააკამტვერეს.

ანტინობელის კიდევ ერთმა ლაურეატმა, ავადმყოფის მიერ მიღებული წამლების ფასსა და ორგანიზმზე მათ ზემოქმედებას შორის პირდაპირი კავშირის არსებობა დაადასტურა. მკვლევრებმა ექსპერიმენტის მოხალისე მონაწილეთა ერთ ნაწილს 2,5-დოლარიანი, ხოლო მეორე ნაწილს — 10-ცენტიანი ტკივილგამაყუჩებელი საშუალებების მიღება შესთავაზეს, თუმცა ორივე ჯგუფს ზუსტად ერთნაირ აბებს აძლევდნენ და შემდეგ, ასევე ყველას, სხეულში დენსაც ერთნაირი ინტენსივობით უტარებდნენ. გაირკვა, რომ კვლევის ის ობიექტები, რომლებსაც სჯეროდათ, რომ შედარებით უფრო ძვირად ღირებულ წამლებს იღებდნენ, დენთან მიერთებას უფრო ნაკლებმტკივნეულად აღიქვამდნენ.

ანტინობელის პრემია მიენიჭა ბიოლოგიის ეთიკის საკითხში შვეიცარიის ფედერალური ბიუროს მოხსენებასაც — „ცოცხალი ორგანიზმების ღირსება მცენარეებთან მიმართებაში", — რომლის თანახმადაც, მცენარეებისთვის ზიანის მიყენება „მორალურად დაუშვებელია".

ანტინობელის პრემია დააარსა იუმორისტულმა ჟურნალმა — „დაუჯერებელი კვლევების ანალები" (იდეა ჟურნალის დამფუძნებელ მარკ აბრაჰამსს ეკუთვნის) და ის იმ მიღწევებისთვის გადაეცემა, რომლებიც „ადამიანებს ჯერ სიცილს, შემდეგ კი ფიქრს აიძულებს". 2007 წელს ამ თვალსაზრისით, მედიცინის, ეკონომიკისა და ლინგვისტიკის სფეროებში მოღვაწე მეცნიერები გამოირჩეოდნენ. კერძოდ, ბრიტანელმა მკვლევრებმა ბურთის გადაყლაპვის შედეგები გამოავლინეს, ამერიკელებმა კი — ტანსაცმელზე ნაკეცების გაჩენას მოუძებნეს მეცნიერული ახსნა. მაგრამ ყველაზე განმაცვიფრებელი აღმოჩენა მაინც, ამერიკული სამხედრო უწყების თანამშრომლებს ეკუთვნის: მათ შექმნეს „სექსბომბი". ის აფეთქებისას გამოყოფს ქიმიურ ნივთიერებას, რომელიც მოწინააღმდეგის ჯარში ჰომოსექსუალური საქციელის შემოტევის პროვოცირებას ახდენს(!).

„ცხოვრების ღირსეული წესისთვის"

ალტერნატიული ნობელის მიმნიჭებელი, ფონდის — Right Limelihood Awards ინფორმაციით, წელს ამ ჯილდოს ინდოეთის, სომალის, გერმანიისა და აშშ-ის მოქალაქეები მიიღებენ. ლაურეატები გახდნენ: ინდოელი ცოლ-ქმარი კრიშნამალ და სანკარალინგამ ჯაჰანათჰანები, რომლებმაც სოციალური სამართლიანობის შესახებ მაჰათმა განდის შეხედულებების პრაქტიკული რეალიზებისთვის ორგანიზაცია — „მინა — მიწის მუშების თავისუფლებისთვის" ჩამოაყალიბეს. პრემია ასევე მიიღეს: საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამის — „დემოკრატია ახლა!" შემქმნელმა ამერიკელმა ეში გუდმანმა ნამუშევრისთვის — „ჭეშმარიტად დამოუკიდებელი ჟურნალისტიკისთვის"; სომალელმა ფემინისტმა აშახაგიმ — „სამშვიდობო ძალისხმევისთვის" და გერმანელმა გინეკოლოგმა მონიკა ჰაუზერმა — „მსოფლიოს ზოგიერთ ყველაზე უფრო საშიშ ქვეყანაში ყველაზე უფრო საშინელ სექსუალურ ძალადობაგადატანილ ქალებთან მუშაობისთვის".

პრემიის დაარსების იდეა შვედურ-გერმანული წარმომავლობის ფილატელისტ იაკობ ფონ იუქსულემს ეკუთვნის, რომელმაც პირველი ლაურეატების დასაჯილდოებელი თანხის მოსაგროვებლად, მარკების საკუთარი კოლექცია გაყიდა. შემდგომში თანხა უკვე კერძო შემოწირულობების ხარჯზე გროვდებოდა. ამჟამად პრემიის საერთო თანხა 2 მილიონ შვედურ კრონს (დაახლოებით 300 ათას დოლარს) შეადგენს და ის თანაბრად ნაწილდება ყველა ლაურეატს შორის, რომლებიც მას ტრადიციულად, საქველმოქმედო მიზნებისთვის იყენებენ. ალტერნატიული ნობელის პრემიების საზეიმო გადაცემა 8 დეკემბერს, შვედეთის პარლამენტის შეობაში გაიმართება. ■

ჟურნალისტები „ცხელ წერტილებში"

2008 წელს „ცხელ წერტილებში" 70 ჟურნალისტზე მეტი დაიღუპა, — აცხადებს არასამთავრობო ორგანიზაცია „პრეს ემბლემ კამპანი", რომლის მონაცემებითაც, ამ მხრივ ყველაზე უფრო ტრაგიკულ პერიოდად მიმდინარე წლის აგვისტო იქცა, როცა 15 ჟურნალისტი (მათგან 5 — ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში) დაიღუპა. ყველაზე საშიშ ქვეყნად კი კვლავ ერაყი რჩება. ამ ქვეყანაში წლის დასაწყისიდან, მასობრივი საინფორმაციო საშუალებების სხვადასხვა ორგანოს 14 თანამშრომელი დაიღუპა. გარდა ამისა, 6 ჟურნალისტი დაიღუპა პაკისტანში, ამდენივე — მექსიკაში, 4 — ფილიპინებზე, 3-3 — ინდოეთსა და ტაილანდში, 2-2 კი — ავღანეთში, ვენესუელაში, კოლუმბიასა და სომალიში.

„პრეს ემბლემ კამპანიმ" საერთაშორისო საზოგადოებრიობას მოუწოდა, სასწრაფოდ შეიმუშაოს ჟურნალისტების დამცველი საერთაშორისო კონვენცია „საერთაშორისო და რეგიონული კონფლიქტების ზონებსა და აგრეთვე, იმ რაიონებში ასამოქმედებლად, სადაც ყველაზე ნაკლებადაა უზრუნველყოფილი ადამიანის უფლებების დაცვა". ■

ინტერნეტში გაუგონარი ამბები ხდება!..

როგორც ჩანს, Worldwideweb-ის შემქმნელი ტიმ ბერნეს-ლი ძალიან შეაწუხა ინტერნეტქსელში „ათასნაირი აბდაუბდისა და უაზრობის" (მაგალითად, დიდი ადრონული კოლაიდერის საშიშროების თაობაზე არასამეცნიერო განცხადებების) უკონტროლო გავრცელებამ და ამიტომაც, ამა თუ იმ ინფორმაციის უტყუარობის შემოწმების მიზნით, სპეციალური ფონდის შექმნა გადაწყვიტა. მისი თქმით, ქსელი „კარგი" ინფორმაციის „ცუდისგან" გამოცალკევების საშუალებას იძლევა და სწორედ ეს გაკეთდებდა მის ახალ საიტზე, რომელიც საინფორმაციო წყაროების ცენტრალური აკრედიტაციის სქემის რეალიზებას მოახდენს. საბოლოოდ კი ამა თუ იმ წყაროს უტყუარობას რამდენიმე ორგანიზაცია დაადგენს.

აი, კომპიუტერული ტექნოლოგიების წამყვანი სპეციალისტი, „ინტერნეტის მამად" წოდებული ვინტ სერფი კი ირწმუნება, რომ ქსელში მალე ამოიწურება ინტერნეტმისამართები, რომლებიც კომპიუტერებს „ერთმანეთის ამოცნობისა და ურთიერთქმედების საშუალებას აძლევს". ვინაიდან სერფი სწორედ ის ადამიანია, ვინც თავის დროზე ეს სისტემა გამოიგონა, მისი აზრი განსაკუთრებით ყურადსაღები და გასათვალისწინებელი უნდა იყოს.



„ინტერნეტის მამა" მიიჩნევს, რომ ბიზნესმენებმა და სპეციალისტებმა დღესვე უნდა მიიღონ ზომები ახალი თაობის ქსელურ მისამართებზე გადასასვლელად, რადგან თუ მომზადება ახლავე არ დაიწყო, ზოგიერთ კომპიუტერს შეიძლება, ქსელში შესვლის შესაძლებლობა საერთოდ წაერთვას და ინტერნეტშეტყობინება დაირღვევს.

„ინტერნეტქსელში შესვლის უნარის მქონე ნებისმიერი კომპიუტერი ან მოწყობილობა უნიკალურ IP-მისამართს იღებს, — ამბობს ვინტ სერფი, — მაგრამ მალე თავისუფალი ნომრების მარაგი ამოიწურება... დღეს ინტერნეტში შექმნილი სიტუაცია იმას ჰგავს, რომ ვთქვათ, ერთ დღეს, ტელეფონების ნომრები ამოიწუროს, ახალი ნომრები კი საერთოდ აღარ არსებობდეს, რის გამოც, ახალი აბონენტების მიერთება შეუძლებელი გახდეს"...

რუბრიკა მოამზადა
რუსუდან ლებანიძემ

შეწყალება თუ გამართლება?

„მონადირის" ყოფილი წევრი ემზარ კვიციანის უკანონო ფორმირებაში სამსახურისთვის გაასამართლეს



2006 წლის 31 ივლისს სამართალდამცველებმა ზემო აფხაზეთის, გულრიფშის რაიონის სოფელ გენწვიშის მკვიდრი კარლო პირველი დააკავეს. იგი ემზარ კვიციანის დაქვემდებარებაში მყოფი, უკანონო შეიარაღებული ფორმირების წევრობასა და იარაღის უკანონო ტარებაში დაადანაშაულეს, რისთვისაც სასამართლომ 7 წლით აღუკვეთა თავისუფლება. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ კარლო პირველს სასჯელი 3 წლით შეუცვალა. დაცვის მხარე მსჯავრდადებულის მიმართ წაყენებულ ბრალდებებს უარყოფდა და მის უპირობო გათავისუფლებას მოითხოვდა. მცდელობის მიუხედავად, მსჯავრდადებულმა უკანონო პატიმრობაში თითქმის ორი წელიწადი დაყო. 2008 წლის ზაფხულში, ზემო აფხაზეთის უხუცესთა საბჭოს მოთხოვნის საფუძველზე, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა კარლო პირველი შეიწყალა.

ნანა ფიცხელაური

გიორგი ძოიავა, *კარლო პირველის ადვოკატი:*

— გალი-გულრიფშის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 15 თებერვლის განაჩენით, კოდორის მკვიდრი, კარლო პირველი ცნობილ იქნა დამნაშავედ (სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე მუხლის II-ე ნაწილით და 236-ე მუხლის I-II ნაწილით) იმაში, რომ ის მონაწილეობდა უკანონო შეიარაღებულ ფორმირებაში, ასევე უკანონოდ შეიძინა, ინახავდა და ატარებდა ავტომატურ ცეცხლსასროლ იარაღს. რაიონული სასამართლოს განაჩენი აბსოლუტურად დაუსაბუთებელი და უკანონოა და არ ეყრდნობა უტყუარ მტკიცებულებებს; ამასთან, აშკარად ტენდენციურია. კარლო პირველი გულრიფშის რაიონის სოფელ გენწვიშის მკვიდრია, რომელიც უყოყმანოდ ჩაირიცხა 1995 წელს თავდაცვის სამინისტროს მიერ შექმნილ, ოფიციალურ საჯარისო ფორმირებაში, ქვეით ბატალიონ „მონადირეში". მასზე, ისევე როგორც დანარჩენ 196 სამხედრო მოსამსახურეზე, გაცემულ იქნა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი საბრძოლო მასალით. პირველს „აკაშის" სისტემის ავტომატი მისცეს. „მონადირეს", სხვათა შორის, დიდი წვლილი მიუძღვის კოდორის ხეობის შენარჩუნებაში. სანამ ისინი იქ იყვნენ, აფხაზები კოდორში ცხვირს ვერ ყოფდნენ. ბატალიონის წევრები იმ დროს სჭირდებოდა სახელმწიფოს და ისინიც არაფერს იშურებდნენ დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად. „მონადირეს", მოგეხსენებათ, ემზარ კვიციანი ხელმძღვანელობდა. საბრალდებო დასკვნასა და განაჩენში მითითებულია, თითქოს საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 27 მაისის №180 ბრძანების შემდეგ (ანუ ბატალიონის გაუქმების შემდეგ) კარლო პირველი განაგრძობდა უკანონო შეიარაღებულ ფორმირებად გამოცხადებულ ბატალიონში მოღვაწეობას.

— მართლა განაგრძობდა თუ არა, ბანდფორმირებად გამოცხადებულ ბატალიონში სამსახურს?

— ამგვარი ბრალდება სრულ სიცრუეს და უპასუხისმგებლო განცხადებას წარმოადგენს. კარლო პირველმა იცოდა ბატალიონის გაუქმების შესახებ და სურდა მასზე გაფორმებული იარაღის ჩაბარება, მაგრამ არ იცოდა, ვისთვის მიემართა. აღსანიშნავია, რომ თავდაცვის მაშინდელი მინისტრის, ირაკლი ოქრუაშვილის ბრძანებაში არ იყო განსაზღვრული გაუქმებული ბატალიონის



კოდორის ხეობაში უამრავი უდანაშაულო ადამიანი დააკავეს, მათ შორის — ემზარ კვიციანის არც ერთი მომხრე არ ყოფილა

მაშინდელი მინისტრის, ირაკლი ოქრუაშვილის ბრძანებაში არ იყო განსაზღვრული გაუქმებული ბატალიონის წევრების მიერ იარაღის ჩაბარების პროცედურა

წევრების მიერ იარაღის ჩაბარების პროცედურა, დრო და ადგილი. კოდორის ხეობაში იმ პერიოდში არც სამართალდამცავი და არც სამთავრობო სტრუქტურები, ფაქტობრივად, არ არსებობდა. „მონადირეში" სამსახური კარლო პირველისთვის, გარდა პატრიოტული მოვალეობისა, შემოსავლის ერთადერთ წყაროს წარმოადგენდა, რადგან იქ მას ეძლეოდა ხელფასი 120 ლარის ოდენობით. ბატალიონის გაუქმებისთანავე მან შემოსავლის წყაროს ძებნა დაიწყო და იმისათვის, რომ ოჯახი ერჩინა, მეუღლესთან და ორ მცირეწლოვან შვილთან ერთად, საცხოვრებლად თბილისში ჩამოვიდა. ბატალიონის გაუქმების შემდეგ პირველს კოდორის ხეობაში მუდმივად არ უცხოვრია. მოგეხსენებათ, ოქტომბრიდან აპრილამდე, ხეობაში ჩასვლა, ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო. კარლო პირველი თბილისში ფიზიკური შრომით იყო დაკავებული, რათა მის პატარებს ლუკმაპური არ მოჰკლებოდათ. ამგვარად, კოდორის ხეობაში არყოფნის გათვალისწინებით, კარლო პირველი არ შეიძლებოდა ყოფილიყო იქ დისლოცირებული კანონიერი თუ უკანონო ფორმირების წევრი.

— როდის დაბრუნდა კარლო პირველი კოდორში?

— კარლო კოდორის ხეობაში 2006 წლის ზაფხულში წავიდა. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ის დაპირისპირებული იყო ემზარ კვიციანთან, უფრო კონკრეტულად კი მის დიშვილთან — ამჟამად ძებნილ ბაჩო არღვლიანთან. ისინი ერთმანეთთან ურთიერთობას გაურბოდნენ. ასეთ პიროვნებებში, შეუძლებელია, კარლო პირველი კვიციანის დაქვემდებარებული, უკანონო შეიარაღებული ფორმირების წევრი ყოფილიყო.

ზემო აფხაზეთის უხუცესთა საბჭოს წევრებმა, კოდორის ხეობასა და მთელ აფხაზეთში დაფასებულმა პირებმა, რომლებიც მოსახლეობისა და ხელისუფლების ნდობით სარგებლობდნენ, მიმართვა გაუგზავნეს გალიგულრიფშის სასამართლოს, სადაც ნათქვამია, რომ კარლო პირველი არ მონაწილეობდა ემზარ კვიციანის ბანდიტურ დაჯგუფებაში, პირიქით, მათთან დაპირისპირებული იყო და კოდორის ხეობაში კანონის უზენაესობის ამოქმედებისთვის იბრძოდა.

— თუ გაითვალისწინა სასამართლომ უხუცესთა საბჭოს წევრების და სხვა მოწმეთა ჩვენებები და რა მტკიცებულებას დაეყრდნო, როცა განაჩენი გამოიტანა?

— სასამართლომ არათუ არ დაჰკითხა უხუცესთა საბჭოს წევრები, არამედ ამ მიმართვას არანაირი ყურადღება არ მიაქცია. სამაგიეროდ, გამოიჩინა სრული ტენდენციურობა და ბრალდების მტკიცებულებად ცნო პოლიციის მუშაკების — ლაშა კოჭლამაზაშვილის და დავით გელაშვილის წინასწარი გამოძიებისას მიცემული, ყოველგვარ ლოგიკურობას და დამაჯერებლობას მოკლებული ჩვენებები. სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებელი, ამ მოწმეების ჩვენებები გამოქვეყნებულ იქნა საპროცესო კოდექსის 481-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით. ამ პოლიციელებმა კარლო პირველი მოტყუებით მიიყვანეს გენწვიშიდან სოფელ აჟარაში, სამხედრო შტაბში. მათი ჩვენებები ერთმანეთს გაჭრილი ვაშლივით ჰგავს. ნათქვამია, რომ ვითომ რეიდის დროს, მათ შენიშნეს ავტომატით შეიარაღებული კარლო პირველი. ისინი წერენ, — მასთან საუბრისას გავარკვიეთ, რომ ის ბანდფორმირების წევრი იყო და აჟარაში, შტაბში განვაიარაღეთო. განა, საკვირველი არ არის ის გარემოება, რომ სოფელში რეიდი ტარდებოდა და კარლო პირველი იარაღასხმული დადიოდა?! ეს აშკარად დაუჯერებელია. მას შემდეგ სახელისუფლებო სტრუქტურები ავიდნენ. კარლო პირველმა მასზე რიცხული ავტომატი ჩააბარა (რაზეც 2006 წლის 28 დეკემბერს შედგენილი სპეციალური დოკუმენტი მოწმობს), შესაბამისად, რაიმე სხვა იარაღის პირველის ხელთ არ არსებობა, ეჭვქვეშ აყენებდა პასუხისგებაში მის მიცემას. პირველმა იცოდა, რეიდი ტარდებოდა და მისი მონაწილეების მხრიდან იარაღის გამოყენებისა და სროლის შესაძლებლობა არ იყო გამორიცხული. მას იარაღი კიდევაც რომ ჰქონოდა, თავს შეიკავებდა მისი ტარებისგან, კოდორის ხეობაში იარაღის გადამალვის ამოუწურავი შესაძლებლობები არსებობს და შეეძლო ამგვარი შანსი გამოეყენებინა და პოლიციელებს ხელში არ ჩავარდნოდა. ამასთან, უხუცესთა საბჭოს წევრები ცალსახად ადასტურებდნენ მიმართვაში, რომ კარლო პირველი 31 ივლისს პოლიციელებმა უიარაღოდ, შინ აიყვანეს. სააპელაციო სასამართლოში, დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, დამატებით მოწმის სახით დაჰკითხეს უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარე ვაჟა ავალიანი. მისმა ჩვენებამ ნათელი მოჰფინა საქმის ვითარებას. კერძოდ, მან აჩვენა, რომ თავად იხილა, როგორ წაიყვანეს ფორმაში გამოწყობილმა პირებმა სახლის ეზოდან ჩემი დაცვის ქვეშ მყოფიც, რომელსაც იმ მომენტში იარაღი არ ჰქონია. სხვათა შორის, იმ პერიოდში კოდორის ხეობაში უამრავი უდანაშაულო ადამიანი დააკავეს, მათ შორის — ემზარ კვიციანის არც ერთი მომხრე არ ყოფილა. მისმა მომხრეებმა, ლიდერთან ერთად, მიმალვა მოასწრეს.

— რისთვის დასჭირდათ პირველისა და მისი მსგავსი პირების დაკავება?

— ალბათ იმისთვის, რომ ხელმძღვანელობისთვის საშიში დამნაშავეების გაუვნებლების შესახებ ეპატაკათ. მოგეხსენებათ, რა დიდი ყურადღება ეთმობა კანონმდებლობის მიერ ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას. ამაზე მოწმობს სისხლის სამართლის კოდექსის 547-ე მუხლში შეტანილი ცვლილებები. შეიძლება ითქვას, რომ განაჩენი კარლო პირველის მიმართ სწორედ რომ „სასამართლოს მიერ ერთიან პრაქტიკაზე ორიენტირების" ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს. მაგალითად, იმავე სასამართლომ 2007 წლის 28 თებერვალს, აბსოლუტურად ანალოგიური ბრალდებით გაასამართლა, თენგიზ ჯაჭვლიანი, ხოლო 22 მარტს — როდამ მარგველანი.

ისინი ადრე „მონადირის" წევრები იყვნენ. რეიდის დროს, თურმე, შეიარაღებულები დადიოდნენ. ისინიც აჟარის შტაბში მიიყვანეს და განაიარაღეს". კარლო პირველისგან განსხვავებით, სასამართლომ ჯაჭვლიანს 4, მარგველანს კი — 3 წლითა და 6 თვით აღუკვეთა თავისუფლება.

— როდის და რომელ ინსტანციაში გაასაჩივრეთ განაჩენი და რა ბედი ეწია კარლო პირველს?

— პირველის განაჩენი სააპელაციო სასამართლოში გავასაჩივრეთ, რომელმაც ვითომ ლოიალობა გამოიჩინა და სასჯელი 7-დან 3 წლამდე შეამცირა. შემდეგ მივმართეთ შეწყალების კომისიას — უხუცესთა საბჭომ წერილობით მიმართა პრეზიდენტ სააკაშვილსა და კარლო პირველის შეწყალება მოითხოვა. პრაქტიკულად, არანაირად არ შეიძლებოდა, ეს კაცი დამნაშავედ ეცნოთ, მით უმეტეს, 7 წელი მიესაჯათ. თავდაპირველად, როცა კარლო პირველი ბატალიონში შევიდა, ის არ იყო უკანონო ფორმირება. შემდგომ იქცნენ კვიციანიც და მისი დაჯგუფებაც სახელმწიფოს მტრებად, რა შუაში იყო კარლო პირველი? კვიციანი გარემოცვასთან ერთად გაიქცა, ის კი არსად წასულა, კოდორში დარჩა და იარაღიც თავიდან მოიშორა. მან თქვა, აჟარაში, შტაბში როცა მიმიყვანეს, წინ ავტომატი დამიდეს და მითხრეს, — ეს შენია, ამას შენ „აგკიდებთო". მისი განაჩენი მხოლოდ იმ პოლიციელების ჩვენების საფუძველზე გამოიტანეს, რომელიც არ შეიძლება, მყარ მტკიცებულებად მიჩნეულიყო, ვინაიდან ის ჩვენებები სასამართლოსთვის არ მიუციათ. უზენაესმა სასამართლომ ეს საქმე განსახილველად არ მიიღო. კარლო პირველი სუფთა და უდანაშაულოა. რომ განახვათ, თქვენც მიხვდებით, როგორი პატიოსანი, წესიერი და გულანთებული, ნაღდი პატრიოტი კაცია. 2007 წლის 31 ივლისს შეტანილი შეწყალების მოთხოვნის საფუძველზე, კარლო პირველი 2008 წლის ზაფხულში პრეზიდენტმა შეიწყალა. ოღონდ, ის კი არ გაამართლეს, — შეიწყალეს. მან დღემდე არ იცის, რისთვის იჯდა ამდენ ხანს ციხეში. სამწუხაროდ, დღეს უამრავი ადამიანი ანალოგიურ სიტუაციაშია, აივსო ციხეები უკანონო პატიმრებით. ■

ARASH-ის სუპერავტო



ბრიტანულმა ავტომწარმოებელმა — Arash სუპერავტოს — AF-10 — შესახებ ინფორმაცია გამოამზეურა. კომპანიის ოფიციალურ საიტზე ნათქვამია, რომ მანქანას აქვს კარბონისგან დამზადებული ძარა და 8-ცილინდრიანი მოტორი. კორპორაციის — GM მიერ შექმნილი 7-ლიტრიანი ძრავა 550 ცხ.ძ. სიმძლავრისაა და სიჩქარის გადაცემათა 6-საფეხურიანი კოლოფით მუშაობს. ასეთი სიმძლავრე კუპეს 320 კმ/სთ სიჩქარის განვითარების საშუალებას აძლევს, ხოლო 100 კმ/სთ-ს იგი 3,4 წმ-ში ავითარებს. მანქანაზე 19-დუიმიან ან ოპციურ — 21-დუიმიან საბორბლე დისკებს დააყენებენ. რაც შეეხება სალონს, — აღსანიშნავია ტყავის სალონი, სანავიგაციო სისტემა და უკანა ხედვის ვიდეოკამერა. გარდა ამისა, ძარა „გილიოტინა"-კარებითა და აქტიური წინა და უკანა სპოილერებიანი აეროდინამიკური პაკეტითაა აღჭურვილი. გავრცელებულ ინფორმაციაში, კომპანია სხვა მოდელსაც მოიხსენებს. ესაა AF 10-S, რომელსაც 850 ცხ.ძ. სიმძლავრის ძრავა ექნება, თუმცა მისი შექმნის ვადების შესახებ არაფერია ცნობილი. ჩვეულებრივი Arash AF-10-ის ფასი 172 ათასი გირვანქა სტერლინგი (დაახლოებით 300 ათასი დოლარი) იქნება. ■

„მაზდის" ახალი სედანი



„მაზდამ" ახალი თაობის სედანის — Mazda3 — პირველი სამი ოფიციალური ფოტო გამოაქვეყნა, აგრეთვე იმის შესახებაც განაცხადა, რომ ამ ავტომობილის მსოფლიო პრემიერა ლოს-ანჯელესის მოტორშოუზე შედგება, რომელიც ფართო საზოგადოებისთვის მიმდინარე წლის 19 ნოემბრიდან გაიხსნება. უნდა აღინიშნოს, რომ სურათზე წარმოდგენილია მანქანა, რომელიც ჩრდილოეთ ამერიკის ბაზრისთვისაა გათვალისწინებული. ამ ფოტოების მიხედვით, მოდელის ექსტერიერის დიზაინი ახალი Mazda2-ის და Mazda6-ის სტილშია შესრულებული, ხოლო ძარას წინა და უკანა ნაწილებმა სერიოზული ცვლილებები განიცადა. იაპონურ კომპანიაში აცხადებენ, რომ ლოს-ანჯელესის ავტოგამოფენაზე წარდგენილი იქნება 2,0 და 2,5-ლიტრიანი ძრავებით აღჭურვილი სედანი Mazda3, თუმცა მათი მაჩვენებლების შესახებ არაფერია ცნობილი. სედანის დებიუტიდან გარკვეული ხნის გასვლის შემდეგ, ხუთკარიანი ჰეჩბეკის დებიუტი შედგება, აგრეთვე ასეთი მანქანების მსოფლიო ბაზრებზე გატანის ვადებიც გამოცხადდება. აქვე აღვნიშნავთ, რომ 2003 წლიდან მოყოლებული, მსოფლიოში სულ 1,8 მილიონი Mazda3 გაიყიდა, ხოლო იაპონური მარკის მიერ რეალიზებული ყოველი მესამე მანქანა სწორედ Mazda3-ია. ■

„ფორდის" სიახლე

კომპანია „ფორდი" აპირებს გამოუშვას ავტომობილი, რომელმაც ცოტა ხნის წინ რუმინეთში ნაყიდი ქარხნის კონვეიერზე, კომპაქტური მინივენი — Fusion უნდა შეცვალოს. კომპანიაში ჯერ-ჯერობით სიახლეს B-Max-ად მოიხსენიებენ. ადრე „ფორდის" ევროპული განყოფილების აღმასრულებელი დირექტორი ჯონ ფლემინგი აცხადებდა, რომ რუმინეთის ქარხანაში გაისად კომერციული ავტომობილის — Ford Transit Connect აწყობა დაიწყებოდა. მისივე თქმით, აქვე კიდევ ერთი მოდელის გამოშვებას ჩაეყრება საფუძველი, ოღონდ რომლის, არ დაუკონკრეტებია. რუმინული ქარხანა ადრე კომპანია „დეუს" ეკუთვნოდა, ხოლო შემდეგ ქვეყნის ხელისუფლების საკუთრებაში გადავიდა. „ფორდმა" ეს საწარმო 2008 წლის მარტში 57 მილიონ ევროდ შეიძინა. მომავალ Ford B-Max-ს ჰეჩბეკ „ფიესტას" ბაზაზე ააწყობენ. იგი „ფორდის" ერთ-ერთი ყველაზე მომცრო მანქანა იქნება. ამ მოდელის გამოშვება 2010 წლის პირველი ნახევრისთვის იგეგმება, ხოლო წარმოების სიმძლავრე წელიწადში დაახლოებით 100 ათას მანქანას შეადგენს.

 აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად
ინტერნეტ მაღაზია
www.elva.ge
წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 ეგზ. ფასი	6 თვე
1. МК-МОБИЛЬ	1.70	20.3
2. АВТОМОБИЛИ	8.40	50.4
3. АВТОСЕРВИС	73.85	443.1
4. АВТОМАГАЗИН	3.75	22.3
5. АВТОШКОЛА ПРОФИ	63.70	191.0
6. АВТО - ОБОЗРЕНИЕ	82.80	496.6
7. АВТОПАНОРАМА	8.55	51.2

აგრეთვე ნებისმიერი სხვა
დასახელების ჟურნალ-გაზეთები

პრესის
გავრცელების
სააგენტო
„ელვასპრესი"
ქ. თბილისი
იოსებიძის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvirispalitra.com



1. ფოთ-ლოვანი ხე
2. ბოულინგი
3. ესპანეთის ფეხბურთის გუნდი
4. პერეგრინ ჯონსონი
5. მობილის რეჟიმი, იმედიანობა
6. ნავთობის გადასაზიდი გემი
7. ქვეყანა სამხრეთ ამერიკაში
8. ვარდ-ობისთვე
9. ჭიანურის ფიგურა
10. ქალაქი ფესტივალიში
11. ნაკურთხი წყალი
12. განმეორების პროდუქტი
13. ვაშლის ჯიში
14. ქიმ. ელემენტის უმტკივნეული ნაერი
15. მამამდიანთა რელიგია
16. ხელიკის სახეობა
17. ღმერთი
18. კუმელი
19. მახრჩობელა გველი
20. ვაკე ადგილი მდინარის პირას
21. სამკურნალო ძეკნარე
22. პორტუგალის ლეგენდა
23. სასეიფოს მსახური ბიჭი
24. ვულკანი ნამცხვარი
25. ძაღლის ჯიში
26. ლრეს ორმო
27. დღე ბოლო ხელმეორეს მოლაბნებში
28. მარდწყვნე სუბტროპიკული ბუჩქი
29. კანი ურეხილის გარშემო
30. „ამონდან" მოდელი
31. ქვეყანა აზიაში
32. ნარკოტიკი
33. ერთი დიას სახელმძღვ.
34. ქართული საფაზღვეგო კომპანია
35. ოქრუ
36. ცურვის სტილი
37. ეთოფიოს ვეფხი
38. ოუჯერთმანი ტა ანნიერა
39. მოკლე მუსიკალური მასალაბა
40. ბინაური ცხოველი
41. არაბული ქვეყანა

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

1. პოსეიდონი; 2. სპა; 3. ციციკორე; 4. დათვი; 5. სოფელი; 6. ნალბანდიანი; 7. რქანითელი; 8. წავი; 9. ქოხი; 10. დიქტი; 11. ბაბუინი; 12. მუფლონი; 13. არმადა; 14. ჰამამი; 15. ელადა; 16. ინკუბატორი; 17. ალჩუ; 18. უნია. 19. ქაბული; 20. ლუკმა; 21. მარტვილი; 22. უფალი; 23. ლანცეტი; 24. ონიანი; 25. არსენალი; 26. მინდია; 27. კოლონა, 28. რია; 29. ჩაი; 30. ლეი; 31. ნირი; 32. ცდა; 33. რაბინი; 34. მესტია; 35. ალ; 36. მონტანა; 37. ლაზიერი; 38. გოია; 39. ტრიო.

სურათებზე: პერის პილტონი; ნიკლო რიჩი.

როგორი თვითშეფასების უნარი გაქვთ?

ნებისმიერი ქალის სილამაზეს მისი მომხიბვლელობა განსაზღვრავს. ზოგიერთი ქალი რაღაც იდუმალი ხიბლის გამოსხივების უნარითაა დაჯილდოებული, ზოგიერთი კი ამ უნარს მოკლებულია და ამიტომ, ირგვლივ მყოფთ მისი ღირსებების სათანადოდ შეფასება უჭირთ. სამწუხაროდ, ამ კატეგორიის ქალები საკუთარ თავს სათანადოდ თავადვე ვერ აფასებენ, ეს კი მათ ცხოვრებაში არაერთ პრობლემას უქმნის. თუკი გაინტერესებთ, როგორი თვითშეფასების უნარით გამოირჩევით, გულწრფელად უპასუხეთ შეკითხვებს და ამას სულ იოლად გაარკვევთ.

1. ვთქვათ, ახალგაცნობილი ადამიანი თქვენი ასაკის შეფასებისას შეცდა და ხუთიოდე წელი მოგიმატათ. როგორი გრძნობა დაგეუფლებათ?

ა) მეწყინება — 3;

ბ) გავიფიქრებ, რომ ის საკმაოდ ცუდად ერკვევა ქალებში და საერთოდ არ ძალუძს მათი ასაკის განსაზღვრა — 2;

გ) ჩემი აზრით, ეს ხუმრობისთვის საკმაოდ კარგი საბაბია — 1.

2. როდესაც სამკაულის, კოსმეტიკის ან პარფიუმერიული ნაწარმის შეძენა გაქვთ განზრახული, რა განაპირობებს თქვენს არჩევანს?

ა) ფასი (რაც უფრო ძვირად ღირებულია ესა თუ ის ნივთი, მით უკეთესია) — 3;

ბ) ამა თუ იმ ნივთს მხოლოდ საკუთარი გემოვნებით ვირჩევ — 2;

გ) მეგობარი გოგონების რჩევებს ვითვალისწინებ — 1.

3. თუკი მოულოდნელად ვილაც გესტუმრათ, როგორ მოიქცევით?

ა) ვეცდები, არაფრით ვაგრძნობინო, რომ ის ცოტა არ იყოს, შეუფერებელ დროს მესტუმრა — 2;

ბ) სიხარულის შეძახილით შევხვდები: „ოჰ, როგორ გამახარე!" — 1;

გ) არ დავფარავ, რომ მისი უდროო ვიზიტით აღფრთოვანებული სულაც არა ვარ — 3.

4. როცა წვეულებაზე ან თეატრში მიდიხართ, რა არის თქვენთვის უმთავრესი?

ა) ის, რომ ირგვლივ მყოფებზე კარგი შთაბეჭდილება მოვახდინო — 3;

ბ) ის, რომ მეტისმეტად თვალში საცემად არ გამოვიყურებოდე — 1;

გ) ის, რომ საკუთარი გარეგნობით თავად ვიყო კმაყოფილი — 2.

5. მაინც, რას უფრო შეადარებდით საკუთარ თავს:

ა) გამძლე და „დღეგრძელობით" გამორჩეულ ქვას — 2;

ბ) ტირიფს, რომლის ტოტებიც მიწამდეა დახრილი, მაგრამ არ იმტვრევა — 1;

გ) ქარს — რომლის ძალასაც, შეუძლებელია, ანგარიში არ გაეწიოს — 3.

6. ვთქვათ, იმ დღეს უხერხულად გრძნობთ თავს, რადგან მიგაჩნიათ, რომ საკმაოდ ულაზათოდ ხართ ჩაცმული. მოულოდნელად გხვდებათ ნაცნობი გოგონა (ქალი) და გეუბნებათ, რომ შესანიშნავად გამოიყურებით. ქათინაურისთვიაა მადლობას უხდით, გულში კი გაიფიქრებთ:

ა) საინტერესოა, რას მოელის ჩემგან? ნეტავ, რა უნდა, რომ მთხოვოს? — 1;

ბ) დღეს იქნებ, მართლაც, არცთუ ისე ცუდად გამოვიყურები? — 3;

გ) თავისთავად, ქათინაური ხომ პატარა, უწყინარი პირფერობაა — 2.

7. ვთქვათ, თქვენ და თქვენი მეგობარი რაღაცაზე ვერ შეთანხმდით და წაკამათდით. როგორი გრძნობა დაგეუფლებათ?

ა) თავს უხერხულად ვიგრძნობ და შევეცდები, რომ საუბრის თემა დროულად შევცვალო — 1;

ბ) დიდად არ შეეწუხდები, რადგან, მიმაჩნია, რომ საუკეთესო მეგობრებსაც კი ამა თუ იმ საკითხზე შესაძლოა, განსხვავებული აზრი ჰქონდეთ — 2;

გ) დაჟინებით მოვთხოვ, რომ აზრი შეიცვალოს — 3.

8. თქვენს გარდერობში ერთი რამ მაინც თუ მოგეპოვებათ საკუთარი ხელით მოქსოვილი ან შეკერილი?

ა) მომეპოვება და არა — ერთი და ორი — 3;

ბ) დიახ, მაგრამ სადღაც მაქვს შეჩურთული, რადგან დიდი ვერაფერი ხვითო გამომივიდა — 1;

გ) არა — 2.

9. რა აზრის ხართ საკუთარ გარეგნობაზე?

ა) ჩემი გარეგნობის გამო, ბევრი მოშურნე მყავს და მიმაჩნია, რომ არცთუ უსაფუძვლოდ — 3;

ბ) მართალია, ფოტომოდელივით ვერ გამოვიყურები, მაგრამ ცუდი გარეგნობა არ მაქვს — 2;

გ) სამწუხაროდ, ამ მხრივ სატრაბახო არაფერი მაქვს — 1.

10. როგორ გრძნობთ თავს იმ ქალის საზოგადოებაში, რომელმაც თქვენთან შედარებით ამ ცხოვრებაში ბევრად უფრო დიდ წარმატებებს მიაღწია?

ა) შური მიპყრობს — 1;

ბ) საკმაოდ მშვიდად ვარ, რადგან მიმაჩნია, რომ საკუთარი ღირსება და უპირატესობა მეც მაქვს — 3;

გ) ვცდილობ, ყველაფერში მას მივბაძო — 2.

ტესტის შედეგები

12 ქულაზე ნაკლები: დამყოლი ხასიათი გაქვთ და შეიძლება ითქვას, რომ დიდი მოთხოვნილებებით არ გამოირჩევით. გაქვთ იმის უნარიც, რომ ყურად იღოთ სხვისი აზრი და ანგარიში გაუწიოთ მის მოთხოვნებს. ზოგჯერ ამის გამო საკუთარ გემოვნებასა და სურვილებს არ ითვალისწინებთ. საკმაოდ იოლად ექცევით სხვების ზეგავლენის ქვეშ, მაგრამ ხშირ შემთხვევაში, ამას ვერც კი აცნობიერებთ.

აღიარებთ, რომ უამრავი ნაკლი გაქვთ — დაფიქრდით, ცოტას ხომ არ აჭარბებთ? კარგი იქნება, თუ საკუთარი ღირსებების სათანადოდ დაფასებას ისწავლით, ამით მხოლოდ და მხოლოდ, აიმაღლებთ რეპუტაციას.

12-20 ქულა: თქვენ მყარად დგახართ მიწაზე და საკუთარი თავის ფასიც მშვენივრად იცით. უფრთხილდებით თქვენს რეპუტაციას და ყოველთვის ცდილობთ, ირგვლივ მყოფებზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინოთ. ეს კი მით უფრო უკეთესად გამოგდით, რაც უფრო ბუნებრივად იქცევით.

20 ქულაზე მეტი: მეტისმეტად თავდაჯერებული ადამიანი ბრძანდებით. საკუთარი უპირატესობის შესახებაც კარგად მოგეხსენებათ. ძალიან გწყინთ, როცა ადამიანები სათანადოდ ვერ გაფასებენ. დაფიქრდით, იქნებ, მათი კრიტიკა ზოგჯერ სულაც არ გახლავთ უსაფუძვლო? ნუ დაივიწყებთ, რომ ზედმეტ თავდაჯერებულობას დიდი რისკი ახლავს თან — შესაძლოა, თქვენ მარტოობა დაგემუქროთ. იყავით უფრო მოქნილი, ოღონდ, ნურც ინდივიდუალობას დაკარგავთ.

ჰოროსკოპი

(23 – 29 ოქტომბერი)

ვერძი

ეს კვირა დაუთმეთ პროფესიას და ადრე დასახული მიზნის მისაღწევად იმოქმედეთ. სასიყვარულო კონფლიქტების მოსაგვარებლად შესაძლოა, მეგობრების დახმარება დაგჭირდეთ.

ხუცრი

პარტნიორულ-ფინანსური წარმატება მოთმინებითა და საქმიანი ურთიერთობებით მიიღწევა. ბევრ დროს დაუთმობთ სასიყვარულო ურთიერთობას.

ტყუპები

საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობისას ნუ იქნებით კატეგორიული, რათა ისინი მტრებად არ აქციოთ. გამოიყენეთ ბედის მიერ ბოძებული შემთხვევები და ეცადეთ, კარიერაში წინ წაიწიოთ.

ჯიბრი

ეცადეთ, რომანტიკულმა ურთიერთობებმა საქმეებიც არ დაგავიწყოთ. სასურველია, მეტი ყურადღება მოაქციოთ ბავშვებს, რადგან მათ თქვენი მხარდაჭერა დასჭირდებათ.

ლომი

ჯობს, გვერდით გადადოთ ძვირფასი ნივთების შეძენა. კარგი დროა, ძველი კავშირების აღსადგენად. უცხოელებისგან შეიძლება, საინტერესო შემოთავაზება ან დახმარება მიიღოთ.

ქალწული

უფრო კომუნიკაბელური და მოქნილი გახდებით. თუმცა დამოუკიდებლად ვერაფერს მიაღწევთ. თუ საზღვარგარეთ გამგზავრება შემოგთავაზეს, დათანხმდით.

სასწორი

ოჯახში დაძაბული მდგომარეობა და მუდმივი უკმაყოფილება ფარული სასიყვარულო კავშირის გაღვივებას შეუწყობს ხელს, თუმცა საიდუმლოებას დიდხანს ვერ დამალავთ. დაისვენეთ, დაიცავით დიეტა და ივარჯიშეთ.

მორიგი

სიამოვნებას მოგანიჭებთ უცხოელებთან ურთიერთობა, რაც ახალ გეგმებს გაგიჩენთ. შესაძლოა, მშობლებს თქვენი დახმარება დასჭირდეთ, რაც თქვენს პირად ცხოვრებას საფრთხეს შეუქმნის.

მშვიდადმსახველი

გამოიჩინეთ სულიერი სიმტკიცე და არ აჰყვეთ ემოციებს. ეს დრო ხელსაყრელია მეგობრებთან, კოლეგებსა და თანამოაზრეებთან ურთიერთობების მოსაგვარებლად. ბევრს ნუ მოსთხოვთ მეუღლეს ან საყვარელ ადამიანს.

თხრილ ჩქარ

გაგიჩნდებათ თაყვანისმცემლები. თავს ძველი პრობლემები შეგახსენებთ. ფინანსურ კეთილდღეობას ახალი საქმეები და შემოთავაზებები მოგიტანთ.

მეთევზეები

პირად ცხოვრებაში გამოგადგებათ ისეთი თვისებები, როგორიცაა: აქტიურობა, კომუნიკაბელურობა, მიმტევებლობა და საკუთარი თავის რწმენა. საყვარელ ადამიანთან გამოიჩინეთ ლმობიერება, სითბო.

თევზები

უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმეები ბევრ დროს წაგართმევთ, რაც ხელს შეგიწყობთ ჩანაფიქრის განხორციელებაში. საყვარელი ადამიანი სრულ მხარდაჭერას გამოგიცხადებთ.

ფინა ნომრის სუდოკუს პასუხები

5	1	3	8	9	4	2	7	6
8	6	9	7	2	3	4	1	5
2	4	7	5	1	6	8	9	3
9	3	1	4	8	2	5	6	7
4	5	8	9	6	7	3	2	1
6	7	2	3	5	1	9	4	8
1	8	5	6	4	9	7	3	2
7	2	4	1	3	5	6	8	9
3	9	6	2	7	8	1	5	4

8	1	4	9	6	2	5	7	3
5	7	9	4	1	3	6	8	2
3	6	2	5	8	7	4	9	1
2	3	8	6	7	1	9	4	5
1	4	7	8	9	5	2	3	6
6	9	5	2	3	4	7	1	8
7	8	6	3	2	9	1	5	4
4	2	1	7	5	8	3	6	9
9	5	3	1	4	6	8	2	7

6	5	9	3	1	7	4	8	2
8	7	2	9	4	6	5	1	3
3	4	1	8	5	2	6	9	7
1	8	3	4	7	5	9	2	6
9	2	7	6	8	1	3	5	4
5	6	4	2	9	3	8	7	1
2	9	8	1	6	4	7	3	5
7	1	6	5	3	8	2	4	9
4	3	5	7	2	9	1	6	8

ეკონომიკური სუდოკუ

იაპონური სენსაციები

მარტივი

6	7			9			1	8
2			3	7		5		
		5		8				9
		2		1		7	6	
	6		4				3	
	5	4		6	3	9		
4				5		6		
		9		3	6			2
3	8			4			5	7

საშუალო

		2	7				5	
	9			3			6	
					5	7		
		6		9			7	
	5				1		3	
	7			8	2	9		
		4	8					
	1			5			8	
	3				9	6		

ეკონომიკური

		9	2				4	
	8				4	6		
				1				2
	6			7	3			4
	4				8		5	
2				4			9	
5				6				
		3	8				6	
	1				7	3		

ფოტოკუიზები

6 122/38

საბა ◻ SABA

პირველი ელიტური სახლი გურამიშვილზე

ბინა შენდება
PASCHAI-ის (გერმანია)
საშენებლო ტექნოლოგიის
სრული გამოყენებით

ლიმალელი — M ..... M — გურამიშვილი

PASCHAI

ინდივიდუალური გადახდის სისტემა

☎ 38-91-92 45-17-17 65-41-00
877-77-70-77 899-35-90-00

გურამიშვილის 78 (მეტრო "გურამიშვილთან")

ბინები 65 m^2 - დან
თანამედროვე ლიფტი
სუპერმარკეტი
საბავშვო ბაღი
აფთიაქი
სამედიცინო ცენტრი
მიწისქვეშა ავტოსადგომი
დაცვა
კაფე - ბარი
იზოლირებული,
კეთილმოწყობილი
ეზო 5000 m^2
მოპირკეთებული ქუჩა და
მიმდებარე ტერიტორია
თეთრი კარკასი

სიახლე!!! ხელშეკრულება გატარდება სახელმწიფო რეესტრში